



**მარინე კაკაჩია**

სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ასოცირებული პროფესორი.



**ქეთევან მარგიანი**

ფილოლოგიის აკადემიური დოქტორი, სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი; არის ავტორი 80-მდე სამეცნიერო პუბლიკაციისა და ხსოვნის ნიგნისა „დალეღთა იმედი“, თანაავტორი ნიგნებისა: 1. გლოტალიზაცია ქართველურ ენებში, 2. კოდორული ქრონიკები, 3. ქართველური სახელები. ჰყავს მეუღლე და ორი შვილი.



**მარინა ჯღარკავა**

თსუ არნოლდ ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტის მეცნიერთანამშრომელი. ლექციებს კითხულობს სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტში. ინტერესთა სფერო – ქართვეური ზმნა.

სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი

მარინე კაკაჩია ქეთევან მარგიანი  
მარინა ჯღარკავა

ქართველურ ენათა მორფოსინტაქსის საკითხები

**ქართველურ ენათა  
მორფოსინტაქსის საკითხები**

სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი

მარინე კაკაჩია ქეთევან მარგიანი  
მარინა ჯღარკაგა

ქართველურ ენათა მორფოსინტაქსის  
საკითხები

თბილისი 2013

ნაშრომში განხილულია ქართველურ ენათა მორფო-  
სინტაქსის ცალკეული საკითხები მეგრულის, ლაზუ-  
რის, სვანურის მდიდარი ენობრივი მასალის საფუძ-  
ველზე.

რედაქტორი: პროფ. მერაბ ნაჭყებია

რეცენზენტები: პროფ. თამილა ზვიადაძე

პროფ. ბიძინა ლემონჯავა

ავტორები მადლობას უხდიან აფხაზეთის განათლებისა  
და კულტურის სამინისტროს გაწეული მხარდაჭერისათვის.

© მ. კაკაჩია, ქ. მარგიანი, მ. ჯღარკავა

© გამომცემლობა „მერიდიანი“, 2013

ISBN 978-9941-10-804-4

## შესავალი

ნაშრომი „ქართველურ ენათა მორფოსინტაქსის საკითხები“ წარმოადგენს ქართველურ ენათა – მეგრულის, ლაზურისა და სვანურის – გრამატიკის ცალკეული კატეგორიებისა და საკითხების შესწავლის მოკრძალებულ ცდას.

წიგნში შედარებით ფორმატში არის განხილული ქართველურ ენათა გრამატიკის შემდეგი საკითხები: ზმნა-შემასმენელი; მარტივი ზმნა-შემასმენლის სახეობანი; შედგენილი შემასმენლის სტრუქტურა ქართველურში; ნაწილაკიანი შემასმენელი; პრედიკატული სინტაგმა; ქართველურში სხვადასხვა ტიპის შემასმენლის სინტაქსური დამოკიდებულება ქვემდებარესთან (მართვა); იდიომატური, ბივერბალური და პარონომაზიული შემასმენელი ქართველურში... შესაბამისად, ნაშრომს ექნება როგორც თეორიული, ასევე პრაქტიკული გამოყენება მასში წარმოდგენილ ქართველურ ენათა (მეგრულის, ლაზურის, სვანურის) მრავალფეროვანი ენობრივი მასალის ანალიზისა და თანდართული ტექსტების გამო. ნაშრომი გამოადგებათ ენათმეცნიერებს, ქართველოლოგებსა თუ კავკასიოლოგებს, უმაღლესი სასწავლებლების ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტების სტუდენტებს, მაგისტრანტებსა და დოქტორანტებს, ზოგადად, ქართველური ენების შესწავლით დაინტერესებულ პირებს. ნაშრომის ძირითადი დებულებები შესაძლებელია გამოყენებულ იქნას ქართველურ ენათა შედარებითი გრამატიკის დამუშავებისას.

ავტორები შეეცადნენ საილუსტრაციო მაგალითები მოეძიათ სხვადასხვა დროს ჩაწერილ ტექსტებში. მაგალითად, საანალიზო სვანური ბალსხემოური მასალა ამოკრებილია ძირითადად სვანური ენის ქრესტომათიიდან, სვანური პროზაული ტექსტებიდან (ტ. I ბალსხემოურ

კილო), კოდორული ქრონიკები-დან; უხვად არის წარმოდგენილი ცოცხალი მეტყველების ნიმუშები სამეცნიერო ექსპედიციებისა და საველე მუშაობის დროს მოპოვებული მასალების სახით.

მეგრულის, ლაზურის, სვანურის მორფოსინტაქსის თუნდაც მხოლოდ ცალკეული საკითხების დამუშავებით კიდევ ერთხელ გაესვა ხაზი ამ ენათა ერთიან ტიპოლოგიას, ისტორიულ ერთობას, საერთო წარმომავლობას.

ავტორები მადლიერებით მიიღებენ და გაითვალისწინებენ ქართველური ენების მკვლევართა, სპეციალისტთა, გულშემატკივართა ყველა სახის შენიშვნას, რჩევას, რეკომენდაციას.

**§1. ქართველური ენები:** სამი ურთიერთმონათესავე ენა - ქართული, მეგრულ-ჭანური ანუ ლაზური და სვანური ქმნის ქართველურ ენათა ჯგუფს. ისინი მომდინარეობენ ერთი საერთო წინარე ენის (ფუძე-ენის, პრე-ქართველური ენის) კილოებისაგან. დღეს ეს ყოფილი კილოები დამოუკიდებელი ენებია, თითოეული საკუთარი ლექსიკური შედგენილობით და გრამატიკული წყობით. ქართული სალიტერატურო ენა, როგორც ძველი მწერლობის მქონე ენა, კულტურულ ენებს განეკუთვნება. იგი ყველა ქართველური ტომის საერთო სამწერლობო ენა იყო ისტორიულად და არის დღესაც. ეს ენა ქართველი ერის ერთიანი საერთო ეროვნული ენაა. სვანური და ზანური, რომლებიც წმინდა ენათმეცნიერული განსაზღვრით დამოუკიდებელი ენებია, სოციოლინგვისტური თვალსაზრისით ფუნქციონირებენ მხოლოდ დიალექტების დონეზე, ანუ: მათი გამოყენების სფერო ლოკალურია და შემოიფარგლება ყოფითი ურთიერთობითა და ფოლკლორით. სახელმწიფოებრივი მმართველობის, მართლმსაჯულების, მეცნიერების, ხელოვნების, განათლების ენა ქართველური ეთნოსის ყველა წარმომადგენლისათვის ისტორიულად და ამჟამად არის ქართული სალიტერატურო ენა – საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო ენა. რამდენიმე საუკუნის განმავლობაში ქართული იყო ყველა იმ ხალხის კულტურისა და ღვთისმსახურების ენა, რომელიც საქართველოს ტერიტორიაზე სახლობდა. საგულისხმოა, რომ ზოგჯერ მხოლოდ ქართულ ენაზე მოიპოვება უძველესი ცნობები ჩრდილო კავკასიაში, საქართველოს ფარგლებს გარეთ, მცხოვრები ტომების შესახებაც. ვახუშტი ბაგრატიონი არსებითად იმავე პრინციპით აფასებს საქართველოს სხვადასხვა ეთნიკურ კუთხეს, რაც ჯერ კიდევ X საუკუნეში გამოიყენა გიორგი მერჩულემ თავის თხზულებაში: ქართველად ითვლება ის, რომლის დედაენა

ქართულია, ხოლო სარწმუნოება - ქრისტიანული, საქართველოდ კი ის ქვეყანა, სადაც ღვთისმსახურება ქართულ ენაზე სრულდება. ვახუშტი აღნიშნავს, რომ მის მიერ აღწერილ საქართველოს ეთნიკურ რეგიონებში ყველგან, იქაც კი, სადაც ქართულის გარდა, სხვა ენაც გამოიყენება, „წიგნი არცა ერთსა რომელსამე აქუს, თჳნიერ ქართულის წიგნისა საკუთრად“; ანუ: მწიგნობრობის, კულტურის ენა ყველა ამ მხარეში ქართული იყო. მონათესავე და არამონათესავე, მით უმეტეს მოძმე (ქართული, სვანური, მეგრულ-ჭანური) ენების ზეგავლენა ერთნაირი ინტენსივობით არ ვლინდება და შედეგებიც ნაირსახოვანია. მონათესავე ენა გაცილებით უფრო შეღწევალია, ვინემ ამ თვალსაზრისით საკმაოდ შორს მდგომი ენა. (ბ.ჯორბენაძე, ქართველურ ენათა დიალექტები, თბ., 1995: 20-39) „სვანური ენა, ისევე, როგორც მეგრულ-ჭანური, მართალია, პერგამენტზე არაა წარმოდგენილი, მაგრამ ეს არც მას და არც მეგრულ-ჭანურს არ უშლის ხელს, შეინარჩუნოს უძველესი თვისებები, რომლებიც, შესაძლოა, ოდესღაც საერთო იყო ქართველურ ენათა ჯგუფის ყველა წარმომადგენლისათვის, მაგრამ სრულიადაც არ ასახულა წერილობითს ძეგლებში“ (დონდუა, 1967:7). როგორც ცნობილია, გენეალოგიური კლასიფიკაციის საფუძველია ენათა ერთიანი წარმოშობა-გენეზისი. გენეალოგიური კლასიფიკაცია ენათა დაჯგუფებას ახდენს სწორედ მათი საერთო წარმოშობის მიხედვით. საერთო წარმოშობის ენები მონათესავე ენათა ოჯახს ქმნის. მსოფლიოში არსებულ ენებს რამდენიმე ოჯახში აერთიანებენ. ეს ოჯახებია: ინდო-ევროპულ, სემიტურ, უნგრულ-ფინურ, ალთაურ, ჩინურ-ტიბეტურ, დრავიდულ, ინდონეზიურ ენათა ოჯახები. მეცნიერთა ნაწილი აღიარებს იბერიულ-კავკასიურ ენათა ოჯახის არსებობასაც, რომელშიც სხვა ენებთან ერთად ათავსებენ ქართველურ ენებს. მონათესავე

ენები მომდინარეობენ ერთი ენის (ფუძე-ენის) დიალექტებისაგან, რომლებიც დროთა განმავლობაში დამუკიდებელ ენებად იქცნენ. ენათა ნათესაობას ადგენენ ისტორიულ-შედარებითი მეთოდით ბგერათა შესატყვისობების საფუძველზე. იბერიულ-კავკასიურ ენათა ოჯახში ერთიანდება ძველი სამყაროს უძველესი ცივილიზაციის მკვდარი ენებიც: შუმერული, ეტრუსკულ-პელაზგური, ხათური ანუ პროტოხეთური), ურარტული, ჰურიტული, ელამური, ლელეგური... აგრეთვე თანამედროვე ბასკური ენა იხ. ბრაუნი; (ჩუხუა, 2000-2003:6);

მონათესავე ენათა შედარებითი შესწავლა (ე.ი. ენებისა, რომელნიც საერთო-ამოსავალი ფუძე-ენის დიფერენციაციის შედეგად მიღებულ ოდენობებად ითვლებიან) გულისხმობს დახასიათებას იმ ამოსავალი ენობრივი სისტემისა, რომლის უწყვეტ ტრანსფორმაციებს წარმოადგენენ ისტორიულად დამოწმებული ენები, გაერთიანებულნი საერთო გენეტურ ჯგუფში; მონათესავე ენათა სტრუქტურების შედარება-შეპირისპირების ძირითადი მიზანია ამ სტრუქტურათა ამოსავალი მოდელების რეკონსტრუქცია, რათა ამ გზით აღდგეს ამ ენათა ისტორიული განვითარების სურათი. ერთ-ერთ ამგვარ გენეტურ ჯგუფს ქმნიან ისტორიული ქართველური ენები: ქართული, სვანური, მეგრული და ჭანური (ლაზური). წინაისტორიულ ეპოქაში ამ ენათა ერთიანობა ეჭვს არ იწვევს. ისტორიულად დამოწმებულ ქართველურ ენათა მატერიალური და სტრუქტურული სიახლოვე ამ ენობრივი ერთიანობის დაშლის შედეგს წარმოადგენს, ენობრივი ერთიანობისა, რომელიც ახლო მონათესავე დიალექტთა ერთობლიობას გულისხმობს. მგვარად პოსტულირებული დიალექტური ერთიანობა ასახვს იმ ენას, რომლის გვიანდელ ფორმებს ისტორიული ქართველური ენები წარმოადგენენ და რომელსაც ჩვენ პირობითად „საერთო-



ქართველურ ენას“ ვუწოდებთ. ეს ენა არ არის დამოწმებული წერილობითი წყაროებით. მისი სტრუქტურის გათვალისწინება მხოლოდ რეტროსპექტულად ხერხდება, ისტორიულ ქართველურ ენათა სტრუქტურების ერთმანეთთან შეპირისპირების გზით (გამყრელიძე, მაჭავარიანი, 1965:3-4);

ქართველისტიკაში საპატიო ადგილი უჭირავს გერჰარდ დეეტერსის ნაშრომებს. მან წამოაყენა ქართველურ ენათა დივერგენციის უაღრესად მნიშვნელოვანი ჰიპოთეზა, რომელიც დღეს თითქმის უცილობლად არის გაზიარებული, რადგანაც იგი ყველაზე უკეთ ხსნის ქართველურ ენათა ფუძე ენის თანდათანობითი დაშლისა და ცალკეულ ენათა ჩამოყალიბების ისტორიულ თანამიმდევრობას (ფენრიხი, სარჯველაძე, 1990: 9);

ქართველური ენები აგლუტინაციური ბუნების ენებად ითვლება. „აგლუტინაცია“ (ლათ.) ნიშნავს „შეწებებას“. ენათმეცნიერული თვალსაზრისით, აგლუტინაციურად ითვლება ენები, რომლებშიც თითოეულ გრამატიკულ კატეგორიას საკუთარი, საგანგებო მაწარმოებელი, მარკერი შეესაბამება და გამოხატავს. მარტივად რომ ვთქვათ, აგლუტინაცია გულისხმობს აფიქსების ისეთ ურთიერთობას ძირთან და ფუძესთან, როცა მათი გამოყოფა ადვილია. მაგ. სვანურ სიტყვაში – ლახჷ-პრ-დ ორი აფიქსია: -პრ და -დ. პირველი სახელის რიცხვს აღნიშნავს, მეორე – ბრუნვას. აფიქსებით მდიდარი ქართველური ენებისათვის, მაშასადამე, ძირითადია პრინციპი, რომ ერთი აფიქსი ასრულებდეს ერთ ფუნქციას. სალიტერატურო ქართულსა და ქართველურშიც, მეგრულში, ლაზურსა და სვანურში ფლექსიურობის ნიმუშებიც გვხვდება. მეცნიერებაში მიჩნეულია, რომ აგლუტინაციურობის პრინციპი: ერთი ნიშანი – ერთი ფუნქცია ქართველური ენებისათვის პირველადია. იქაც კი, სადაც ერთი აფიქსით ორი ფუნქცია

აღინიშნება, ამოსავალია ერთის აღნიშვნა, დღევანდელი ვითარება მეორეულად ითვლება.

**§ 2. ქართველურ ენათა მორფოსინტაქსის საკითხები (მარტივი წინადადება):** ქართველური ენობრივი სამყაროს კვლევას ყოველთვის ეთმობოდა განსაკუთრებული ყურადღება; სალიტერატურო ქართული ენის პარალელურად მეტად ფასეულია სხვა ქართველურ ენათა – მეგრულის, ლაზურისა და სვანურის მონაცემები. კვლევა ქართველურ ენათა (მეგრულის, ლაზურისა და სვანურის) მორფოსინტაქსის საკითხებისა აქტუალური და მეცნიერულად სიახლეების შემცველია. პირველ რიგში მორფოსინტაქსის ცალკეული საკითხების დამუშავება აუცილებელია დღემდე გამოცემული (მეგრულის, ლაზურისა და სვანურის) ტექსტების ანალიზის საფუძველზე. საყოველთაოდ ცნობილია, რომ მეგრულის, ლაზურისა და სვანურის ენობრივ მონაცემებს უადრესად დიდი მნიშვნელობა აქვს ქართველურ ენათა ისტორიულ-შედარებითი შესწავლისათვის. აღიარებულია, რომ ქართული და იბერიულ-კავკასიური ენების სინტაქსის კვლევის (ერგატიული კონსტრუქციის არსისა და წინადადების წევრთა შორის მიმართებათა დადგენის) თვალსაზრისით, განსაკუთრებული ადგილი უჭირავს არნ. ჩიქობავას. თანამედროვე მეთოდოლოგიით ქართული ენის სინტაქსის გამორჩეული მკვლევარია ა. დავითიანი, აქვე უნდა აღინიშნოს ა.კიზირიას „მარტივი წინადადების შედგენილობა ქართველურ ენებში“ (თბ. 1982); ენათმეცნიერების თანამედროვე მიღწევების გათვალისწინებით სწორედ დასახელებულ ავტორებსა და მათს შრომებს დაეფუძნა ჩვენი კვლევა ქართველურ ენათა მორფოსინტაქსის შესახებ.

ქართველურ ენათა მარტივი წინადადების მორფოსინტაქსის – ამ ერთი კონკრეტული სეგმენტის დამუშავება,

გვიქრობთ, სამომავლოდ გახდება საფუძველი სვანურში, მეგრულსა და ლაზურში ჰიპოტაქსისა და პარატაქსის საკითხების, ზერთული კონსტრუქციების, კოორდინაციის მექანიზმის სიღრმისეულად შესწავლისა.

კონკრეტულად ქართველურ ენათა მორფოსინტაქსით პასუხგასაცემი კითხვებისა და საკვლევი საკითხების თემატიკა ამ სახით გამოიკვეთა: ქართველური შესიტყვება ანუ სინტაგმა; წინადადების მთავარი და არამთავარი წევრები მეგრულში, ლაზურსა და სვანურში; ბივერბალური, პარონომაზიული, ფრაზეოლოგიური... შემასმენელი ქართველურ ენებში; დეპონენსები ქართველურ ენებში; მარტივი წინადადების აგების პრინციპი და სტრუქტურა მეგრულში, ლაზურსა და სვანურში; კოორდინაცია და კოორდინატები (ძირითადი, დიდი, მცირე, უმცირესი კოორდინატი) მეგრულში, ლაზურსა და სვანურში; მორფოლოგიური სუბიექტი (MS) და მორფოლოგიური ობიექტი (MO) სვანურში, მეგრულსა და ლაზურში; ნომინატიური და დატიური კონსტრუქციები ქართველურ ენებში; ერგატიული კონსტრუქციის არსი და სპეციფიკა სვანურში, მეგრულსა და ლაზურში; სინტაქსური დამოკიდებულების სახეები – შეთანხმება, მართვა, მირთვა მეგრულში, ლაზურსა და სვანურში.

ამ ეტაპზე დღემდე არსებული მეგრული, ლაზური და სვანური ტექსტები და ჩვენ მიერ საველე პირობებში მოპოვებული ქართველური მასალა ცოცხალი სვანური, მეგრული და ლაზური მეტყველების ნიმუშების სახით შესწავლილია სწორედ მორფოსინტაქსური თვალსაზრისით, შესრულებულია შედარებითი ანალიზი თითქმის საუკუნის წინ ფიქსირებული და საველე პირობებში ჩვენ მიერვე ჩაწერილი ტექსტებისა, რამაც ნათლად წარმოაჩინა ის ტრანსფორმაცია, რომელიც განიცადა მეტყველებამ.

მასალის ანალიზისას გამოყენებულია ლინგვისტურ და ფილოლოგიურ მეცნიერებათა უკვე არსებული კვლევები.

წიგნში აისახა კვლევის შედეგები მეგრულში, ლაზურსა და სვანურში მორფოსინტაქსის ისეთ საკვანძო საკითხებზე, როგორცაა ქართველური პოლიპერსონალური ზმნა-შემასმენლით განპირობებული შეთანხმება, მართვა... ბივერბალური, ფრაზეოლოგიური შემასმენელი, პარონომაზია, ქართველურ თუ არაქართველურ ენათა ინტერფერენციები...

ზოგადად კი, მორფოსინტაქსის თეორია ითვალისწინებს ისეთ თეორიულ საკითხებს, როგორცაა: სიტყვის მორფოლოგიური კონსტრუქცია; ფლექსია და დერივაცია; ძირი, ფუძე, აფიქსი; აფიქსთა სახეები; სიტყვის მორფემებად დაშლის პრინციპები: ფორმათა კვადრატი; მორფემა და ალომორფი; მორფემული ანალიზის პრინციპები; ქართული ენის ბრუნვათა სტრუქტურული ანალიზი მორფემა-ალომორფის ტერმინებში; სიტყვათა პარადიგმატული კლასები; მორფოლოგიური კატეგორიები; მორფემის რანგი; რანგობრივი ანალიზის პრინციპები; ქართული ენის ზმნურ ფორმათა რანგობრივი ანალიზი; სინტაქსური ფუნქციები და როლები; სტრუქტურული სინტაქსი; ვალენტობა და აქტანტები; ზმნის არგუმენტული სტრუქტურა და მორფოსინტაქსი; ადგილიანობა, ვალენტობა და პირიანობა; წარმომშობი, გენერატიული გრამატიკების თეორია; ნ. ჩომსკის წარმომშობი გრამატიკების სტანდარტული და გავრცობილი მოდელები: ფორმა  $\leftrightarrow$  შინაარსი; სემანტიკური კომპონენტი; გრამატიკული ტრანსფორმაციები; ბირთვული და არაბირთვული წინადადებები; სიღრმისეული და ზედაპირული სტრუქტურები; გენერატიული სემანტიკა; წარმომშობი გრამატიკის სემანტიკაზე ორიენტირებული მოდელები: შინაარსი  $\leftrightarrow$  ფორმა. თანამედროვე სინტაქსური თეორიები; ფუნქციონალიზმი; სინტაქსური ფუნქციები და

სემანტიკური როლები; მორფოსინტაქსის როლი ენობრივი სტრუქტურების ფორმირებაში - ინფორმაციის სტრუქტურირების აუცილებელი და თავისუფალი ენობრივი მოდელები; ტენიერის სტრუქტურული სინტაქსი (რ.ასათიანი).

უნდა საზგასმით აღინიშნოს, რომ ქართველურ ენათა ასი წლის წინ ფიქსირებული ტექსტების მონაცემები მორფოსინტაქსის, კოორდინაციის, წინადადების სტრუქტურის თვალსაზრისით, ამ ენათა სპეციფიკის გათვალისწინებით, საკმაოდ განსხვავებული აღმოჩნდა თანამედროვე ვითარებისგან. XX საუკუნის ოციანი წლებიდან იწყება ქართველურ შესიტყვებაში სინტაქსური დამოკიდებულების საკითხის მეცნიერული შესწავლა.

სინტაგმის კვლევის ინტერესი დიდია, დაიწერა არა ერთი გამოკვლევა თუ მონოგრაფია, რომლებშიც შესიტყვების საკითხები ძველი და ახალი ქართული სალიტერატურო ენის საფუძველზეა გაანალიზებული. ქართველურ ენებში კი ამ კუთხით როგორც მონოგრაფიების, ასევე სამეცნიერო სტატიების სიმცირე საგრძნობია. ჩვენი დაინტერესება სწორედ აღნიშნულმა გარემოებამ განაპირობა. ქართული ენის შესწავლა ხომ სრულფასოვანი ვერ იქნება მარტოდენ სალიტერატურო ქართული ენის მონაცემთა გათვალისწინებით. ამ მხრივ ძალზედ მნიშვნელოვანია სხვა ქართველურ ენათა - სვანურის, მეგრულის, ლაზურის ენობრივი მონაცემები.

უნდა აღინიშნოს, რომ მეგრულში, ლაზურსა და სვანურში შეთანხმების, მართვის, მირთვის, კოორდინაციის საგანგებოდ შესწავლა ლინგვისტურად ინტერესის შემცველია იმდენად, რამდენადაც თავს იჩენს უამრავი სპეციფიკური ნიუანსი. ცნობილია, რომ ზმნასა და მორფოლოგიურად მასთან დაკავშირებულ სახელებს შორის რთული სინტაქსური ურთიერთობაა. ზმნა მართავს მორფოლოგიური სუბიექტისა და მორფოლოგიური ობი-

ექტის ბრუნვებს და სუბიექტი და ობიექტი მართავენ ზმნის პირს. ამ რთულ სინტაქსურ ურთიერთობას არნოლდ ჩიქობავამ უწოდა კოორდინაცია, ხოლო კოორდინაციის მონაწილე სიტყვებს – კოორდინატები (ჩიქობავა, 1968: 216-217).

შრომის მიზანს წარმოადგენს ქართველურ ენებში მორფოსინტაქსის ცალკეულ საკითხებზე დაკვირვება; იმ საერთოსა და განსხვავებულის, ზოგადი თუ ნიუანსური თავისებურებების წარმოჩენა, რაც სალიტერატურო ქართულთან მიმართებაში შესაძლოა ახასიათებდეს მეგრულს, ლაზურსა და სვანურ მეტყველებას ზმნის მიერ სახელის ბრუნვაში მართვისა და სახელის მიერ ზმნის პირში მართვის თვალსაზრისით; საილუსტრაციოდ საინტერესო იქნებოდა რამდენიმე მაგალითის დასახელებაც კი; სვანურში მმართველია ქვემდებარე, სუბიექტი შემასმენლისა, დამატება (პირდაპირი და ირიბი) შემასმენლისა პირში, შემასმენელი ქვემდებარისა და დამატებისა ბრუნვაში; მართულია ქვემდებარე და დამატება (ყველა სახისა) შემასმენლის მიერ ბრუნვაში, შემასმენელი ქვემდებარის, პირდაპირი და ირიბი დამატების მიერ პირში და უბრალო დამატება და გარემოება უფორმო სიტყვის მიერ ბრუნვაში (თოფურია, 2002: 276). რამდენადაც განსაკუთრებულ სპეციფიკას ამ თვალსაზრისით მოთხრობითი ბრუნვა ქმნის, ასევე ინტერესთა სფეროში შემოდის საკითხები ერგატივის ფორმანტთა და ალომორფთა განაწილების, სვანურში ერგატივზე დაფუძნებული ორფუძიანობის, ბრუნებათა ტიპების მრავალფეროვნების, ინტერფერენციით განპირობებული ცალკეული შემთხვევებისა... ზოგადად, მოთხრობითი ბრუნვა სვანურში გამოირჩევა ალომორფთა სიმრავლით და მათი განაწილების წესების სირთულით (ჭუმბურიძე 2007:92). მარკირება ხდება როგორც საკუთრივ მოთხრობითი ბრუნვის ფორ-

მანტებით (-დ, -ემ), ასევე გვაქვს შემთხვევები ორ- (-ემ,-ნ-ემ,-ა-დ) და სამფუძიანობისა (-ემ-ნ-ემ,-ემ-ნ-ემ-დ): ღერბეთ-დ „ღმერთმა“: მიჯ-ნ-ემ-დ „იმან“ (შდრ. ჯი-ნ-ემ, მიჯ-ნ-ემ); მართვის თვალსაზრისით სურათი ქართველურ ენათა ერთიანია, თუმცა შეიძლება რამდენიმე გამონაკლისის დასახელება; მაგ. იცის ზმნა სვანურში დატიური კონსტრუქციისაა, ქართულში კი ზმნა-შემასმენლის მიერ სახელის მართვა ხდება მოთხრობით ბრუნვაში. იცის (მან ის); (როგორც ცნობილია, ეს არის ძვ. ქართული სპეციფიკური მწკრივის მეორე ხოლმეობითის ფორმა, უკვე ძველშივე აწმყოდ გააზრებული. შდრ. სვან. (მ-იხა მი, ჯ-იხა სი, ხ-ოხა (ეჩა-ს ეჯა). იცის ზმნასთან დაკავშირებით, საინტერესოდ გვეჩვენება აკად. ი. მელიქიშვილისეული თვალსაზრისი: „როგორც ჩანს, ქართული ენა ზანურისა და სვანურისაგან განსხვავებით აზროვნებითი პროცესების აქტიურ პროცესებად მიჩნევას იწყებს. ამას მოწმობს იცის, უწყის ზმნათა სუბიექტის მოთხრობითი ბრუნვით გაფორმება, მაშინ როდესაც ზანურსა და სვანურში შესატყვისი ზმნები დატიური კონსტრუქციისა და მ-ს რიგის აფიქსთა მქონეა (მელიქიშვილი 2005: 147). ხოხა ამსუაღდს –„იცის ადამიანმა (= ადამიან-ს)... ჟ'ანიაცხ ბეფშე – „გაიღვიძა ბავშვმა (=ბავშვ-ი), ასკინე ეჯა „ხტება ის“; ანსკინე//ქაადსკინე ეჯნ-ემ „გადმოხტა ის“ (=იმა-ნ) – ეს გამონაკლისი ცალკეული შემთხვევები სვანურში კონკრეტულ ზმნათა სტრუქტურის სპეციფიკით აიხსნება და ასეთი მონაცემები ქართულისას ხშირად მხოლოდ სემანტიკურად შეესაბამებიან; მაგ. ჟ'ანიაცხ „გაიღვიძა“ სვანურში გარდაუვალია და იეცხნი სიტყვასიტყვით „იღვიძებს“ კი არ არის, არამედ „ღვიძდება, ფხიზლდება“... გელნი „იხევა“, ხეპნი „სკდება“ ტიპის ზმნათა მსგავსად, ის ვნებითის სტრუქტურისაა; მართალია, აწმყოში გამოვლენილი -ნ სუფიქსი მთელ პარადიგმაზე არ ვრცელდება, მაგრამ სპეციალურ ლიტე-

რატურაში იგი კვალიფიცირებულია „ენების გამომხატველ დამატებით მორფემად“ (ონიანი 1998: 235).

ამ ტიპის გამონაკლისების გამოვლენა და შესწავლა ქართველურ ენათა ტექსტური კორპუსისა და ცოცხალი მეტყველების მონაცემების შედარების საფუძველზე უთუოდ გახდება საფუძველი საინტერესო დასკვნების გაკეთებისა ქართველურ ენათა მორფოსინტაქსის კუთხით.

ამდენად, ქართველურ ენათა საერთო ტიპოლოგიისა და ერვატიული კონსტრუქციის საკითხებში თითქმის იდენტურობის მიუხედავად, ნიუანსური სხვაობანი და ცალკეული გამონაკლისები სვანურში, მეგრულსა და ლაზურში სახელის მორფოსინტაქსის თვასაზრისით გამოიკვეთა. სააბოლოო დასკვნების გაკეთება შესაძლებელი იქნება მხოლოდ ქართველური მთელი ტექსტური კორპუსის დამუშავების, ცოცხალ მეტყველებასთან, სალიტერატურო ქართულთან შედარების შემდგომ.

**§3. ქართველურ ენათა ზმნა-შემასმენელი:** საენათმეცნიერო ლიტერატურაში ზმნას, როგორც მეტყველების ნაწილს, განმარტება მეტ-ნაკლებად განსხვავებული აქვს სხვადასხვა ავტორთან, რასაც, ბუნებრივია, მისი სირთულე განაპირობებს და სურვილი, რომ ამ მეტყველების ნაწილის განმარტებაში სრულად წარმოჩინდეს ზმნის არსი და თავისებურებანი. XIX საუკუნეში ქართული გრამატიკით დაინტერესებულმა პლატონ იოსელიანმა ქართული ზმნა ამგვარად შეაფასა: „ქართული ენისა ზმნანი ყოველნივე არიან უკანონონი; თვითოეულსა ზმნასა აქვს თვისება გარდაკეთებისა სხვად ზმნად მიმატებითა, რომელთამე მარცვალთა მრავალთა სხვათა სიტყვისა ნაწილთა ძალუმით გარდაქცევა ზმნად; აქედან გამოვალს სიძნელე კანონთა მიღებისა მათთვის“ [პ. იოსელიანი, 1840: 49]. ბუნებრივია, ქართული ზმნის ამგვარი შეფასება სწორედ მისმა



სირთულემ განაპირობა. თითქმის მსგავსი შეფასება აქვს ქართულ ზმნასთან დაკავშირებით ა. ქუთათელაძეს, რომელიც ამბობს: „დღემდის მაინც ვერ ვიგდეთ ხელში ის კლიტე, რომელიც ალებს ყველა ზმნის კარს, რომ შიგ რა არის გავიგოთ; მაინც ვერ გავხსენით დღემდის იმ საიდუმლოების ნასკვი, რომელსაც ჰქვია უღვლილება. ე.ი. ვერ მივაგენით იმ კანონს, რომლის ძალითაც შეგვეძლებოდა ყოველი ზმნის ჩაგდება კალაპოტში უღვლილების დროს და ისე, რომ ერთმანეთში არ აღგერეოდა“ (ა. ქუთათელაძე, 1897, გვ. 12). არნოლდ ჩიქობავა ქართული ზმნის შესახებ ამბობს: „ქართული ზმნის ხლართში მეცნიერული ანალიზის შუქმა ჯერაც ვერ შეატანა და ალბათ საკმაოდ დრო გაივლის, სანამ მისი უჩინარი მექანიზმის პირველადი ბერკეტები გაშიშვლდებოდეს“ (არნ. ჩიქობავა, 1998, გვ. 13). წარმოდგენილი ფრაზები შეიძლება ითქვას, რომ ხატოვანია. ძირითადად ზმნის მეცნიერული განმარტებანი კი, როგორც აღვნიშნეთ, განსხვავდება სხვადასხვა ავტორთან. „ზმნა არის მოქმედების აღმნიშვნელი ფორმაცვალებადი სიტყვა, რომელსაც ერთდროულად რამდენიმე მორფოლოგიური კატეგორია მოეპოვება. პირველ ყოვლისა პირი, რიცხვი, დრო და კილო. ზმნის ფორმაცვალება მწკრივებში პირისა და რიცხვის მიხედვით შეადგენს ზმნის მიმოხრის შინაარსს, ანუ უღლების სისტემას, ხოლო უღლება ჩვეულებრივ მიმდინარეობს ამა თუ იმ გეზის, ორიენტაციის, ასპექტის, გვარის, ქცევისა და კონტაქტის მიხედვით, რომლებიც წარმოქმნის კატეგორიებს. მაშასადამე, მორფოლოგიური თვალსაზრისით, ზმნა არის მეტად რთული შინაარსის მქონე სიტყვა: მისი ერთი ფორმა რამდენიმე ცნების გამომხატველია. ასე რომ ზმნის განსაზღვრა შეიძლება, როგორც: ზმნა არის პირიანი სიტყვა, ანუ სიტყვა, რომელიც პირთა მიხედვით იცვლება. ზმნა არის დროიანი სიტყვა, რომელიც დროთა მიხედვით იცვლება. ზმნა არის კილოიანი სიტყვა, რომელიც კილოთა

მიხედვით იცვლება. ზმნა არის ქცევითი სიტყვა, რომელიც ქცევითა მიხედვით იცვლება“(შანიძე, თხზულებანი, ტ. მე-3. 1980: 163). ავტორი იქვე შენიშნავს, რომ წარმოდგენილი განმარტებანი ზმნისთვის არ არის სრულყოფილი და თავისი ნაკლი ახლავს. „ზმნა სიტუაციის ამსახველი მეტყველების ნაწილია. სიტუაციას ქმნიან არსებითი სახელები ან მათი მონაცვლე ნაცვალსახელები - ესენი აქტანტებია (მათ სახელად უმჯობესი იქნებოდა სიტუანტები) (უთურგაიძე, გრამატიკული კატეგორიებისა და მათი ურთიერთმიმართებისთვის ქართულ ზმნაში, 2001: 9).

**§ 4. მარტივი შემასმენელი ქართველურში:** მარტივი შემასმენელი უმთავრესად გადმოიცემა ზმნით და აღნიშნავს ქვემდებარით გამოხატული საგნის (ან მოვლენის) მოქმედებას, მდგომარეობას ან იმას, თუ რა მოსდის საგანს ან რა მიეწერება, რა ხდება ან რა მდგომარეობაა (ბასილაია, 1974: 10).

ქართულში მარტივ შემასმენლად იხმარება: მარტივფუძიანი ზმნა (პირიანი და პირნაკლი), რთულფუძიანი პირიანი ზმნა, შეკვეცილი ზმნა, ზმნური შორისდებულები. განვიხილავთ თითოეულ მათგანს და შევადარებთ სვანურის, მეგრულისა და ლაზურის მონაცემებს.

**I მარტივფუძიანი პირიანი ზმნა-შემასმენელი:**

მარტივფუძიანი პირიანი ზმნა, რომელსაც შეუძლია გამოხატოს სამივე პირი - პირველი, მეორე და მესამე:

I პ. - ვწერ (მე), ვიზრდები (მე) , ვჩერდები (მე), ვთბები (მე), ვჯდები (მე)...

II პ. - წერ (შენ), იზრდები (შენ), ჩერდები (შენ), თბები (შენ), ჯდები (შენ)...

III პ. - წერს (ის), იზრდება (ის), ჩერდება (ის), თბება (ის), ჯდება (ის)...

**სვანური:**

I პ. - ხუნი (მი), ხუნიცხემ (მი), ხუნიჩრუნი (მი), ხუნიტბიდე (მი), ხუნიცხემ (მი)...

II პ. - ხუნი (სი), ხუნიცხემ (სი), ხუნიჩრუნი (სი), ხუნიტბიდე (სი), ხუნიცხემ (სი)...

III პ. - ხუნი (ეჯა), ხუნიცხემ (ეჯა), ხუნიჩრუნი (ეჯა), ხუნიტბიდე (ეჯა), ხუნიცხემ (ეჯა)...

### **მეგრული:**

I პ. - ვუარუნი (მა), ვირდუნი (მა), ბხერდუნი (მა), ბტიბუნი (მა), დობდოხოდუნი (მა)...

II პ. - ვარუნი (სი), ირდუნი (სი), ჩერდუნი (სი), ტიბუნი (სი), დოდოხოდუნი (სი)...

III პ. - ვარუნს (თინა), ირდუ (თინა), ჩერდუ (თინა), ტიბუ (თინა), დოდოხოდუ (თინა)...

### **ლაზური:**

I პ. - ვუარუფ (მან), ბირდუნი (მან), დობდგითუნი (მან), პტიბუნი (მან), დოფხედურ (მან)...

II პ. - ვარუფ (სი), ირდუნი (სი), დოდგითუნი (სი), ტუბუნი (სი), დოხედუნი (სი)...

III პ. - ვარუფს (ჰეა), ირდუნ (ჰეა), დოდგითუნ (ჰეა), ტუბუნ (ჰეა), დოხედუნ (ჰეა)...

### **მაგალითები ლაზურში:**

1. ჰემ რესიმი **იქომთ**, ჰემ ლაზნა **ვარუმთ**. „იმ სურათს აკეთებთ(იღებთ), იქ ლაზურად წერთ“(მარი, 109).
2. ჰემთეფეშენ გუნძე დესტანეფ **ვარომან**. „მათთვის გრძელ ლექსებს წერენ“(დიუმეზილი, 114).
3. ავროფალის ქარტალი **უვარი**. „შეყვარებულს წერილი დაუწერე“(ციფშიძე, 28).
4. **ვივარუფ, ვივარუფ** დო ვიტკვაცინარე გური. „ვიწერ, ვიწერ და სკდება გული“(ციფშიძე, 8).
5. ბერეფე ვიტ წანაშ **დირდენან**. „ბავშვები ათი წლის გაიზრდებიან“(ციფშიძე, 5).

6. ბერე **დირდუ** შქით წანერი **დიფუ**. „ბავშვი გაიზარდა, შვიდი წლისა გახდა“ (ჩიქობავა, 125).
7. ჩქუნ ბიჭი **ქოლომარდეს**. „ჩვენი ბიჭი წამოგვეზარდა“ (ასათიანი, 183).
8. ხეს გურის **ირდენ**. „ხელის გულზე იზრდება“ (ასათიანი, 184)
9. შქურნა **ირდეტუ**. „შიში იზრდებოდა (მატულებდა)“ (ასათიანი, 184).
10. არსლანეფე-კალა ნა **ირდუშენ** „არსლანიშ სქირი“ ქოგოდუ-დორენ. „ლომებთან რომ იზრდებოდა, „ლომის შვილი დაარქვა“ (დიუმეზილი, 23).
11. ოტრიკე ძირა-ში, ჯოლორი **ქოდოდგიოუნ**, კუდელი **მოხირხიტამს** დო მანჯე მუში **ჩუმერს**. „მწყერს რომ ნახავს, ჭადლი დადგება (გაჩერდება), კუდს მოიქნევს და პატრონს თავისას ელოდება“ (ასათიანი, 64).
12. ბადუშე **ქაგამახთეენ** დო გალე **ქოდოდგიოთეენ**. „ბაგადან გამოვიდნენ და გარეთ დადგნენ“ (ჩიქობავა, 25).
13. ჟურ კოჩი ექოლე, ჟურ კოჩი აქოლე **დოდგიოუნან** იდღიას დო ართი-მაჟუას **ნაბინან**. „ორი კაცი იქიდან და ორი კაცი აქედან დადგებიან შეჯიბრებისას და ერთი-მეორეს მიამღერებენ“ (ასათიანი, 17).
14. კონსტანტინი მუში დეის კუნხეს **ქოდოდგიოთუ**. „კონსტანტინი თავის მხარეს (მხარეში) ფეხზე დადგა“ (კარტოზია, 148).
15. ჯუმალეფე შქურინათე **ქოდოდგიოთეს**. „ძმები შიშისგან გაჩერდნენ (შედგნენ)“ (ყიფშიძე, 265).
16. ინკუბატორის ნა **დოლოძინან** მაქვალეფეთი **ტუბუნან**. „ინკუბატორში რომლებიც აწყვია კვერცხებიც თბებიან“ (ასათიანი, 260). წკაი-თი დოტუბუ. „წყალიც გათბა“ (ჩიქობავა, 130).
17. კვინჩი **დეფუთხუ** დო დაჰა ექოლე **ქოდოსედუ**. „ჩიტი აფრინდა და კიდევ იქ დაჯდა“ (ჩიქობავა, 30).

18. კართაქ მუში სვას **ქოდოხედუ**. „ყველა თავის ადგილზე დაჯდა“(ასათიანი, 445).
19. ჰემუქ ჰემო **დოხედუ**. „ის იქით დაჯდა“(ყიფშიძე, 265).
20. სოძრას **დოხედურან** დო **იმხორან**. „სუფრასთან დასხდებიან და ჭამენ“(ყიფშიძე, 75).
21. ჰექ **ქოდოხედეს** დო **ისინაფამან**. „იქ დასხდნენ და ლაპარაკობენ“(ასათიანი, 445).
22. ქარმატეშე ლაზუტი **იმელან** დო მქვეი **ოშქეაფემან** (ასათიანი 2012, 11) „წისქვილში სიმინდი მიაქვთ და ფქვილს აფქვევინებენ“.
23. ქოთუმე **ეხარომან**, დოლოხე ფატლიჯანი **დოლობდამან** (ასათიანი 2012, 11) „ქათამს გამოშიგნავენ, შიგნით ბადრიჯანს ჩაყრიან“.
24. ლაზეფეს ნა გვარი **უღუნან...** ლაზური ჯინსი მუთეფეში **ურქუნან** (ასათიანი 2012, 14) „ლაზებს რომ გვარი აქვთ... ლაზური მოდგმა თავისი იცინა“.
25. ჰამ წკარი **გაშულუნ** ოჭის (ასათიანი 2012, 18) „ეს წყალი გადის ოჭში“.
26. ნანაშ ოხორის დო ბაბაშ ოხორის ორთას **რენ** დერი (ასათიანი 2012, 17) „დედას სახლსა და მამას სახლს შორის არის ის ადგილი“.
27. ჰემ ორას თურქიქ **ქოდოლოტჰარუ** ანთეფე (ასათიანი 2012, 18) “იმ დროს თურქმა ჩაწერა ესენი“.
28. წანადანის ნანაშენ **მიგნაფუნ**, ჭერიშე **ეშულუტეს** (ასათიანი 2012, 20) „ახალ წელს, დედისგან გამიგია, სხვენზე ავიდოდნენ“.
29. ჯვეშ თოზი **ფათხუმტეს** (ასათიანი 2012, 20) „ძველ მტკერს ფერთხავენენ“.
30. ბოზო, **გიჩქიტასენ** უმჩანე დო უნკულაში! (ასათიანი 2012, 24) „გოგო, იცოდე უფროსი და უმცროსი!“
31. ქვერი **დონქიმინი** დო მჭკუდი **ქოგედვი** (ასათიანი 2012, 24) „ფქვილი მოზილე და ჭადი დააცხვე“.

32. **მებულუ** დუღდაშე (ასათიანი 2012, 24) „მევიღვარ საქმეზე“.
33. ქიმინერ **ძინ** (ასათიანი 2012, 24) „ცომი დევს“.
34. ქოთუმე **ქოსუშქვი** (ასათიანი 2012, 24) „ქათამი გამოუშვი“.
35. ჰემეში ბაბას მა **ბაონი** (ასათიანი 2012, 26) „ამის მამას მე გავყევი (ცოლად)“.
36. თხირიში ბომქვა **ქომემიწილი** (ასათიანი 2012, 27) „ჩენჩოიანი თხილი მომიკრიფე“.
37. ა კოჩის მუ **ვოლოდა** მან? (ჩიქობავა, ჭანური ტექსტები, 100) „ამ კაცს რა ვუყო მე?“
38. ჰექ ჩქუ **ომჭოფეს** შქუთ აბრეკეფექ (კარტოზია, ლაზ. ტექსტ., 186) „იქ ჩვენ დაგვიჭირა შვიდმა ყაჩაღმა“.
39. მემტიქ აბუკათი **ქოდოქაჩუ** (თანდილავა, 2013, 13) „მემედმა დამცველი დაიკავა, დაიქირავა“.
40. მუაჟირი **ქოგამახთეს** დო ნოლა ათინაშა **იგზალეს** (თანდილავა, 2013, 14) „ლტოლვილები გავიდნენ და ქალაქ ათინაში წავიდნენ/გაიხისნენ“.
41. სი **იმტი** დო ემ ოხორის ქამაცხონტია (ჩიქობავა, ჭანური ტექსტები, 4) „შენ გაიქეცი და იმ სახლში შეხტო“.
42. ამდღანერი დღა მცუდიში **ქაგომდინი** (თანდილავა, 2013, 24) „დღევანდელი დღე ტყუილად დავკარგე“.
43. ამეიკალა ბულეკი **ფხაჩქუფ** (ჩიქობავა, ჭანური ტექსტები, 42) „ამ ადგილას ბოლოკს ვთესავ“.
44. მენდრაშენ არ არაბა **ქოლირუ** (ჩიქობავა, ჭანური ტექსტები, 135) „შორიდან ერთი ურემი დაინახა“.
45. ფარაშ მენამტაშენ ჩარბის არახუნს (ყიფშიძე, ჭანური ტექსტ., 51) „ფულის მიცემისას ტუცები უკანკალებს“.
46. ჟუისთი არკაალი სერსი **უღუნან** (თანდილავა 2013, 33) „ორივეს ერთნაირი ხმა აქვთ“.
47. არკა-უსტი ტრიკეთე ემთუმანი **ქოდინჯიუ** (ჩიქობავა, ჭანური ტექსტები, 71) „პირადმა ჩლიქებაწეული დაწვა“.

48. არონის ნოლას **ქოდემოლემჯუ** (თანდილავა 2013, 34) „ერთხელ ქალაქში დამიღამდა“.

49. ვით არშუნი ჩითი **ქემიჭოფი?** (თანდილავა 2013, 35) „ათი არშინი ჩითი მიყიდე?“.

### **მეგრული:**

1. ხელმწიფექ თქუ: ყურდგელს ხოჯი დო ურემით **პჭოფუნქია**. „ხელმწიფემ თქვა: კურდღელს ხარ-ურმით დავიჭერო“(ხალხ. სიბრძ. 1994: გვ. 183).

2. ჯა ფურცელით **ხარენს**, კოჩი – ჩილი დო სქუათი. „ხე ფოთლით ხარობს, კაცი – ცოლ-შვილით“(ხალხ. სიბრძ. 1994: გვ.187).

3. ჯგირი ოსური ეკოც/მიღ ოჯახის **აშენენსია** დო გლახა – აშენებულს გეკარდვანსია. „კარგი ქალი დარღვეულ ოჯახს ააშენებსო და ცუდი – აშენებულს დაარღვევსო“(ხალხ. სიბრძ. 1994: გვ.189).

4. ართი ვაშუნ თის შირ **ქოჩესია**. „ერთი რომ არ ჭამა, იმას ორი აჭამესო“(ხალხ. სიბრძ. 1994: გვ. 9).

5. ართი დღაშ მეტებულ საქმექ შარნნ დღაშა **გინიდუა**. „ერთ დღესმიტოვებული საქმე ორმოც დღეზე გადავიდაო (ორმოცი დღით გადაიდოო) “(ხალხ. სიბრძ. 1994: გვ.9).

6. ანწი სქურმა **გიმელეს**, მა მუდა **მიდავრთი** დო...„ახლა სქურში ჩავიდნენ, მე გავიარე და...“(მეგრ. ტექსტ. 2012: გვ.180).

7. **დოშოლენა** თენეფ დო ათაქ ქუქთუხუნნა. „დასველებულან ესენი და აქ დამსხდარან“(მეგრ. ტექსტ. 2012: გვ.180).

8. ჭიჭე მანქანათ უკახალე **ეკოზუნა** დო **გოსოფ** კახაქ. „მსუბუქი მანქანით უკან მოდიან და გაგლიჯა კახამ (მეგრ. ტექსტ. 2012: გვ.180).

9. მისეთ შხვაში ჯგირობუა **ონჯარგნი**, მუშის დღას ვაძირგნსია. „ვისაც სხვისი სიკეთე შურს, თავისას ვერასოდეს ნახავსო“(ხალხ. სიბრძ. 1994: გვ. 93).

10. მუნერი ჯა რენი, თიჯგურა ნახაფული **ღუცენსია**. „როგორიც ხე არის, ნაჯოტიც ისეთი დაუცვივდებაო“ (ხალხ. სიბრძ. 1994: გვ. 100).
11. ნათქუელს პირველ დღას ცა **ფულუნს**, მაჟირა დღას დიხა დო მასუმა დღას ქიანას **უჩქუ**. „ნათქვამს პირველ დღეს ცა მაღავს, მეორე დღეს მიწა და მესამე დღეს ქვეყანამ იცისო“ (ხალხ. სიბრძ. 1994: გვ. 103).
12. ოსური ბადანას **გორუნდუა** დო ინა ხუს გილახედუა. „ქალი ბავშვს ეძებდა და ის მხარზე ეჯდაო“ (ხალხ. სიბრძ. 1994: გვ. 109).
13. ოსურც გვერდი გიდელი ჭკუა უღუდუა დო ინა ხოლო თხაქ **უჭკომუა**. „ქალს ნახევარი გიდელი ჭკუა ჰქონდაო და ისიც თხამ შეუჭამაო“ (ხალხ. სიბრძ. 1994: გვ. 112).
14. ჟანგი რკინას **ჭკუშუნცე**, დარდი - გურცე. „ჟანგი რკინას ჭამს, დარდი - გულსაო“ (ხალხ. სიბრძ. 1994: გვ. 116).
15. ჟინოსქუა ჭკის **ვაჭკომუნსია**, ქოშქირენს-და, ჭირს ოჭკუშუნსია. „თავადიშვილი მჭადს არა ჭამს, თუ შია, ჭირსაც შეჭამსო“ (ხალხ. სიბრძ. 1994: გვ. 117).
16. ჟირ დღაშ სიცოცხლეშ გურიშენი დადიაქ ჯოლორში ხორცი **ჭკომუა**. „ორი დღის სიცოცხლის გულისთვის დადიანმა ძაღლის ხორცი შეჭამა“ (ხალხ. სიბრძ. 1994: გვ. 117).
17. სუმარქ ქობალი **მიღუა** დო სუმარს ვაჩესია. „სტუმარმა პური მოიტანადა (თვითონ) სტუმარს არ აჭამესო“ (ხალხ. სიბრძ. 1994: გვ. 125).
18. სოდე კუჩხის **გიობიჯგუანსუნ**, ოღიარე ვეურსია. „სადაც ფეხს დააბიჯებს, ბალახი არ ამოვაო“ (ხალხ. სიბრძ. 1994: გვ. 124).
19. სუმეჩლოვითი ცოდაქიმინილს ართი მარდი **გინოწონუნსია**. „სამოცდაათ ცოდვაჩადენილს ერთიმადლი გადაწონისო“ (ხალხ. სიბრძ. 1994: გვ. 125).



20. სქანი ოღორებელი კიბირქ დიდი ხანიე, **გემიოლუა**. „შენი მოსატყუებელი კბილი დიდი ხანია ამომივარდაო“ (ხალხ. სიბრძ. 1994: გვ. 126).
21. უბედურქ თანაფა ხოლო ოღეჯეს **დაასერუა**. „უბედურმა აღდგომაც საღორეში დააღამაო“ (ხალხ. სიბრძ. 1994: გვ. 131).
22. ურგებელი ჯოღორი შხვაშ უუდეს **დინოლალუნსია**. „ურგებელი ძაღლი სხვის სახლში ყეფსო“ (ხალხ. სიბრძ. 1994: გვ.134).
23. ურიაქ **გეღარიბუ** დო ჯვეშ დავთარს აშაჯინა დუჭყუა. „ურია გაღარიბდა და ძველ დავთარს ჩახედვა დაუწყო (...ძველი დავთრის ჩხრეკა დაიწყო)“ (ხალხ. სიბრძ. 1994: გვ.136).
- 24 ნდიიქ **მიოღორუ** დო დიიჭყ სოფაფი, მარა მუთუნქე ვა აქიმიზე. „ღევმა დაიყვრა და დაიწყო ბორგვა, მაგრამ ვერაფერი ქნა“ (ყიფშიძე: გვ. 224).
25. შარას ხენოქ დოშურდღ დო **ქომისვანჯღ** ართი გოლაში თუდო...გზახე ხენო დაიღალა და დაისვენა ერთი მთის ძირას“ (ყიფშიძე: გვ. 225).
26. შქამინდორს **ქობირღ** დიდი დაჩხირი დო დაჩხირიში უი **მიკობუდუ** დიდი კარდილა. „შუა მინდორში დაინახა დიდი ცეცხლი და ცეცხლზე ეკიდა დიდი ქვაბი (კარდალა) (ყიფშიძე: გვ. 225).
27. მუმაქ **შიიწუხე**, მარა მუ ქიმიზეკო? „მამა შეწუხდა, მაგრამ რა ექნა? (ყიფშიძე: გვ.305).
28. თი დადების **გუუკვირდღ** ქონორაში ძალაქე, მუშენიდა თისხი ნადირეფიში ხარგელო **მორთე**. „დედაბერს გაუკვირდა ქონორას ძალა, იმიტომ , რომ იმდენი ნანადირევით დატვირთული მოვიდა“ (ყიფშიძე: გვ. 306).
29. ათე დროს დედიბიქე **ქიმიოტყობუ** ქონორას, ქიმეკინდღ თი თუმასე ხე...ეს დედაბერი მიეპარა ქონორას, მოკიდა იმ თმას ხელი...“ (ყიფშიძე: გვ. 306).

30. **ახიოლეს** ძალამქე დო ბრელი საჩუქარი **მერესე** დედობისე. „გაუხარდათ ძალიან და ბევრი საჩუქარი მისცეს დედაბერს“(ციფშიძე: გვ. 307).
31. ათაქ მაჟია ორდოს **გევდირთით** დო **მიდამიუნეს** ქუთეშიშა. „აქ მეორე დილას ავდექით და წამიყვანეს ქუთაისში“(ლოლა ნანა, 2007: გვ. 148)
32. ათაში, ათაში,მუჭო მა **დიბგურენ**, თეში ათე აპას **ქუდვოგურეე**. „ასე, ასე, როგორც მე ისწავლე, ისე ამ აპას ვასწავლე“(ლოლა ნანა, 2007: გვ. 274).
33. მა ჭალას **ქიდივჭყანდინი**, ათენა ლიშის **გეჭოფუნდუ**. „მე რომ კერვას დავიწყებდი, ის ნემსს აიღებდა“(ლოლა ნანა, 2007: გვ. 278).
34. ნამ თოლი სი **გაღორენცენი**, თი თოლი **გამწოლაფედასია**. „რომელი თვალიც შენ გატყუებს („გაღორებს“), ის თვალიამოვარდნილიყოსო“ (ხალხ. სიბრძ. 1994: გვ. 103).
35. თენა წყარს **ირჩხუუ**, მალი წყარს. „ეს წყალში ირეცხება, გამდინარე წყალში“(ლოლა ნანა, 2007: გვ. 328).
36. ლოთი ქობალია ამდლა ხოლო **მიარიკუანს**, ხვიჩა მანჩაში ბებიში მუნაჯღონა ქაცარიში ხორცი ბჭკომია. „ლოთი ქობალია დღესაც მოიგონებს, ხვიჩა მანჩავას ბებუის გამოგზავნილი თიკნის ხორცი ვჭამეო“(ლოლა ნანა, 2007: გვ. 330).
37. ჯაპიშ ჭინუთ **იღობუედ** ჩერტი. „თუთის წკნელით იღობებოდა ლასტი“(ლოლა ნანა, 2007: გვ. 360).
38. თინა მუში ნახანტი **უღუდუ**, ასე ათეს მუჭო მუშ ნახანტი **უღუნ**, თეში. „თავისი ნახატი ჰქონდა, ახლა ამას როგორც აქვს თავისი ნახატი,ისე“(ლოლა ნანა, 2007: გვ. 368).
39. ართი დლა ბადირესით **ქოხვადუნია**. „ერთი კარგი დღე ბეღურასაც ხვდებო“ (ხალხ. სიბრძ. 1994: გვ.9).
40. ართი დორუღაფას წყარი ხოლო **ქიდირუღუნანსია**. „ერთ დაძინებას წყალიც დაძინებსო“(ხალხ. სიბრძ. 1994: გვ.189).

41. ართი თხირიში გური ჩხორო ჯიმაღეუქ **გირთესია**. „ერთი თხილის გული ცხრა ძამა გაიყოლ“ (ხალხ. სიბრძ. 1994: გვ.10).
42. ართშას დანაბადი ართშას **ღურუნია**. „ერთხელ დაბადებული ერთხელ კვდებოლ“ (ხალხ. სიბრძ. 1994: გვ.13).
43. აფხაზას ცხენიშ სახელქ **გაჭყორღუა**. „აფხაზს ცხენის სახელი დაავიწყდალ“ (ხალხ. სიბრძ. 1994: გვ.15).
44. ახალი ოქოსალი ჯგირო **ქოსენცია**. „ახალი ცოცხი კარგად გვისოლ“ (ხალხ. სიბრძ. 1994: გვ.17).
45. ბაღანას ნება ქიმეჩია-და ცუდეს **ღოჭუნსია**. „ბავშვს ნება თუ მიეცი, სახლს დაწვაესოლ“ (ხალხ. სიბრძ. 1994: გვ.17).
46. ბედი **ქომუჩი** დო წყარს გიმოცოთია. „ბედი მომეცი და წყალში ჩამაგდოლ“ (ხალხ. სიბრძ. 1994: გვ.18).
47. ბორიაში მოღაღირს ბორია **მიდეღანსია**. „ქარის მოტანილს ქარი წაიღებსოლ“ (ხალხ. სიბრძ. 1994: გვ.17).
48. გერს სახარებას **უკითხენდეს** დო ინა ტყაშა იჯინედუა. „მგელს სახარებას უკითხავდენ და ის ტყისკენ იყურებოდალ“ (ხალხ. სიბრძ. 1994: გვ. 25).
49. დედებიქ იანარც ცემცვა **მინდომუა**. „დედაბერმა ზამთარში მარწყვი მოინდომალ“ (ხალხ. სიბრძ. 1994: გვ. 37).
50. ზარმაც მწყემსს შორიშ მუკოლუაფა **უსხუნუნია**. „ზარმაც მწყემსს შორიდან მოვლა ურჩევნიალ“ (ხალხ. სიბრძ. 1994: გვ. 49).

## II რთულფუძიანი მარტივი ზმნა-შემასმენელი:

შემასმენლად იხმარება რთულფუძიანი ანუ, უფრო ზუსტად, ორფუძიანი ზმნები. რთულფუძიანია ისეთი ზმნა-შემასმენელი, რომელიც მიღებულია **ვარ, ხარ, ვიყავი, იყავი, იყო** ზმნების დართვით მხოლობითსა და მრავლობითში, ან ერთმანეთის საწინააღმდეგო მიმართულებების გამომხატველი ზმნური ფუძეების შემცველი კომპოზიტებით. ზმნები:

**ვზივარ, ზიხარ, ვდგავარ, დგახარ, წავსულიყ ავ, წასულიყავ, წასულიყო** - გარეგნულად ჰგვანან მეშველზმნიან შედგენილ შემასმენელს, მაგრამ წარმოდგენენ ზმნის გარკვეულ ფორმას ზოგ მწკრივსა და პირში (ბასილია, 21). „ვარ“, „ხარ“, „იყო“-ს , რომლებიც ერთვის სხვა ზმნას, ა. შანიძე მეშველ ზმნებად თვლის. ის წერს: „მედოპასივ ზმნებს ძველად მარტივი უღლება ჰქონდათ აწმყოში: ვდგა, სდგა, დგას, ვდგათ, სდგათ, დგანან; ვსძულ, სძულ, სძულს, ვსძულთ, სძულთ, სძულან. ახალ ქართულში კი მეშველი ზმნა დაერთო I-ლსა და მე-2 პირებში (ვდგა-ვარ, სდგა-ხარ; ვსძულ-ვართ, სძულ-ხართ), მე-3 პირის ფორმები ძველებურად მარტივი დარჩა. „ არის“ ზმნა თვითონ მეშველია და მას არაფერი უნდა“ (შანიძე, 500).

მაგალითად: **ვზივარ, ვწევარ, ვდგავარ, დავდივარ, დავრბივარ** და სხვა ასეთი ფორმები გვხვდება აწმყოში, I თურმეობითში, II თურმეობითსა და III კავშირებითში:

აწმყო: ვზივარ, ვწევარ, ვდგავარ; ზიხარ, წევხარ, დგახარ.

I თურმ.: ვმჯდარვარ, ვწოლილვარ, ვმდგარვარ; მჯდარხარ, წოლილხარ, მდგარხარ.

II თურმ.: ვმჯდარიყავ, ვწოლილიყავ, ვმდგარიყავ; მჯდარიყავ, წოლილიყავ, მდგარიყავ; მჯდარიყო, წოლილიყო, მდგარიყო.

III კავშ.: ვმჯდარიყო, ვწოლილიყო, ვმდგარიყო; მჯდარიყო, წოლილიყო, მდგარიყო; მჯდარიყოს, წოლილიყოს, მდგარიყოს.

ა. შანიძე ამის შესახებ აღნიშნავს: „ერთპირიან ენებით ზმნებს III სერიის საწარმოებლად წარსულდროიანი ენებითი გვარის მიმღეობა აქვთ გამოყენებული. მიმღეობის ფორმას ერთვის მეშველი ზმნა: „ვარ“ ( I თურმეობითში), ვიყავ (II თურმეობითში) და ვიყო (III კავშირებითში)... შანიძე, 466-467)...

I თურმ.: გავზრდილვარ – გავზრდილვართ;  
გავზრდილხარ – გავზრდილხართ; (გავზრდილა) –  
(გავზრდილან)

II თურმ.: გავზრდილიყავ – გავზრდილიყავით;  
გავზრდილიყავ – გავზრდილიყავით; გავზრდილიყო –  
გავზრდილიყვნენ;

III კავშ.: გავზრდილიყო – გავზრდილიყოთ;  
გავზრდილიყო – გავზრდილიყოთ; გავზრდილიყოს –  
გავზრდილიყონ;

ნ. ბასილიას მოჰყავს ჭ. თევზაძის სტატიიდან - „  
რთული ზმნის მიმართება შედგენილ შემასმენელთან“ -  
შემდეგი სიტყვები: „რთული ზმნა უფრო შეკრულია. მის  
შემადგენელ ნაწილებს დაკარგული აქვთ დამოუკი-  
დებლობის უნარი. ამიტომაც, რომ ხშირად მნიშვნელობით  
რთული ზმნა სხვა რამეს უდრის, ვიდრე მისი შემადგენელი  
ნაწილების მექანიკური ჯამი იქნება.

შედგენილი შემასმენელი კი ერთ მთლიან ერთეულს არ  
წარმოადგენს. იგი მხოლოდ სინტაქსურად არის ერთი  
ერთეული. რთული ზმნა კი მორფოლოგიურადაც და სინ-  
ტაქსურადაც ერთ რთულ მთლიან შენაერთს უდრის“ (თევ-  
ზაძე, 185).

მაგალითად: „მე სიცოცხლისთვის დამილოცნიხარ“ (ს.  
შანშ.); „ლექსს გიწერ, მერე მიდიხარ“ (ი. გრიშაშვი.);  
„ჯაჯალა ამ დღეებში მოსულიყო მეორე სოფლიდან...“ (ა.  
ყაზბ.). ამ წინადადებებში შემასმენალად გამოყენებულია  
მეშველზმნიანი ფორმები, მაგრამ უკვე ზმნად ქცეული,  
რომლებიც წინადადებებში სინტაქსურად მეშველ ზმნიან  
მარტივ შემასმენელს წარმოადგენს (ბასილია, 23).

მაგალითად: მე ვზივარ, შენ დგახარ, მე უარყვავი, შენ  
უზრუნველყავი, მან ნათელყო...მეშველზმნიანი ფორმებია,  
მაგრამ ამჟამად ქართულში უკვე მთლიან ზმნას

წარმოდგენენ და ამიტომ წინადადებაში მარტივ შემას-  
მენლად იხმარება.

ლაზურში მეშველზმნიანი ფორმები გარკვეულ  
მწკრივებშია. თუ მათ ძირითადი და მეშველი ზმნის  
ურთიერთობის თვალსაზრისით დავახასიათებთ, გამოყოფენ  
ორ ტიპს -შეხორცებულს და შეუხორცებულს. მეშველ  
ზმნებად გვხვდება **ერენ//რენ** (არის), **დორენ** (არის),  
**დორტუნ** (იყო), **უნონ** (უნდა), **უნტუ** (უნდოდა)... როგორც გ.  
კარტოზია აღნიშნავს, შეხორცებული მყოფადის წარმოების  
ყალიბი ასეთია: ძირითადი ზმნა იცვლება მხოლოდ პირის  
მიხედვით, მეშველი ზმნა კი - პირისა და რიცხვის  
მიხედვით, მაშინ როდესაც შეუხორცებულ მყოფადში  
ძირითადი ზმნა იცვლება პირისა და რიცხვის მიხედვით,  
მეშველი ზმნა კი უცვლელად, მხოლოდითი რიცხვის მე-3  
პირის ფორმით დაერთვის ორივე რიცხვის სამივე პირში  
(შდრ. **ვორტა უნონ** „ვიქნები, უნდა ვიყო“, **რტა უნონ**  
„იქნები, უნდა იყო“, **რტას უნონ** „იქნება, უნდა იყოს“... და  
**ვორტამინონ** „ვიქნები, მინდა ვიყო“, **რტაგინონ** „იქნები,  
გინდა იყო“, **რტასუნონ** „იქნება, უნდა იყოს“...).

რთულფუძიანი მარტივი შემასმენლის სახეობად  
ლაზურში შეიძლება ჩავთვალოთ სწორედ შეხორცებული  
ფორმები.

მაგ.: ყოფერენან „ყოფილან“, ზიმუფტერე „ზომავდა  
თურმე“, ოკიკათესრენ „შეგროვილან“, ვორტამინონ  
„ვიქნები, უნდა ვიყო“... მაგ.: ოჭკომურენ „ამას შეუჭამია“;  
დომაჭკინდურენ „დავღლილვარ“; მექჩამინონ „მოგცე  
მინდა“, ქორტუდორენ „ყოფილა“...

არნ. ჩიქობავა წერს, რომ მეშველი ზმნა **-დორენ, -  
დორტუნ, -დორტა** აორისტს დაერთვის ვიწურ-არქაბულსა  
და ათინურში. მეშველზმნიანი წარმოება ლაზურში  
გარდაუვალ და გარდამავალ ზმნებს ერთნაირად  
აღნიშნებათ (ჩიქობავა, 168). მის მიერ მოყვანილ

მაგალითებში ზმნებს მყოფადში ერთვის **ერ ე-ენ, უნონ - უნონან**, I თურმეობითში **ელ- ერე, დორენ**, II თურმეობითში **ორ ტუნ, ელ-ერ ე-ტუ**. თუმცა, როგორც გ. კარტოზია აღნიშნავს, გარდაუვალ ზმნათაგან თურმეობითთა მეშველზმნიანი წარმოება ლაზურში დღეს ერთადერთ ყოფ- ფუძეს აქვს შემონახული: **ყოფერენ < ყოფერ რენ** „ყოფილა“ კარტოზია, 110). რაც შეეხება თურმეობითებს, ვიწურ-არქაბულსა და ართაშენულში ნამყოფდროთა ფორმებს ერთვის მეშველი ზმნები **დორენ(ნ)** „არის, და **დორტუნ(ნ)** „იყო“; ხოფურ-ჩხალურში თურმეობითებს აწარმოებს - **ერენ -ელე-რე** სუფიქსები....

მყოფადი: **ვორტა-უნონ, ვორტა-მინონ** „ვიქნები, ვიყო უნდა (ვიყო მინდა)“

(რ)ტა-უნონ, (რ)ტა-გინონ „იქნები, იყო უნდა (იყო გინდა)“ (რ)ტას-უნონ,

(რ)ტას-უნონ „იქნება, იყოს უნდა“ **გიღუტან-უნონ, გიღუტას უნონან** „გეკენებათ, გეკონდეთ უნდა“ **უღუტან-უნონ, უღუტას-უნონან** „ეკენებათ, უნდა ჰკონდეთ“

**მექჩა-უნონ, მექჩა-მინონ** „ მოგცემ“

**მეფჩა-უნონ, მეფჩა-მინონ** „მივცემ“ და ა. შ.

თურმეობითები;

**ვიწურ-არქაბულსა და ათინურ-ართაშენულში:**

1. ნანამყოფსლურალი თურმეობითი: **ზუმუმტუ-დორენ** „თურმე ზომავდა“; 2. ნააორისტ. თურმეობითი I: **ზუმუ-დორენ** „უზომავს“; 3. ნააორისტალი თურმეობითი II: **ზუმუ-დორტუ** „ეზომა“.

**ხოფურში:**

1. ნანამყოფსლურალი თურმეობითი: **ზიმუფტ-ერენ** „თურმე ზომავდა“;

2. ნააორისტალი თურმეობითი I: **ზიმ-ერენ** „უზომავს“; 3.

ნააორისტალი თურმეობითი II: **ზიმ-ერე-ტ-უ** „ეზომა“; 4.

პირობითისაგან ნაწარმოები თურმეობითი: **ზიმასუნტ-**

**ერენ** „თურმე უნდა ეზომა“ (ჩიქობავა, 141-150; კარტოზია, 101-110).

**ლაზური:**

1. ჰაქოლე **დოდგითუდორტუ** დო ჰექოლე **ხორხუმტუ**. „აქეთ დადგებოდა და იქით ხერხავდა“ (ჩიქობავა: 8).
2. ცინი **ცავუდორენ** დო ახვალენ. „სიცოვე შეჰყრია და ახველებს“ (ჩიქობავა: 3).
3. ღვარი **ქოგეხთუდორენ**. „ნიაღვარი ჩამოსულა“ (ასათიანი: 461)..
4. ბერეს თის **გობუდორენ** დო **გოკუცხინუ-დორენ**. „ბიჭს თავზე დაასხა (თურმე) და გაუღვიძებია“ (დიუმეზილი: 23).
5. ფადიშაჰიქ ჰადა **ოგნუდორტუნ**. „ფადიშაჰს ეს გაუგია“ (დიუმეზილი: 21).
6. ახმეტიქ მა ნა **მპორმტუ** ირ დერის **იგნუდორტუნ**. „ახმეტს მე რომ ვუყვარდი ყველგან გაუგიათ“ (დიუმეზილი: 121).
7. მან სი **კტკომამინონ**. „მე შენ შეგჭამ (შეგჭამო მინდა)“ (ჩიქობავა: 44)..
8. ჰუქუმეთი ბგოუფ დო **მოვოკვათაფა მინონ** ია ზიანი ჯა. „მთავრობას ვეძებ და მოვაჭრევიწო მინდა ეს დაზიანებული ხე“ (ჩიქობავა: 98).
9. მუთხანი ნა მადლოდას ჭუმანიშა **ვოთანამინონ**. „რაც უნდა დამემართოს, ხვალამდე გავათენებ (გავათენო მინდა)“ (კარტოზია: 87).
10. თანაფაშა დემალუ **ოჩოდინუგინონან**. „გათენებამდე ატანა უნდა დაამთავროთ“ (ჩიქობავა: 39).
11. ნენას მთელიშენ ვარ **ოთქვაფაგინონან** (ანდაზა). „ენას ყველაფერს ნუ ათქმევინებთ“ (ასათიანი: 95).
12. ფამბუკეფე **კორობასუნონ** დო ოხორიშა **მუდასუნონ**. „ბამბუკებს შეაგროვებს (შეაგროვოს უნდა) და სახლში მიუტანს (მიუტანოს უნდა)“ (ჩიქობავა: 574).



13. არ დამა ბერე ჟაში კუნწულიშა **ქხთერეტუ**. „ერთი სახე ბავშვი ხის კენწეროზე ასულიყო“(თანდილავა 2013, 32).
14. არ აღას არ გინი **ჟეონტუ**. „ერთ ბატონს ერთი სახედარი ჰყავდა“(კარტოზია, ლაზ. ტექსტ., 13).
15. ჰიმდლა ტაკშამა ბადგუნი **ქოძურტუ**. „იმ დღეს საღამომდე გადაძკვლარი ეგდო”(ჩიქობავა 1936, 135).
16. მემეტი ღომამჯი ბალიწაშა **მინდიყონერენან** „მემეტი წუხელის საავადმყოფოში წაუყვანიათ“(თანდილავა 2013, 49).
17. მითხანიქ სირთის ბანდარა **ქოგელოკიდერენ**. „ვიღაცას მალლობზე დროშა ჩამოუკიდია“(თანდილავა 2013, 49).
18. ჭიტა ბადის **ოსთერაპტუ**. „პატარა ბაღში ათამაშებდა“(ჩიქობავა, ჭანური ტექსტები, 169).
19. ჰემ ორას სუმ შიღდა კოჩი დადის **გამობღესდორენ** დო ბერეს **გულესდორენ**. „იმდროს სამი ათასი კაცი ტყიდან გამოცვენილა და ბავშვს შემოსევიან“(დიუმეზილი, 122).
20. ონტულეს შუკაშ საპირი **ქაგამიჭარელენ**. „ბოსტანში კიტრის ჭიპი გამოსახულა“(თანდილავა 2013, 85).
21. ჰემ დადის გერმა კოჩი **ტუდორენ** დო ართელი კოჩი ოჭკომუ. “იმ ტყეში თყის კაცი ყოფილა და ერთი კაცი შეჭამა“(თანდილავა 2013, 107).
22. მაკრიალიშა ჰაქოლე არ გურჯი **იგზალუდორენ**. „მაკრიალში აქედან ერთი ქართველი წავიდა, იქ წავიდა“(ჩიქობავა, ჭან. ტექსტ., 14).
23. კურბეტიშა **იდატუ**, იგზალუ. „კურბეტში წავიდა, იგზავრა“(ჩიქობავა, ჭან. ტექსტ., 13).
24. მეგერემ ანდლა მითხანი კამისარი **მოხთერენ**. „თურმე დღეს ვიღაც კომისარი მოსულა“(თანდილავა, 355).
25. სერიში გვერდიშა **იხვამაპტენან**. „შუა ღამემდე ლოცულობდნენ“(ჩიქობავა, ჭან. ტექსტ., 24).

მეგრულში „მეშველზმნიანი ნაკეთები, ერე-თი ნაწარმოები, დამახასიათებელია გარდაუვალი ერთპირიანი ზმნების ერთი

ნაწილისათვის მესამე სერიაში: თურმეობით პირველშია: ცუდე **დოჭვერე** -სახლი დამწვარა...და მისგან ნაწარმოებ თურმეობით მეორეში და იქიდან მესამე კავშირებითსა და პირობით მესამეში: ცუდე **დოჭვერედუ** - სახლი დამწვარიყო, ცუდე დოჭვერედას - სახლი დამწვარიყოს, ცუდე **დოჭვერედუკონ** - სახლი (რომ) დამწვარიყო...

ოკო-თი გართულებული წარმოება გვაქვს პირობით პირველში: თინა **ჭკირუნდუკონ(ნ)** თის -მას რომ ეჭრა ის, პირობით მეორეში: თიქ **ჭკირუკონ(ნ)** თინა-მას რომ ეჭრა ის“ (კიზირია, 1982:116-117).

### **მეგრული:**

1. მედიკოჯგუა ვარდუო ვალია **ქოსოფედუკონი**, მედიკოჯგუა ოსურიინი, (ვალი ას) ჩქიმი პატენ რექენ, ვალიაში წოხოლე ჩიტი **ვეგლაფურიუნდგკონ** იიდუ ცას... „მედიკოსთანა ვალია რომ ყოფილიყო, მედიკოსთანა ქალი, (ვალიას,) ჩემი ბატონი რომ ხარ, ვალიაზე წინ ჩიტიც ვერ იფრენდა (ვერ იფრენდეს იქნებოდა) ცაში...“ (ლოლა ნანა, 2007: გვ.116).

2. მა თინა ვარდუო **ქომიჩქედუკო**, მა თინა უკული **ქოგვიდაფუდუკო** ხეშანი, მა თის თოლს გემწუოთანდი დო თეში გუთეენდი. „მე ის რომ მცოდნოდა, მე რომ ის მერე ჩამეგლო ხელში, მე მას თვალს ამოვთხრიდი და ისე გავეშვებდი“ (ლოლა ნანა, 2007: გვ. 238).

3. მა თენა **ქოფთქვიიკონი**, თენა უკული მაგარი დურიაშა გიშმეეშ. „მე რომ ეს მეთქვა, მერე დიდი სამდურავი ჩამოვარდებოდა“ (ლოლა ნანა, 2007: გვ. 232).

4. ი კონი ფარას ხუშაანს დო ოჯღონანდ თაქ, თე ბაღანა **მორდუკონი**, თიმ გურშენი. „ის კაცი ფულს ხვეტს და აგზაენიდა აქ, ეს ბავშვი რომ გაეზარდა, იმისთვის“ (ლოლა ნანა, 2007: გვ. 252).

5. ფარა **ქოიღუღუკონი**, მა შაივარი დოიჭეე...„ფული რომ გქონოდა, მე შარვალი შეგიკერე“..(ლოლა ნანა, 2007: გვ. 280).
6. მა **დობღურედიკოვანი**, ძიცა-ძიცათი მიდნობ ღალუ ექია ცუდეშა. „მე რომ მოვმკვდარიყავიო, თურმე ასე სიცილ-სიცილით წამიღებდიო სახლში“ (ლოლა ნანა, 2007: გვ. 290).
7. ქო, მარა ბუა **ქიმერჩკონი**, თიშენი გინს ოწუაფუნდეს. „კი, მაგრამ, რძე რომ მოეცა, ამისთვის ხბოს აწოვებინებდნენ“ (ლოლა ნანა, 2007: გვ. 330).
8. მიდგა ორდგკო, ცოდნა **ქულუღუკო**, თანამდებობა ქულუღუკო დო მუთუნი ვაულუღუკო, ის იშ ჯარი ვააჭედ. „ვინც არ უნდა ყოფილიყო, ცოდნა ჰქონდა, თანამდებობა ჰქონოდა და არაფერი ჰქონოდა, მას იმის ჯავრი არ ჰქონდა“ (ლოლა ნანა, 2007: გვ. 150).
9. მა თიშენ მოღავრთი სიმიდი ოკო იპიდეე (**ქომიციდირუღუკო**). „მე იმიტომ წამოვედი სიმინდი უნდა მეყიდა“ (ყიფშიძე, 1994: გვ.205).
10. დიაკონქ მოღართუ ცუდეშა, დააჭყვ ფირქი მუნერო ოკო ორზგკო თიქ თინერი დაჩხირი, ნამდა პაპას ოხვამეს **ქმშტუბუკო** ნი. „დიაკვანი წამოვიდა სახლში, დაიწყო ფიქრი, როგორ უნდა დაენთო მას ისეთი ცეცხლი, რომ მღვდელი საყდარში გაეთბო“ (ყიფშიძე, 1994: გვ.212).
11. გელესოფუ ლეკური დო ოკოდგ დუდი **მეცქალატუკო** ნდისგ ნი, ეთიწკმა ნდიქ შეეხვეწტ. „ამოიძრო ხმალი და უნდოდა თავი გაეგდებინებინა დვეისთვის, მაშინ დვეი შეეხვეწა“ (ყიფშიძე, 1994: გვ.285).
12. ღორონთიშა ცოლოფუ პიჯალა მეჩამილი, დღასგ კოჩიშა ვე **გშართუკო** ნი, ირო ტყას **დოღირთუკონი**. „ღმერთისთვის პირობა ჰქონია მიცემული, არასდროს კაცთან არ გამოსულიყო, ყოველთვის ტყეში დამდგარიყო“ (ყიფშიძე, 1994: გვ.286).

### III გამეორებული მარტივი შემასმენელი მეგრულ-ლაზურში:

ზოგჯერ წინადადებაში მარტივი შემასმენელი იხმარება გამეორებული სახითაც საპირისპირო გეზის ზმნისწინების დართვით: წავიდ-წამოვიდნენ, გააჭენ-გამოაჭენა, აუარ-ჩაუარა. მათ, როგორც კომპოზიტებს, რთულფუძიან მარტივ შემასმენელს განაკუთვნიებენ. ასეთი ფორმები სალიტერატურო ენისთვის უფროა დამახასიათებელი და ჩვეულებრივ საუბარში იშვიათად გამოიყენება ისინი მეგრულსა და ლაზურში. თუმცა რამდენიმე მაგალითის მოტანა შეიძლება:

1. **მევოჯინიო! გევოჯინიო!** ათაქ ზონდიკი ქვეგესუ. „რომ გავიხედე, რომ დავხედე აქ ქოლგა ამხია“(ლოლა ნანა, 2007: გვ. 290).

2. **გიბჯინი, მიბჯინი,** სკოლაქ გიინწყ, სადამო კლასიქ, თექ მიშებლი. „გავიხედე, გამოვიხედე, სკოლა რომ გაიხსნა, სადამოს კლასი - იქ შევედი“(ლოლა ნანა, 2007: გვ. 22).

3. მა უწი ასე, სოიშა ტუალტშა **მითულ დო გუთულ** იზმა ხანს პასუხ მზათ მიდუდას-მაქ...„მე ვუთხარი, ახლა სანამ ტუალტში შევალ და გამოვალ იმდენ ხანს პასუხ მზად მქონდეს-მეთქი“(მეგრ. ტექსტ. 2012: გვ. 168).

4. **მინუერთი, მუნუერთი,** კენი თიქ იყუუ. „მოვაბრუნე, მოვაბრუნე, ისევ ის შეიქნა“(ყიფშიძე, 1994: გვ. 380).

ქართული მიიხედ-მოიხედა-ს მსგავსი (საპირისპირო მიმართულების ზმნისწინებანი) შემასმენელი არც მეგრულში და არც ლაზურში არ შეგვხვედრია. ლაზურში გამოიყენება აღწერითი შესიტყვება, სადაც საპირისპირო მნიშვნელობის ზმნიზედები ან ნაცვალსახელები ასრულებენ მსგავს შემანტიკურ ფუნქციას. მაგალითად:

1. ბერექ **ჰექოლ-ჰაქოლე გოძქედუ.** „ბიჭმა იქით-აქით გაიხედა“(ლაზური პარამითეფე, 1982: 16).

2. **პეშოთ-ჰაშოთ გოულურს** დო დიცამს. „ისე-ასე დადის და იცინის“.
3. **კოჩეფე ამიძღეს, გამიძღეს-დორენ** (დიუმეზილი, 94) „კაცები გაძღნენ, გამოძღნენ“.
4. ცხენი დერე ქენარის **ელაკაპუნ, გელაკაპუნ** (ჩიქობავა 1936, 99) „ცხენი ღელეს პირას არბის, ჩარბის“.  
უფრო ხშირია ერთი ფორმის მქონე გამეორებული შემასმენელი.

### **მეგრული:**

1. **მეურსუ, მეურსუ, მეურსუ** დო ვაძირ მუთუნინ. „მიდის, მიდის, მიდის და ვერ ნახა ვერაფერი“ („მეგრ. ტექსტ.“ 2012: გვ.18).
2. **ქუჯინეს** თეს, **ქუჯინეს** დო **მოლართ** თექ, **მოლართ**, ჩქიმ პატონ სი რექენ, დო ეთეურე სოდგარენ მითილ ექ, ბირგულ ქუდაშკუ. „უყურეს ამას, უყურეს და წამოვიდა, შენ ხარ ჩემი ბატონი, და იქით სადღაცოდან შევიდა ეს, მუხლზე დაიხოქა“ („მეგრ. ტექსტ.“ 2012: გვ.20).
3. დო **ურჩქილ, ურჩქილ** თე ბოშიქ ეჩიებუნ თესგ დო თინა ვარდასია თენავა, თე სკანი და ვარდასია...„უსმინა, უსმინა ამ ბიჭმა რომ ესაუბრება იმას და ის არ იყოსო ეს, ეს შენი და არ იყოსო...“ („მეგრ. ტექსტ.“ 2012: გვ. 28).
4. ქიმევრთით დო ველუქ ასე თენემს კიწიას, **ველგქ, ველგქ** დო ათაქ ქუმორთ თომაქ ართ სუმ დღაშ უკული. „მიველით და ველით ახლა ამათ კიწიაში, ველით, ველით და აქ მოვიდა თომა ერთი სამი დღის მერე“ (ლოლა ნანა, 2007: გვ.124).
5. თი სიხარულით **მივრულექ, მივრულექ**, ქუდუანთხუქ, ქეკვახაბაკუქ თე კაბას, გებდირთუქ... „ამ სიხარულით გავრბივარ, გავრბივარ, დავეცემი, წამოვედები ამ კაბას, წამოვდგები...“ (ლოლა ნანა, 2007: გვ. 126).

6. თუთაქ მუკილგ დო ირდუ დო ირდუ,, თვე გავიდა და იზრდება და იზრდება“(მეგრ. ტექსტ. 2012: გვ.52).
7. ურჩქილგ ე ძღაბიქ, ურჩქილგ დო მუთუნი ვაუჭირსე ასე გეგშენწყუ... „უსმინა ამ გოგომ უსმინა და არაფერი არ უჭირს (=არაუშავს) ახლა“... (მეგრ. ტექსტ. 2012: გვ.106)
8. ქიმკაყუნ, ქიმკაყუნ, ქიმკაყუნ, სო რე, ვაძირ ენა; „მიჰყვა, მიჰყვა, მიჰყვა, სად არის, ვერ ნახა (მეგრ. ტექსტ. 2012: გვ.124).
51. ლირჰწლთე ჟილემზგრი ფუკტარს ჟიხანღწახ, წყლიანდ ჟიხანზგრდახ ი იბნახ ლიდრწლ ს ი ლიხნრუილს (ექსპედ. მასალ.) „გამთენიისას შესაწირ ვაცებს შეულოცავდნენ, წმინდად აკურთხებდნენ და იწყებდნენ სიმღერსა და მხიარულებას“.
52. ეჩქანლო მეძპერ ჩუათუბფ (ექსპედ. მასალ.) „მერე ფრინველი გაქრა“.
53. ალას ნანგზატრს ი გუნ მაფშწრს ჩტბთჟუდა (ექსპედ. მასალ.) „ამას ნამგზავრს და ძალზედ დაღლილს ჩაეძინა“.



54. ხოხრა უდლიდ ესხრი ი ქ'ანდ ათანსდ მერმა მუშყუდდელის (ექსპედ. მასაღ.) „უმცროსი და მიდის და ისევ წააწყდა მეორე მრეცხავს“.

55. ტემგემპილს აშხტ მეზგათე იყუბზლ-მზგ-სგა, ჩის ახლტზნ ლეზტებ-ლეთრე (ექსპედ. მასაღ.) „ბოლოს ერთ ოგახში მოგროვდებოდნენ, ყველას მოჰქონდა საჭმელ-სასმელი“.

56. აწსე ყათლანდ ჯაშლარბეგ ი ხწქტე: დორი მენჯრი სგატ ლმჯვრენე (ექსპედ. მასაღ.) „დაპატიჟა ყათლანმა ჯაშლარბეგი და უთხრა ორი მხლებელი თან იახლეო“.

57. ალილო ქა იზგროლ ჭგშხწშშტ ი ხოჩა ლმზგრანლარშტ (ექსპედ. მასაღ.) „ალილო მთავრდებოდა ფერხულით და კარგი სადღეგრძელოებით“.

58. მეთხტარს ქტზბისგა თერალ ამ ოთფხნჟ, ქერ ხეწდ ამესგა თტალშტ ეშ მენარჰე ზურალს (ექსპედ. მასაღ.) „მონადირეს გამოქვაბულში თვალები თითქოს დაეფანტა სილამაზით მანათობელ ქალს რომ შეხედა“.

59. ლირჰლთე ეჩა ლისგდის მამაგტემ ხოჩა. ალიმზგ მენარჰე ლამპარ ერ ესხრი ი ამ ერ აღღმე (ექსპედ. მასაღ.) „გამთენისას იმის ყურებას არაფერი სჯობია. ამდენი მანათობელი ლამპარი რომ მიდის და კაშკაშებს“.

60. დლ იტანლო, გუნ დრსგნემ ლი შტანრე ნლზიგტ(ექსპედ. მასაღ.) „დალის ხეობა ადრიდანვე, უძველესი დროიდანვე არის სვანების ნამოსახლარი“.

61. ლაშგყშტ ჟ'ესლტზნ ლეზბტრა — ქუთ ი კუბდარ, ლგგრანლ, მტყვბ ქათალ, მუჭხტრა, ლემზგრანლ ალ ლადლი ყერხზნ (ექსპედ. მასაღ.) „კალათით (=გოდორით) მიჰქონდათ საკვებ-საჭმელი – ხაჭაპური და კუბდარი, კვერცხები, შემწვარი ქათამი, ტკბილეული და სეფისკვერები საგანგებოდ ამ დღის ძალის სახელზე“.

უადრესად საინტერესოა კითხვითი ნაწილაკების თვალსაზრისით სვანურის პარადელი ძველ ქართულთან. როგორც ცნობილია, ძველი ქართულის კითხვით ნაწი-

ლაკთაგან (-ა, -მე, -მეა, ნუ, ნუუკუე) ზმნის პირიან ფორმას ძირითადად დაერთვის -ა და -მე: ნაზარეთით შესაძლებელ არსა კეთილისა რაღსამე ყოფად? (სარჯველაძე, 1997: 160). თანამედროვე ქართულისაგან განსხვავებით სვანურში კითხვითობა ყოველთვის გამოიხატება ზმნის პირიან ფორმაზე დართული -მო, -მა, -ა, -და ნაწილაკების მეშვეობით: შდრ: ხაშდბა „მუშაობ“ – ხაშდბამა „მუშაობ?"; ხითჷრი „სწავლობ“ – ხითჷრიდა „სწავლობ?“

შეიძლება დასკვნის სახით ითქვას, რომ სვანურში ნაწილაკიანი შემასმენელი საკმაოდ არის გავრცელებული. გამოყენების სიხშირის თვალსაზრისით სხვადასხვა სურათს ქმნის მარტივი და შედგენილი შემასმენელი. შედგენილ შემასმენელთან ნაწილაკების გამოყენების არე უფრო შეზღუდულია, ვიდრე მარტივთან. ნაწილაკების ხმარება-დართვის, პოზიციის, სპეციფიკის თვალსაზრისით სურათი, პარალელები და ტენდენციები სვანურში, როგორც სხვა არაერთ საკვანძო საკითხში, ძველი ქართულის ვითარების ამსახველია (შდრ. კითხვითი ნაწილაკები). უადრესად საინტერესოდ მიგვაჩნია იმ ფაქტის ხაზგასმაც, რომ სვანურში საკმაოდ ხშირი გამოყენებისაა ქართულსა და მეგრულ-ლაზურში ზუსტი ეკვივალენტის არმქონე ისეთი სპეციფიკური ფორმები, როგორცაა: ღალ, აჯემ, გომნი, დოჷ, მირ, ჰორგე, ღენ...

**§5. შედგენილი შემასმენლის სტრუქტურა ქართველურში:** ჰუგო შუხარდტისეული ცნობილი დეფინიცია – „ვინც ზმნა იცის, მან ენაში თითქმის ყველაფერი იცის“ –თუკი საერთოდ ენის შესახებ ითქმის, მით უმეტეს უნდა ითქვას ქართველურ ენათა შესახებ, რომელთა მორფო-სინტაქსის ყველაზე რთული ნაწილი ზმნა-შემასმენელია.

ზმნა-შემასმენელი ქართული წინადადების ხერხემალია. როგორც დიდი ილია იტყოდა, ის არის უფალი მთელი

წინადადებისა, კანონმდებელი ენისა, სული და გული მისი, ღონე და ძლიერება მეტყველების. ქართველურ ენებში ზმნა-შემასმენელი ნაკლებად შესწავლილი წევრია წინადადებისა, რამაც განაპირობა ჩვენი ინტერესი ამ საკითხის მიმართ. შემასმენლის სახეობებზე მსჯელობისას გასათვალისწინებელია აზრთა სხვადასხვაობანი თვით ტერმინოლოგიასთან (რთული, შედგენილი...) დაკავშირებით. ჩვენს გრამატიკულ ლიტერატურაში ჯერჯერობით ტერმინები რთული შემასმენელი და შედგენილი შემასმენელი სინონიმური მნიშვნელობით იხმარება. ა. შანიძე წერს: რთული შემასმენელი შედგება ორი ნაწილისაგან, რომელთაგან ერთია პირიანი სიტყვა (ჩვეულებრივ, მეშველი ზმნა, ვარ, ვიყავ, იშვიათად სხვა ზმნებიც) და მეორე – ბრუნვიანი სახელი (შანიძე, 1936:294). ა. კიზირია აღნიშნავს, რთულ შემასმენელს უწოდებენ შედგენილსაც. რთული შემასმენელი და შედგენილი შემასმენელი თანაბარი ღირებულების ორი სინონიმური ტერმინია. „შედგენილი შემასმენელი იქნებოდა უნიკალური ტერმინი, რომ საოპოზიციოდ შეუდგენელი შემასმენელი გვეკონდეს. მარტივი შემასმენლის საპირისპირო რთული შემასმენელია, ამიტომ ვამჯობინებთ ამ უკანასკნელს (კიზირია, 1982:121). „რთულია შემასმენელი, რომელიც შედგება სრული მნიშვნელობის მქონე ორი ან ორზე მეტი სიტყვისაგან, მაგრამ სემანტიკურად არის ერთი ზმნური მნიშვნელობის სინტაქსური ერთეული, ე.ი. წინადადების ერთი წევრი“ (ბასილაია, 1974:114) ტრადიციისამებრ განსახილველ სახეს შემასმენლისას შედგენილს ვუწოდებთ. შედგენილი შემასმენელი შედგება სახელადი ნაწილისა და ზმნის პირიანი ფორმისაგან. პირველად ტერმინი შედგენილი შემასმენელი გვხვდება სილ. ხუნდაძის გრამატიკაში (1927) „სახელითა და შემწეობითი ზმნის მიმატებით“ გადმოცემული შემასმენლის აღსანიშნავად. როგორც ცნობილია,

საენათმეცნიერო ლიტერატურაში სხვადასხვა ტერმინებია გამოყენებული შედგენილი შემასმენლის სახელადი და ზმნური ნაწილების აღსანიშნავადაც; ივ. იმნაიშვილმა სახელად ნაწილს სიმოკლისათვის უწოდა შემასმენლისი; დამკვიდრებულია აგრეთვე: პრედიკატივი, თანასაერთი, სახელადი ნაწილი; ხოლო ზმნური ნაწილისათვის – საერთი და კოპულა. წინამდებარე ნაშრომში კი ქართველური ენების შემთხვევაში სიმარტივისათვის უპირატესობა მინიჭებულია ტერმინებზე – ზმნური ნაწილი და სახელადი ნაწილი. კვლევის ასპექტები: რაში მდგომარეობს მსგავსება-განსხვავებანი სალიტერატურო ქართულსა და ქართველურ ენებს შორის შემასმენლის სახეობათა შორის სტრუქტურის, პოზიციის, შემადგენელ ნაწილთა რაგვარობისა, გავრცელებულობისა და, ზოგადად, გამოყენების სიხშირის თვალსაზრისით; შეინიშნება თუ არა თავისებურებანი გამოყენებისას; გვხვდება თუ არა სპეციფიკური ფორმები ქართულთან მიმართებით განსხვავებული ნიუანსით; ოდენ ქართველურისათვის დამახასიათებელი მეოთხე სერიის მწკრივები თავიანთი სწორედ მეშველზმნური სტრუქტურით რამდენად ხშირად გვევლინებიან შედგენილი შემასმენლის როლში. ქართველურ ენებში – სვანურსა და მეგრულ-ლაზურში, როგორც ეს ხაზგასმით არის აღნიშნული საენათმეცნიერო ლიტერატურაში (კიზირია, 1982,107-132), შედგენილი შემასმენელი, ძირითადად, ქართულისებური აგებულებისაა; კოპულად ანუ საერთად გამოყენებულია მეშველი ზმნები, სახელურ ნაწილად კი – სხვადასხვა მეტყველების ნაწილი – არსებითი, ზედსართავი, რიცხვითი, ნაცვალსახელი და მიმდებარე უმეტეს შემთხვევაში სახელობითი ბრუნვის ფორმით; საანალიზო მასალა ამოკრებილია სვანური, მეგრული, და ლაზური ტექსტების შედარებით ადრეული გამოცემებიდან: იოსებ ყიფშიძე, რჩეული თხზულებანი,

თხზ., თბ., 1994; ირინე ასათიანი, ჭანური (ლაზური) ტექსტები, თბ., 1974; სვანური პროზაული ტექსტები, I. ბალსხემოური კილო, 1937).

### მეგრული:

1. ათუჯგუა **წარმოდგენა მიღუდ**, ვარა ენა იშენ მიუწვდომელი რდუ ჩქინო. „ასეთი წარმოდგენა მქონდა, თორემ ეს მაინც მიუწვდომელი იყო ჩვენთვის“(მეგრ. ტექსტ. 2012: გვ.88).
2. ჩქიმი გურიშ **იმენდი რე** სქანი თოლი ფართო გვირა. „ჩემი გულის იმედია შენი თვალი ფართო ბრიალა“(ყოფშიძე, 1994: 368).
3. ჰო~, ჩქიმი ჩელა, ჩქიმი ჯაგა! მდიდარი **რე გომორბევილი**. „ჰოი, ჩემო ჩელა, ჩემი ჯაგა! მდიდარი გამარჯვებულია“(ყოფშიძე, 1994: 371).
4. ნუმჲ მიღუნა შხვაშ იმენდი, ჩქინ' **ხესჲ რე** ჩქინი ბედი „ნუ გვაქვს სხვისი იმედი, ჩვენს ხელშია ჩვენი ბედი“(ყოფშიძე, 1994: 372)
5. ბოროტება დოპილათჲ დო იპიით **ბედნიერი**. „ბოროტება მოკვლათ და ვიქნებით ბედნიერი“(ყოფშიძე, 1994: 373).
6. მაფშალია **რე მახირეთ** უინი გილახუნილო. „ბუღბულია მომღერალი ზევით შემომჯდარიო“(ყოფშიძე, 1994: 373).
7. სინთე მოუთ გოკო, **უთოლე რექჲ** და? „სინათლე რად გინდა, ბრმა (უთვალო) თუ ხარო?“ (ყოფშიძე, 1994: 381)
8. თოლი თოლიში **ტერი რე**. „თვალი თვალის მტერია“(ყოფშიძე, 1994: 381).
9. ლარჭა ირო რჩხე, **უჩა iGuafu**. „ნაჭა სულ რომ რეცხო, შავი იქნება“(ყოფშიძე, 1994: 382).
10. ურემქ დიშქა ვა მიიღუ და, თვითან **დიშქა რე**. „ურემმა თუ შეშა არ მოიტანა, თვითონ შეშა“(ყოფშიძე, 1994: 382).

11. დუდიშ ქანცაფი უჭირს, ვარა არძა ცხენი **თუხარიკი რე**. „თავის ქიცინი უჭირს, თორე ყველა ცხენი თოხარიკია“ (ყიფშიძე, 1994: 383).
12. ვა გაშქურინას, მა **ვორექ** სქანი **ქოჩორა** „არ შეგეშინდეს, მე ვარ შენი ქოჩორა“ (ყიფშიძე, 1994: 302).
13. გეგლოფუ ძღაბიქჲ ჩონგური, ქელიტყჲ მგამა დო გებირუა, გური თიცალი **გაკეთებული აფუდუ**. „აილო გოგომ ჩონგური, დაიწყო დაკვრა და სიმღერა, გული ისეთი გაკეთებული ჰქონდა“ (ყიფშიძე, 1994: 303).
14. მუში დიდაქჲ კონი ქუმუუნქუ: „**მინ ორენია** თი კონი?“ „მისმა დედამ კაცი მიუგზავნა: „ვინ არის ის კაციო?“ (ყიფშიძე, 1994: 303).
15. თი თუმა არძაში **უშხუაში რენია**. „ის თმა ყველაზე უმსხვილესი არისო“ (ყიფშიძე, 1994: 306).
16. გივის Gundu squa beJani, namuTi **ordH viTaarTi waneri**. „გივის ჰყავდა შვილი ბეჟანი, რომელიც თერთმეტი წლისა იყო“ (ყიფშიძე, 1994: 308).
17. დოუდახჲ გივის: „**გახარენქია**, სქანი ბოში **ცხორცხალი Gofenia**~“. „დაუდახა გივის: გახარებ, შენი ბიჭი ცოცხალი ყოფილაო“ (ყიფშიძე, 1994: 310).
18. მუქუ ირულუ მუში ქაშვილი დო ქასაგანიშა, ინა თექი გინოქერდჲ: Tirigi **monka GoferdH**, koc ve eWofoudu. „თავად გაიქცა თავისი მშვილდ-ისრისკენ, ის იქვე დებულა: ისეთი მძიმე ყოფილიყო, კაცს ვერ აეწია“ (ყიფშიძე, 1994: 310).
19. ეცალ გვალა, სასტაული, დღას **მაფენო** თეცალი **ნაბირეფი!** „ასეთი მთა, სასწაული, როდესმე მაქვს კი ასეთი ნანახი“?! (მეგრ. ტექსტ. 2012: გვ. 184).
20. სიმდიდრე დო სიღარიბე **ჯიმაღეფი რენია**. „სიმდიდრე და სიღარიბე ძმები არიანო“ (ხალხ. სიბრძნ.1994: გვ. 122).
21. სქანი მინჯე(ქონება) სქანი **დუდი რენია**. „შენი პტრონი (ქონება) შენი თავი არისო“ (ხალხ. სიბრძნ.1994: გვ.126).

22. **ნარაგად რე** - ყორან ყორანს თოლს დღას ველუდანსია. „ნათქვამია - ყორანი ყორანს თვალს არ ამოკორტნისო („ამოუღებსო“)(ხალხ. სიბრძნ.1994: გვ. 104).
23. ოსური **ღეხი რდასენი**, კოჩიში ღურა ქუუწი დო გემწოდირთუნია. „ქალი რომ ავად იყოს, კაცის სიკვდილი უთხარი და წამოდგებაო“(ხალხ. სიბრძნ.1994: გვ 110).
24. პაპა რძელსია დიაკონით **რძელი უნქუდუა**. „მაძღარ ხუცესს დიაკონიც მაძღარი ეგონაო“ (ხალხ. სიბრძნ.1994: გვ 115).
25. პაპაშა მუ ჭიჭე მეიგამუ დო მუ დიდი, **იშენი ლახირი რენია**. „მღვდლისათის რა ცოტა გირტყამს, რა დიდი, მაინც ნაცემი არისო“ (ხალხ. სიბრძნ.1994: გვ. 115).
26. გიგდასე, თე დროს ხენწიფე დო მუში ჩილი **ღურელი რღე**. „იცოდე, ამ დროს ხელმწიფე და მისი ცოლი მკვდარი იყო“(ყიფშიძე, 1994: 305).
27. მუმულქ თქუა: მა პიონუნქია დო გოთანდუ დო ვარინგ, ინა მუ ჩქიმი **საქმე რენია**“(ხალხ. სიბრძნ.1994: გვ. 99).
28. ნთხორილი ოქროს დო ქუას ართი **ფასი უღუნია**. „დაფლულ ოქროს და ქვას ერთი ფასი აქვსო“(ხალხ. სიბრძნ.1994: გვ. 105).
29. ოდო **იფუუ** ი კოჩქ **ბედნიერქ**. ჰო-და იქნა ის კაცი ბედნიერი(ლოლა ნანა, 2007: გვ. 198).
30. **ჭიჭე ვორდინი** – დიდუშა მოშქურუდუ, დიდო გინივრ-თინი – ჭიჭეშავა. „პატარა ვიყავი – დიდისა მეშინოდა, დიდი გახვდი, - პატარისაო” (ხალხ. სიბრძნ.1994: გვ. 176).
31. ჭუკის **ღურა აფუდუა** კატუში ლაყაფი. „თავისთვის სიკვდილი იყო კატის თამაში” (ხალხ. სიბრძნ.1994: გვ. 179).
32. ხე **რგილი მიღუ**, მარა გური – ტიბუა. „ხელი გრილი მაქვს, მაგრამ გული – თბილიო” (ხალხ. სიბრძნ.1994: გვ. 182).
33. ჯგირი მეზობელი თოლიში **სინათლე რენია**. „კარგი მეზობელი თვალის სნათლე არისო (ხალხ.სიბრძნ.1994: გვ.189).

34. ასე თენა, ნამდა, ათე კოჩიშა შეპირება **მაფუ დოდუაირი**, ნამდა თეს მა ვამუფერუე დო თეს ვატაკასინი. „ახლა ის, რომ ამ კაცუდას, მუისთვის პირობა აქვს მიცემული (დადებული), რომ ამას მე არ მოვეფერო და ამას არ ეცეს“ (ლოლა ნანა, 2007: გვ. 202).
35. ათე ველოდი **ორდუ** ძაამი **ნიჭიერი** ბოში. „ეს ველოდი იყო ძალიან ნიჭიერი ბიჭი“ (ლოლა ნანა, 2007: გვ. 216).
36. ჩქიმი მუანთილს უღუდუ, **დოტეხული აფუდუ** ჭკუდი - კოტოეფი. „ჩემს მამამთილს ჰქონდა, დატოვებული ჰქონდა ჭურჭელი - ქოთნები“ (ლოლა ნანა, 2007: გვ. 288).
- 37.ოდო თე ანეტა დო დიომიდე ბეჭვიაა **შერაგადებული დეს**, მორაგადებული, დო ანგურეფი მეუღუდეს. „ჰო-და ეს ანეტა და დიომიდე ბეჭვიაა მოლაპარაკებულნი იყვენ, შეთანხმებულები და ქვის კეცები (აგურები) მოჰქონდათ“ (ლოლა ნანა, 2007: გვ. 288).
38. ასე **მაფუ** ართი ბოში **დოსკილაირი**, დო თიქ დღას ვამაჭოფუ. „ახლა მყავს ერთი ბიჭი დარჩენილი, და ის ვერასოდეს დავიჭირე“ (ლოლა ნანა, 2007: გვ. 328).
39. ართი დღა **ომორიგებელი აფუდუ**, ოდო უკული იბრთუნდით ბაჟის ჩქი. „ერთი დღე უნდა ემორიგევა (სამორიგეო ჰქონდა), ჰო-და შემდეგ ვიყოფდით ბაჟს ჩვენ“ (ლოლა ნანა, 2007: გვ. 304).
40. ჩქიმი ნოსა **მოწნაფილიე** დო ამჭუანი ქაში დააფუნუ. „ჩემი რძალი მოყვანილია და ამ დილას ფაფა მოხარშა“ (ლოლა ნანა, 2007: გვ. 304).
41. ...დო ათე ოსურიში მისამართი **აფუ გიწოღალირი** თე ანეტას თიშა. „და ამ ქალის მისამართი აქვს გამორთმეული ამ ანეტას იმისთვის“ (ლოლა ნანა, 2007: გვ. 288).
42. თუდონი ქუა **გაჩერებული რე**, ოდო ჟიდონი ირთუაფუ. „ქვედა ქვა გაჩერებულია და ზედა ტრიალებს“ (ლოლა ნანა, 2007: გვ. 354).



43. **ცანჭი ჭიჭე რე**, ჭკიჭკიტიაცაი, აკაბუცხა. „აბრეშუმის ჭია პატარაა, ჭიანჭველასავით, ერთი ბეწო“(ლოლა ნანა, 2007: გვ. 360).
44. ინას უღუღუ, **მიკოჭელი რდ**, მითაარღვაფალი უღუღ ი კათას,,იმას ჰქონდა, მიკერებული იყო, გასაყრელი ჰქონდა ზოგსაც“(ლოლა ნანა, 2007: გვ. 366).
45. **ჯგირი’დ კეთებული**, ჯგირი ოსტატი აკეთენდ. „კარგად იყო გაკეთებული, კარგი ოსტატი აკეთებდა“(ლოლა ნანა, 2007: გვ. 366).
46. **ბაშლაყის მუჭო სირმათ გუთმანწყუნდეს ახალუხისენი**, თეში სირმათ **რდ გონწყილი**. „ყაბალახს, როგოეც სირმით გააწყობდნენ ახალუხს, ისე სირმით იყო გაწყობილი“(ლოლა ნანა, 2007: გვ. 366).
47. **ღაფილი მონტყორი რე** თენა, დიო ქექილი, უკუი ნახვილი, უკუღ ღაფილი, სუფთა მონტყორიში(ლოლა ნანა, 2007: გვ. 366).
48. **ბაღერე ღუმეში მახირაღცგ ღუმეუ ქუუღუნო ხაზგრია?** „ბედურა ღომის მომპარავს ღომი აქვს მზად“? (ყიფშიძე,1994: გვ. 351).
49. **ჩილი დოჭოფილი პუნსგ...** ჭარა ჭვილი ჩქიმი დუსგ. „ცოლი დაჭერილი მყავს, ბედდამწვარი ჩემი თავი“ (ყიფშიძე,1994: გვ. 343).
50. **ანჯარ(ი) სქანო ხაზირი ღე**, გიაცუნი ჩქარასია. „აბჯარი შენტვის მზადაა, გაუყევი ჩქარაო“ (ყიფშიძე,1994: გვ. 342).

**ლაზური:**

1. ოქოთუმადეს **მოლახუნერი რენ** (ასათიანი 2012, 24) „საქათმეში ზის“.
2. ე კონი მუ **ზაიჭი რენ** (ასათიანი 2012, 28) „ეს კაცი რა სუსტია“.

3. ჰამ შქიმი ოცხე ბერე ონ (ჩქობავა 1936, 111) „ეს ჩემი შვილინაცვალია“.
4. ბუმბული ჩიქუ ბუნდლაში ჯოხო ენ (ჩიქობავა, ჭან. ტექსტ., 153) „ბუმბული რბილი ბურტყელის საზელი არის“.
5. კოლონიში დუშმანი ბურბუ რენ (ჩქობავა 1936, 111) „კოლოს მტერი ღამურაა“.
6. თხირი არკელე გამხვერი ენ (კარტოზია, ლაზ. ტექსტ., 169) „თხილი ერთ მხარეს გამოხვერეტილია“.
7. მანთარი შუშეს გენძიფერი ტუ (ჩქობავა 1936, 68) „საცობი შუშაზე დაცობილი იყო“.
8. თანუში ხომულა მემეტი ხოლოთი სადი ენ (დიუმეზილი, 248) „როცა გათენდა, მემეტი ისევ ცოცხალია“.
9. სი მუშენი თოლი ქდორი დოგაფუ? (ჩიქობავა, ჭან. ტექსტ., 13) „შენ რატომ გაგიხდა თვალი ბრმა?“
10. გერმა კოჩის კატა კიბირი თითო მტკუ უღუტუ (ჟღენტი, ჭან. ტექსტ., 4) „ტყის კაცს თითოეული კბილი თითო მტკაველი ჰქონდა“.
11. მამულიწი ათმაჯაში ბაბა რენ (თანდილავა, 408) „მამულიწი“ მიმინოს მამაა“.
12. დიდო მამცუღალე ტუ (ჩქობავა 1936, 9) „ძალიან მატყუარა იყო“.
13. ჰედა ჩქიმი ენ, ბაბაქ ჩქიმი-შენი დოლოხუ (დიუმეზილი, 200) „ეს ჩემია, მამამ ჩემთვის დამარხაო“.
14. არ კოჩი დო ოხორჯა დიდო ოროფეო ტეს-დორენ (დიუმეზილი, 212) „ერთი კაცი და ქალი ძალიან შეყვარებულეები ყოფილან“.
15. ია ბეე-ჩქინი ვა ~ენ. „ის ჩვენი ვაჟი არ არის“ (ასათიანი, 1974: 29)
16. მა ნა ბჯანტი-შენი, კარვანი მონკა ტუ. „მე რომ ვიწეკი, ამიტომ ბუკი მძიმე იყო“ (ასათიანი, 1974: 29)
17. მეგვენ ია ქაპი ვა რტვენ. „თურმე ის ჯირკი არ ყოფილა“ (ასათიანი, 1974: 32)

18. ა~ა მონკა ~ენ, თოფუი ~ოფშა ენ. „ეს მძიმეა. თაფლით საგსე არის” (ასათიანი, 1974: 32)
19. მინ ნა მუსლიმანი იყუ, ლაზისტანის ქოდოსქიდუ. „ვინც რომ მუსლიმანი გახდა, ლაზისტანში დარჩა” (ასათიანი, 1974: 38)
20. ლაზეფე დო მეგრელებე არ ვორეთ. „ლაზები და მეგრელები ერთნი ვართ” (ასათიანი, 1974: 38)
21. ჰემშილეფე-თი წოხლე ერმენი ტვენან. ოკულები ზოითე მუსლიმანე დოყვეს დო ჯოხო ჰეგედვეს ჰემშილი. „ხემშინებიც აღრე სომხები ყოფილან, შემდეგ ძალით მუსულმანი გახადეს და სახელი დაადვეს ხემშინი” (ასათიანი, 1974: 38)
22. და-მუში ფათიშაიშ ოხორჯა-ნა ტუ, ვა ძირუ. „თავისი და ხელმწიფის მეუღლე რადგან იყო, ვერ ნახა” (ასათიანი, 1974: 39)
23. ქემერბურუნი სინორი რენ ჭანიში. „ქემერბურუნი საზღვარი არის ჭანეთის (ჭანის) (ასათიანი, 1974: 40)
24. ჭინკაში კულანი ძაბუნი ტვენ. „ჭინკას გოგო დაავადებული ყოფილა” (ასათიანი, 1974: 43)
25. კულანი, მუ ზოპონ, ბურელი უჯუმელი იყვენ-ი. „გოგო, რას ამბობ, ბურელი უმარილო იქნება” (ასათიანი, 1974: 44)
26. ია კორი მი რტუ?-ია. „ის კაცი ვინ იყო?” (ასათიანი, 1974: 45)
27. ჩქონდა მოხთიმუ დიდო ჩეთინი რენ-ია. „ჩვენთან მოსვლა ძალიან ძნელი არის-ო” (ასათიანი, 1974: 68)
28. სი მირე?-ია. „შენ ვინ ხარ?-ო” (ასათიანი, 1974: 68)
29. იბა ჯოხო ენ. „იბა სახელია” (ასათიანი, 1974: 78)
30. იბა რენ კორი. „იბა არის კაცი” (ასათიანი, 1974: 78)
31. იბაში წკაი ყინი ენ, ოშუმეში ენ. „იბას წყალი ცივია, სასმელია” (ასათიანი, 1974: 78)
32. სი მუკო წანეი ე? „შენ რამდენი წლისა ხარ?” (ასათიანი, 1974: 78)

33. მა ვიტოსუმ წანეი ვორე. „მე ცამეტი წლისა ვარ.“ (ასათიანი, 1974: 78)
34. არ კაალი არ ვა იყვენ. „ყველა ერთი არ იქნება“ (ასათიანი, 1974: 78)
35. ია ენ ხუთ წანეი. „ის არის ხუთი წლისა.“ (ასათიანი, 1974: 134)
36. ოხვამუ არ უღუნან. „სალოცავი ერთი აქვთ.“ (ასათიანი, 1974: 201)
37. ჟირი –თი ართი რენ. „ორივე ერთი არის.“ (ასათიანი, 1974: 215)

**სვანური:**

1. ბექურბნ უნჩღღლად ესნარ ლემხედუჷ გუემ ეჯ ჩიქა მამგუემ ლემ-ჩუემნ-ოლ-ინ-ლი (IV თურმეობ.) (ექსპედ. მასალ.) „ბექურბის ჩაურეველად თურმე იმ დროს არანაირი ვაჟკაცური საქმე არ გაკეთდებოდა (=ვერ განაკეთება)“.
2. ათხე გუდ ანვად, ერე იმუი ლწსუ ეჯ გუემ (სვან. ენ ქრესტ. 1978:168). „ახლა მიხვდა (=გულად მოვიდა), რაშიც იყო საქმე“.

სახგასმული ფორმებიდან პირველი ფრაზეოლოგიური შემასმენელია, ე.ი რთულის ერთ-ერთი სახეობათაგანი, მეორე კი – შედგენილი, გადმოცემულია სახელითა და მეშველი ზმნით.

3. ლემზრჷნუ სიშდ ი დი-გეზალ ლის ი მწვარ ღვრიბ ლის ლეზუებ მამა ხუდუას ი ჰამჷ ტტს ჰამს იფთუთის ი ნზბჷჷჷს – ნზბოხს ი ამუი არის (სვან. ენ ქრესტ. 1978:164). „დალოცვილიმც ყოფილიყავით და დედა-შვილი არიან და მეტისმეტად ღარიბები არიან, საჭმელი არ აქვთ და დილის ნაცარ-ტუტას დილას ჭამენ და საღამოსას – საღამოს და ასე არიან“.
4. მეზგე ლახ ლიღვიმწლს ხემურჯულ, ეჩქას ძღღდ ლემარწლ ხნდ ხვჷ ბზრგ-ნაბზრგ ი მასალა ხნდ ლემარე,

ენგნქა ნამშნდ **ხნდ ლეთმე ი ლემნრე** მეღვიმაღეშ, ნადრეშ ი მიჩა ხნრჯ, ადო ეჩურ ღალ მშმ ხოყნდ (სვან. ქრესტ. 1978:108). „მოსახლე // კომლი მშენებლობას თუკი დააპირებდა, მაშინ დიდი სამზადისი ჰქონდა, ბევრი ბარგი და მასალა უნდა მოემზადებინა, გარდა ამისა ჯამაგირი//ნამუშევარი ჰქონდა საშოვნი მშენებლებისა, ნადისა და ასევე ხარჯი, თორემ სხვაგვარად აღარ შეეძლო“.

5. ლეფკელ დიგორხან გუნ **ლულგუნ ხნრახ** ოთარშერს (ექსპედ. მასალ.) „ქალბატონი დიგორხანი ოთარისანებს (=დადეშქელიანებს) ძალზედ დაფასებული ჰყოლიათ“.

6. ბაბა ბექნუ ლეთიშ **მორეთ მნრე ლემნრე**(ექსპედ. მასალ.) „ბაბუა ბექნუ ცნობილი მედიატორი კაცი ყოფილა“.

7. ნნულ ეთერ გუნ უნხტელდ **ხნრახ ნარდნტ** მიჩა დის ი მუს (ექსპედ. მასალ.); „ბანოვანი, ქალბატონი ეთერი უაღრესად ნებიერობაში ჰყოლიათ გაზრდილი თავის დედას და მამას“.

8. ისგუ ბაბა ნიკალოზი ლიმხელტაჟ ი ნალმნრგი **ლაჰრბედ ლი მესდე** (ექსპედ. მასალ.) „შენი ბაბუა ნიკოლოზის ვაჟკაცობა და ვარგისიანობა სამაგალითოდ, საარაკოდ არის დარჩენილი“.

9. ზურნლს ეჩქა სურუ **ჭირ ხნდ**: ლიბერგე, ლინორწლი, ლიფცხი, ლითი, ლიბნბე, ლიშყტი, ლილფრე, ლილგუჰერი, ლნშგწლი, ლირბიელ, ლინყუნწლი ი მწგ ქა პილთექა (სვან. ენ. ქრესტ.1978: 148). „ქალს იმ დროს დიდი ჯაფა ჰქონდა: თოხნა, ყანისა და სათიბების ქვებისაგან გაწმენდა, ფარცხვა, მკა, განიავება, მოსავლის გამოშრობა-გახმობა, დაფქვა, ჩამოწველა, ცხობა, კერძების განაწილება და ყოველივე ეს ბოლომდე იყო მისაყვანი“.

10. **ღე-მშერე** ღალ მგრნს **ხტნსტ** ი მერმა ღადნდ ემმნცხგნ, ეჩქას ღნხვსვი ქა ი მიჟ ჟი **ღეკლათხე ღნსე** ეზარდ. (სვან. ენ. ქრესტ. 1978:151). „აღბათ დაღლილ-

დაქანცული ვიყავი და მეორე დღეს რომ გამოვიდი, გავიხედე და მზე უკვე კარგად ამოდლებული იყო.

11. ფაგოს ღმცე ოთხნარ ი ხაქე: “ძღვდ ესერ დალ ლახქადა დჳე ი სკივრჳლ ესერ ჩუ **ლეცვრე ხარ**. ჩინ **მაჩნე** ესერ **ჯა მნდ ლი** დეც ლგფარ ჩუქჳნ, **მაჩნე ესერ ლი** ნჳშდგები, ღმჳერ, თველ ი ბაჟ”. (სვან. ქრესტ. 1978:154).

„ფაგოს სიცილი წასკდა და უთხრა: ძალზედ შეგეშალაო; დევი და სკივრები დასატოვებელი გაქვსო. ყველაზე უკეთესი მე კი არ ვარო ცისქვეშეთში, საუკეთესო არისო მშვიდობა, გაგება-მიხვედრილობა, გონიერება და გრძნობა.”

12. **ლგწჳე** ესერ **ლიხ** მჳგ კნსარჳა (სვან. ქრესტ. 1978:165).  
“დაპატიუებულნი არიანო ყველანი კეისრისანი”.

13. გვგო **მარე როქე ლი**, მარე ამჳი ჰნბს იცჳდი, ეჩნ ლარდა ი ქვეყანა **განჯეთ** ესერ **ლიხ**. (სვან. პროზ. ტექსტ. I გვ. 31).  
„გუგული კაცი არისო, მაგრამ ასე იცვლისო იერსახეს, იმისი სამყოფი და ქვეყანა განჯეთი არისო”.

14. იმჳა **მუჩტმე** დენ **ხი**, ბაჟდ ადე ი ცტჳიდდ ი უმქადნად ნომ ღმხენდრჳრჳნა ალაძგ მესტჳფელ ი მეზტბელ; (ექსპედ. მასალ.) „რისი ჩამდენი//მკეთებელი ხარ კი მაგრამ, აზრზე მოდი და ტყუილუბრალოდ არ მოიმდურო ამდენი თანასოფლელი და მეზობელი”.

15. **ლაკლბეტარჳლი** ზეჳიმ ღმსტ. ნამჳარან სგლგნი ნაზიმ, ნაკლათხან ტედრად ხოკლათხა, უმხუნარჳი ღგწკტად დემდ-დემდ სგლგინ ერ ათსკღღნ (ექსპედ. მასალ.) „ყალიბებიც ხისა იყო. სიგანით სულგუნის ზომისა, ვედროზე უფრო მაღალი, ერთმანეთზე დაწყობილად ათ-ათი სულგუნი რომ დატეულიყო“.

16. ჳრდი ღტატ ლი ღმყტლა ი ღმთიმ — ტევიმ ი ითჳი ღმთიმ (ექსპედ. მასალ.) „გრძელი ხელკეტი არის გამყოფი და გასარჩევი – მარცვლისა და ბზის გასარჩევი“.

17. ღმსტხ ზოჩა ღაცლა-ღამგტა, უმხუნარჳ თხტიმ ხნდხ ნთირტ ღმშდლჳი (ექსპედ. ასაღები); „იყვნენ კარგი მეგობრები,

ერთმანეთის თავი გაცნობილი ჰქონდათ ომიანობის დროს“.

18. **ლაცლა-ლამგუა ექვრდა ლჰსტუხ გუნ ლგვმანში ი ხოჩა ლამარგ მახელტაჟჰარ** (ექსპედ. მასალ.) „მეგობრები ორივენი იყვნენ ძალიან ძლიერები და დიდად ვარგისი ვაჟკაცები“.

19. **დერთჰ განსაკუთრებულდ მონწიშმ ოჯახარ აჯალ ჟრ-დ-ხნტხახ ი სამინ ქნდ ხალრალუნახ** (ექსპედ. მასალ.) „ღმერთის განსაკუთრებულად მორწმუნე ოჯახები კიდევ დააბრუნებდნენ და სამჯერ კიდევ ამღერებინებდნენ“.

მეგრულ-ლაზურსა და სვანურში შემასმენელის სახეობებზე დაკვირვების საფუძველზე შეიძლება ითქვას: ქართველურ ენებში გვხვდება შემასმენელის სამივე სახეობა: **მარტივი** (ზმნის პირიანი ფორმით გადმოცემული) **შედგენილი** (პრედიკატივითა და კოპულით ანუ ბრუნებადი სახელადი ნაწილთა და მეშველი ზმნით) და **რთული** (ფრაზეოლოგიური, ბივერბალური, პარონომაზიული). განსხვავებით სალიტერატურო ქართულისაგან ქართველურში არ გვხვდება შეკვეცილი სახე შედგენილი შემასმენლის ზმნური ნაწილისა. სტრუქტურა და აღნაგობა შედგენილი შემასმენლისა თითქმის იდენტურია ყველა ქართველურ ენაში. ქართველური ენებისათვის სპეციფიკური IV სერიის ფორმები აქტიურად მონაწილეობენ და ხშირად გვევლინებიან შედგენილი ზმნა-შემასმენლის როლში. სხვაობა შეინიშნება თანამედროვე ცოცხალი მეტყველებისა და თითქმის საუკუნის წინ ჩაწერილი სვანური, მეგრული, ლაზური ტექსტების მონაცემთა შედარების თვალსაზრისითაც.

**§6. სხვადასხვა ტიპის ქართველური ზმნა-შემასმენლის სინტაქსური დამოკიდებულება ქვემდებარესთან (მართვა):** წყვილის წევრებს შორის ენაში შემუშავებული წესების შესაბამისად დამყარებულ კავშირს სინტაქსური კავშირი

ჰქვია. ყოველი სინტაქსური წყვილი ერთმანეთთან წესიერად დაკავშირებული ორი წევრისაგან შედგება. წყვილის წევრთა სინტაქსური ურთიერთობა დაქვემდებარებითია (ქვეწყობითია). ფორმის მიხედვით ერთი მათგანი წამყვანია, მთავარია, მეორე – დაქვემდებარებული, ანუ ერთის (დაქვემდებარებულის) ფორმა დამოკიდებულია მეორის (წამყვანის) ფორმაზე, ზოგჯერ შინაარსზეც: ჩვენ ვწერთ, ზმნა მრავლობითშია, მაგრამ არა იმის გამო, რომ ნაცვალსახელი ჩვენ მრავლობითში დგას, არამედ იმ მიზეზით, რომ ამ ნაცვალსახელის შინაარსი მიუთითებს მრავალზე. მაგრამ: ბავშვები მოვიდნენ. აქ ზმნა მრავლობითშია იმის გამო, რომ მრავლობითში დგას მასთან შეწყობილი სახელი. ე. ი. ამ ზმნის მრავლობითობას განსაზღვრავს სახელის მრავლობითის ფორმა. მსგავსად პირველი მაგალითისა (ჩვენ ვწერთ), ზმნის ფორმას (ამჯერად პირს) განსაზღვრავს სახელის შინაარსი: კაცი მოვიდა. ზმნა სახელს მესამე პირში ეწყობა, რადგან ამ სახელს მესამე პირის ნაცვალსახელი შეეფერება, იგი მესამე პირის შინაარსისაა. ფორმა პირისა კი სახელს არ შეიძლება ჰქონდეს, სახელს პირის კატეგორია არ გააჩნია.

სინტაქსური შეკავშირების სახეებია: შეთანხმება, მართვა და მირთვა. მართვა ჰქვია სიტყვათა ისეთ სინტაქსურ დამოკიდებულებას, როდესაც ერთი სიტყვა მოითხოვს მეორისაგან ისეთ ფორმას, რომელიც მას არ გააჩნია საერთოდ, ან არა აქვს (არ შეიძლება ჰქონდეს) მოცემულ შემთხვევაში. იმ სიტყვას, რომელიც მართავს, მმართველი ეწოდება, იმ სიტყვას კი, რომელიც იმართვის, მართული ჰქვია. წყვილში: **ტყის ჰაერმა** მთავარი სიტყვაა **ჰაერმა**, **ტყის** კი მასზეა დამოკიდებული. სიტყვამ **ჰაერმა** რომ ბრუნვა იცვალოს, დამოკიდებული (**ტყის**) მაინც ნათესაობითში დარჩება. **ტყის ჰაერს**, **ტყის ჰაერის**, **ტყის ჰაერით...** მაშასადამე, მთავარი სიტყვა დამოკიდებულს



მოითხოვს ნათესაობით ბრუნვაში (მართავს ნათესაობით ბრუნვაში). ჰაერმა მმართვეია, ტყის – მართული. ქართულში გვაქვს მართვის შემდეგი შემთხვევები: სახელი მართავს (ე. ი. მოითხოვს) სახელს ბრუნვაში: **ხის სახლი, მეგობრის წიგნი**. სახელზმნა მართავს სახელს ბრუნვაში: **ხის მოჭრა, ხის მჭრელი**. ზმნა მართავს სახელს ბრუნვაში: **ბავშვი იძინებს, ბავშვმა დაიძინა, ბავშვს დაუძინია, ბავშვს მოიყვანენ, ბავშვს შეხედებიან...** უფორმო სიტყვა (თანდებული, ზმნიზედა თანდებულის მნიშვნელობით) მართავს სახელს ბრუნვაში: **მდინარე-(ს)-ში** ბანაობს, **მაგიდა-(ს)-ზე** ძევს, **მდინარის გაღმა** ცხოვრობს... სახელი მართავს ზმნას პირში: **ბავშვი (ის) სწავლობს, ბავშვი (შენ) სწავლობ, ბავშვი (მე) ვსწავლობ**. ე. ი. ზმნის პირი დამოკიდებულია იმაზე, თუ რომელი პირი იგულისხმება სუბიექტად წარმოდგენილ სახელში.

ქართულში ზმნის პირში მართვის უნარი, გარდა სუბიექტისა, აქვს ობიექტურ პირებსაც: **მ-ხატავს მე, გ-ხატავს შენ, ხატავს მას**. ზმნა პირში მართულია პირდაპირი ობიექტის მიერ. ამ შემთხვევაში კი: **მ-ი-ხატავს მე, გ-ი-ხატავს შენ, უ-ხატავს მას**, ზმნას მართავს ირიბობიექტური პირი. სუბიექტად წარმოდგენილი სახელის მიერ ზმნის პირში მართვას ზოგჯერ შეთანხმებად მიიჩნევენ. მაგ.: **ბავშვი წერს, სახლი დგას**. მართალია, აქ ზმნის პირი სახელის მიერაა განსაზღვრული, მაგრამ იგი დამოკიდებულია არა სახელის ფორმაზე (ფორმაზე რომ იყოს დამოკიდებული, მართლაც შეთანხმება იქნებოდა), არამედ მის შინაარსზე. შეთანხმება წყვილის წევრთა შორის ზიარი კატეგორიის არსებობას გულისხმობს, კატეგორიისა, რომელშიც შეთანხმების შემთხვევაში ორივე სიტყვა დგას: მათანხმებელიც და შეთანხმებუელიც. რა თქმა უნდა, მათანხმებლის გავლენით, მაგრამ სახელს ქართულში არა აქვს პირის გრამატიკული კატეგორია, ე. ი. იგი არ

იცვლება პირის მიხედვით. ამიტომ მას არც იმის უნარი აქვს, რომ ზმნა შეითანხმოს ამა თუ იმ პირში. მაშასადამე, სახელის მიერ ზმნის მოთხოვნა იმ პირში, რომლის მხოლოდ შინაარსი გააჩნია სახელს, მართვაა და არა შეთანხმება. სიტყვათა დაქვემდებარება ორგვარია: ცალმხრივი და საურთიერთო. ცალმხრივია დაქვემდებარება, როდესაც წყვილის ცალთაგან ერთი გაბატონებულია, მეორე – დაქვემდებარებული. დაქვემდებარებული ვერ ახდენს გავლენას პირველის ფორმაზე. მაგალითები: **ახალი წიგნი, ამხანაგის წიგნი...** აქ დაქვემდებარებული სიტყვები **ახალი და ამხანაგის** ( პირველი შეთანხმებულია, მეორე – მართული) გავლენას ვერ ახდენენ გაბატონებული სიტყვის – **წიგნის** ფორმაზე.

საურთიერთოა დაქვემდებარება, როდესაც წყვილის ცალეები ერთმანეთზე ახდენენ გავლენას. ისინი ერთმანეთის მიმართ დამქვემდებარებლებიც არიან და დაქვემდებარებულებიც. საურთიერთო, ჩვეულებრივ არის მართვა. ავიღოთ ორი სინტაგმა: **სტუდენტები სწავლობენ და სტუდენტებმა ისწავლეს**. პირველ შემთხვევაში სახელი **სტუდენტი** ითანხმებს ზმნას (**სწავლობენ**) მრავლობით რიცხვში და მართავს მესამე პირში. და, პირიქით, ზმნა **სწავლობენ** მართავს სახელს (**სტუდენტები**) სახელობით ბრუნვაში. ასევეა მეორე შემთხვევაშიც (**სტუდენტებმა ისწავლეს**), ოღონდ იმ განსხვავებით, რომ სახელი ზმნის მიერ მართულია მოთხრობით ბრუნვაში, რადგან გარდამავალი ზმნა მეორე სერიის წყვეტილის მწკრივში დგას. საურთიერთო მართვა გვაქვს წინადადების მთავარ წევრთა შორის, ცალმხრივი კი მთავარსა და არამთავარ ან თვით არამთავარ წევრთა შორის. საურთიერთო მართვა კოორდინაციის სახელითაც არის ცნობილი. ქართული ზმნის ერთ-ერთი მთავარი თავისებურებაა მისი მრავალპირიანობა, რითაც იგი მნიშვნელოვნად განსხვავდება სხვა

ენებისაგან. ქართულ ზმნაში აფიქსებით შეიძლება გამოიხატოს არა მხოლოდ სუბიექტური პირი, არამედ ობიექტურიც. თავის მხრივ ზმნას შეუძლია მართოს როგორც სუბიექტის, ისე ობიექტის ბრუნვა. ეს ვითარება განაპირობებს ქართული ენის სინტაქსურ თავისებურებას, რომელიც კოორდინაციის სახელითაა ცნობილი. წინადადებაში: მასწავლებელი აქებს მოსწავლეს – ორივე სახელის ბრუნვას მართავს ზმნა; ორივე სახელი მართავს ზმნის პირს, მაგრამ რიცხვში ზმნას მხოლოდ სუბიექტი ითანხმებს. სუბიექტის ხვედრითი წონა, რა თქმა უნდა, აქ მეტია ობიექტისაზე. ამგვარ ქართულ წინადადებაში მხოლოდ მმართავი ან მხოლოდ მართული წევრი არ მოიპოვება: მმართავი ერთი ნიშნის მიხედვით მართულია მეორის მიერ სხვა ნიშნის მიხედვით: ზმნა მართავს სახელის ბრუნვას, მაგრამ მისი პირი იმართვის სახელისაგან, ზმნის რიცხვის ფორმაც განაპირობებულია სახელის მიერ. არნ. ჩიქობავას აზრით, ამგვარ ქართულ წინადადებაში არსებულ სინტაქსურ დამოკიდებულებას მართვა – ცნება ვერ გამოხატავს. აქ საქმე გვაქვს ურთიერთ მართვა-შეთანხმებასთან ანუ კოორდინაციასთან. კოორდინაცია ლათინური სიტყვაა, ნიშნავს „თანაწყობას“, „თანადალაგებას“, ერთმანეთთან შეწყობას (არნ. ჩიქობავა). ზმნა – ძირითადი კოორდინაცია, კოორდინაციის ცენტრი. მასში აისახება კოორდინაციის სხვა წევრების: ქვემდებარისა და დამატება-ობიექტების გრამატიკული ფორმა თუ შინაარსი, გარდა დამატების რიცხვისა. ერთი მათგანი (მასწავლებელი) დიდი კოორდინაცია (მას ქვემდებარის ადგილი უჭირავს), იგი მართავს ზმნის პირს და ითანხმებს მას რიცხვში. მეორე სახელი (მოსწავლეს) – მცირე კოორდინაცია (ის დამატების ადგილას გვევლინება). იგი მართავს ზმნის პირს, მაგრამ ვერ ითანხმებს ზმნას მრავლობითში (არნ. ჩიქობავა). კოორდინაციის სისტემა

სინტაქსში შედგეია ზმნის მორფოლოგიური თავისებურებისა – ორპირიანობისა. ორპირიანი გარდამავალი ზმნის არსებობა ქართულში იძლევა კოორდინაციას სინტაქსში (არნ. ჩიქობავა).

როგორც ცნობილია, ტერმინი სინტაქსი მომდინარეობს ბერძნული სიტყვისაგან, რაც ქართულად შედგენას ნიშნავს. სინტაქსი არის გრამატიკის ნაწილი, რომელიც შეისწავლის წინადადების ტიპებს და წინადადებაში სიტყვათა შეკავშირების წესებს. იგი არკვევს, რა და რა ტიპის სიტყვები შეიძლება შეეწყოს ერთმანეთს, რა სახის ურთიერთობა შეიძლება დამყარდეს მათ შორის და რა დანიშნულება აქვს ამა თუ იმ სიტყვას წინადადებაში. სინტაქსური ერთეულებია: წინადადება, წინადადების წევრი და სინტაქსური წევრი (სიტყვათა შეკავშირება). წინადადება ჰქვია სიტყვას ან სიტყვათა ორგანიზებულ შენაერთს, რომელიც დასრულებულ აზრს გამოხატავს. წინადადება ძირითადი სინტაქსური ერთეულია. სრულმნიშვნელოვანი სიტყვა წინადადებაში სხვა სიტყვასთან დაკავშირებისას წინადადების ნაწილია, მას წინადადების წევრი ჰქვია. წინადადების წევრი უმცირესი სინტაქსური ერთეულია. წინადადების წევრი სრულმნიშვნელოვანი მეტყველების ნაწილებით გადმოიცემა. ამიტომაც იგი, ჩვეულებრივ, კითხვაზე უპასუხებს. არასრულმნიშვნელოვან სიტყვას (კავშირი, თანდებული, ნაწილაკი, შორისდებული), თუ იგი თავისი პირდაპირი მნიშვნელობითაა ნახმარი (გაუარსებითებლად), წინადადების წევრობა არ შეუძლია. მრავალწევრიან წინადადებაში რომელიმე წევრი იმავე წინადადების ერთ ან რამდენიმე წევრს შეიძლება უკავშირდებოდეს. ორი წევრი, ერთმანეთთან დაკავშირებული, სინტაქსური ერთეულია, რომლის ნაწილებიც ერთმანეთს შეეფერება როგორც მნიშვნელობით, ისევე ფორმითაც. რადგანაც ეს ერთეული ორი წევრისაგან შედგება, მას

სინტაქსური წყვილი ანუ სინტაგმა კჰვია; მარტივ წინადადებაში იმდენი წყვილია, რამდენი წევრიცაა ერთის გამოკლებით (ლ. კვაჭაძე).

**მეგრულში** ქვემდებარის ბრუნვა გარდამავალ ზმნა-შემასმენელთან ქართულისებურია:

1. ფილუკა **ზღვაქ** სოგიდენი **მიდეღუ**. „ნავი ზღვამ სადღაც წაიღო.“ (ყიფშიძე, 1994: 209).
2. უკუელინეშე **მიდართ** ოგურაფუშა ოშქარ **ჯიმაქ**. „შემდეგ წავიდა სასწავლებლად შუათანა ძმა“ (ყიფშიძე, 1994: 211).
3. **ბოში** ვითოჟირი ბაღანეფიწკმა **ნოლაგეაფუე**. „ბიჭი თორმეტ ბავშვ(ებ)თან თამაშობდა თურმე“ (ყიფშიძე, 1994: 216).
4. **პაპაქ** შქასერს **ქიმურთ?** დიაკონიში ოგვილუშა. „მღვდელი შუაღამეს მივიდა დიაკონის მოსაკლავად“. (ყიფშიძე, 1994: 213).
5. თურმე **ჩქი მითნობხვეთ** ცხენიში დუს. „თურმე ჩვენ ვისხედით ცხენის თავში.“ (ყიფშიძე, 1994: 226).
6. **მუმუელქ ჩხომო გინირთ** დო წყარს ქიდენასხაპე. „მამალი თევზად გადაიქცა და წყალში ჩახტა.“ (ყიფშიძე, 1994: 214).
7. **ჩქი ვორდით** სუმენეჩი **ჯიმაღეფი**. „ჩვენ ვიყავით სამოცი ძმები.“ (ყიფშიძე, 1994: 226).
8. ჩქიმი **ჯიმაღეფი** ჩქიმდე უმოსი **ძალიერი რდეს**. „ჩემი ძმები ჩემზე მეტი ძლიერები იყვნენ.“ (ყიფშიძე, 1994: 226).
9. ართი ძალამი ღარიბი კოჩიში **სქუა ომბოლი ქოცგოფე**. „ერთი ძალიან ღარიბი კაცის შვილი ობოლი ყოფილა.“ (ყიფშიძე, 1994: 229).
10. **მა** იშენი ანწი **რჩინგ ვორექე**... „მე მაინც აწი მოხუცი ვარ.“ (ყიფშიძე, 1994: 260).
11. ე **ბოშიქ** იღგ იღგ .. დო მუში მახორობაშა ქე მორთენი, ხორუას **ხე ქიმეთხე** „ბიჭმა იარა, იარა და თვის სახლში რომ მივიდა. ხელი მოკიდა კარ-მიდამოს.“ (ყიფშიძე, 1994: 227).

12. დემიშ ოჯახი გიიტუუ ბადიდიქ დო სოშას (ბადიდის) შური უდგდენი, თი დემიშ ყუდეს სქიდ?დ?„დევის სახლი დაიტოვა მოხუცმა და სანამ სული ედგა დევის სახლში რჩებოდა.” (ყიფშიძე, 1994: 247).
13. ათე ცორას გურქ ქუმურთ დო.. „ამ გოგოს გული მოუვიდა და...” (ყიფშიძე, 1994: 254).
14. დიო კოჩიში ხორუაშა (სანარტიას) თოლი ვე მუუგამუ „ჯერ კაცის სახლობისთვის თვალი არ მოუკრავს.” (ყიფშიძე, 1994: 261).
15. (ჩქი) უჯგუ მიდაბრთათი გვალაშა.. „სჯობს წავიდეთ მთაში..” (ყიფშიძე, 1994: 260).
16. მუს თხულენა თინეფინ, თინა (ჩქი) მოკონა ვარჩიათ, მარა მუთუნნერო დუთქ ვეგმადგინესია... (ხუბუა, 1937: 87). „რას ითხოვენ ისინი, იმას გვინდა მივხვდეთ, მაგრამ ვერაფრით თავი ვერ დაგვიდგამსო.”
17. იმენდი რე სი ვამიწყინენქ ჩქიმი ჩილათას დო იმენდი რე ქომიწინქიე – მუქურდ გიგასიზმარ ბადანობასიე? (ხუბუა 1937: 58),„იმედია არ მიწყენ ჩემს შეცდომას და იმედია მეტყვი – რა დაგესიზმრა ბავშვობაშიო.”
18. დურათ ვა დურე, მარა აურეშე ეკულა მუთუნც ვეშულებ უმეხვარებუო (ხუბუა 1937: 97),„სიკვდილით არ მომკვდარა, მაგრამ აქედან ამოსვლა არავის შეუძლია დუხმარებლად.”
19. რაგადით მა რდ ფთქვინ, მარა მუშო გოკო სქანი დიდა სორენ გინქ დასა, იშა სი მუთა გალოლე. (ხუბუა 1937: 98) „თქმით მე ვთქვი, მაგრამ რად გინდა დედაშენი სად არის იცოდე, იმას შენ ვერაფრით დაეხმარები.”
20. ირკოს გუკვირდ: ჭვილი დადული დო მუმულქ მუჭო ოკო გეთელას დო რაგადით ქიჩიასიე. (ხუბუა 1937: 63). „ყველას გაუკვირდა: შემწვარი დედალი და მამალი როგორ უნდა გაცოცხლდეს და ლაპარაკით ალაპარაკდესო.”

**ლაზურში** ქვემდებარისა და დამატების ბრუნვები გამარტივებულია: გარდამავალი ზმნა-შემასმენლის ქვემდებარე მოთხრობითში დაისმის, დამატება-სახელობითში დრო-კილოთა ყველა სერიაში. ასეთი წყობა სპეციალურ ლიტერატურაში მეორეულადაა მიჩნეული. ორპირიან გარდაუვალ ზმნა-შემასმენელთან ქვემდებარე ჩვეულებრივ სახელობით ბრუნვაშია, თუ ზმნა ინვერსიული არ არის. მაგრამ იშვიათად გვხვდება მოთხრობითშიც მეგრულის მსგავსად. ლაზურის სინტაქსური თავისებურების განვითარება ისე წარიმართა, რომ სახელობითმა დაუთმო მოთხრობითს სტატიკური ზმნების გარკვეულ წყებასთანაც.

1. ავჯი **ბერექ** სერი დო ნდღაღერი ჰა მტკორი ბერეს ოპარამითუ **დოგურამტუ-დორენ** (დიუმეზ., 126). ბერექ დოგურამტუ-დორენ „ბიჭი (ბიჭმა ასწავლიდა-თურმე) „მონადირე ბიჭი ღამე და დღეები ამ ტყიურ ბიჭს ღაპარაკს ასწავლიდა თურმე”

2. **ხამალიქ** კადი **ეზღუ-დონ დო ქოდოსუ-დონ** (დიუმეზ., 80). „მუშას (მუშამ) ყადი წაუღია და დაუმარხავს”

3. **ვეზირეფექ** ხოლ მუთ ნა ვარ **ოხაწონეს**, უწვეს(დიუმეზ., 60). „ვეზირებმა ისევ ვერაფერი რომ ვერ გაიგეს, უთხრეს.”

4. ავლის მთელ მემლექეთიმ **კონეფ ქოკიბღეს-დორტუნ** (დიუმეზ., 46). „ეზოში მთელი ქვეყნის ხალხი შეკრებილიყო.”

5. ჰემსერის **ფადიშაჰ დიზაბუნუ** (42). „იმ საღამოს ფადიშაჰი დაავადდა.”

6. მასუმან წანას ჭუტა **ბერე** ფადიშაჰიშა **იდუ** (62). „მესამე წელს უმცროსი ვაჟი ფადიშაჰთან მივიდა.”

7. საატ არის **კადი ქომოსთუ-დონ** (78) „საათის პირველზე ყადი მოსულა.”

8. **ბადი** ნოღაშე **ნულუტუ**(154) „ბერიკაცი ქალაქში მიდიოდა.”

9. **ქჩინიქ-თი ქეისელუ-დორტუნ** (172). „დედაბერიც (დედაბერმაც) ამღვარიყო.”

10. კაი **ჯოდორიქ** მცუდიში **ვარ ლალუფს**. (ხალხური სიბრძნე, 222) „კარგი ძაღლი ტყუილად არ ყეფს.“
11. **ბერექ** **ვარ იმგარიშა**, ბუძი ვარ მეჩაფენ (ხალხ.სიბრძ. 204). „სანამ ბავშვი არ იტირებს, ძუძუს არ მისცემენ“ (ბავშვმა იტირამდე).
12. ჰამ სეჭის ხოლო კატა **ბოზოფე მენდახო** (170). „ამჯერადაც ყველა ქალიშვილი (ქალიშვილები) წავიდა.“
13. **კოჩიფე** ხოლო **გოკიკათეს** (248) „კაცები ისევ შეიკრიბნენ.“
14. **ბოზო კისმეტ-სქანი რენ** (46). „ქალი შენი ბედია.“
15. ჰე **ქინი** ფერიში **ოხორჯა ტუ** (172). „ეს დედაბერი ჯადოქრის ცოლი იყო.“
16. ბიჭი **ბერე** ოჯადიში **მალი რენ** (ხალხ. სიბრძ.205.) „ვაჟიშვილი ოჯახის სიმდიდრეა“
17. კოჩიში **იარდუმჯი** ხოლო **კოჩი რენ** (ხალხ. სიბრძნ.227) „ადამიანის მშველელი ისევ ადამიანია“
18. **ბოზოქ** ხოლო ნენა **უარ ეშიდუ** (170). „გოგონამ ისევ ხმა არ ამოიღო (ენა არ ამოიღო).
19. **და დო ჯიმაქ** ართიმაჟირას **გური გუნდუმელან**. „და და ძმა (ძმამ) ერთმანეთს ამხნევებენ (გულს გაუდნობენ).
20. **ბერექ** ოკითხუთენ **თის იტახუფს**. „შვილი სწავლით თავს იტეხს“.
21. **ბერეს** ართიმენ **აშქუინასინო** (ხალხ.204) „ბავშვს ერთის უნდა ეშინოდეს“
22. **ჯინეფექ დო ბოზოქ** მუნთხა **თქვანორენ**, უფის ვარ იგნეტუ (დიუმეზ.30) „ჯინებს და ქალიშვილს (ჯინებმა და ქალიშვილმა) რაც უნდა ეთქვათ, ყურში არ ისმოდა.“
23. **ბერეს** დოქთიმუ **ვარ უნტუ** (დიუმეზ. 20) „ვაჟს დაბრუნება არ უნდოდა.“

ზმნური რთული შემასმენლის მეორე კომპონენტი, რომელიც ქართულში კავშირებითი მეორით ან თურმეობითი მეორით გადმოიცემა, ჭანურში მასდართაა წარმოდგე-



ნილი (კიზირია,128). ლაზურში „უნონ“(უნდა) ზმნა კავშირე-ბითის ფორმას დაერთვის, როგორც მეშველი ზმნა ხოფურ კილოკავში, ვიწურ-არქაბულსა და ათინურ-ართაშენულში მის ადგილას გვხვდება ერე(ნ)//ორე(ნ) //რე(ნ)//ე(ნ)(=არის). იცის ზმნა ზანურში უჩქუ(ნ)//უჩქინ, ერთი მხრივ, ნიშნავს „უჩანს“-ს, მეორე მხრივ -,იცის-ს. მაგალთად მეგრულში: ცირას ირფელი უჩქუ. „ქალიშვილმა ყველაფერი იცის.“ ლაზურად: ბოზოს ქუჩქინ. „გოგომ იცის“. მეგრულ-ლაზურში დაკარგულია ც-ს შესატყვისი ჩ ძირი და დარჩენილია ჩქ. ჩქუნ/ჩქინ საობიექტო ქცევის ნიშნებით გვაძლევს ზმნას მ-ი-ჩქუნ, გ-ი-ჩქუნ, უ-ჩქუნ (ვიცის მნიშვნელობით) და ამიტომ ქვემდებარეს მართავს მიცემით და არა მოთხრობით ბრუნვაში. მეგრულსა და ლაზურში ქვემდებარის ბრუნვა დამოკიდებულია წინადადებაში წარმოდგენილ რეალურ ზმნა-შემასმენლზე, იქნება ეს მარტივი, შედგენილი თუ სხვა ტიპისა. მაშასადამე, შემასმენელი, კერძოდ, მისი ზმნური ნაწილი მართავს ქვემდებარეს ბრუნვაში.

**სვანური:**

1. ალ ციცულდ **ამნემდ** ღულწრჟი ესსგურე ი ლიფწმტე ოხბინე (სვან. ენ. ქრესტ. 1978:163) – „ეს კატა (=კატუნა) ამან კალთაში ჩაისვა და მოფერება დაუწყო“.
2. ბოფშწრ ლეებლყწჩლექტა **ხ-ელდედ-ხ** ესწწრ **ნელშტგლწრ-ს** ი **ჟინდგლდწრ-ს**(ექსპედ. მასალ.) „ბავშვები მურყნარში მწყემსავენ თურმე თიკნებსა და ბატკნებს“. მაჭტრწნე **მუხტბე** სვა **ლოხგუდირდა რწშილდ-ს** ი ეშხტი ლგზწდ ლწსტ. (სვან. ენ ქრესტ. 1978:160) – „უმცროსმა ძმამ ხელი მოჰკიდა რაშს“.
3. კწრშწრშწრ **დაჟწრ-ს** მამაგტემ **ხოხალდახ** ამწმ ი ეშწდგმბაჟეს (სვან. ენ ქრესტ. 1978:66) – „კირშაანთ მამაკაცებმა (=მამაკაცებ-ს) არაფერი იცოდნენ ამის შესახებ და ძალზედ გაიკვირვეს“.

4. აღ დორი თემი ტენდილდ გარ **ოთსყახ** მინე **მესფელა-ს** (სვან. ენ ქრესტ. 1978:66) – „ეს ორი თემი ძლივ-ძლივობითღა შეურიგებიათ თავიანთ თანასოფლელებს“.
5. ათხე აშხუ ლენტ **ეცრი** **ოთარშერ** **ჯანსუხ-ს** ი მიჩა **ლახტბა-ს** დურეტ **ესტთიშახ** ი ჩტათშეგებას ფართე, ამეჩუნ ქ'ოხმეკრახ ი დიგორხან ი მიჩა ფამლი დინწლ მურ-ყუამთეჟენ ამჩედღელის ღატტთე (სვან. ენ ქრესტ. 1978:67) – „ერთი ღამითაც ეცერელ ოთარაანთ ჯანსუღს და მის ძმებს დრო შეურჩევიათ და მივარდნილან ფარში, აქ კი ეს შეუტყვიათ და დიგორხანი და მისი მოახლე გოგოები კოშკზე ასულან ღტოლვილებად“.
6. **აღაღრ-ს** **ათჩონხ** გუნ (სვან. ენ ქრესტ. 1978: 162) – „ამათ გუღიანად (ძალიან) გაეცინათ“. ქწმ ღაკირცახან **მერდალა-ს** ჰარყი ნჭუმუნ მასწრდ **ხუღტუხ**, **ეჯაღრ-ს** ი **ხარხ** ღიხნორულ ი ხოჩა ღარდა (სვან. ენ ქრესტ. 1978:108) – „გარეთ საკირესთან მყოფებს შეჭამანდი – არაყთან მისატანებელი ბლომად აქვთ და არიან ნადიმსა და დიდ მხიარულებაში“.
7. მერმა ღადღლ **მესტუფელა** ჩუ **ფხეჟნის** ი **ქორაშ** გარ ხაშდბა **ღაკრი** ღიშხის, მარე ობაშინ აჯად **კედნი-ხ** **მუმურჯუა** ი ეჯაღრ აჯადღლ **ხ-ომურჯუთი-ხ** ლელკირი **ლახნჩხა-ს**. (სვან. ენ ქრესტ. 1978:108) „მეორე დღეს თანასოფლელები დაიშლებიან და მხოლოდ ოჯახის წევრები მუშაობენ საკირესთან, მაგრამ დამხმარეები კვლავაც მოდიან და ისინი ისევ ეხმარებიან საკირე მასალის დახერხებაში“.
8. ძეს-ძეს, ხოშა ნალაღლ ნალენტან, ქწმ მერდე მწრას **ხეწენი**, ერე მგღღღ დეცე ღაკვრა **აღკარღლას**. (სვან. პროზ. ტექსტ. IV. 1979:17) „ხანდახან, უმეტესად ღამღამობით, გარეთ მყოფ ადამიანებს ეჩვენებათ, რომ თითქოს სარკმელი ცისა გახსნილიყოს“.

9. დეცე ლაჯვრნ ლიკრენის დერვანდ ლოქ **ჟენბაჟნე**, ეჩქა იმეანდ ლოქ **ესვადნე**, ეჯი ლოქ **ხეედი**. (სვან. პროზ. ტექსტ. IV. 1979:17) „ვინც ცის სარკმელის გახსნას შეიგრძნობს და იმ დროს რასმე ინატრებს, ის აუხდებაო“.

10. სვადს ლოქ **ხოწვა** დეცე ლაჯვრნ ლიკრენი, მარე ვადი ლივდი დალ დესა **ლასშყედახ** ი ეჩანლო **ღემდედრინს**, მარა მანდღრს სგა ლოქ დეშერ ხედანლ ეჩანლო. (სვან. პროზ. ტექსტ. IV.1979:17) „თურმე ბევრს უნსახავს ცის სარკმლის გახსნა, მაგრამ ნატვრა (ნატვრის დანატრება) აღარ გახსენებიათ და მერე ნანობდნენ თურმე, მაგრამ მონანიებას/ სინანულს უკან ველარ დაეწევი“.

11. დეცე ლაჯვრნ ლიკრენის ბედნიერ მარე ლოქ **ხეწდენი**, ოლო აშ იშგენ მოცალ მარე დეშ ლოქ **ხეწდენი**. (სვან. პროზ. ტექსტ. IV.1979:17) „ცის სარკმლის გახსნას თურმე ბედნიერი კაცი თუ იხილავს, თორემ ისეე უბრალო მოკვდავნი კი ველარ ნახვენო“.

12. არაკდ **ხუღვას** ლაგერგალუი, ხონა გვეშ ერ ეს ხელკი, ერე ეჩის “დეცე ლაჯვრა ლოქ **ატკარტნა**, ეჩთან ბედნიერ მარე ლოქ ლი ი ეჩთან ხონა გვეშ ლოქ **ხაყრა**”(სვან. პროზ. ტექსტ. IV.1979:17) „ჩვეულებად/არაკად აქვთ საუბრისას/უბნობისას, ვინც კარგ საქმეში ჩავარდება, „იმას ცის სარკმელი გაეხსნაო, იმისთანა ბედნიერი კაცია და იმისთანა კარგი საქმეც შეემთხვაო“.

13. დეცე ლაჯვრა ლტოვშე ლოქ **იკრენი**, ილო ლადედეშ დანს ლოქ **ხასმა**(სვან. პროზ. ტექსტ. IV.1979:17) „სარკმელი ცისა ღამით იხსნება თურმე, აბა დღისით კი არავის სმენია მისი გაღება“.

14. ლიჯანის **ხეიბნედ** პირველ აპრილისა. **ხვაჯანიდ** დენწვიშშე, ათხე გუთანშე. ეჩანლო ჩუ ხვალაშიდ ი ჟი ხვიჯადიდ (სვან. პროზ. ტექსტ. III 1967:25) „ხენას ვიწყებთ პირველ აპრილს. ვხნავთ კავით, ახლა უკვე – გუთნით. მერე დავოქსავთ და გავფორცხავთ“.

15. **ხვალაშიდ** სიმინდს, კვეცენს, მანწმს, ქერს, ფბტვს, ღედერს, ლგსზბს, (//ნეცინ ღედერს). სიმინდს **ხვაჟგენედ** ჩიქე ეშხუდ, ღო მერბად. (სვან. პროზ. ტექსტ. III 1967:25) „ვოესავო სიმინდს, ჭვავს, ქერს, ფეტვს, მინდვრის ბარდას, “ღესაბს”(//წვრილ ბარდას); სიმინდს გაემარგეღავო ჯერ ეოთხელ, მერე – მეორედ“.

16. კვეცენს ღიჟგენე დესა ხაკუ, **ხუკედლ//ხვბთშიდ** ბალწხს – ნახერწველს (//ნაწგრხელს), მუსანყურის. მუსანყურის მუღვ **ხუღვა** ი კვეცენს **ადავშე**. (სვან. პროზ. ტექსტ. III 1967:25) „ხორბალს გამარგეღა არ უნდა, ვუღებო (//ვარჩევო) ბალახს –სარევეღას და დიდ ხვართქღას. ზოგიერთ სარევეღას ყვავილიც აქვს და ხორბალს აფუჭებს“.

17. კვეცენს ნაშტაქემ **ხვითიიდ**, უი **ხვბკენედ**, ჩუ **ხვუგემდ** ავს დაბისა, ეჩანღო სერ ჯანშე **წგეხო//წგხო//წგიხო**) **ხვიმაჯედ**, ქა **ხუშდედ** კალისკა, კვეირს **ხუბემდ** ი **ხვაკალწვიდ**. (სვან. პროზ. ტექსტ. III 1967:25) „ხორბალს ნამგლით ვიძკით, სარებზე ზვინებად დავღვამო ყანაში, მერე უკვე ხარებოთ შინისაკენ მოვეზიდებოთ, დავფენო, დავყროთ ეზოში, კვერს მოვაბამო და გავლეწავო“.

18. უი **ხვახორიეღედ** ნესკა კალისკა, ზურელწღ ფიწწღშე აბაბახს, ვეწ მოშ ღერღა ი კაკწღ ჩუ **სედენ** (სვან. პროზ. ტექსტ. III 1967:25) „მოვაგროვებო შუა ეზოში, ღეწვისას ქაღებო ოოოოთათი ფანტავღენენ, ბზე ცაღკე იყრებოღა (წვაიღოღა), მარცვაღი დარჩებოღა“.

19. კაკწღს **შიღახ** ღერცვიღხოღსა ი **წწმინდწვღახ**. ეჩანღო ღობრწღსა **ქწშყეღედღახ** (//ჩგწშყეღედღახ) (სვან. პროზ. ტექსტ. III 1967:25) „კაკაღს ჩაყრიღენენ საცვერში და წმინდღენენ. მერე გობში გარეცხავღენენ“.

20. მანწში წუწრს **ქწასტვიგეღახ**, **ევის** **ქწშხებღახ** ი ეჩეუი ქა **ხოშღახ** კაკწღს, ჩუ **იფროღ** ი **ჩვაშხვინიღახ** (სვან. პროზ. ტექსტ. III 1967:25) „ჭვავის წვეროებს დაანაწწნავებღენენ, მერე

შეკერავდნენ და იმაზე დაყრიდნენ კაკალს, გახმებოდა და შეინახავდნენ“.

21. სიმინდ ჩუ ერ იმგოლ (*//იმგოლ*), ნაშტაქვშ უი ხვიქაჩად, შტას ქა ხვწყჩად, ჯანშე აგხო ჯვიდად, აგის ჩუ ხვთშიდად, ეჩანლო ნწლიწხო შვიდად (სვან. პროზ. ტექსტ. III 1967:25) „სიმინდი რომ დამწიფდებოდა, ნამგლით მოვჭრიდით, ტაროს მოვტეხავდით, ხარებით შინ შემოვზიდავდით, სახლში გავარჩევდით, მერე ნალიაში ჩაყვრიდით“.

22. ნწლიწხა ჩუ იფროლ. ქა ხვაფურშკვინად, ლეგვერხო აგესუღვან ი ეჩე ქა ხვიგოვდად (*//ხვიგვევდად*) (სვან. პროზ. ტექსტ. III 1967:25) ნალიაში გახმებოდა. „მერე დაფვვშვნიდით, წისქვილში წავიღებდით და იქ დაფვქვავდით“.

23. ჩალს ჩუ ხვაქაჩად, უი ხვწკენად ი ხვააწოლდად (სვან. პროზ. ტექსტ. III 1967:25) „ჩალას მოვჭრიდით, შევკონავდით და ზვინებად დავდგამდით“.

ქართველურ ენათა საერთო ტიპოლოგიისა და ერგატიული კონსტრუქციის საკითხებში იდენტურობის მიუხედავად, ნიუანსური სხვაობანი და ცალკეული გამონაკლისები სვანურში, მეგრულსა და ლაზურში სახელის მიერ ზმნის პირში და ზმნა-შემასმენლის მიერ სახელის ბრუნვაში მართვის თვასაზრისით გამოიკვეთა. საბოლოო დასკვნების გაკეთება შესაძლებელი იქნება მხოლოდ მთელი ტექსტური კორპუსის დამუშავებისა და არა მხოლოდ მართვის, არამედ სინტაქსური შეკავშირების ყველა სახეობის, მათ შორის კოორდინაციის სიღრმისეულად შესწავლის შემდგომ.

**§7. ნაწილაკდართული შედგენილი შემასმენელი ქართველურ ენებში:** ზმნა-შემასმენელი ქართულსა და, შესაბამისად ქართველურ ენებში განსაკუთრებული სინტაქსური სიძლიერის გამო ხერხემალია წინადადებისა.

ამიტომაც იქცა ის ქართველ გრამატიკოსთა კვლევის პირველხარისხოვან ობიექტად მოყოლებული XVIII საუკუნიდან. შესაბამისად ზმნა-შემასმენელი ქართული ენის მორფო-სინტაქსის ერთ-ერთი ყველაზე უკეთ შესწავლილი უბანია, რასაც ვერ ვიტყვით ქართველურ ენათა შესახებ. მართალია, სვანურისა და მეგრულ-ჭანურის მასალების მიხედვით შემასმენელი განხილულია ანტონ კიზირიას მონოგრაფიაში “მარტივი წინადადების შედგენილობა ქართველურ ენებში”, უადრესად საგულისხმო მოსაზრებანი არის გამოთქმული სხვა სპეციალურ ნაშრომებშიც; მიუხედავად ამისა, ზანურსა და სვანურში ნაწილაკ-დართული შედგენილი შემასმენელი საგანგებოდ შესწავლის ობიექტი, შეიძლება ითქვას, არ ყოფილა. ჩვენი დაინტერესება აღნიშნული თემით სწორედ იმ სპეციფიკამ განაპირობა, რასაც ამ თვალსაზრისით ქართველური ენები გვთავაზობენ. საანალიზოდ აღებულია ყველაზე ადრინდელი გამოცემები – თითქმის ერთი საუკუნის წინ შეკრებილი და გამოქვეყნებული ტექსტები ლაზურისა, მეგრულისა, სვანურისა; ასევე ცოცხალი მეტყველების ნიმუშები და სხვადასხვა ექსპედიციებისა თუ სამეცნიერო გრანტების ფარგლებში მოპოვებული და ჩაწერილი მასალები... რიგ შემთხვევებში მოცემულია ცდა ადრინდელ ტექსტებში წარმოდგენილ და დღევანდელ სასაუბრო ენაში არსებულ ფორმათა ერთმანეთთან შედარება-შეპირისპირებისა. პასუხგასაცემი კითხვები მასალის დამუშავებისა და ანალიზისას შემდეგი სახით გამოიკვეთა: რაში მდგომარეობს მსგავსება-განსხვავებანი სალიტერატურო ქართულსა და ქართველურ ენებს შორის ნაწილაკდართული შედგენილი შემასმენლის სტრუქტურის, პოზიციის, შემადგენელ ნაწილთა რაგვარობისა, გავრცელებულობისა და, ზოგადად, გამოყენების სიხშირის თვალსაზრისით. შეინიშნება თუ არა თავისებურებანი ნაწილაკთა გამო-

ყენებისას; გვხვდება თუ არა ნაწილაკთა ე.წ. სპეციფიკური ფორმები ქართულთან მიმართებით განსხვავებული ნიუანსით; ოდენ ქართველურისათვის დამახასიათებელი მეოთხე სერიის მწკრივები თავიანთი სწორედ მეშველ-ზმნური სტრუქტურით რამდენად ხშირად გვევლინებიან ნაწილაკიანი შედგენილი შემასმენლის როლში. ქართულში შედგენილ შემასმენელთან უმთავრესად იხმარება ნაწილაკები: არ, ვერ, ნუ, -მეთქი, -თქო, -ო, ხომ, განა, ნუთუ, უნდა, ხოლმე, თურმე, იქნებ, ეგებ, ნეტავ, აკი, უკვე, ნეტავი, თითქოს, ვითომ, ბარემ... (ბასილაია, 1974, 100).

გვაქვს შემთხვევები რამდენიმე ნაწილაკის ერთდროულად დართვისა; რაც შეეხება პოზიციას, შესაძლებელია ორივე შემთხვევა – პრეპოზიციაც და პოსტპოზიციაც, რასაც ძირითადად განსაზღვრავს ნაწილაკთა ჯგუფი და სახეობრიობა. ქართველურ ენებში – მეგრულში, ლაზურსა და სვანურში, როგორც ეს საზგასმით არის აღნიშნული საენათმეცნიერო ლიტერატურაში (კიზირია, 1982,107-132) შედგენილი შემასმენელი, ძირითადად, ქართულისებური აგებულებისაა; კოპულად ანუ საერთად გამოყენებულია მეშველი ზმნები, სახელურ ნაწილად კი – სხვადასხვა მეტყველების ნაწილი – არსებითი, ზედსართავი, რიცხვითი, ნაცვალსახელი და მიმღეობა უმეტეს შემთხვევაში სახელობითი ბრუნვის ფორმით; ამიტომაც ნაშრომში აქცენტები ძირითადად ნაწილაკიან ფორმათა სპეციფიკასა და მათ სემანტიკურ ნიუანსებზე იქნება გადატანილი; მეგრულში შედგენილ შემასმენელთან შეიძლება შეგვხვდეს შემდეგი ნაწილაკები: ვა, ვე, ვარა, ხოლო, თურმე... მეგრულში ა-ს შესატყვის კითხვით ნაწილაკად გამოიყენება -ო, ლაზურში კი -ი. შდრ.: მეგრ.: მუშენქ “”მუშაობ.” – მუშენქო? ”მუშაობ?” ლაზ.: ჩალიშენქ “”მუშაობ” – ჩალიშენქი? “”მუშაობ?” კითხვითი -ი (=ქართ. -ა) და სხვათა სიტყვის -ა//ა (=ქართ. -ო) ნაწილაკები ლაზურში ასეთი

თანმიმდევრობით დაერთვიან ზმნას: ჯერ კითხვითი ნაწილაკია, შემდეგ კი – სხვათა სიტყვისა.

მაგ., გიჩქინ-ია? „იცით?“, ქომოხთუ-ია? „მოვიდაო“?. ამ მხრივ ლაზური ქართულის ხევესურულსა და თუშურ კილოებს უდგას გვერდით და სხვაობს მეგრულისაგან, სადაც ფშაურისებრი ვითარებაა: აქ სხვათა სიტყვის -ია // -ა ნაწილაკი უსწრებს კითხვით -ო-ს. შდრ.: გიჩქუნ-ია-ო? „იცით?“ ქომორთუ-ა-ო? „მოვიდაო?“ (კარტოზია, 2005:183).

### **მეგრული:**

1. ამდღა **ხოლო ვაორექ დარწმუნებული**, ნამდა ჩქიმ დიდას მიდუღეს ჩქიმი დუდინი. „დღესაც არ ვარ დარწმუნებული, რომ ჩემს დედას წაართვეს ჩემი თავი“ (ლოლა ნანა, 2007: 20).

2...ოღო, პროლი **ხვალე ვამაფუდუ კეთებულინი**, თეში ნოსა ხოლო ქიმიპონი. „ჰო-და მხოლოდ იატაკი რომ არ მქონდა დაგებული (გაკეთებული), ისე რძალიც მოვიყვანე(ლოლა ნანა, 2007: 36).

3. იღითია ასე, ათე ფერდის ვამკოსკიდათია, ვარა ართი კაკალი **ვადოსკიდუთია ცხონცხალი**. „წადითო ახლა, ამ ფერდობზე არ ჩარჩეთო, თორემ ერთიც ვერ გადარჩებით ცოცხალი“ (ლოლა ნანა, 2007: 42).

4. აბა ქიმმახვართ-მაქ, დასკუა **მიუნს-მაქ ჯგირი**... „აბა მომეხმარეთ-მეთქი, დისშვილი მყავს-მეთქი კარგი“... (ლოლა ნანა, 2007: 78).

5. ქერჩის ვორდით ხოლო, ქერჩის გიმავრთი, და **ვეგება ჩქინი ბოშეფი ორდანი-მაქენი**. „ქერჩში ვიყავით კიდევ, ქერჩში ჩამოვედი, იქნებ ჩვენი ბიჭები იყვნენ-მეთქი“ (ლოლა ნანა, 2007: 88).

6. ჯგირი **ბოშიე-მაქ** სკანი მუმა, ჯგირი **სახეი უღუ-მაქ**, მუმაწკია **მუჭო ოკო ვარდიკონი-მაქ**? „კარგი ბიჭია-მეთქი შენი მამა, კარგი სახელი აქვს-მეთქი, მამასთან როგორ არ უნდა ყოფილიყავი-მეთქი?“ (ლოლა ნანა, 2007:94).



7. ჟი მუთუნ **ვარე ღოლაშირი**, სვალე ჭაბილი დო... „ზევით არაფერია გაკეთებული, მხოლოდ ქაღალდია გაკრული და (გაწებილია და)...“(ლოლა ნანა, 2007:108).
8. მა ასე ხოლო **ვამაფ გინოჭყვადილი**, სო დუმარინე დო მუს დუმარინენი. „მე ახლა არ მაქვს გადაწყვეილი, სად დამედგომება და როგორ (რას) დამედგომება(ლოლა ნანა, თბ.,2007,114).
9. ვარ, მა **ვა ვორექე კოჩი**, – უწუუ ტურაქ. (222, 6), „არა, მე არ ვარ კაცი, – უთხრა ტურამ.“
10. სი **რექო კოჩი?** – კითხ ნდიიქ . (223,10) „შენ ხარ კაცი? – ჰკითხა დევმა.“
11. რთუმე თი გოჯოგერი კოჩი **მახინჯი ვა ოფერენო?** (228,22) „თურმე ის საძაგელი კაცი ქურდი არ ყოფილა?“
12. თენა მიში **სოფელი რენია?**. (233,12) „ეს ვისი სოფელი არისო.“
13. სი **ცოცხალი ვარა ქორდია**. (234,15) „შენ ცოცხალი მაინც იყავიო.“
14. მა **გოსოლუქია გერია**, სარალოში სქუავა.(236,4) „მე ვარო გერია, სარალოს ვაჟიო (შვილიო).
15. **გერია**, სარალოში სქუა, **ხოლო ვა რექია?** (236,17) „გერია, სარალოს შვილი, ხომ არახარო?“
16. თიში **შური ოფე თურმე თენა**. (239,28) „მისი სული ყოფილა თურმე ეს.“
17. ე საჩუქარი **ვა რენია საჭირო**. (271, 33) „ეს საჩუქარი არ არისო საჭირო.“
18. ენა მუდგარენი **ჯგირი ოკო ვა რდას ნი**. (290,7) „ეს რაღაც კარგი არ უნდა იყოსო“
19. ნანდულო **თენა ოკო ირდასიე** ბელთაგანი – ტარიელი.(291,9) „ნამდვილად ეს უნდა იყოსო ბელთაგანი –ტარიელი.
20. თინა ნანდულო **ღორნთი ოკო რდას** .(300,20) „ეს ნამდვილად ღმერთი უნდა იყოს.“

### ლაზური:

1. ჰა ჭუტა ბერე ფადიშაჰიშ ბერე ვარ ტუ. (18,18) „ეს უმცროსი ვაჟი ფადიშაჰის შვილი არ იყო.“
2. ჰა ბერე ჩქიმ დიციხირიშ ვა რენ, ჩქიმ ბერეფეს ვარ ნუგამს-ია. (18,26) „ეს ბიჭი ჩემი სისხლის არ არის, ჩემს შვილებს არ ჰგავსო.“
3. ჩქიმ ბერე ნა რენ მო იგნეტას დო მუნთხა უნონ ტას. (18,29) „ჩემი შვილი რომ არის, არ გაიგონ და რაც უნდა იყოს.“
4. სი ჰაკო მენჯელონ კოხი ნა რე ჩქარ მონკა ვა რე.(34, 29) „ასეთი ძლიერი კაცი რომ ხარ, სულაც არ ხარ მძიმე.“
5. ბოზოს: ჩქიმ ი ი-მა! უწვი.( 60. 217),„ქალიშვილს: ჩემი გახდი-მეთქი – ვუთხარი.
6. ფადიშაჰიქ ბერეს: „მიშ ბერე რე-ა დო კითხუ-დორენ.(124,14); „ფადიშაჰს ბიჭისთვის: შენ ვისი შვილი ხარო? და უკითხავს.“
7. პეა ჰაშო მსქტა მითი ქორენ-ი?–“ა. (128, 132) „ნეტა ასეთი ლამაზი ვინმე არისო?“
8. პეა ნამ ოდაშ ნკოლა რენ?–“ა.(138, 382) „ნეტა რომელი ოთახის გასაღები არისო?“
9. ჰაკო მსქტა ბოზო პეა მიში ენ?–“ა.(168, 54); „ასეთი ლამაზი ქალიშვილი ნეტავ ვისი არისო?“
10. ბექი ი მთინი-თი დი ისანუ-დორტუნ.(196,27) „ბექირი მართლაც გამართული იყო“.
11. დაღ ოლსუნ ბოლაქი სიჯას ონჯღორე ავუ! (ჩიქობავა 1936, 67), „საბრალლო სიძეს ნეტავი შერცხვა (სირცხვილი შეექმნა)!“
12. აქ დოსუნუ ონჯღორე ვა რენი სქანდა, ოშ კოხის (კოხიშ) ბედელი-ნა რე? (ყიფშიძე, ჭან.ტექსტ., 11) „აქ დაჯდომა სირცხვილი არ არის შენთვის, ასი კაცის ბადალი რომ ხარ?“

13. ჰეა კაი კოჩი ე მა (ჩიქობავა, ჭან. ტექსტ., 41) „ეს კარგი კაცია-მეთქი“.
14. ჰაწი გოხთიმუში ორა რენ-ი? (ჩიქობავა, ჭან. ტექსტ., 41) „ახლა სეირნობის დროა?“
15. აჯაბ მიში ბოზო კაი რენ, ნოსერი რენ? (ჩიქობავა, ჭანური ტექსტები, 22) „ნეტა ვისი ქალიშვილი არის კარგი, არის ჭკვიანი?“
16. „ჰედა მთინი დენ-ი?“-მა (დიუმეზილი,198) „ეს მართალია-მეთქი?“
17. ლევანძელი კაი ვა ტვენ, ბეთი ტვენ (თანდილავა, 396) „ლევანძელე კარგი არ ყოფილა, უშნო ყოფილა“.
18. კონეფექ: „ხოჯა კაფკაფი დიუუ“-მა დო იმტეს-დორენ (დიუმეზილი,212) „კაცებმა: „ხოჯა მოჩვენება გახდაო“ და გაქცეულან“.
19. ჰამ ფოთინითი ბექი სქანი ენ?! ჩქიმი ენ! მორო მიში ენ? მა ვა ეგიჭოფი-ი? (ჩიქობავა, ჭანური ტექსტები, 5) „ეს ფეხსაცმელიც ალბათ შენი არის?! ჩემი არის, აბა ვისი არის? მე არ გიყიდე?“
20. ზათი ქორტუ ადეთი დოდვალერი (ყიფშიძე, ჭან. ტექსტ., 45) „ მაინც იყო ადათი დაწესებული“.

**სვანური** საკმაოდ მდიდარია ნაწილაკებით. ზოგი ერწყმის სიტყვას, ენკლიტიკაა, ზოგიც ცალკეა. “წარმოშობით ზოგი საერთო ქართველურია, ზოგიც სპეციფიკურ სვანური” (თოფურია, II, 2002, 206); ჩვენი განსაკუთრებული ყურადღება სწორედ ამ უკანასკნელთ მიიქცეის, რამდენადაც ქართულშიც კი შესატყვისისა და ეკვივალენტის არარსებობის გამო ჭირს იმ ნიუანსის გადმოცემა, რასაც ის სვანურში შეიცავს. „სვანური ენის სახელმძღვანელოს” რედაქტირებისა და სამეცნიერო პროექტ „კოდორულ ქრონიკებზე” მუშაობისას თარგმანის თვალსაზრისით ყოველთვის თითქოს ერთგვარ სირთულეს

გვიქმნიდა ისეთი გრამატიკული ფორმები, რომლებშიც წარმოდგენილი იყო სწორედ სვანურისათვის ეგზოტ სპეციფიკური შემდეგი ნაწილაკები: ღალ, გომნი, დოჟ, მირ, ჰორგე, აჯემ, ღენ... დიალექტთა მიხედვითაც ნაწილაკები სვანურში სხვადასხვა ვარიაციებს იძლევა, თუმცა ამჯერად ჩვენ შემოვიფარგლებით მხოლოდ ბალსემოურის მონაცემით, სწორედ იმ დიალექტისა, რომელსაც ყველაზე მკაფიოდ და სრულყოფილად შემოუნახავს სვანურის დიალექტთა კლასიფიკაციის საფუძვლად აღებული გრამატიკული მოვლენები – რედუქცია, ხმოვანთა სიგრძე და უმლაუტი; შესაბამისად ამისა, შემოუნახავს არქაიზმები და მთელი რიგი სპეციფიკურობანი როგორც სვანურისავე სხვა დიალექტებთან, ისე სხვა ქართველურ ენებთან მიმართებით. თუმცა ალაგ-ალაგ ბალსემოურის, ლენტეხურისა და ლაშხურის მონაცემებსაც მოვიშველიებთ. როგორც დაკვირვებამ ცხადყო, ნაწილაკები ხმარება-გამოყენების თვალსაზრისით სხვადასხვანაირად დაჯგუფდება მარტივ და შედგენილ შემასმენელთან. ამ უკანასკნელთან მათი გამოყენების არე უფრო შეზღუდულია, რაც განპირობებული უნდა იყოს შედგენილი შემასმენლის ზმნურ ნაწილად – კოპულად ანუ საერთად ძირითადად მეშველზმნური ფორმების (სვან. ლი/ლიზ) გამოყენებით. მარტივ შემასმენელთან კი არეალი გაცილებით უფრო ფართოა. წარმოდგენილია ნაწილაკები ნებისმიერი ჯგუფისა სხვადასხვა ვარიაციით და ნიუანსით. შემასმენელთან სვანურში შეიძლება შეგვხვდეს შემდეგი ნაწილაკები: მამ „არ“, დეშ „ვერ, ნომ „ნუ“, ხეკტეს „უნდა“, მადღა „ხომ“, სურიღ „ნეტა“, აჯემ „აკი“, ჭურ „მგონი, ეგებ“, მუგტღან „თითქოს, ვითომ“, აღო ესერ „აკი“, -მო, -მა, -ა (კითხვითი), შდრ. ძველი ქართული -ა, -მე... უადრესად საინტერესოა კითხვითი ნაწილაკების თვალსაზრისით სვანურის პარალელი ძველ ქართულთან.

როგორც ცნობილია, ძველი ქართულის კითხვით ნაწილაკთაგან (-ა, -მე, -მეა, ნუ, ნუუკუე) ზმნის პირიან ფორმას ძირითადად დაერთვის -ა და -მე: ნაზარეთით შესაძლებელ არსა კეთილისა რაღსამე ყოფად? (სარჯველაძე, 1997: 160). თანამედროვე ქართულისაგან განსხვავებით სვანურში კითხვითობა ყოველთვის გამოიხატება ზმნის პირიან ფორმაზე დართული -მო, -მა, -ა, -და ნაწილაკების მეშვეობით: შდრ: ხაშდბა „მუშაობ“ – ხაშდბამა „მუშაობ?"; ხითჷრი „სწავლობ“ – ხითჷრიდა „სწავლობ?“

1. მეზგე ღახ ლიღგიმწლს ხემურჯანღ, ეჩქას ძღღღ ლემარწლ ხნღ ხვან ბზრგ-ნაბზრგ ი მასალა ხნღ ლემზრე, ეჩნქა ნამშან ხნღ ლეთმე ი ლემზრე მეღგიმალეშ, ნადრეშ ი მიჩა ხზრჯ, ადო ეჩურ ღალ მამ ხოყანღ. (სვან. ქრესტ. 1978:108). “მოსახლე // კომლი მშენებლობას თუკი დააპირებდა, მაშინ დიდი სამზადისი ჰქონდა, ბევრი ბარგი და მასალა უნდა მოემზადებინა, გარდა ამისა ჯამაგირი (ნამუშევარი) ჰქონდა საშოვნი მშენებლებისა, ნადისა და ასევე ხარჯი, თორემ სხვაგვარად (უიმისოდ) აღარ შეეძლო (არ უვარგოდა).

(შეგნიშნავთ, რომ ღალ ნაწილაკით კონკრეტულ შემთხვევაში გამოხატულია მთქმელის, მოსაუბრის თანადგომა და თანაგრძნობა, რომლის ასახვა თარგმანში ვერ შევძელით სვანურის ღალ, ჰორგე, ჭურ, ღენ... ნაწილაკთა ქართულში ზუსტი ეკვივალენტისა და შესატყვისის არარსებობის გამო.)

2. ლემშერე ღალ მგრჷს ხვანსე ი მწრმა ღადღღ ჟმანცხჷნ, ეჩქას ღანხესგი ქა ი მიჟ ჟი ღგკლათხე ღანსე ეზარღ. (სვან. ენ. ქრესტ. 1978:151). „აღბათ დაღლილ-დაქანცული ვიყავი და მეორე დღეს რომ გამოვიღვიძე, გავიხედე და მზე უკვე კარგად ამოსული იყო (ამაღლებული იყო)“.

3. ფაგოს ღვცე ოთხხარ ი ხწქე: “ძღედ **ესერ ღალ** ღახქადა ღწე ი სკივრანლ **ესერ** ჩუ ლეცვრე ხარ. ჩინ მახნე ესერ ჯა მნდ ლი დეც ლეფარ ჩუქენ, მახნე ესერ ლი ნწმღეები, ღმწერ, თველ ი ბაჟ”. (სვან. ენ. ქრესტ. 1978:154) „ფაგოს სიცილი წასკდა და უთხრა: ძალზედ შეგეშაღაო; დევი და სკივრები დასატოვებელი გაქესო. ყველაზე უკეთესი მე კი არ ვარო ცისქვეშეთში, საუკეთესო არისო მწვიდობა, გაგება-მიხვედრილობა, გონიერება და გრძნობა.” 4. ლწქე **ესერ** ღის მწე კწსარშა (სვან. ენ. ქრესტ. 1978: 165); “ღაპატიუებულნი არიანო ყველანი კეისრისანი”.
5. გვგო მწრე **რლქე** ღი, მარე ამჟი ჰწბს იცწდი, ეწ ღარდა ი ქვეყანა განჯღთ ესერ ღიზ. (სვან. პროზ. ტექსტ. I გვ. 31). ”გუგული კაცი არისო, მაგრამ ასე იცვლისო იერსახეს, იმისი სამყოფი და ქვეყანა განჯგეთი არისო”.
6. ჩუ ერ აღქარტედ ღწლ, მწე ქწწწდ, ეწხუ-ღორი მეჩი გარ **ჭურ** წმსედღლი. (წნდტლი); (კოდორული ქრონიკები, 2010, გვ. 245). ”ღალის ხეობა რომ ღავკარგეთ, ყველა გამოვიღა, ერთი-ორი მოხუციღა დარჩენიღა მეონი”.
7. იმშა მუწრმე **ღენ** ხი, ბაჟდ აღე ი ცტიდდ ი უმქადნად ნომ ღწხნდტრეტწნა აღამწე მესტფელ ი მეზტბელ; (ექსპედ. მასაღ.) „რას სწადიხარ (რისი მკეთებელი ხარ კი მაგრამ), აზრზე მოდი და ტყუილუბრადღოდ არ მოიმღურო ამდენი თანასოფლეღი და მეზობელი”. უკუთქმითი ნაწიღაკების ანაღიზით ირკევეა, რომ უმეტესობა მათგანი რთული შედგენიღობისაა; გამოყოფიღი მეორე კომპონენტები ნაცვალსახეღებია, რომღებიც ამჟამად არ გვხვდებ, და ეს კი ნაწიღაკთა სიძვეღეზე მიუთითებს (თოფურია, II, 2002, 207);
8. მეჰად ლღნარჰწტ ღი მიჩა გტი ი გუნწბ, ჟახეღ, ზისხი ი ზენეღ, ტოდ ღირდე ლესტ, ეწქადუ წრი მიჩა ნაბწრწყ. „სულ განათებული ჰქონდეს გული და ფიქრი სახეღიც, სისხღიც

და ზნეც. ქვეყანაზე ვიდრე სიცოცხლე იქნება მანამდე ყოფილიყოს მისი შთამომავლობა“.

9. ჩუე-ეჯჟუ' ზადგილ – მირ- ღვსტ, ამადლებულ, ეკლესიანლ ერ იგის, ეჯჟუშ, ი გირკიდ – ხოჩა ბუნება (ექსპედ. მასალ.) „რადაც ისეთი ადგილი იყო, ამადლებული, ეკლესიები რომ შენდება (“ი-გ-ებ-ი-ან”) ხოლმე, ისეთი, და ირგელიე-კარგი ბუნება“.

10. [გიმილიქთუნწლჟი] ჩუ **ღწრშნლ** აღლტაპტელი (ექსპედ. მასალ.) “[მიწისძვრისას] არავინსავით (თითქოს არავინ) დაღუპულა“.

11. ფვგო ესერ ეჯკლიბ ლაწტშ ჩუ ლი, ერე დეცე ანტყტნსგს ესერ ხაჯემ – „ფავო ისეთი შესახედაობისა არისო,, რომ ცის ვარსკვლავს ჰგავსო“. 12. ბექმერზას ესნწრ ქორ ჩი ლადლ ნთხტდარემი ლალტშ გვეში ხწრ (ექსპედ. მასალ.) „ბექმურზას სახლი თურმე ყოველდღე ნანადირევის ხორციო აქვს სავსე“.

13. ბარბაღნდ ლუგზერე ზურნლ ღალ ლემწრ ი ქორ ი ჰწზტ-აგწმ სწრკდ ლგანე ხწრენა მეჰად (ექსპედ. მასალ.) – „ბარბაღე ბეჯითი ქალი ყოფილა და სახლი და ეზო-კარი მუდამ სარკესავით დაწკრიალებული ჰქონია თურმე“.

14. ყარამანს მუშგვრი ერ ხოვდენი, მეტარ ხწხდად (ექსპედ. მასალ.) – „ყარამანს სტუმარი რომ მოუვა, მეტისმეტად უხარია“.

15. ეჯ მეთხტდწრ კოჯს ერსკწნს დემე ხწცტრე ი დეცს – ფირვენს (ექსპედ. მასალ.) „ის მონადირე კლდემი ერკემადლს? არჩვს არ ტოვებს არსად და ცაში ფრინველს“.

16. ეჯ ხელწიფს ხარდენა სურნდ სემი გეხალ(ექსპედ. მასალ.) – „იმ ხელმწიფეს ჰყოლია სამი შვილი“; 17. ნწბოზს ქა მგწწყ დწრს ბეფშუ მგშგნის ქა ხოვდა (ექსპედ. მასალ.) „სალამოს გამომცხვარ პურს ბავშვი დეგუსტატორს (გამსინჯავს) მიუტანდა“;

18. მუშგტრწლს ეჯ მეზგაისგა ეჯ ლწთ ი მერმა ლადლდი გუნ

პატივ ხნდხ (ექსპედ. მასალ.) „სტუმრებს იმ ოჯახში დიდ პატივს სცემდნენ იმ ღამესაც და მეორე დღესაც“;

19. ღახტუნ გუნ ლულგუარე მნდ ტენიხა ქტინდმგენლ (ექსპედ. მასალ.) „მთიდან საქონელი (სულდგმული) ძალზედ გასუქებული ხომ ბრუნდება“;

20. ხეშკილ//ჰეშკილ აშხტ ჩიქქა ეზერ სოფელ ლემწრ ი ორი გტწრ ლემზიგ: გნგან ი ბწრტწან – „ხეშკილ//ჰეშკილ ერთ დროს კარგი სოფელი ყოფილა და ცხოვრობდა (ნაცხოვრება) აქ მხოლოდ ორი გვარი: გაგანი და ბარვანი“.

21. ბექანდ ი გტეგნგ წმ ღახტუბა მმ ლემწრხ (ექსპედ. მასალ.) „ბექა და გვეგნი მკვიდრი ძმები არ ყოფილან“.

22. სოფელ ელწ ჰოკერ, ჭალი პილს, მნდხტწდ სოფლწდ ღი. მეზგვლ ამე მერხალდ გარ იზგეხ ი ამის ხაჟხა აც – „სოფელ ელის ბოლოში, მდინარის პირას, პატარა სოფელია, მოსახლეობა აქ მცირერიცხოვანია, ამ სოფელს ჰქვია აცი“.

23. აშხტინ ესწრ გიერგს ღწხმუშგტწწ ოთარ ოთარშა (ექსპედ. მასალ.) „ერთხელ თურმე გიერგს ესტუმრა ოთარანთ ოთარი (დადემქელიანი)“.

24. ჯტინალდ ღაჰილს, ღაწტმი ფწდიას ემხუ მეზგე ლემზიგ ი ჟახად შარგანშა ხაჟხუნახ – „ძველად ღაჰილში, ეკლესიის მახლობლად ერთი მოსახლე ცხოვრობდა (ნაცხოვრება) და სახელად შარგიანი რქმევიათ“.

25. ღწრბეთ ხონწმი სტეუსტ გარ ჯაჰტდის ი ნწბდნიერიტ ჯაჭწწახ – „ღმერთი მხოლოდდამხოლოდ კარგ სვესა და ბედნიერებასამც განიჭებდეთ“.

26. მწბილწ ღმიხედტაჟ ი ნალმწრგი ღაჰწკდ ღწსტ ჩუ მესდე – „მაბილას ვაჟკაცობა და სიკარგე (=ვარგისიანობა) საარაკოდ იყო დარჩენილი“.

27. აღ დწნას მერზაყანი მაღატ ესწრ გუისგა ხულტა, მარე იჰუმი – „ამ გოგოს თურმე მურზაყანის სიყვარული აქვს გულში, მაგრამ მაღავს“.



28. ლიბოფშის იშყტდუნას ი გუხანჯი იქიზანდლს სურდ – „ბავშვობას იხსენებდნენ და გულიანად იცინოდნენ“.
29. მართად ჩნს გუნ ლახლატუნე თხტიმ მიჩა ხოჩა ლიზურაღშტ, ლეხლობშტ... – „მართამ თავისი კარგი ქალობით, ყოველისმცოდნეობით ყველას ძალიან შეაყვარა თავი...“
30. აღ ნაზორ ჭემინს ჩტაპრპეის ი ჟი იშხტნის ჰელშშდ (სვან. ენ. ქრესტ. 1978: 17) – „ამ მოგროვილ ქერს არყად გამოხდიან და შეინახავენ რელიგიური დღესასწაულისთვის“.
31. აღ თაშ ამ ღნდლი ქუთტარე ნჩდუნინქ ხნრს (სვან. ენ ქრესტ. 1978:17).. „ეს ყველი იმ დღის ხაჭაპურებისთვის უნდათ“.
32. ლელტი ადაბ ლეთ მნკტი ლელტს ხაგემხ მნგ ი ენოტუშ ჩუ იდდარაღლს (სვან. ენ ქრესტ. 1978: 9) – „ხორციელის ადაპის ღამეს პირველად ხორცს ჩაადგამენ მოსახარშად და მერე დაპურდებიან“.
33. ნდდარობენ ფეტტრშ ი ჭყნნი ცვრცმას იხოხ ი ეჩას ხოგაღლის ჩნ თტით ფაკანს (სვან. ენ ქრესტ. 1978:9) – „ნასადილევს ფეტვის და ქონის შეჭამანდს აკეთებენ და იმას უდგამენ ყველას თითო ჯამს“.
34. კვრშნრშნრ ღაჟნრს მნმაგტუშ ხოხალდახ ამრშ ი ეშ ვდგმბაჟეს (სვან. ენ ქრესტ. 1978:66) – „კირშანთ მამაკაცებმა არაფერი იცოდნენ ამის შესახებ და ძალზედ გაიკვირვეს“.
35. აღ დორი თემ ტენდილდ გარ ოთსყახ მინე მესფელას (სვან. ენ ქრესტ. 1978: 66) – „ეს ორი თემი ძლივ-ძლივობითლა შეურიგებიათ თავიანთ თანასოფლელებს“.
36. ათხე აშხუ ლეთ ევრი ოთარშნრ ჯანსუსხს ი მიჩა ლახტბას დტრეტუ ესტთიშახ ი ჩტათშეგებახ ფართე, ამეჩნ უხოხმევრახ ი დიგორხან ი მიჩა ფამლი დნწლ მურყტამთეჟნ ამჩედღლის ღნტტთე (სვან. ენ ქრესტ. 1978: 67) –

„ერთი ღამითაც ეცვრელ ოთარაანთ ჯანსუღს და მის ძმებს დრო შეურჩევიათ და მივარდნილან ფარში, აქ კი ეს შეუტყვიათ და დიგორხანი და მისი მოახლე გოგოები კოშკზე ასულან ღტოლვილებად“.

37. აშხუ ლადღლ დწე ანვანდ ფვგუტე ლაშგომთე ი ოქტრან სკიტრანდ შუნ ხულტე მარგლიტარშუ ჟი ლუგუშიდე. (სვან. ენ ქრესტ. 1978:153) – „ერთ დღესაც დევი მოვიდა ფავოს სათხოვნელად და ხელთ უპყრია მარგალიტებით სავსე ოქროს სკივრები“.

38. აღდარს ათონხ გუნ (სვან. ენ ქრესტ. 1978: 162) – „ამათ გულიანად (ძალიან) გაეცინათ“.

39. მურზაყან ესნარ ეჯჟი ათტკლებენახ მიჩა ლელტიანდუს, ერე პერქამეფუშდე ესერ ხალჭვლახ(ექსპედ. მასალ.) „მურზაყანი თურმე ისე დანანებით თავის საყვარლებს, რომ ხმამარლა, გულამოსკენით დასტიროდნენ (=დანატირებან)“.

40. კესარშერ ლემესგ ჩუ მედგე ხარენახ, ჰაზტისგაჲ დარ ლემარდელის (ექსპედ. მასალ.) „კეისარისანებს ცეცხლი ჩამქრალი ჰქონიათ, ეზოშიც არავინ ყოფილან (ნამყოფებან)“.

41. მორეუ მარანდ დერქედა თემთე უმამჭირტანლად ლემზელანლხ (ექსპედ. მასალ.) „მედიატორი კაცები ორივე თემში დაუზარებლად მიდი-მოდიოდნენ =(მინავალან)“.

42. საფტინ ლნთ ქუნარუ ესღრის ესნარ ლალხორთე (ექსპედ. მასალ.) „შაბათ საღამოს სულეები მიდიან თურმე ლალხორში“.

43. დილარუს მეჰად ხხადხ გეზღორე ნალტეზრი ი ჩნლად იმზირხ ეჯდარე ნშუტდტებიხან (ექსპედ. მასალ.) „დედებს ყოველთვის უხარიათ შვილების სიბეჯითე და მუდამ ღოცულობენ იმათი მშვიდობისათვის“.

44. ლენტონ ნათუნ მწრწლ გტიანდქა ჟი იგწწლხ(ექსპედ. მასალ.) „წუხანდელი ნაქეიფარი კაცები გვიან წამოდგებიან“.

45. ქწმ ლწკირცახსწ მერდწლას ჰარყი ნწკმუნ მასწრდ ხულტუხ, ეჯწრსი ხწრს ლიხწრულ ი ხოწა ლარდა (სვან. ენ ქრესტ. 1978: გვ. 108) – „გარეთ საკირესთან მყოფებს შეჭამანდი – არაყთან მისატანებელი ბლომად აქეთ და არიან ნადიმსა და დიდ მხიარულებაში“.

46. მერმა ლადწლ მესტუფელა ჩუ ფხეენის ი ქორწუ გარ ხაშდბა ლწკირი ლიშხის, მარე ობწშინ აჯალ ჳედნის მუმურჯუა ი ეჯწრ აჯალდდ ხომურჯუთის ლელკირი ლახწრხას. (სვან. ენ ქრესტ. გვ. 1978: 108) – „მეორე დღეს თანასოფლელები დაიშლებიან და მხოლოდ ოჯახის წევრები მუშაობენ საკირესთან, მაგრამ დამხმარეები კვლავაც მოდიან და ისინი ისევ ეხმარებიან საკირე მასალის დახერხვაში“.

47. მულგუჰწრიდ ესწწრ ჟიბეშ ი ჩუბე შწრწლ დექტრდა ჩუადსინჯაუტე ი ლეგტუჰ ითქ ეჩქწწლო გარ აშიდ სგა(ექსპედ. მასალ.) „მეწისქვილემ თურმე ზედა და ქვედა დოლაბები ორთავე გასინჯა და დასაფქვავე მარცვალი მხოლოდ ამის შემდეგლა ჩაყარა“.

48. ალ დედბერ ლგყწრჟი ფწტუს აჟგგნე (ექსპედ. მასალ.) „ეს დედაბერი სახურავზე ფეწვს მარგლავს“.

ქართველურ ენებზე დაკვირვებამ ცხადყო, რომ ნაწილაკები ხმარება-გამოყენების თვალსაზრისით სხვადასხვანაირად დაჯგუფდება მარტივ და შედგენილ შემასმენელთან. შეიძლება ითქვას, რომ ამ უკანასკნელთან მათი გამოყენების არე უფრო შეზღუდულია, რაც განპირობებული უნდა იყოს შედგენილი შემასმენლის ზმწურ ნაწილად ანუ კოჰულად ძირითადად მეშველზმწური ფორმების გამოყენებით. მარტივ შემასმენელთან კი – არეალი გაცილებით უფრო ფართოა; წარმოდგენილია

ნაწილაკები ნებისმიერი ჯგუფისა სხვადასხვა ვარიაციით და ნიუანსით. გამოყენების სიხშირის თვალსაზრისით კი უარყოფითი ნაწილაკები ჭარბობენ.

მეგრულ-ლაზურსა და სვანურში ნაწილაკდართულ შედგენილ შემასმენელზე დაკვირვების საფუძველზე შეიძლება დავასკვნათ: ქართველურ ენებში ნაწილაკიანი შემასმენელი საკმაოდ არის გავრცელებული; გამოყენების სიხშირის თვალსაზრისით სხვადასხვა სურათს ქმნიან მარტივი და შედგენილი შემასმენელი; შედგენილ შემასმენელთან ნაწილაკების გამოყენების არე უფრო შეზღუდულია, ვიდრე მარტივთან. მეგრულსა და ლაზურში ნაწილაკების გამოყენების, პოზიციის თვალსაზრისით სურათი თითქმის თანამედროვე ქართულისებურია, სვანურში კი პარალელები და ტენდენციები როგორც სხვა არაერთ საკითხში, ძველი ქართულის ვითარების ამსახველია (შდრ. კითხვითი ნაწილაკები: სვან. -მა; -მო; -ა; -და; ძვ. ქართ. -ა).

სვანურში საკმაოდ ხშირი გამოყენებისაა ქართულსა და მეგრულ-ლაზურში ზუსტი ეკვივალენტის არმქონე ისეთი სპეციფიკური ფორმები, როგორცაა: დალ, აჯემ, გომნიდ, დოჟ, მირ, ჰორგე, ღენ...

ქართველური ენებისათვის სპეციფიკური IV სერიის ფორმები აქტიურად მონაწილეობენ და ხშირად გვევლინებიან ნაწილაკდართული შედგენილი ზმნა-შემასმენლის როლში. სხვაობა შეინიშნება თანამედროვე ცოცხალი მეტყველებისა და თითქმის საუკუნის წინ ჩაწერილი სვანური, მეგრული, ლაზური ტექსტების მონაცემთა შედარების თვალსაზრისითაც.

**წმ. იდიომატური შემასმენელი ქართველურში:** ფრაზეოლოგია არის მოძღვრება მყარ შეხამებებზე. ასეთებია: „თქვენი ჭირი წაიღო“, „ჭკუაში დაუჯდა“, „კოვზი ნაცარში

ჩაუვარდა“, „კუდიტ ქვა ასროლინეს“... შეხამებაში შემაველ სიტყვებს არა აქვთ დამოუკიდებელი, თავისთავადი მნიშვნელობა. ფრაზეოლოგიური შეხამების გავრცელებული სახეა იდიომი. იდიომი ჰქვია ორი ან მეტი სიტყვის შეკავშირებისაგან წარმომდგარ დაუშლელ გამოთქმას, რომლის მნიშვნელობაც არ უდრის მასში შემაველი სიტყვების მნიშვნელობათა ჯამს. სიტყვებს დაკარგული აქვთ პირდაპირი მნიშვნელობა. იდიომი მნიშვნელობით ექვივალენტია სიტყვისა: სირცხვილი ვჭამე – შევრცხვი, თქვენი ჭირი წაიღო – მოკვდა, ჩაიღურის წყალი დალია – დაიკარგა...

ფრაზეოლოგიური შეხამების გავრცელებული სახეა იდიომი. იდიომი ჰქვია ორი ან მეტი სიტყვის შეკავშირებისაგან წარმომდგარ დაუშლელ გამოთქმას, რომლის მნიშვნელობაც არ უდრის მასში შემაველი სიტყვების მნიშვნელობათა ჯამს. სიტყვებს დაკარგული აქვთ პირდაპირი მნიშვნელობა.

ქართველურ ენათა იდიომატურ ზმნა-შემასმენელზე მუშაობისას ჩვენი ყურადღება მიიქცია ი. ყიფშიძის ლექსიკონში წარმოდგენილმა ფრაზეოლოგიზმებმა (იდიომატურმა გამონათქვამებმა), რომლებიც ავტორს ამა თუ იმ ლექსემის საილუსტრაციოდ აქვს მოხმობილი: ცნობილი ქართველი მკვლევარი იოსებ ყიფშიძე პეტერბურგის ქართველოლოგიური სკოლის ბრწყინვალე წარმომადგენელი იყო. მას დიდი წვლილი მიუძღვის მეგრულ-ლაზურის შესწავლაში. ი. ყიფშიძის სამეცნიერო მოღვაწეობის გვირგვინს წარმოადგენს ფუნდამენტური მონოგრაფია „მეგრული (ივერიული) ენის გრამატიკა“, რომელიც რუსულ ენაზე დაიბეჭდა პეტერბურგში 1914 წელს. მასში წარმოდგენილია მეგრულის ბგერითი სისტემისა და ფონეტიკურ მოვლენათა დახასიათება, ლაკონურად და მეტწილად ზუსტად შეფასებულია ყველა

მეტყველების ნაწილის სპეციფიკა, განსაკუთრებით ვრცლად არის განხილული სახელთა ბრუნებისა და ზმნათა უღლების რთული საკითხები. შრომაში შესულია სანიმუშოდ ჩაწერილი სხვადასხვა უანრის მეგრული ტექსტები, რომლებსაც ერთვის ვრცელი (233 გვერდიანი) მეგრულ-რუსული ლექსიკონი. ეს უკანასკნელი, მართალია, თარგმნითი ხასიათისაა, მაგრამ რამდენადმე ეტიმოლოგიური და ენციკლოპედიური ლექსიკონების ნიშნებსაც ატარებს, რაც ზრდის მის საცნობარო და მეცნიერულ ღირებულებას.

როგორც ცნობილია, იდიომატიკა ლექსიკის ორგანული და ამავე დროს თავისებური ნაწილია (აღ. ონიანი, ქართული იდიომები, 1966: 5). ფრაზემების, ლექსიკალიზებული შესიტყვებების, ფრაზეოლოგიური ერთეულების, ანუ ფრაზეოლოგიზმებისათვის ნიშანდობლივია სტრუქტურული, ლექსიკური, სემანტიკური, აგრეთვე გამოყენების სტაბილურობა. „ფრაზემები ლექსემათა მუდმივი კონტექსტის საფუძველზე მიიღება. ამგვარ შესიტყვებათა ზოგიერთი ან ყველა კომპონენტის მნიშვნელობა გარდაქმნილია მატაფორის, მეტონომიისა თუ სხვა ფორმით. ფრაზემათა სტრუქტურის მდგრადობა იმაში მდგომარეობს, რომ მათი კომპონენტების შენაცვლებადობა შეზღუდულია, სიტყვაფორმათა რიგი უმეტესწილად ფიქსირებულია, კომპონენტებს შორის სხვა სიტყვაფორმების ჩასმა, როგორც წესი, აკრძალულია; მაგალითად, არ ვამბობთ: დიდი დროის მოკვლა, ან ერთი საათის მოკვლა...“ (გამყრელიძე, შადური... 2003: 375)

სხვადასხვა ნიშნის მიხედვით ფრაზემათა რამდენიმე კლასიფიკაცია არსებობს. ერთ-ერთ მათგანს საფუძველად უდევს მთელი შესიტყვებისა და მისი კომპონენტების მნიშვნელობათა თანაფარდობა. მაგალითად, „ბოლთას სცემს“ ფრაზემაში კომპონენტებს შორის კავშირი უფრო

მჭიდროა, ვიდრე, ვთქვათ, ფრაზემაში „შიშმა შეიპყრო“.

მყარ შესიტყვებათა დისტრიბუციული (გრამატიკული) კლასიფიკაცია ითვალისწინებს წინადადებაში მათ სინტაქსურ როლს – გამოყოფენ ამა თუ იმ მეტყველების ნაწილის ეკვივალენტურ ფრაზემებს. მაგ., ფრაზემა „კალმით ნახატი“ ზედსართავი სახელის ეკვივალენტურია, „ღვთის ანაბარა“ – ზმნიზედისა და ა. შ. ცალკე ჯგუფს ქმნის წინადადების ეკვივალენტური ფრაზემები. კიდევ ერთი კლასიფიკაციის მიხედვით, მყარ შესიტყვებათა სიმრავლე იყოფა შემდეგ არაერთგვაროვან ჯგუფებად: იდიომები, ფრაზეოლოგიური შესიტყვებები, სამეტყველო შტამპები, ფრაზეოსქემები და ე. წ. ფრთიანი გამოთქმები (ანდაზები, აფორიზმები და მისთ.), მთარული ციტატები ბიბლიიდან – ე. წ. ბიბლეიზმები. სპეციალურ ლინგვისტურ ლიტერატურაში საგანგებოდ არის აღნიშნული, რომ ფრაზემები სპეციფიკურია და ზედმიწევნით, სიტყვასიტყვით სხვა ენაზე, როგორც წესი, არ ითარგმნება. ამასთან, შინაარსი, რომელიც ერთ ენაში ფრაზემით გადმოიცემა, სხვა ენაში შეიძლება სხვა საშუალებით გამოიხატოს (გამყრელიძე, შადური... 2003: 378). მყარ შესიტყვებათა უმრავლესობა ექსპრესიულია. თუმცა, გვხვდება კონოტაციას მოკლებული ფრაზემებიც. ექსპრესიული საშუალებებიდან ფრაზეოლოგიაში ხშირად გამოიყენება რითმა, კონტრასტი, გამეორება, სინონიმები, შედარება, რიტმი. ფრაზემების შემთხვევაში საკმაოდ რთული გადასაწყვეტია ომონიმიისა და პოლისემიის გამიჯვნის საკითხი. „ხშირად ფრაზეოლოგიზმების არსებობა დაკავშირებულია რომელიმე კონკრეტულ მოვლენასთან, კონკრეტულ ადგილსა და დროსთან“ (ნებიერიძე)... მაგ., იულიუს ცეზარის სახელს უკავშირდება გამოთქმა „რუბიკონის გადალახვა“, საქართველოში ლეკიანობის ფაქტებს კი – „ჩაიღურის წყალი დალია“.

ი. ყიფშიძის ლექსიკონში ჩვენ მიერ მოძიებული ფრაზეოლოგიზმები მკვლევარს გამოყენებული აქვს მასალის ილუსტრირებისას. ავტორი გვაწვდის იდიომატური გამონათქვამის როგორც სემანტიკურ, ასევე სიტყვა-სიტყვით თარგმანსაც. ფრაზემების დაჯგუფებისა და კლასიფიცირებისას შეძლებისდაგვარად შევეცადეთ წარმოგვედგინა ქართული შესატყვისობანიც: დიო კოჩიში ხორუაშა **თლი ვე მუუგამუ** – ему еще не приходилось видеть (букв. глазом ударить) людское поселение (хр., стр. 57.9): „ჯერ ადამიანის საცხოვრის-ისთვის თვალი არ მოუკრავს“. ეს ფრაზეოლოგიზმი ი. ყიფშიძეს მოყვანილი აქვს სიტყვა **გამ: გამა, მეგამას** (=კვრა) საილუსტრაციოდ (ყიფშ: 417). ქაახინგ, **მუჭოთთი ის ქალარდი ვა დაგურედგ ნი** – заметил он, что тот не сможет (не смог бы) выучиться грамоте (букв. бумага) (хр., стр. 7.15): „მიხვდა, რომ იგი ქალაღდს (წერა-კითხვას) ვერ ისწავლიდა“. [ძირთან **გურ: გურაფა, დოგურაფა** (=სწავლა)] (ყიფშ: 424). ჩქიმი მუმაქ ჩქიმი **გურაფას ქიგიოდინგ**, მარა ჩქიმდგ მუთაქ გიშართგ – отец мой много позаботился о моём обучении (разорился из-за моего обучения), но из меня ничего не вышло: „მამაჩემი ჩემს სწავლას გადაჰყვა, მაგრამ ჩემგან არაფერი გამოვიდა“. [ძირთან **დინ//დგნ: დინაფა** (=დაკარგვა)]. დისაშა **ქღდუღურინუუ დუდი** – он отсёк ему голову (букв. заставил его голову лететь к земле) (хр. стр. 58, 18): „მისი თავი მიწისკენ გააფრინა (თავი გააგდებინა)“. [სიტყვასთან – **დურინი, ტურინი** (=ვარდნა) გვ. 433]. **დუდიშ დაკვრა** – быть головой, кланяться: „თავის დაკვრა“ (მისალმება). [ძირთან **კვრ: კვრა, დაკვრასთან**]. მა **გური მუთგმაღე** – я сержусь (букв. мне приходится сердце): „მე გული მომდის (გული მომიდის)“. [ძირთან **ღ – ვღ: უღას** (=სვლა)]. თიცალი მახინჯი ოფენა თინეფი, ნამუდა **ქიანას ნორგილაფუენა** – Они были, оказывается, такие воры, что



охлаждали (т. е. крали всё) страну (хр., 12, 1-2): „ისეთი ქურდები ყოფილან ისინი, რომ ქვეყანას აცივებდნენ (აწიოკებდნენ)“. [სიტყვასთან **რგილი, რგიი** (=ცივი)]. **დუდიშ არდება** – (букв. бросать вверх голову): „თავის აგდება“. [ძირთან **რდ: რდება, არდება**. (=გდება, აგდება)]. **გურს მუკო-მირთინუნა** – возвращают мне сердце, т.е. успокаивают меня (хр., стр. 155. 10): „გულს მომიბრუნებენ“ (დამამშვიდებენ). [ძირთან **რთ: რთინა, რთაფა, რთ მა, რთალა, დორთინა** (=ბრუნვა, ტრიალი)].

**გერიაკ უჯიშათი ვე გილეეფართხუუ** – Гериа не обратил никакого внимания (букв. не потрусил даже в ухо) (хр., стр.32.12): „გერიას ყურიც კი არ დაუფერთხავს (გაუპარტყუნებია)“. [ძირთან **ფართხ: ფართხუა, ფართხალა** (=ფერთხვა)]. **გიმოდალა ხეში** – усердно за что приняться (букв. вынуть руку): „ხელის გამოღება“. [ძირთან **ღ: ღალა** (=ღება, წაღება)]. **გაგვწუღეს** ართიანც ხე – дали друг другу руку (букв. взяли друг у друга руку): „ერთმანეთს ხელი ჩამოართვეს“. [ძირთან **ღ: ღალა** (=წაღება)]. **დუდი დო ბოლო შქას** – с начала до конца (букв. между началом и концом): „თავსა და ბოლოს შუა“. [სიტყვასთან **შქა** (=შუა)]. ჩამა გურიში – давать сердце (букв. понимать, догадываться): „მიხვედრა“. [სიტყვასთან **ჩამა** (=მიცემა)]. ჩილამურიში თუდო – (букв. под слезой): „ცრემლებქვეშ“. [სიტყვასთან **ჩილამური** (=ცრემლი)]. **თის დუდი ვე მეჩქე** – у него не видна голова (т. е. причина не известна): „იმას თავი არ უჩანს“. [ძირთან **ჩქ//რჩქ** (=ჩანს)]. **ხეში მანწყუუ** – помогающий (букв. устраивающий руку): „ხელის შემწყობი“. [ძირთან **წყ//ნწყ** (=წყობა, შემწყობა)]. რამდენიმე მაგალითი მოვიძიეთ ი. ყიფშიძის „ჭანურ-რუსულ ლექსიკონშიც“: **დუშუნითე მომახელუ მარაზი** – (тексты, 8,a) от задумчивости я заболелю: „ფიქრი შემამთხვევს ავადმყოფობას“. [სიტყვასთან **დუშუნი** (= ფიქრი)].

**ობგარუთე ჯერ თოლი ემაჭაბუ-** склеились (ослепли) оба глаза: „ტირილით თვალები შემეწება“.[სიტყვასთან **ჭაბუ: ოჭაბუ** (= წება, შეწება)].

როგორც ვხედავთ, ი. ყიფშიძე მეგრულისათვის ბუნებრივი ფრაზეოლოგიზმების გვერდით ქართულის კალკირებულ იდიომატურ გამოთქმებსაც გვთავაზობს. საანალიზო მასალაზე დაკვირვებამ კიდევ ერთხელ წარმოაჩინა დასახელებული მეცნიერის უდიდესი წვლილი ქართველური ენების (მეგრულ-ლაზური) სტრუქტურის კვლევისა და შესწავლის საქმეში. მით უფრო დასაფასებელია მისი ღვაწლი, რომ მისთვის მეგრულ-ლაზური „აკნის ენა“ არ ყოფილა. სამწუხაროდ, ი. ყიფშიძეს მხოლოდ ათიოდე წელი დასცალდა სამეცნიერო მოღვაწეობისა. მიუხედავად ამისა, შეძლო შეეკრიბა ფასდაუდებელი მასალა, რომელიც დღემდე ამ საკითხით დაინტერესებულ მკვლევართათვის სანიშნო და ანგარიშგასაწევია. ი. ყიფშიძის ლექსიკონიდან ამოკრებილი მასალის ანალიზის საფუძველზე შეიძლება დავასკვნათ, რომ საქანთმეცნიერო ლიტერატურაში სხვადასხვაგვარად კლასიფიცირებულ მყარ სიტყვათშენაერთათაგან აქ არ გვხვდება ე. წ. ბიბლეიზმები, ფრაზეოსქემები, სამეტყველო შტამები; ხშირია ფრაზეოლოგიზმები, რომელთა დისტრიბუციული (გრამატიკული) ფუნქციის განსაზღვრა რამდენადმე უფრო მარტივი აღმოჩნდა, ვიდრე იმ სპეციფიკისა და სემანტიკური ნიუანსების ზედმიწევნით თარგმნა, რასაც ისინი მეგრულ-ლაზურში ასახავენ და შეიცავენ. იოსებ ყიფშიძე მეგრულისათვის ბუნებრივი ფრაზეოლოგიზმების გვერდით ქართულის კალკირებულ იდიომატურ გამოთქმებსაც გვთავაზობს.

საკვლევი მასალის წმინდა ლინგვისტური თუ ექსტრალინგვისტური ასპექტით შესწავლის პარალელურად, ჩვენ დავინტერესდით თანამედროვე მეგრულ-ლაზურში,

ცოცხალ მეტყველებაში მათი გავრცელებულობით, კონტრაცით, წინადადებაში სინტაქსური როლითა და დისტრიბუციის საკითხებითაც. ირკვევა, რომ თითქმის საუკუნის წინ ი. ყიფშიძის მიერ შეკრებილი ენობრივი მასალა და სალექსიკონო ფონდი შეიცავს ისეთ იშვიათ სიტყვა-ფორმებს, ლექსემებსა და ფრაზემებს, რომელთაც ცოცხალ მეტყველებაში, განსაკუთრებით ახალგაზრდა თაობის სასაუბრო ენაში მივიწყების ბინდი გადაჰკვრია, ან ძალზედ იშვიათი ხმარების სფეროს განეკუთვნება, რაც, ვფიქრობთ, კიდევ ერთხელ უსვამს ხაზს განსაკუთრებულ ღვაწლს იოსებ ყიფშიძისა, როგორც პეტერბურგის ქართველოლოგიური სკოლის თვალსაჩინო წარმომადგენლისა მეგრულ-ლაზურისა და ზოგადად ქართველურ ენათა შესწავლის მეტად საჭირობოროტო და საშვილი-შვილო საქმეში.

სპეციალური ლიტერატურის თანახმად, ქართულ ენაში შემასმენლის რამდენიმე სახეობა გამოიყოფა: მარტივი, შედგენილ, სახელადი, რთული, ე.წ. იდიომატური ანუ ფრაზეოლოგიური, ბივერბალური... პარალელისათვის შესაძლოა საინტერესოდ იქნეს მიჩნეული ფაქტი, რომ რუსულში შემასმენლის რვა სახეობას გამოყოფს ნ. ვალგინა. ლ.კვაჭაძის „თანამედროვე ქართული ენის სინტაქსში“ ცალკე პარაგრაფი ეთმობა ე.წ. პერიფრასტულ შემასმენელს (მაგ.: გიორგი დანიშნულ იქნა ღირეპტორად). საგანგებოდაა აღნიშნული, რომ პერიფრასტული შემასმენელი უნდა განვასხვავოთ შედგენილი შემასმენლისგან (კვაჭაძე, 1996, გვ.80) მსჯელობა ეფუძნება ა. შანიძის თვალსაზრისს აღწერილობითი ანუ პერიფრასტული ენებითისა და შედგენილი შემასმენლის არაიდენტურობის შესახებ (შანიძე, 1973, 295-296). იქვეა შენიშვნა: შემასმენელი ზოგჯერ გადმოცემულია მყარ სიტყვათა შეკავშირებით, რომელიც მნიშვნელობით სინონიმურია ზმნის პირიანი

ფორმისა. დიდმა ბატონმა თქვენი ჭირი წაიღო (ჭავჭავ.). „თქვენი ჭირი წაიღო“ მნიშვნელობით იგივეა, რაც მოკვდა (კვაჭაძე, 1996, 80); ზემოთ აღნიშნულის გათვალისწინებით გამოდის, რომ ქართულში გვექონია შემასმენლის არა ორი სახეობა, არამედ ოთხი: მარტივი, შედგენილი, პერიფრასტული და მყარ სიტყვატა შეკავშირებით გადმოცემული. ამ უკანასკნელს ფრაზეოლოგიურ შემასმენლად მოვიხსენიებთ. კარგა ხანია დგას შემასმენლის კიდევ ერთი სახეობის გამოყოფის საკითხი, იმ ორზმნიანი კონსტრუქციისა, რომლის მეორე კომპონენტი ინფინიტივის ტოლფასია, და რომელსაც თავის დროზე „ინფინიტიური კონსტრუქცია“ ვუწოდეთ (გადაწყვიტა გაეკეთებინა ტიპისა) (გეგუნიძე, 1995, 97). სპეციალურ ლიტერატურაში იგი ე.წ. „ბივერბალურის“ სახელითაცაა ცნობილი (კოტინოვი, 1984). ამ საკითხს საგანგებოდ იკვლევდა ნ. ბასილაია მონოგრაფიაში „შემასმენელი და შემასმენლური დამოკიდებული წინადადება ქართულში“, რომელშიც მკვლევარი იდიომითა და პარონომაზიით გამოხატული შემასმენლის აღსანიშნავად უპირატესობას ანიჭებს ტერმინს რთული შემასმენელი. „რთულია შემასმენელი, რომელიც გამოხატულია სიტყვათა მყარი შენაერთით, იდიომის ან პარონომაზიის სახით. იდიომი დაუშლელი ენობრივი ერთეულია, რომლის მნიშვნელობა არ უდრის მასში შემავალი სიტყვების მნიშვნელობათა ჯამს. იგი ერთი ცნების გამომხატველია და წინადადებაში გაიგება როგორც ერთი წევრი. როდესაც მას პრედიკატული მნიშვნელობა აქვს, მაშინ იგი არის შემასმენელი, მაგრამ არა მარტივი ან შედგენილი, არამედ სრულიად სხვა სახის, რასაც შეიძლება დავარქვათ რთული“ (ბასილაია, 1974, 121);

რა ვითარებაა ამ მხრივ ქართველურ ენებში? ზემოგანხილულ რამდენიმე სახეობათაგან ამჯერად ერთ-ერთზე - სიტყვათა მყარი შენაერთით გადმოცემულ

ფორმებზე შეფერდებით. ჩვენი დაინტერესება განპირობებულია იმით, რომ, როგორც ცნობილია, მეგრულ-ჭანურსა და სვანურში ფრაზეოლოგიური შემასმენელი საგანგებოდ არავის უკვლევია. ნაშრომის მიზანს ამ შემთხვევაში სწორედ ქართველურ ენათა მონაცემების აღნიშნული ასპექტით აღწერა-შესწავლის ცდა წარმოადგენს და არა ფრაზეოლოგიური შემასმენლის სინტაქსური კვალიფიცირების საკითხის საბოლოო გადაწყვეტა. სალიტერატურო ქართულის მსგავსად გვხვდება თუ არა იდიომებით გადმოცემული ფორმები პრედიკატული მნიშვნელობით მეგრულ-ჭანურსა და სვანურში? როგორია მათი გამოყენების სიხშირე ცოცხალი მეტყველების მონაცემებისა და თითქმის საუკუნის წინ შეკრებილ და გამოცემულ სვანურ და ზანურ ტექსტებში დაფიქსირებულ ფორმათა შედარების თვალსაზრისით? ცოცხალ მეტყველებაზე დაკვირვებამ, მეგრულ-ლაზური და სვანური ტექსტების ანალიზმა ცხადყო, რომ ე.წ. ფრაზეოლოგიური შემასმენელი ქართველურში საკმაოდ ხშირად გვხვდება.

**მეგრული:**

1. არბა იზდორექ მორდ, მოკლეთ, თიში ჩხორო სქუაშე აარძას **დუდ ქიგედგ**. „ყველა იზდორემ გაზარდა, მოკლედ, იმისი ცხრა შვილიდან ყველას თავი მოაბა(დაადგა)...”
2. მიდგაწკელა ვამოხვადას, პროფესორწკელა მოხვადასნი, **ონჯდორეს ვაგოძირანს**. „ვისთანაც არ უნდა მოხვდეს, პროფესორთანაც რომ მოხვდეს, სირცხვილს არ გაჭმევს (არ გაჩვენებს).”
3. ჩქიმი ჯიმაქ ხე მომპუტონუუ, ცოდაქ, ნოსაქ ცუდეს ნაკეაჩხირი ქაათ დო, ჯანდაბას ჩქიმიდუდი-მაქ, გინოცოთამილი ვაფუქ მა ჩქიმი დიდას-მაქ დო **ქდოვდვი დუდი**. „ჩემმა ძმამაც ხელი მომიქნია (მომითათუნა) საცოდავმა, რძალმა სახლს ნაკვერჩხალი ესროლა და, ჯანდაბას ჩემი

თავი-მეთქი, გამოგდე ბული ვყავარ მე ჩემს დედას - მეთქი და თავი დავლუნე(თავი დავდე).”

4. ქემორთ კომუნისტემქ, გარიცხეს, მიღუდეს პარტიაში ბილეთი დო **მივდგით შური**. „მოვიდნენ კომუნისტები, გარიცხეს, წაართვეს პარტიის ბილეთი და მოვითქვით სული.”

5. თეს ამსერშას ეკილითია დო შორდონაშა **დუდი ქიმილითია**. „ეს დაღამებამდე აიარეთო და თხმელნარამდე თავი მიიტანეთო.”

6. დათო ინჯგიას **ხუს ქეიუღირთ** ნაჭყებიაქ, ოთარ ნაჭყებიაქ, დო ბრეი ხალხიქ. „დათო ინჯგიას მხარში ამოუღვა ნაჭყებია, ოთარ ნაჭყებია, და ბევრი ხალხი.”

7. ართკალი ვამოკო, თე ამდლა **გურს მითმოღონებაფუანსენი**, ფერი ხალხი მუშოთ მოკო-მაქ ონგარგში დღას?! „არც ერთი არ მინდა, ახლა რომ მაბრაზებს (გულსმაყვანინებს), ისეთი ხალხი რად მინდა-მეთქი გასვენების (ტირილის) დღეს?”

8. ათე ბიკის, ჩქიმ პატონი ექენი, ონდარო **შური ქუდგუდუნი, ხეშა აფუდუ** ოსური **ეშაწილახირი**. „ამ ბიკის, ჩემი ბატონი რომ ხარ, სანამ სული ეღვა მუჭში ჰყავდა ცოლი გამომწყვდეული.”

9. ჩქიმ ნოსა ოლიაქ, აპაი დიდაქ, ქიმებრთით საავანტყოფოშა, ქიმებრთით თექი დო **შურს ოღოთანს**, ფერი დრო რე, დო ბიკის ქუმურთუმუდუ ოძირაფშა დო ამარი ქიგეხე. „ჩემი რძალი ოლია, აპას დედა, მივედით საავადმყოფოში, მივედით იქ და სულს დაფავს (ლევს), ისეთი დროა, და ბიკი მისულიყო სანახავად და აგერ ზის.

10. ექ იშო მიდართ დო მა აშო მოლავრო, ძღაბ მოლეპონდო, ექი ენემქ **გური ქომგჩეს**, მარა მი აქცენს ენეფს ყურადღებას...ის იქით წავიდა და მე აქეთ წამოვედი, გოგო წამოვიყვანე-და, იქ ესენი მიგვიხვდნენ (გული მიეცათ),

მაგრამ ვინ აქცევს ამათ ყურადღებას... (ლოლა ნანა, 2007:122).

11. პის უფერუანდუ დო უკახლე საფულეს უთხორუნდუა. „პირში ეფერებოდა და უკან საფლავს უთხრიდაო“ (ხალხ. სიბრძნ.1994: გვ.116).

12. პიჯიში გოტახუას დუდიში გოტახუა უჯგუნია. „პირის გატეხას თავის გატეხა სჯობიაო“ (ხალხ. სიბრძნ. 1994: გვ.116).

13. მერეთმოსლება რე დო ონდეთ დუდ ქიმიბლით ათე გუმართუწკუმა, აშო გუშალ რე, აშო, სქურიშინი. „მეორედმოსვლაა და ძლივს თავი მივიტანეთ (=მივადწიეთ) ამ გამოსასვლელამდე, აქეთ გამოსასვლელი რომაა, აქეთ, სქურისა“ („მეგრ. ტექსტ.“ 2012: გვ.186).

14. თი კოც ართ შურ ვაუქაღ. „ის კაცი სულგანაბული იყო (=იმ კაცს არაფერი უთქვამს)“ („მეგრ. ტექსტ.“ 2012: გვ.186).

15. კაჟიქ გურს ქგაახორცქე. „კაჟი გაბრაზდა (გულზე გასკდა)“ (ყიფშიძე, 1994: 225).

16. ბელთაგანი-ტარიელი გულთააზრი რდგ, ქუშჩუ გური, ხრისტაგანიში თუმა სო ინოძდგ. ბელთაგანი-ტარიელი გულთამხილავი იყო, მისვდა (გულმა უგრძნო), ხრისტაგანის სად იდო(ყიფშიძე, 1994:307).

17. ათენა ქოფთქვი დო ეკოს თორქ გუხვიჩონდ, ბოში! „ეს ვთქვი და ამ კაცს თვალეხი გაუბრწყინდა, (გაუხარდა), კაცო“ (ლოლა ნანა, 2007:152).

18. ნღემიში მორდილქ შური გასოთინაფუუ ნღემც. „ღვევის გაზრდილმა სული გააფრთხობინა ღვეს“.

19. ონჯღორექ დააგურ, ოდო თინა, შაივარი ხოლო ქემომიღუ დო ფარა ხოლო ქემომიღუ. „შერცხვა და ის შარვალიც მომიტანა და ფულიც მომიტანა“ (ლოლა ნანა, 2007: გვ. 280)

20. მუზარბიის უნდუ ოსური, ნამუსუთი **გური აფულუ** არძოში უნჩაში ვითოჟირი დუდამი კაჟინდემიშა. „მუზარბის ჰყავდა ცოლი, რომელსაც სურდა (გულიჰქონდა) ყველაზე უფროსი თორმეტთავიანი კაჟინდევი“.

21. ხორგას კოჩი გოლახეს დო ხეთას **გურქ მურთუა**. „ხორგაში კაცი გალახიეს დახეთაში გულიმოუვიდაო“ (ხალხ. სიბრძნ. 1994: გვ. 185).

22. ჯიმუშიერცგ **გურქე ქემურთო** დო ლეპიცალო გინირთო ...„ჯიმშერს გული მოუვიდა და ლეიბივით გახდა“.

23. შარასე ირო მეფეჟრენცგ, „მუ რე თე გურიში ვარდი დო გურიში დარდია“, მარა მუთაშა **აჩინგ გურქე**. „გზაზე სულ ფიქრობდა, რა უნდა იყოს გულის ვარდი და გულის დარდიო, მაგრამ ვერაფერს მიხვდა“.

24. ბელთაგანქეთი **გური ქუუჩე**: „ნანდულო ხრისტა-განი-ტარიელი ოკო ორდას, თეურე მურცგნი, თინავა.“ ბელთაგანიც მიხვდა (გულმა უგრძნო) „ნამდვილად ხრისტაგანი-ტარიელი უნდა იყოს, იქიდან რომ მოდის, ისო.“

25. ქოჩორაქ თიცალი ხე გიმილე, გვერდი წანაშა თექიანი მინულას მუთუნი ვაღირსენდ. „ქოჩორამ ისეთი ხელი გამოიღო, ნახევარ წელიწადში იქ შესვლას არაფერი სჯობდა.“

26. ბოშემქ **უჯი გაცქვირინეს**, მარა ე ძღაბიში საშველქ ვეე უ. „ბიჭებმა ყურები ცქვიტეს, მაგრამ ამ გოგოს საშველი არ იქნა“.



27. ქონორაქ ართიქიდიისოფუუ დო ჭყორიცალო **შური გოტუუ**. „ქონორამ ერთი გაიბრძოლა და მწყერივით სული განუტევა”.
28. მუში მახორობაშა ქ მორთ უნი, ხორუას **ხე ქიმეთხ**. „თავის ოჯახში რომ მივიდა, ოჯახს ხელი მოჰკიდა.”
29. მარა ეში რაგადიშენი გერიაქ **უჯიშათი ვეგილეფართხუუ**, გაა უნუ დო ილუ მუში შარაშა. „მაგრამ ამის ნათქვამზე გერიამ ყურიც არ გააპარტყუნა (არ შეისმინა), აილო და თავის გზას დაადგა”.
30. ეს არძაში უჯგუმ მუდა ქემენგ, არძაში უჯგუმო **ხე მონუნყუუ** ირფელი დო ჯგირი! „ამას ყველაზე უკეთესი ის მისცა, ყველაზე უკეთესად შეუწყო ხელი ყველანაირად (მეგრ. ტექსტ. 2012: გვ. 102).
31. ჯგირ ასე დო, ოჭკუმ დო თე ძღაბიქ ჭიჭე **შური მითქე**, იახადო.....კარგი ახლა და, შეჭამა და ამ გოგომ ცოტა სული მოითქვა, და“...(მეგრ. ტექსტ. 2012: გვ.106).
32. დათო ორდუა დო მიდართუა, **გური მომიფონუა**. „დათო იყო და წავიდაო, გული მომიყვანაო” (ლოლა ნანა, 2007: გვ. 200).
33. ჯგირი ბოშო **მეიდუ დუდი**, მარა სქუა ვაირდუ-მაქ - მა უწიი. „კარგ ბიჭად მოგაქვს თავი, მაგრამ შვილი ვერ გაგიზრდია-მეთქი, მე ვუთხარი”(ლოლა ნანა, თბ., 2007, გვ. 204).
34. თეს მუდგა კონქ ვამაათხოზკონი, ირდიხას **გიშედანდუ დუსგ** ფერი'დ, ფერ კონი'დ. „ამას ვინც არ უნდა გამოჰკიდებოდა, ყველა სიტუაციიდან (ყველგან) რომ დაიხსნიდა (გამოიტანდა) თავს, ისეთი იყო, ისეთი კაცი იყო“(ლოლა ნანა, 2007: გვ. 210).
35. რაჟდენქ დოღურუ, გოგუცას **შური უდგუდუ**. „რაჟდენი გარდაიცვალა, გოგუცა ცოცხალი იყო (სული ედგა).“(ლოლა ნანა, 2007: გვ. 216).

36. ოღო თენენქ არძაქ **ხე შემინწყუუ**. „ჰო-და ამათ ყველამ ხელი შემიწყო“ (ლოლა ნანა, 2007: გვ. 230).
37. აქ, გოჩა ღურეიენიავანი, თიში **ხმა გუოთამუდეს**. „აქ, გოჩა მკვლარი რო არისო, იმისი ხმაც გავერცვლებინათ“ (ლოლა ნანა, 2007: გვ. 262).
38. უკული **გუჩი გუჩინი**, თეჯგუა იჩიუ თე ოსურქ... „მერე რომ გავიაზრე, ისეთი ილაპარაკა იმ ქალმა...“ (ლოლა ნანა, 2007: გვ. 264).
39. მა **ღუდი ოკო გიშებრჩინე**, მიდგარენი გოგიაში ოსური სოღგარენი ვორექ დო მაპატიჟენა სოღგარენინი. „მე თავი უნდა გამოვიჩინო აქ, ვილაც გოგიას ცოლი სადღაც რომ ვარ და რომ მეპატიჟებიან სადღაც“ (ლოლა ნანა, 2007: გვ. 300).
40. საცივი ითანთაღდას ოკო, ა, კოს ჭკომუაშა **გაყიდას გუჩინი**. „საცივი თანთალებდეს უნდა, აი, კაცს საჭმელად რომ მიგივიდეს გული“ (ლოლა ნანა, 2007: გვ. 314).
41. ასე აბესალონქ ამარი **ქეშამიოლუ ხეშა**. „ახლა აბესალომი აქ ჩამივარდა ხელში“ (ლოლა ნანა, 2007: გვ. 218).
42. ჩქე იმნტათია თაურე, ანწ ქუმულა მშობლეფი, **ღუდ ვაოძირათია**. „აწი მოვლენ მშობლები, თავი არ ვანახოთო“ (მეგრ. ტექსტ. 2012: გვ. 174).
43. ეე კოჩი, მარა ვე ედა ექი, ღურაშა **გური ვა გაფუ** ნდა. „ეე, კაცო, მაგრამ არ წახვიდე იქ, სიკვდილისკენ გული თუ არ მიგიდის“ (ყიფშიძე, 1994: 223).
44. შურო **გური ვა მარძენს** მუკორთაში იმენდის. „სულ გული არ მაძღვეს (მეუბნება) მობრუნების იმედს“ (ყიფშიძე, 1994: 359).
45. რუსემქ **ფოფორი ქიჩანუუ**, მუჟამც გიმორჯგინესგ ნი. „რუსები გაიფოფრნენ, როდესაც გვაჯობეს (ყიფშიძე, 1994: 360).

46. **დუდი მებჩი** სიავეს, კუნხი გეგშობდგი გვარობას. „თავი მივეცი სიავეს, გვარიშვილობიდან ფეხი ამოვიკვეთე“ (ყიფშიძე, 1994: 361).
47. კულეს კონი ლახესგ დო ჯვარც **გურქე მუშურთუა**. „კულეში კაცი ცემეს და ჯვარში გული მოუვიდაო (გაბრაზდაო)“ (ყიფშიძე, 1994: 381).
48. ათე დროს სანარტიას **გურქე ქუმურთგ** დო ცვილუა მუუნდომუ, მარა დემქე კინი შეეხვეწუ. „ამ დროს სანარტიას გული მოუვიდა და დაკვლა მოუნდომა, მაგრამ დევი ისევ შეეხვეწა“ (ყიფშიძე, 1994: 255).
49. მუშენი ინგარანი, **გურქე ვა აჩინგ** ხენწიფეში მინაჩქუმელი კოცე. „რატომ ტირიან, ვერ მიხვდა ხელმწიფის გამოგ ზავნილი კაცი“ (ყიფშიძე, 1994: 257)
50. ...მუში ოსურისქუას ხამი ქიმენგ ძალამო კვათირი დო უწუუ: „მიქეთი სქანდა მერთასიე, **დუდი დაანებია** დო ცალი ოშუმეში, ვე ეგინასი, თეში გეგილახოკია, დო მაჟირა დღას ქიფჩინენთია“. „თავის ქალიშვილს დანა მისცა ძალიან აღესილი და უთხრა: ვინც შენთან მოვიდეს, თავი დაანებე (დანებდი) და ცალი უღვაში ვერ გაიგოს ისე მოპარსე და მეორე დღეს ვიცნობთო“ (ყიფშიძე, 1994: 258)

#### **ლაზური:**

1. და დო ჯიმაქ ართიმაჟირას გური გუნდუმელან. „და და ძმა ერთმანეთს ამხნევებენ (გულს გაუღებენ)“.
2. ბერექ ოკითხუთენ თის იტახუვს. „შვილი სწავლით თავს იტეხს (წვალობს)“.
3. თის მუხთუ = მეწონუ; „თავში მოუვიდა (მოეწონა)“.
4. გიგთერი გოლოდგინე = „უკუღმა დაყენა (ამხელა)“;

5. უნჯირუ ვორე დო თოლი ვომცუღელაფ. „უძილო ვარ და თვალს ვატყუებ (ვთლემ)“.
6. ემუში მუთუ მო იჯერო, არ მტკო ჟურ მტკო იქიფს. „იმისას ნურაფერს დაიჯერებთ, ერთ მტკაველს ორ მტკაველად აქცევს (გააზვიადებს)“.
7. აღაქ ბაშქას **თოლი ქოგედვუ** (ჩიქობავა 1936, 10) „ბატონმა სხვას თვალი დაადგა“.
8. სქანდენ დიდო **გუი მოხთიმეი ვოე** (ჩიქობავა, ჭან. ტექსტ., 43), „შენგან (შენზე) ძალიან გაბრაზებული ვარ“.
9. ამახი კოჩიში **თოლი მატენ** (ჩიქობავა, ჭან. ტექსტ., 127) „ხარბი კაცის თვალი ეცემა“.
10. ბოზოს აშქურნუ, **ნენა ვარ ეშადუ** (დიუმეზილი, 30) „გოგოს შეეშინდა, ენა ვერ ამოიღო“.
11. ჭიტალეფექ დიდილეფეს გუი ვა მუქქვინაუნონან (ჩიქობავა I, 74) „პატარებმა დიდებს გული არ უნდა მოუყვენონ (არ გაუბრაზდნენ)“.
12. ხოჯას **სელამი მეჩუ**. ხოჯაქთი **სელამი ფუჭოფუ** (ჩიქობავა, ჭან. ტექსტ., 5) „ხოჯას სალამი მისცა. ხოჯამაც სალამი გამოართვა“.
13. ქომოლის არ ჟურ საათის **ნოსი ვა მუხთუ**–გოწოკიდეი ნა ტუშენი (ჩიქობავა, ჭან. ტექსტ., 12) „კაცს ერთი ორი საათი აზრი არ მოუვიდა (ვერ მიხვდა),– ჩამოკიდებული რომ იყო“.
14. ბეფეე ქოხოწონამან, ამმა **ნენა ვა აქთენან** (ჩიქობავა, ჭან. ტექსტ., 14) „ბავშვებს ესმით, მაგრამ ვერ ლაპარაკობენ (ენას ვერ ატრიალებენ)“.
15. **მჟორაქ** პატი **გამიკიბინამს** (თანდილავა, 76) „მზე ძალიან მკბენს“.

16. მა ამუს ვუწუმერ დო სი მით გამალაფ (თანდილაფა, 77) „მე ამას ვეუბნები და შენ რად გამოსტები (შენ რას უხტები, რა გინდა)“.
17. ჰელე-ია ოსორჯას გუი ქომოუჩქინა-და? (ჩიქობავა I, 14) „აბაო, ცოლს გაუბრაზდიო (გული მოუყვანეო)?“.
18. დიდო გუი დომაჭვენ, ნოდეშა-ნა ულუნ (ჩიქობავა II, 144) „ძალიან მეწყინება, (გული დამეწვება), ნადში რომ წახვალ“.
19. შუი-ნა ვა გედგინ, ქინიქ სუმ ჭუკი ქომომჩეს (ასათიანი ტექსტ. 2012, 56) „სული რომ არ უღვას (ცოცხალ-მკვდარი), დედაბერმა სამი იხვის ჭუკი მოგვცა“.
20. მემედ-ალა ჰაჯილულიშა ოლვაფუ გორუ (ჩიქობავა II, 118) „მემედ-ალამ სალოცაფში წასვლა გადაწყვიტა (წასასვლელი მოძებნა)“.
21. –აცაცა-ბაცაცა – უჯოხუ, მარა მითიქ ნენა ვარ მერუ (ლაზური პარამითეფე, 1982, 6) „–აცაცა-ბაცაცა – უძახა, მაგრამ არაეინ უპასუხა (ენა არ მისცა)“.

**სვანური:**

1. ხნდურდ ხწშუმინას ლემასგე უმხვრ ნესგა შვანწრს ი ქაშგწრს (ექსპედ. მასალ.) „კიდევ უფრო მეტად ამწვა-ვებდნენ ურთიერთობას (უნთებდნენ// შენანთებან ცეცხლს) სვანებსა და ჩერქეზებს შორის“.
2. ჩნ გუ ხნდ ალ დნნად ხახტდ, მარე ქა დწრ მოშ ხობდწვდა ლიშტუმეს (ექსპედ. მასალ.) „ყველას მოსწონდა (გულით//გულად ჰქონდა) ეს გოგო ცოლად, მაგრამ ვერაეინ ვერ უბედავდა თხოვნას“.
3. ჯა ზურნლ, მწდ ქაჯწრ ესერ ახტუნდა? (ექსპედ. მასალ.) „შე ქალო, ასე რამ გაგაგიუ//გაგაბრაზა?( რა ქაჯები შემოგესიაო?)“.
4. ეჩნ ნაგერგალდ ლწკირდ ამბიდნე(ექსპედ. მასალ.) „იმისმა ნალაპარაკეფმა ძალიან გამაბრაზა“ („საკირედ ამანთო“).

ხელწიფს ხორი მიჟუწდუნა სნმაქ ეჯკაღიბ, ერე ენ ლისგდის მამგტეშ ხონა I ეჩასი სურიდ, **დეც ლაფარდ ჯალა ი გიმ ლაზელდლდ** (ექსპედ. მასალ.) „ხელმწიფეს ჰყავს მზეთუნახავი ქალიშვილი იმისთანა, რომ იმის ყურებას არაფერი სჯობს, და მასაც, ნეტამც, ცა ქუდად არ მიანია და დედამიწა ქალამნად“.

5. ეჩას ხონამდ **ქოთფტრნე მი შდგმრწლს** (ექსპედ. მასალ.) „იმას მე კარგად//გვარიანად დავტუქსავ (ყურებს გავუხვრეტ)“.

6. თწლიკოს აჯად ხეკტწდ ერ ხრქტწნს, მარე მიჩა თელღრად, დერ ხწმოქტა ეჯჟი, უცეფდ **შწშტწრ ათურტყ ტწტწნე** (ექსპედ. მასალ.) „თალიკოს კიდევ უნდოდა, რომ რაღაც ეთქვა, მაგრამ მისმა რძალმა, როგორც სჩვევია ისე, უხეშად შეაწყვეტინა“ („შაშვები გადააყლაპვინა“).

7. **შდიმი მამ ადთხგპნე** (ექსპედ. მასალ.) „არ შეისმინა (ყურიც არ გააპარტყუნა)“.

8. **რივენს ლწხრექტწლწნ** (ექსპედ. მასალ.) „წყალში ჩავარდა“ (ადიდებულ მდინარეს, რიონს „ჩაეტანისამოსა“).

9. მწდ ალამწგ **ღიმურყტწმი ხაკუ?!** (ექსპედ. მასალ.) „რა ამდენი გაზვიადება უნდა? (რა ამდენი „აკოშეება“ უნდა?)“.

10. **ფწთტწ ფწწწ/ფწწწ შიდე** (ექსპედ. მასალ.) „სასტიკად განრისხებულა“ („თმის ჯერს ჯერზე ყრის“). **გტწმი ნწხიპტუ შიწრჟი ხრზ** (ექსპედ. მასალ.) „სასოწარკვეთილია („გულის ნასკდომი //ნაფლეთი ხელეებში უდევს“).

11. **რიწლდ თთგენ** კომუნისტრე გუნდა ხოღწმი ნწქტწნსგიერ, ეჯწდრე, მეშწ მწრე ჯიხალდწდს-ლო ხენტრწლ კომუნი-სტრე დტრეტს, დეს-დესინ ტულიხი ადუ, ეჯიწრს ესერ ჩუ ხაღწნახ საბრალ ხწლხი მაჟერ ი მეშწ მწრწმი ლუგტენ (ექსპედ. მასალ.) „კარგად დავტუქსე („რიალად“ ვაქციე) კომუნისტებზე აუგის თქმის გამო, იმიტომ რომ მწრომელეები დღემდე შენატრიან კომუნისტების დროს,

ზოგჯერ იტყვიან კიდევაც, იმათმა მართლაც იცოდნენო უმწეო ადამიანების შეცოდება და მშრომელი კაცის დაფასება“.

12. იმშერწლდა, **გტნმი ნწნიპტ ესერ შიწრჟი ხრზ**, ხაგერჯგნდა, მეზგეს ღორი-სემი სტუდენტი აწხუდ ლითტ-რი ი ლისტუდენტწლტნე მასწრდ გარჯ ხოვდენი (ექსპედ. მასალ.) „წუხილს გამოთქვამდა, „გულის ნასკდომები ხელთ მიპყრიაო“, ეძნელებოდა, მართლაც, ეკონომიურად ოჯახს ორი-სამი სტუდენტის ერთდროულად სწავლა და სტუდენტობა მეტისმეტ ტვირთად აწვება (=უადრეს გარჯად მოსდის)“.

13. ჩუ მიხა, **დეც ლაფარდ ჯალა ი გიმ ლაზელწლდ**, მარე ათხე მი ისგუ ლიარტისტაწწლ ი ლიფოკუწაწწლ მწმ მწინტერეს, გტეშდა ლწლგერგლად (ექსპედ. მასალ.) „ვიცი, ზეცა საფარად გეცოტაგება (გწყინს) და დედამიწა სასიარულოდ, მაგრამ ახლა მე შენი არტისტობა და ფოკუსნიკობა არ მწინტერესებს, საქმეზე ვილაპარაკოთ“.

14. მენწევიკწრს ი ბოლწევიკწრს შტწწს გუნ ლგხწდად მწმ ხახრწლწახ ი ექტა სერ ხწნ ი დტრეუნლო **ჰაჯ ოხკდახ** (ექსპედ. მასალ.) „მენწევიკებს და ბოლწევიკებს სვანეთში სიხარულით არ ხვდებოდნენ თურმე (=დანახვედრებან)“ და ამიტომაც რაღაც პერიოდის მერე აჯა აუღიათ (=თავი მიუნებებიათ)“.

15. ოთქარწტ ალამწგ ზწწწ[შ] ნამწაწ-ნაგარჯ მიწგუ ი **მეტარ ღალ გტი მეკტშე მწრ** (ექსპედ. მასალ.) „დაგკარგე ამდენი წლის ნაწრომ- ნაჯაფარი ჩემი და ძალზედ გულგატეხილი ვარ“.

16. ნარდწტ ი ნაგწზდილ ეწწშ ალ ბეფშტ ი მი მწმ ონტინდწს ამჟი ხოწა ორწლ, ეჯრერე, ამწ მტრდწმი **ლწსგიდ თწრწლ მწმ მადღა** (ექსპედ. მასალ.) „გაზრდილი და აღზრდილი იმისი იყო ეს ბავშვი და მე არ მოველოდი ასეთი კარგი იქნებოდა, მიუხედავად იმისა, რომ იმდენად

ვერ ვიტანდი ამის გამზრდელს, რომ მისი „საყურებელი თვალები არ მქონდა“.

17. აღ გუემ კისდ ლი გუნ ლეგზრჯ, მარე ლესყნე ი ლაგას ლეგნე ისგუ, ამლა დზრ მოშ ხენჩღაღლ (ექსპედ. მასალ.) „ეს საქმე მართლაც საკმაოდ რთულია, მაგრამ გასაკეთებელი და გადასაწყვეტი (აღაგზე დასაყენებელი) [მხოლოდ] შენი, ამიტომაც ვერავინ ვერ ჩაერევა“.

18. ღაღგიმღაღი მერმე სოფღაზრხან მუშურჯღლა ანღაღღ სემი უღა ჯანაღრშუ, ჰედ მად ესღეს ხოლა დზრ, ნაუეები, ხოლა შუეღაღ(ექსპედ. მასალ.) „მშენებლობისას სხვა სოფლებიდან დამხმარეები მოვიდნენ სამი უღელი ხარებით, აინუნშიც კი არ ჩააღღეს უამინდობა, ცუდი გზები, მოუცღღღღღღღ“.

ფრაზეოლოგიურ შემასმენელთან დაკავშირებით საინტერესოდ მივიჩნიეთ ზოგად ენამეცნიერებაში ღუსიენ ტენიერის მიერ გამოთქმული თვალსაზრისი: სტრუქტურული სინტაქსის კვლევის მთავარი მეთოდი ვირტუალურ-სიმბოლურია. სიტყვა-წინადადებები ძნელად ექვემდებარება სტრუქტურულ კლასიფიკაციას, სამაგიეროდ შესანიშნავად კლასიფიცირდება სემანტიკურად.

ღ. ტენიერი გამოყოფს ღოგიკურ და აფექტურ ფრაზოიდებს. სწორედ ღოგიკურ ფრაზოიდებს განეკუთვნება იდიომი.. იდიომში შემავალ სიტყვათა თითქოს ალოგიკური სემანტიკა ერთ ღოგიკურ ცნებაში გადადის. თუ ეს ცნება მოქმედებას აღნიშნავს, წინადადებაში ზმნის ადგილს იკავებს, ე.ი. შემასმენელია. ხდება ტრანსლაცია:  $Fr < V$  ( $Fr$ = ფრაზა,  $V$ =ზმნა) (ტენიერი, 1988, 112). შღრ. ხელი გაუმართა > დაეხმარა. რაც შეეხება გაანაზღბული მასალის სინტაქსური კვალიფიცირების საკითხს, ამის თაობაზე სპეციაღღღ ღიტერატურაში აზრთა სხვადასხვაობაა: „რას გვაღღღღეს ქართული სინტაქსის თვალსაზრისით ფრაზეოლოგიური შემასმენღღღ გამოყოფა, თუკი შემასმენღღღ



მიჩნეულ იდიომში შემავალი სიტყვები ისეთსავე ურთიერთობას ამყარებენ ერთმანეთთან, როგორსაც ნებისმიერ სხვა შემთხვევაში „დაამყარებენ“ (გეგუჩაძე, 1995, 98). იგულისხმება სინტაქსური ანალიზისათვის მთავარი ფაქტორის - სინტაგმების გამოყოფა, იდიომის შემადგენელი კომპონენტების „ხვედრი სინტაქსური წონის“ გარკვევა, კოორდინაციის მთელი არსის განსაზღვრა, რაც ფაქტობრივად განაპირობებს ქართულ და შესაბამისად ქართველური ენების სინტაქსის სპეციფიკურობას. როგორც ცნობილია, „წინადადება აგებული კოორდინაციაზე, ზმნა - კოორდინაციის ცენტრი, სახელები - კოორდინატები, - ეს არის ის თავისებური სინტაქსური ცნებები, რომლებიც შეაქვეს ზოგადი ენათმეცნიერების საგანძურში ქართულს“ (ჩიქობავა, 1968: 223). იდიომის თუ სიტყვათა მყარი შენაერთის ერთ წევრად მიჩნევა მართებულია იმ ენებისათვის, რომლებშიც სუბიექტი ბრუნვაცვლელია, მართვა მხოლოდ - ცალმხრივი, ზმნა-შემასმენელი მონოპერსონალური. სწორედ ქართული და ქართველური სინტაქსის სპეციფიკიდან გამომდინარე სხვაობა ორ წინადადებას შორის - **დიდმა ბატონმა თქვენი ჭირი წაიღო** და **დიდმა ბატონმა თქვენი ქონება წაიღო** - რა თქმა უნდა, არის, მაგრამ არა სინტაქსური, არამედ სემანტიკური ხასიათისა. „თქვენი ჭირი წაიღო“ ალბათ, უფრო შემასმენლის ეკვივალენტია, ვიდრე შემასმენელი. ფრაზეოლოგიზმის ერთ წევრად განხილვა ქართული სინტაქსური ბუნების გაუთვალისწინებლად გვესახება. მისი ადგილი, ვფიქრობთ, სემასიოლოგიაშია და არა სინტაქსში (გეგუჩაძე, 1995, 99). ჩვენ ამჯერად შევეცადეთ, მეგრულის, ლაზურისა და სვანურის შესაბამისი მაგალითების ანალიზის საფუძველზე საკითხის აღწერითი მხარე წარმოგვეჩინა, რითაც ქართულისა და ქართველურის საერთოობა აღნიშნულ საკითხშიც დადასტურდა. ირკვევა, რომ სიტყვათა

მყარი შენაერთით ანუ იდიომით გადმოცემული ფორმები ქართველურ ენებში საკმაოდ ხშირად გვხვდება. წინადადებაში მათ უმეტესწილად, პრედიკატული მნიშვნელობა აქვთ. დაკვირვებამ ცხადყო, რომ ე.წ. ფრაზეოლოგიური შემასმენელი უფრო ხშირია დღემდე გამოქვეყნებულ სვანურ, მეგრულ, ლაზურ ტექსტებში, ვიდრე ცოცხალ მეტყველებაში. შეიძლება ერთგვარ ტენდენციასაც კი მივანიშნოთ ასეთი ფორმების თანდათან გაუჩინარებისა, განსაკუთრებით ახალგაზრდების მეტყველებაში. მიუხედავად იმისა, რომ კოორდინაციის საკითხი ქართველურში სათანადოდ არ არის შესწავლილი, გათვალისწინებით მკვლევარ-სპეციალისტთა თვალსაზრისისა, რომ სინტაქსში სვანური და მეგრულ-ლაზური არსებითად მისდევს ქართულს, შეიძლება დავასკვნათ, რომ ე.წ. ფრაზეოლოგიური შემასმენელი ქართველურ ენებშიც კვალიფიცირებულ იქნეს შემასმენლის ეკვივალენტად და განიხილებოდეს არა სინტაქსში, არამედ სემასიოლოგიაში.

**§ 9. ბივერბალური და პარონომაზიული შემასმენელი ქართველურში:** ბივერბალური და პარონომაზიული შემასმენელი ორივე ორკომპონენტიანი, მაგრამ ერთი ცნების გამომხატველი კონსტრუქციაა. როგორც სახელწოდებიდანაც ჩანს, ბივერბალური შედგება ორი ზმნისაგან (ქართ. „გადაწყვიტა გაეკეთებინა“, „ეცადა მოესწრო“... სვან. ჩჷასკიბხ ალყუაბელჷსხჷ „დაადგინეს შეკრებილიყვნენ“, ანმნდე ჟანკაჩან//ჟანმნდე ჟილიკჷ „შეიძლო წამოწეულიყო//აღმართულიყო“, ანუნდუნე ათჷერანჷ „მოინდომა გაჰყოლოდა“... მეგრ. მოკონა ვარჩიათ „გვინდა გავარჩიოთ“ მითხუ ქომიწუე „გთხოვ მითხრა“ ...) და მასში მეორე კომპონენტი ინფინიტივის ტოლფასია, უწოდებენ კიდევაც მას ინფინიტიურ კონსტრუქციას, თუმცა სპეციალურ ლიტერატურაში იგი ბივერბალურის

სახელითაა ცნობილი. პარონომაზიულ გამოთქმებში, ჩვეულებრივ ორი კომპონენტი გვაქვს: ზმნის პირიანი ფორმა და იმავე ძირის საწყისი მოქმედებითი ბრუნვის ფორმით, რომელიც უმეტესად უსწრებს მას, მაგრამ შეიძლება მოსდევდეს (შდრ. **მხილებით ამხილო... და იგლოვდეს გლოვით...**). პარონომაზიული წყვილები, ჩვეულებრივ, გვერდიგვერდ გვხვდება, მაგრამ შეიძლება შგვხვდეს გათიშულადაც: დადგა მზე და მთვარე დადგომით... სიკვდილით მაშინ მოგვედეთ საუკუნოდ...

**საკითხის შესწავლის ისტორიისათვის ქართულში:** კ. წერეთელი, რომელმაც სპეციალური გამოკვლევა უძღვნა პარონომაზიას ქართულში, ერთი ძირის მქონე პარონომაზიულ წყვილს ძირეულ ანუ მორფოლოგიურ პარონომაზიას უწოდებს, ხოლო სინონიმური ძირებისაგან ნაწარმოებს - სემასიოლოგიურს ანუ სემანტიკურს (წერეთელი, 2001, 281: 283). მოქმედებით ბრუნვაში მდგარი საწყისი შესაძლოა დაუკავშირდეს შედგენილ შემასმენელს, რომლის სახელადი ნაწილი იმავე ძირის მიმღეობაა: **ურჩებით დაუმორჩილებელ** (//ურჩ) ექმენით... **მოცემით მოცემულ** არიან... პარონომაზიის შესახებ ვრცლად მსჯელობს ივ. იმნაიშვილი, რომელსაც შენიშნული აქვს რამდენიმე შემთხვევა, როდესაც საწყისის ნაცვლად მოქმედებით ბრუნვაში აბსტრაქტული სახელი დგას: სიმდაბლით დაიმდაბლე... წადიერებით სწადოდა (იმნაიშვილი, 1957: 236). „პარონომაზია სემიტურ ენათათვის, განსაკუთრებით ებრაულისათვის დამახასიათებელ მოვლენადაა მიჩნეული“ (წერეთელი, 2001: 277). იგი ძალიან ხშირად ძველ ქართულ ნათარგმნ ძეგლებში გვხვდება, მაგრამ, როგორც ივ. იმნაიშვილი შენიშნავს, ამის ფესვები არ უნდა ვეძიოთ მხოლოდ უცხო ენის (მაგ. ებრაულის) გავლენაში... ქართული პარონომაზია ყოველთვის არაა დამოკიდებული სხვა ენაზე, ეს მისი თვისებაცაა... რომ ეს

მოვლენა ქართულისათვის იყო დამახასიათებელი... იქიდანაც ჩანს, რომ მას ვხვდებით ორიგინალურ ძეგლებშიც... პარონომაზია ახალი ქართულისთვისაც არაა უცხო მოვლენა... ამნაირი გამოთქმები დღეს სავსეა როგორც ცოცხალ კილოებში, ისე სალიტერატურო ქართულში“ (იმნაიშივილი, 1957, 244) და თავად წარმოგვიდგენს ამის დამადასტურებელ მაგალითებს. რ. ჩხეიძის თვალსაზრისითაც (ჩხეიძე, 1990), პარონომაზია ქართული მოვლენაა. პარონომაზიული ფორმები დასტურდება მეგრულსა და სვანურშიც... პარონომაზია ქართველური ენებისათვის დამახასიათებელი იყოს უძველესი დროიდანვე... (ფეიქრიშივილი, 1996:112). განსხვავებულია მკვლევართა თვალსაზრისები პარონომაზიული გამოთქმის სინტაქსური კვალიფიკაციის თაობაზე; კ. წერეთლის აზრით, სინტაქსურად პარონომაზია ერთი მთლიანია. იგი წინადადებაში შემასმენელს წარმოადგენს. პარონომაზიიდან არც ერთი სიტყვის ცალკე სინტაქსურ ერთეულად გამოყოფა არ შეიძლება, წინააღმდეგ შემთხვევაში პარონომაზია კარგავს თავის სპეციფიკას... პარონომაზია სინტაქსურად სხვა არაფერია, თუ არა შედგენილი - ერთი ვერბალი ცნების გამომხატველი. ამაშია პარონომაზიის თავისებურება. ამდენადვე, ქართული პარონომაზიის ცალკეულ წევრთა სინტაქსურ რაობაზე საუბარი შეუძლებელია“ (წერეთელი, 2001, 292). უფრო ადრე, 1948 წელს, ა. შანიძე წერდა: „უბრალო დამატებად ზმნასთან ზოგჯერ მისივე საწყისი იხმარება მოქმედებითის ფორმით. ეს ხდება უმთავრესად დიალოგებში:

- იმედი მაქვს, შენ ხვალ ან ზეგ ჩემ ვაღს გადამიხდი.
- **გადახდით გადაგიხდი**, თუ როგორმე მანამდე ფული ვიშოვე“ (შანიძე, 1948: 44). უბრალო დამატებადვე მიიჩნევა პარონომაზიული გამოთქმის აღნიშნულ კომპონენტს ლ. კვაჭაძეც (კვაჭაძე, 1958: 90). მოგვიანებით პარონომაზიული

გამოთქმა მან ერთ წევრად - შემასმენლად - მიიჩნია: „პარონომაზიული წყვილი მყარ სიტყვათა შეხამებად გვევლინება, ერთ ცნებას გამოხატავს და, როგორც წინადადების წევრი, შემასმენლად უნდა დასახელდეს“ (კვაჭაძე, 1977: 125). კ. წერეთლის მოსაზრების საწინააღმდეგოდ, რომელიც პარონომაზიულ გამოთქმას შედგენილ შემასმენლად მიიჩნევდა, ლ. კვაჭაძემ მას „მყარ სიტყვათა შეკავშირებით გადმოცემული შემასმენელი“ უწოდა. თავისი თვალსაზრისი მან ამგვარად დაასაბუთა: „შედგენილ შემასმენელში ზმნის პირიანი ფორმა დამხმარება, მეშველია, შემასმენლის გამოხატვის ძირითადი დატვირთვა სახელად ნაწილზეა, პარონომაზიულ გამოთქმებში კი ზმნის პირიანი ფორმა ნახმარია თავისი ძირითადი მნიშვნელობით, იგი თავისთავადია და არა მეშველი“ (კვაჭაძე, 1977: 125). საკმაოდ დაწვრილებითაა განხილული პარონომაზია ივ. იმნაიშვილის მონოგრაფიაში, მაგრამ, მიუხედავად იმისა, რომ იგი ვრცლად, დეტალურად ეხება მოქმედებითი ბრუნვის სინტაქსურ ფუნქციებს (მოქმედებითი უბრალო დამატებად, მიზეზის გარემოებად, ვითარების გარემოებად, ადგილის ან დროის გარემოებად, გამოსვლითი ბრუნვის მნიშვნელობით...), ამ ბრუნვის ფუნქციაზე პარონომაზიულ გამოთქმებში არაფერს ამბობს (იმნაიშვილი, 1957, 726-727), მიუხედავად ამისა, ვვარაუდობთ, რომ ივ. იმნაიშვილი პარონომაზიულ გამოთქმას ერთ წევრად (შემასმენლად) თვლიდა. ამას გვაფიქრებინებს მონოგრაფიის პირველ ნაწილში გამოთქმული მისი თვალსაზრისი: „პარონომაზიული წყვილები ერთ ცნებას შეიცავს, შინაარსით ერთი ერთეულია“ (იმნაიშვილი, 1957: 239). პარონომაზიაზე მსჯელობს აკ. დავითიანიც. მისი აზრით, „პარონომაზიულ გამოთქმებს, ჩვეულებრივ, გარემოებითი ფუნქცია აქვს... პარონომაზიული წყვილისათვის დამახასიათებელია ვითარების გარემოებითი

დამოკიდებულება (ე.ი. პარონომაზიული სიტყვათშეხამება აღნიშნავს მოქმედებას და მის ვითარებას, ინტენსიობას, გამოორიციხვასა და სხვ.“ (დავითიანი, 1973: 410-411); ამ მსჯელობის მიხედვით, როგორც ჩანს, აკ. დავითიანისათვის პარონომაზიულ გამოთქმებში შემაჯავლი საწყისი მოქმედებითი ბრუნვის ფორმით ვითარების გარემოების ფუნქციის მქონეა. ასე აქვს გაგებულნი ეს მსჯელობა ლ. კვანტალიანსაც (კვანტალიანი, 1990, 114). თავად ლ. კვანტალიანი პარონომაზიულ გამოთქმებს აქტუალიზაციის შემთხვევებთან განიხილავს და აღნიშნავს, რომ „განმეორება აქტუალიზაციის მიზნით ხდება პარონომაზიულ გამოთქმებში, რომლებშიც მასდარი (ან აბსტრაქტული არსებითი სახელი) მოქმედებითი ბრუნვის ფორმით სინტაგმას ქმნის იმავე ფუძის ზმნის პირიან ფორმასთან. მაგ.: წერით წერს, ჭამით ჭამს, სიცოცხლით ცოცხლობს და ა.შ.“ (კვანტალიანი, 1990: 112). მას შემდეგ, რაც მიმოიხილავს სხვადასხვა თვალსაზრისს მოქმედებით ბრუნვაში მდგარი საწყისის სინტაქსური ფუნქციის თაობაზე, ლ. კვანტალიანი შენიშნავს, რომ „პარონომაზიულ გამოთქმებში სახელის სინტაქსური ფუნქცია ნათელი არ არის. იგი უბრალო დამატებას ჰგავს მხოლოდ ფორმით (მართული სახელია), შედგენილი შემასმენლის კომპონენტი მართული სიტყვა ვერ იქნება, გარემოებაც არ არის. ვითარების გარემოების ფუნქცია პარონომაზიულ გამოთქმაში შემაჯავალ სახელს მაშინ აქვს, თუ მას ახლავს თავისი მსახდვრელი. მაგ.: „შენ, საყვარელო, ნუ სჭმუნავ ჭმუნვითა ამისთანითა (რუსთ., 1302)...“ (კვანტალიანი, 1990: 114). გ. კარტოზიას აზრით, პარონომაზიულ გამოთქმაში ზმნასთან მასდარი მიცემით ბრუნვაშიც შეიძლება იდგეს და ამ შემთხვევაში მას პირმიმართი დამატების ფუნქცია აქვს: „სთმობდეს გაყრისა თმობასა = სთმობდეს გაყრას, ე. ი. იკარგება მასდარის გაგება, მასდართან დაკავშირებული

უბრალო დამატება პირმიმართ წევრად იქცევა“ (კარტოზია, 1975: 15-16; კვანტალიანი, 1990: 114). ა. კიზირია მიუთითებდა, რომ პარონომაზიულ გამოთქმებში ვითარებითიც იჩენს თავს, და თვლიდა, რომ საკითხი უნდა შესწავლილიყო ქართველურ ენათა შედარების საფუძველზე (კიზირია, 1982: 180). ახალ ქართულში პარონომაზიად მიჩნეული ვარიანტების მიმართ განსხვავებული მიდგომაა საჭირო. ჩვენთვის „ნამდვილი პარონომაზია (ტერმინს, ცხადია, პირობითად ვხმარობთ) არის ამ ტიპის სიტყვათშენაერთები: წასვლით წავალთ, მეტი რაი დღე გვაქვს? (ა.ყაზბ.); მორჩენით მორჩა, მაგრამ ზაფრა დასჩემდა(აკაკი); მიწვრით მისწვრა კი, მაგრამ... შეინანა თავისი საქციელი (დ. კლდ.); ცნობით რავა არ ვიცნობ? (დ. კლდ.); შეძლებით კი შეიძლება, მაგრამ...(ილია); აკრძალვით კი არ აუკრძალავს (დ. კლდ.); ასვლით ავალ ხეზე, მაგრამ...(აკაკი); ცნობით კი იცნო... დაძინებით კი ვერ დაიძინა. ამგვარი „ნამდვილი პარონომაზია“ უმეტესად დიალოგებში გვხვდება: იგი წარმოადგენს საპასუხო რეპლიკას, რომელშიც მეორდება პირველ რეპლიკაში გამოყენებული ზმნა. მაგ.: - შენ ყველაფერს მოახერხებ, თუ მოინდომე,- უთხრა თითქმის ხვეწნით ბახვამ, - მოხერხებით როგორ არ მოვახერხებ...(გ. წერეთ.); მაგრამ იგი გაბმული მეტყველებისათვისაც არაა უცხო. მაგ.: კითხვით კარგად ვკითხულობდი (აკაკი); ამგვარი პარონომაზიული გამოთქმები ერთი ცნების გამომხატველია და, ვფიქრობთ, ერთ წევრად – პარონომაზიულ შემასმენლად შეიძლება ჩაითვალოს, რომელშიც მოქმედებით ბრუნვაში დასმული სიტყვა (დავესესხებით ლ. კვანტალიანს, 1990. 15) მხოლოდ აქტუალიზატორია; იგი მხოლოდ მოქმედებას გახაზავს და არა აქვს დამოუკიდებელი წევრის ფუნქცია. რაც შეეხება პარონომაზიად მიჩნეულ სხვა ტიპის მაგალითებს, როგორიცაა: ხმელი წიფელი ამოიკვნესებს ღრმა კვნესით (ვაჟა); ჩვენს ხალხს

ორი ათასი წელიწადი უცხოვრია თავისის ცხოვრებითა და თვითმოქმედებით (ილია); თებერა იყო ლამაზი სოფლური სილამაზით (ვ. ბარნოვი); დიდი წვალებითა და მოუსვენარი ცხოვრებით ვცხოვრობდი... და ა. შ. ვფიქრობთ, სხვაგვარ მიდგომას საჭიროებს. ამ შემთხვევაში ჩვენთვის გარკვეულწილად გასაზიარებელია ლ. კვაჭაძის თვალსაზრისი, რომ, როდესაც მოქმედებით ბრუნვაში დასმულ სიტყვას ახლავს ატრიბუტული ან სუბსტანტიური მსაზღვრელი, „განსხვავებული კვალიფიკაცია უნდა მიეცეს“ (კვაჭაძე, 1977); მაგრამ ლ. კვაჭაძე მიიჩნევს, რომ მოქმედებით ბრუნვაში მდგარი საწყისი თავის მსაზღვრელიანად დამოუკიდებელ წევრად გვევლინება და ზმნის პირიანი ფორმისადმი დამატებითს ან გარემოებითს მიმართებას გამოხატავს; ანუ, მისი აზრით წინადადებაში „თებერა იყო ლამაზი სოფლური სილამაზით“, უბრალო დამატებაა „სოფლური სილამაზით“, ხოლო წინადადებაში „იოლად კი არა, დიდი წვალებითა და მოუსვენარი ცხოვრებით ვცხოვრობდი“, „წვალებითა და მოუსვენარი ცხოვრებით“ მთლიანადაა ვითარების გარემოება (კვაჭაძე, 1977). ამგვარ სიტყვათშენაერთში მოქმედებით ბრუნვაში მდგარი საწყისის მსაზღვრელი - ატრიბუტული თუ სუბსტანტიური - უნდა ჩაითვალოს დამოუკიდებელ წევრად, შესაბამისად - ატრიბუტულ ან სუბსტანტიურ განსაზღვრებად (მოუსვენარი ცხოვრებით... მოკვდავის ცხოვრებით). „იმ ტიპის პარონომაზიულ სიტყვათშენაერთს, როდესაც მოქმედებით ბრუნვაში მდგარი საწყისი უკავშირდება შედგენილ შემასმენელს, რომლის სახელად ნაწილს საწყისისავე ძირი აქვს („დაწერით კი დაწერილი ჰქონდა“ ტიპისა) და რომელსაც ლ. კვაჭაძე „შედგენილი შემასმენლის გართულებულ სახედ“ თვლის (კვაჭაძე, 1977, 126), შეიძლება ვუწოდოთ „პარონომაზიული შედგენილი შემასმენელი“. ვფიქრობთ, ეს უფრო გამართლებული იქნება ტერმი-



ნოლოგიური თვალსაზრისით: შდრ., ერთი მხრივ, მარტივი შემასმენელი და შედგენილი შემასმენელი, და, მეორე მხრივ, პარონომაზიული შემასმენელი და პარონომაზიული შედგენილი შემასმენელი“ (გეგუჩაძე, 1997: 4-5); მაშასადამე, პარონომაზიის არსიც ერთი ვერბალი ცნების ორი ფორმით (ორი სიტყვით) გადმოცემაში მდგომარეობს. ეს სიტყვები კი ერთი და იმავე ზმნიდანაა ნაწარმოები, როდესაც ამა თუ იმ ზმნის პირიანი ფორმისა და მისივე საწყისის მოქმედებითი ბრუნვის კომბინაციაა წარმოდგენილი (ქართ. კითხვით კითხულობს, ჭამით ჭამს, სვან. **ლიღრწლშტ იღრწლ//ლაღრწლშტ იღრწლ** „სიმღერით მღერის“, **ლითხუწირშტ ითხუწირ** „ნადირობით კი ნადირობს,“ მეგრ. **ღურათ ვა ღურე** „სიკვდილით არ მომკვდარა,“ **რაგადით ქიჩიასიე** „ლაპარაკით ილაპარაკოს“).

სინტაქსურად პარონომაზია ერთი მთლიანია: იგი წინადადებაში შემასმენელს წარმოადგენს. პარონომაზიიდან არც ერთი სიტყვის ცალკე სინტაქსურ ერთეულად გამოყოფა არ შეიძლება, წინააღმდეგ შემთხვევაში პარონომაზია კარგავს თავის სპეციფიკას და მოცემული მრავალსიტყვაობა გაუგებარი ხდება. ამაშია პარონომაზიის თავისებურება. ამდენადვე ქართული პარონომაზიის ცალკეულ წევრთა სინტაქსურ რაობაზე საუბარი შეუძლებელია. სპეციალურ ლიტერატურაში აღნიშნულია ძველ ქართულში პარონომაზიის ფართოდ გავრცელებულობა (**ტანჯა ტანჯვითა.. ხედვიდა ხედვითა...**) **ხილვით ვიხილე** ძვირი იგი ერისა ჩემისაჲ (გამოსვლ. 3,7) **პარვით წარმომიპარეს** მე (შესაქმე, 49,15)... და იგი ბერძნულით გაშუალებულ სემიტურ (ებრაულ) მოვლენადაა მიჩნეული (სარჯველაძე, 1997: 179); როგორც ვნახეთ, ქართული პარონომაზია არაერთი მკვლევრის ყურადღების ცენტრში მოქცეულა (კ. წერეთელი, ა. შანიძე, ა. კიხირია, ივ. იმნაიშვილი, გ. კარტოზია, ნ. ბასილაია, ლ. კვანტალიანი,

რ. ჩხეიძე, ლ. გეგუჩაძე და ა.შ.).

საკითხი შესწავლილია მონოგრაფიულადაც. პარონომაზიის, როგორც ორკომპონენტიანი ფორმის ერთ სინტაქსურ ერთეულად კვალიფიცირების საკითხზე გამოთქმულია განსხვავებული თვალსაზრისები, ხშირად ურთიერთსაწინააღმდეგოც (ა. შანიძე, კ. წერეთელი), თუმცა მკვლევარნი თანხმდებიან საკითხზე, რომ პარონომაზია ქართული მოვლენაა და არა მხოლოდ სემიტურ ენათა გავლენის შედეგი. „პარონომაზიული ფორმები დასტურდება მეგრულსა და სვანურშიც. პარონომაზია ქართველური ენებისათვის დამახასიათებელი უნდა იყოს უძველესი დროიდანვე“. ქართველურ ენათა შედარების საფუძველზე საკითხის შესწავლის აუცილებლობაზე მიუთითებს ა. კიზირიაძე. სწორედ ამით არის განპირობებული ჩვენი დაინტერესება მეგრულ-ჭანურსა და სვანურში ბივერბალური და პარონომაზიული სიტყვათშენაერთების შესწავლით.

საანალიზო მასალით იმთავითვე გამოიკვეთა კვლევის შემდეგი ასპექტები: მსგავსად სალიტერატურო ქართულისა გვხვდება თუ არა პრედიკატული მნიშვნელობით ორკომპონენტიანი ფორმათშეხამებანი (ბივერბალური და პარონომაზიული) სვანურსა და მეგრულ-ლაზურში; როგორია მათი გამოყენების სიხშირე ცოცხალი მეტყველების მონაცემებისა და თითქმის საუკუნის წინ შეკრებილ და გამოცემულ სვანურ და ზანურ ტექსტებში დაფიქსირებულ ფორმათა შედარების თვალსაზრისით; ბივერბალურში ნებისმიერი სახის ზმნა-შემასმენელთა კომბინაციაა შესაძლებელი, თუ მხოლოდ ერთი რომელიმე ტიპისა; რა შემთხვევაში არის შესაძლებელი მისი მეორე კომპონენტის მასდარით ჩანაცვლება და რა შემთხვევაში არა; პარონომაზიის სახეებიდან – ძირეული და სემასიოლოგიური – რომელი ჭარბობს და რომლის გამოყენების არეალი არის

უფრო შეზღუდული; და ბოლოს, ქართულ საენათმეცნიერო ლიტერატურაში არსებულ თვალსაზრისთაგან აღნიშნული ტიპის სიტყვათშენაერთების სინტაქსური კვალიფიცირების საკითხში ქართველურ ენათა მონაცემები რომელს უმაგრებს საფუძველს და უჭერს მხარს.

ქართველურ ენებზე დაკვირვებამ ცხადყო, რომ ბივერბალური და პარონომაზიული სიტყვათშენაერთები ზანურსა და სვანურში საკმაოდ ფართოდ არის გავრცელებული. შედარებით იშვიათია სემასიოლოგიური, მაგრამ თითქოს ამის საკომპენსაციოდ, ხშირია ძირეული პარონომაზია, რომელიც უფრო დიალოგებისთვისაა დამახასიათებელი, ვიდრე გაბმული მეტყველებისა და თხრობისათვის.

#### **პარონომაზიული შემასმენელი მეგრულში:**

1. **ღურათ ვა ღურე.** მარა აურეშე ეკულა მუთუნც ვეშულელებ უმეხვარებუო. „სიკვდილით არ მომკვდარა, მაგრამ აქედან ამოსვლა არავის შეუძლია ღუხმარებლად“ (ყიფშიძე, 1994: ).
2. **რავადით მარდ ფთქვინ,** მარა მუშო გოკო სქანი დიდა სორენ გიჩქდასა, იშა სი მუთა გალოლე. „თქმით მე ვთქვი, მაგრამ რად გინდა, დედაშენი სად არის იცოდე, იმას შენ ვერაფრით დაეხმარები“ (ყიფშიძე, 1994: ).
3. ირკოს გუკვირდ: ჭვილი დადული დო მუმულქ მუჭო ოკო გეთელას დო **რავადით ქინიასიე.** „ყველას გაუკვირდა: შემწვარი დედალი და მამალი როგორ უნდა გაცოცხლდეს და ლაპარაკით ალაპარაკდესო“ (ყიფშიძე, 1994: ).
4. **ჭოფუათი ოჭოფეს** მიდგაენი დო მითინეს ქაასკიდ, ირტეს. „დაჭერით დაიჭირეს ვიღაც და ზოგს შერჩა, გაიქცნენ“ (ლოლა ნანა, 2007: 68).
5. **...ოწამებელო აწამეს,** ვარა ეგება შურო ვარდ-და თი ჭოფილი თიმ მაქიმინალი. „წამებით აწამეს, თორემ იქნება

სულაც არ იყო ის დაჭერილი ამისი მქნელი“(ლოლა ნანა, 2007: 68).

6. უკულ მიიქუნ მიიქუნათ დო უკულ მინორთ ცუდეშა, ახალ ცუდეშა. „მერე ჩაიცვა ჩაცმით და მერე შევიდა სახლში, ახალ სახლში“(ლოლა ნანა, 2007:104).

7. ღურათ ვა ღურედათე დო დღას ვა იძირდანი გახარება. „სიკვდილით არ მომკვდარიყავით და არასდროს გენახოთ გახარება“ (ყიფშიძე, 1994: 351).

8. მეეხვარესე ხოლო ართიანცე, დოწკაპულეესე წკაპულო დო დონთხორეს ენა ხოლო. „დაეხმარენ ერთმანეთს, აკუწვით აკუწეს და დამარხეს ესეც.“ (ყიფშიძე, 1994: 263).

### **პარონომაზიული შემასმენელი ლაზურში:**

ჩქიმი ოდილუ-თი დოგაილენ, ოკაუთი დოგაკარენ (დიუმეზი-ლი 2009, 160) „მე მოკვლითაც მომკლავ, კურნებითაც განმკურნავ“.

### **პარონომაზიული შემასმენელი სვანურში:**

1. ლაბნჯოშ იბნჯი, მარე თხტიმს ღალ დეშ იგტე ი იბერცნდელ(ექსპედ. მასალ.) „ბიჯებით კი აბიჯებს, მაგრამ თავს ვერ იჭერს და ბარბაცებს“.

2. ალა, ნალჟურ ჰნდურ მშმ იტუ დანი მო? (ექსპედ. მასალ.) „ეს ყმაწვილი, როგორ, საერთოდ არ კითხულობს?“ ლატუნდნოშტ იტუნდანი, იმჟი მამა, მარე თხუმიტესგა მამეტეშ ღალ ესრზი(ექსპედ. მასალ.) – „კითხვით კი თხულობს, როგორ არა, მაგრამ თავში არაფერი შესდის“.

3. ლეგმერდე ლახტუნტოშ ღალ ადუ, იხტუნტი, მარე დაგრა დოტ უქად ხნდ (ექსპედ. მასალ.) – „ავადმყოფი სუნთქვით კი სუნთქავს, მაგრამ სიკვდილი, ალბათ არ ასცდება.“

4. ლიმცუქტილშ ადუ, იმცუქლიელხ, ჰემჟი მოშ ლაგას ათგენნეს მინე ლგბნძდე გტეშს (ექსპედ. მასალ.)

„შუამავლობით კი შუამავლობენ, თუკი როგორმე მოაგვარეს და გადაწყვიტეს ეს ჩახლართული საქმე...”

5. **ლანყაჭოშ ინყაჭ** – „გართობით ერთობა”;

6. **ლიჯედშტ ჳედნი** „მოსვლით მოვა“.

7. **ლიმწრჯტიშტ ქახომურჯი** – „დახმარებით დაეხმარება”;

8. **ლამბაოშ// ლიმბტიშტ ქანგმბტე**(ექსპედ. მასალ.) – „მბობით//თხრობით იამბო”.

ილუსტრაციები სვანური პროზაული ტექსტებიდან და ცოცხალი მეტყველებიდან:

9. სოფელთე **ლიმდტეშტ მამ ანშდუე**, მარე დოსგ ანმუსე ლახტწრთე, ამღად მუჟღტრეში ლემდბწრ უზგრად ოთსწდხ: ლიჯდე ზექიშ, ლიქჩე ჩალწშ, ლიკენწლი დაბრეშ, ჟილიკედ ი სგა ლიმწჯე მანწდიშ (ექსპედ. მასალ.) „სოფელში თოვით არ თოვდა, მაგრამ ადრე ჩამოთოვა მთებზე, ამიტომაც დაუმთავრებელი დაურჩათ შემოდგომის სამუშაოები: მოტანა შეშის, მოჭრა ჩალის, ნარჩენებისაგან მოწმენდა ყანებისა და შემოზიდვა მოსავლისა“.

10. **ლაცტწლიოშ მამ ხეცტწლდახ**, მარე ურუჰდ აგნახ ი აღწდილ ბეფშტს ხეკუეს ლაგას ოთგენწნს ალამწ გტეშ: ლწშგწლი დაწრეშ ი ფურღეშ, ლიღდეღ ნედშტგღარეშ, ნაბოზს სგა ლიკატეტი ქტიღმგენწლეშ (ექსპედ. მასალ.) „გაწყრომით არ უწყრებოდნენ, მაგრამ უთენია ააყენებდნენ და ასეთ პატარა ყმაწვილს უნდა მოეგვარებინა ამდენი საქმე: მოწველა თხებისა და ძროხებისა, მწყემსვა თიკნებისა, საღამოს კი მოკრება-მოგროვება-შემორეკვა საქონლისა“.

11. **ლიტეხშტ დეშ ტეხენდა** ი ამღა კწლ დტრეშტ ესღგრდა, ნანოს ხოშილ ი ხოშილ ხაჟანდა ეჯზუმდ ოხთღღრე მწწდუნდ დიეშ ი მუეშ(ექსპედ. მასალ.) „დაბრუნებით ვერ დაბრუნდებოდა და ამიტომაც რაც დრო გადიოდა, ნანოს

უფრო და უფრო სწეინდებოდა, იმდენად მოუჭირა მონატრებამ დედისა და მამის“.

12. **ლითხტჳრშტ დესამა მოშ ანთხტიარჳე**, ადო რგჳი ი ბური იელტრჳლდა, ეჩჳა ლჳბინე ჳუჳჳრისგა მეხელჳლ მეთხტიარდ ლითჳრტჳლი ნათხტიარჳლეშ, ლინჳხტჳე ერსკნალე ნარდჳიმ (ეჳსჳედ. მასალ.) „ნადირობით ვეღარაფერი ვერ მოინადირა, თუმჳა გამთენიისას, ნათელი და ბნელი რომ იყრებოდა, მაშინ დაიწყო ჳიუხებში მოსიარულე მონადირემ დათვალიერება ნანადირევისა, კვალზე გასვლა ერკჳმალთა ნამყოფისა“.

### **ბივერბალური შემასმენელი მეგრულში:**

1. მალოლენ ღო ვამალოლენ, ინა ჩჳიმი საჳმე რენ ღო სჳანდა **მითხუ ჳომიწჳე**, შურო მუთუნი ჳოგინჳნდა. „შეჳძლებ თუ ვერ შეჳძლებ, ეს ჩემი საჳმეა და შენ გთხოვ მითხრა, თუ რამე იცი“ (ყიფშიძე, 1994: ).

2. მა **მოკო** ოგურაფუშა **ჳლა**, ათე ღო ათე სახენწიფოშა გომიტჳვა. „მე მინდა წავიდე სასწავლებლად, ამა და ამ სახელმწიფოში გამიშვიო“ (ყიფშიძე, 1994: ).

3. მუს თხულენა თინეფინ, თინა **მოკონა ვარჩიათ**, მარა მუთუნნერო ღუთჳ ვეგმადგინესია... „რას ითხოვენ ისინი, იმას გვინდა მივხვდეთ, მაგრამ ვერაფრით თავი ვერ დაგვიდგამსო“ (ყიფშიძე, 1994: ).

4. **იმენდი რე** სი ვამიწყინენჳ ჩჳიმი ჩილათას ღო იმენდი რე ჳომიწინჳიე მუჳურდ გიგასიხმარ ბალანობასიე? „იმელია არ მიწყენ ჩემს შეცდომას და იმელია მეტყვი – რა დაგესიხმრა ბავშვობაშიო“ (ყიფშიძე, 1994: ).

5. ხაზნა **ოფუნა** აბრაგებს **გნატახა** ღო ჳიმიღეს ორჳო ღო ჳდარღვეს ოხვამეს, – დირთან ოკო ფარა. „ხაზინა ჳჳონიათ ავაზაკებს გაჳურდული და მოიტანეს ოჳრო და ვერცხლი საყდარში, – გაიყონ უნდა ფული“ (ყიფშიძე, 1994: ).

6. კონი **მოკო იფქირუევე**. „კაცი მინდა, რომ ვიქირავოლ“ (კარტ. 403).
7. ჭუმე **ფვიქრენქ** დიაჩქიმიშა **მიდავრთენი**. „ხვალ ვფიქრობ, რომ დელაჩემთან წავიდე“ (კარტოზ. 403).
8. სქან დიარას **ვამიჩქუ** მუასქანი მუნერო **გინაასქიდუნი**. „შენს ქორწილს, არ ვიცი, მამაშენი როგორ გადაიტანს //გადაურჩება“ (კარტოზ. 403).
9. თვითონ თენა ილახაანდგნი, ოშქურუდუ, მუს ხოლო **ოჭდგნი უჩქუდუ**. „თვითონ ეს ხომ ავადმყოფობდა, ეშინოდა, მასაც სჭირდა ეგონა“ (ლოლა ნანა, 2007: 98).
10. ირკოს **შეულებუდუ იგურუკონ** დო გლეხეფ უკანასკნელშა დაინტერესებულ რდეს მუნეფიშ ბაღანეფქ გურაფილქ ქიუესკონ დო მუთუნს ვარკენდეს. „ყველას შეეძლო ესწავლა და გლეხები ძალიან დაინტერესებულნი იყვნენ თავიანთი შვილები ნასწავლი რომ ყოფილიყვნენ და არაფერს აკლებდნენ (მეგრ. ტექსტ. 2012: გვ. 66).
11. მუმა **დომღურუდუნ ქომიჩქუდუკონ**, ჯიმშა ვარა გოფთირანდია, - შონიშ ნათქუელი რე. „მამა მომიკვდებოდა რო მცოდნოდა, მარილში გავცვლიდიო -სვანის ნათქვამია“ (ხალხ. სიბრძ. 1994: გვ. 99).
12. სი ამსერი თქვინი, თენა **შილებე ერგებუდას**, მუს შიებე ერგებუდას, მუშენ-და მუშ დუდიშა ვეგიადგინ დუდქ-მაქ..., შენ რომ ამალამ თქვი, შეიძლება ეკუთვნოდეს, თვითონ შეიძლება ეკუთვნოდეს, რადგანაც (რატომ-და) თავისი საქმისთვის (თავისთვის) თავის მობმა ვერ შეძლო-მეთქი“ (ლოლა ნანა, 2007: გვ. 202).
13. ...ქომოძირითია აკა ვარა მუმა თეში, დიდა **მიჩქენია ვაყუნანია**. „გვანახეო ერთი ან მამა ამისი, დედა ვიცი, რომარა ჰყავთო“ (მეგრ. ტექსტ. 2012: გვ. 164).
14. ჩქი **ოკო მიდგაუნიტკონ** თექ, მა დო მუი და მაშოქ. „ჩვენ უნდა წავყოლოდით იქ, მე და მისი და მაშო“ (ლოლა ნანა, 2007: გვ. 208).

15. დუწილათ ოკო ჩაი დო ქიმებჩათ, გეგმა **შეგოს-რულებაფუათ ოკო**, გეგმა გეჭარ...დაფუკრიფოთ უნდა ჩაი და მივცეთ, გეგმა შევასრულებინოთ, გეგმა აწერია“(ლოლა ნანა, 2007: გვ. 210).

16. თენა მუთუნი საქმეშა კოჩი მიკილენსგნი, თემ ვარგნი, თენა **დაპატიჟიკონი ოკო** დო თავადურო მიშეს. „ეს, რამე საქმეზე კაცირომ შემოივლის, ისე კი არა, ეს დაგეპატიჟებინა უნდა და თავადურად მოვიდოდნენ“ (ლოლა ნანა, 2007: გვ. 218).

17. თეთ გაასქირუანდეს თეს, მიკობუდუ დო კუმაქ **ოკო გასქირუჟონი** თენა...ამით გააშრობდნენ ამას, ეკიდა და კვამლს უნდა გამოეშრო ის“(ლოლა ნანა, 2007: გვ. 302).

18. ქუდუაშქვე ოკო მასარი, ეპკირე ოკო, ვარა, მუდა ჯინჯიენი, იდა ბარჯგი **ოკო ელუშქვე**. „ჩავარტო უნდა სარი, ავკონო უნდა, თორემ, რამდენი ძირიცაა, იმდენი სარი უნდა ჩავარტო“(ლოლა ნანა, 2007: გვ. 306).

19. საცივი **ითანთალგდას ოკო**, ა, კოს ჭკომუაშა გაყიდას გურინი. „საცივი თანთალგებდეს უნდა, აი, კაცს საჭმელად რომ მიგივიდეს გული“(ლოლა ნანა, 2007: გვ. 314).

20. ეს, ვემეუხვადი სი, ვემეუხვადი-და, ტერიში მახორობას! **შილებეე დააშქვიდუას** ბადანანი. „ეს, თუ ვერ მიუხვდი, შენ თუ ვერ მიუხვდი, მტრის ოჯახში! შეიძლება დაახრჩოს ბავშვი“(ლოლა ნანა, 2007: გვ. 374).

21. მუჟამს ვარდუო ქიდევლახებუდინი დო უფუ **ოკო მომირტინეესგონი**, თიწკეა ტიბუს ქოფანდეს. „როცა ავად გავხდებოდი და ოფლი უნდა მოედინათ, მაშინ ტიბუს დამალევიებდნენ“(ლოლა ნანა, 2007: გვ. 340).

22. ოჭინახეს გათუჟო ოკო ფუნა, ჭაჭაქ თუდო **ოკო მოღარტოკონი** ურძენიშიქნი, კაკალეფქ ჟიდო **ოკო მოღარტოკონი** ყურძენიშიქნი. „საწნახელში გაეთავებინა უნდა დუდილი, ჭაჭა ქვემოთ უნდა წასულიყო ყურძნისა, კაკლები ზევით უნდა წასულიყო ყურძნისა“(ლოლა ნანა, 2007: გვ. 344).



23. მარწვენი **ოკათგდას ოკო იშენი**, ვარო? „მაწონი უნდა ერიოს მაინც, არა?“ (ლოლა ნანა, 2007: გვ. 352).
24. მა საინტერესოთ მიღუდუ თი თვისება, ნამდა, კოჩი მუთუნს გაკეთენდუდა, თინა **გავაკეთიკონი ოკო**. „მე საინტერესო თვისება მქონდა (საინტერესოდ მქონდა ის თვისება), რომ, ადამიანი რამეს თუ გააკეთებდა, ის გამეკეთებინა უნდა“ (ლოლა ნანა, 2007: გვ. 366).
25. მუჭო **შილებენია** თომა **უღუდასია** ეხმაგა დო დობკვათეს! „როგორ შეიძლებაო, თმა რომ ჰქონდეს ამხელაო -და შემჭრეს!“ (ლოლა ნანა, 2007: გვ. 368).
26. ...ინა ანწ აშო **მიშას იყინია**. „... ის ახლა აქეთ მოდიოდეს იქნებო“ ( მეგრ. ტექსტ. 2012: გვ.184).
27. ეხმა ხანიშ ჩქიმი რჩიილას, **მემიჩქ დოშურდი**. „ამდენი ხანი ჩემი მოსმენით, მგონი დაიდაღე“ (ყოფშიძე, 1994:341).
28. ჩქიმი ცქვაფა დოიჭყაფუ, **ფიფქრენქ ვა მადორენქ ნი**. „ჩემი ქება დაგიწყია, ვფიქრობ არ მატყყუებ“ (ყოფშიძე, 1994:369).

### **ბივერბალური შემასმენელი ლაზურში:**

1. **ბეკია** ქოთუმეშ ხორცი **ოგაჭკომეტუ-ია** (ჩიქობავა 1936, 49) „შეიძლებაო ქათმის ხორცი შეგეჭმეოდაო“.
2. **ბეკიმდა** გუდაუთას **რტიდორენ** (ჩიქობავა 1936, 70) „იქნებ გუდაუთაში იყავი“. [ბეკი > ბენი-თურქ. belki, ბეკიმდა-belkida \_ ლაზურად „შეიძლება, იქნებ“]
3. მუნთხანი **დენ მადოდას**, მა სი კორომ... (დიუმეზილი, 171) „რაც არ უნდა მომივიდეს, მე შენ მიყვარხარ“.
4. ჰამ სეჭედის მუნთხანი **დენ ტას**, უარ ოხოზუშქუმე... (დიუმეზილი, 171) „ამჯერად რაც უნდა მოხდეს, არ გავუშვებ“.

5. ბექი-ა მაჟუვანი დუნდაშა ვიგზალი-ა დო ემ ვახთის მინონ-და (ჩიქობავა, ჭან. ტექსტ., 113) „შეიძლება მეორე ქვეყანაში წავიდეო და იმ დროს მინდაო“.
6. ბექი ხოლო ქოდლინაფს-და – დო ქომეჩუ ხოჯას ჭურვი (ჩიქობავა, ჭან. ტექსტ., 116) იქნებ ისევ გააჩინოსო – და მისცა ხოჯას ქვაბი“.
7. მარქვალი-ა ბელქი ქოგაჭკომუტე-და (ჩიქობავა, ჭან. ტექსტ., 122) „კვერცხიო იქნებ გეჭმოდო (შეგეჭამაო)“.
8. აწი მა პიდა მინონ ოსოი (ჩიქობავა, ჭან. ტექსტ., 202) „ახლა მე ავაშენო მინდა სახლი“.
9. ხოჯა მედრესეშენ გებტოჩა მინონ (ჩიქობავა, ჭან. ტექსტ., 108) „ხოჯა სასწაბლებლიდან გავაგდო მინდა“.
10. ვა ებზდიფ, ილლა ოში ტას უნონ (ჩიქობავა, ჭან. ტექსტ., 109) არ ავწევ, აუცილებლად ასი უნდა იყოს“.
11. ჭუმანი კიამეთი მოხთასინონ დო დოლოქუნე მუ ყვა გინონან-და (ჩიქობავა, ჭან. ტექსტ., 4) ხვალ ქვეყნის დასასრული მოვიდეს უნდა და ტანსაცმელს რა უქნათ გინდათო“.

**ბივერბალური შემასმენელი სვანურში:**

1. ხეკუბდხ ჩუალსყელზსხუ //(ხეკუბდხ ლისყვლ, მარე მესმინე ხორდახ ხუბჲ ი ეჯიზრ აშ ი აშ გარ ხოკუბდლ-ცხზლდახ (ექსპედ. მასალ.) „უნდოდათ შერიგებულისყენენ//უნდოდათ შერიგება, მაგრამ დამსმენი ჰყავდათ ბევრი და ისინი უფრო და უფრო უნთებდნენ ცეცხლს.“
2. ანდტლი ქამჩტუნს, მარე ხოჩამდ ი დეშ ხტიშედუნე (ექსპედ. მასალ.) „გონებ მეთქვას, მაგრამ კარგადაც ვერ ვისხენებ“.
3. მახუა ჩუბდრიგტუნს ალ გტეშ, ლახე ჩნს გტეშ ახნრახ (ექსპედ. მასალ.) „ვფიქრობ მოგვარდეს ეს საქმე, თუკი ყველა გულით მიუდგება“.
4. ანუნდუნეს ამჩედელზსხუ ლნთხტიართე, მარე გუნ

იმედ ღულიშ ი ლიგეჭიშ დემ ხნდხ (ექსპედ. მასალ.) „მოინდომეს წასულიყვნენ სანადიროდ, მაგრამ იმედი ძაღ- ღონისა და გაძღებისა არ ჰქონდათ.“

**5. ასკიბხ ოხსყნწხ// ასკიბხ ლისყენე**, მარე მუჟუმე ხოშიდ ხეყნდახ, ვიდრე შიმი მესყენე ი მუმურჯი(ექსპედ.მასალ.) „გადაწყვიტეს გაეკეთებინათ// გადაწყვიტეს გაკეთება, მაგრამ უფრო მეტი ჰყავდათ ხელისშემშლელი, ვიდრე ხელშემწყობი და დამხმარე“.

**6. ლემთილწლ ჩოთშეურანწწ//ლემთილწლ ლიშეურანეს**, მარე უკუმე ლუმქუნაწწლ ი მამგუმეშ ღაღ მოშ ოხწწმა (ექსპედ. მასალ.) „თურმე ცდილობდა დაერიგებინა// ცდილობდა დარიგებას (//ანდერძის დატოვებას), მაგრამ უკვე აგონიაში იყო და ვერაფერი ვერ მოასწრო“.

როგორც დაკვირვებამ ცხადყო, ბივერბალური სიტყვათშეხამებებით საკმაოდ მწირი აღმოჩნდა სვანური, მეგრული, ლაზური ტექსტები ცოცხალ მეტყველებასთან შედარებით. ლაზურში კი ამ ტიპის გამოთქმებით განსხვავებული სურათი იკვეთება. საინტერესოა ახსნა, რით შეიძლება იყოს ეს განპირობებული: გარემოცვით, გავლენით, სამეტყველო ჩვეულებით... ვფიქრობთ, მიზეზი ის უნდა იყოს, რომ ლაზურში „უნონ“(უნდა) ზმნა კავშირებითის ფორმას დაერთვის, როგორც მეშველი ზმნა ხოფურ კილოკავში, ვიწურ-არქაბულსა და ათინურ-ართაშენულში მის ადგილას გვხვდება **ერე(ნ)//ორე(ნ)//რე(ნ)//ე(ნ)(=არის)**. ხოფურ-ჩხალურში გამოყოფენ მყოფადის წარმოების 2 ტიპს: ჩხალურს და არაჩხალურს. ჩხალურ (შეუხორცებელ) მყოფადში ძირითადი ზმნა იცვლება პირისა და რიცხვის მიხედვით, მეშველი ზმნა კი უცვლელად (მხ. რ. III პ. ფორმით) დაერთვის ორივე რიცხვის სამივე პირს. მაგ.: „**ვა უნონ გოგოჭკონდას**“ – „არ უნდა დაგავიწყდეს“. არაჩხალური (შეხორცებული) მყოფადის ყალიბი კი ასეთია: ძირითადი ზმნა იცვლება

მხოლოდ პირის მიხედვით, მეშველი ზმნა კი – პირისა და რიცხვის მიხედვით. გიწვამინონ „გითხრა მინდა“; ბორჯიშე მენდრა იყვაუნონ (ვალისგან შორს უნდა იყო).

ჩქინი ქომოლეფე მოხთასუნონ დო ლოყა დო კაი გაი გუხვენათმინონანია. „ჩვენი ქმრები მოვლენ (= უნდა მოვიდნენ) და კარგ საჭმელს გავუკეთებთო (=გავუკეთოთუნა).

ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე ამ ეტაპზე ქართველურ ენებში ბივერბალური სიტყვაშენაერთის სინტაქსური კვალიფიცირების საკითხის გადაწყვეტისაგან თავს შევიკავებთ და ამას შესაძლებლად ჩავთვლით მხოლოდ შემდგომი კვლევა-ძიების ჩატარებისა და სათანადო პრაქტიკული მასალის მოპოვების შემდგომ. რაც შეეხება პარონომაზიულ ფორმებს, ქართულში მის სინტაქსურ კვალიფიცირებასთან დაკავშირებით ძირითადი თვალსაზრისები შემდეგ სახეს იღებს: პარონომაზიული გამოთქმა ერთი წევრია და წინადადებაში შედგენილ შემასმენელს წარმოადგენს, პარონომაზიის კომპონენტები დამოუკიდებელი წევრებია: მოქმედებით ბრუნვაში მდგარი და ზმნა-შემასმენელთან დაკავშირებული საწყისი უბრალო დამატებაა, გარემოებაა, მოქმედებით ბრუნვაში მდგარი სიტყვა თავის მსაზღვრელთან ერთად არის უბრალო დამატება ან გარემოება, პარონომაზიის მოქმედებით ბრუნვიანი კომპონენტი მხოლოდ აქტუალიზატორია და არა აქვს დამოუკიდებელი წევრის ფუნქცია.

ქართველურ ენათა შესაბამისი ტიპის ფორმებზე დაკვირვებისა და შესწავლის შედეგად ჩვენ ვიზიარებთ იმ თვალსაზრისს, რომ ქართულ-მეგრულ-სვანურში პარონომაზიად მიჩნეული ფორმები ერთგვაროვანი არ არის და მისი სინტაქსური კვალიფიკაცია დიფერენცირებული უნდა იყოს. აღნიშნული კუთხით ქართველურ ენებზე დაკვირვებას სამომავლოდაც ვგეგმავთ, ამჯერად კი ჩვენს ხელთ

არსებული მასალის შედეგად შეიძლება დავასკვნათ, რომ პარონომაზიული გამოთქმები ზანურისა და სვანურისათვის, განსაკუთრებით ცოცხალი მეტყველებისათვის, საესებით ბუნებრივია და დამახასიათებელი. შედარებით ნაკლებად, მაგრამ მაინც გვხვდება აღნიშნული ტიპის სიტყვათშეხამებანი ადრე გამოცემულ სვანურ და მეგრულ ტექსტებში.

ქართველურისათვის მეტწილად დამახასიათებელია ძირეული პარონომაზია, თითქმის არ შეგვხვედრია სემასიოლოგიური პარონომაზიის შემთხვევები. ქართველურში – სვან. **ლაჭტდანოშ იჭტდანი** – „კითხვით კითხულობს“, **ლიმზირშუ იმზირ** – „ლოცვით ლოცულობს“. მეგრ. **ღურათ ვა ღურე** „სიკვდილით არ მომკვდარა“ – ტიპის სიტყვათშენაერთები ერთი ცნების გამომხატველია და ერთ წევრად – პარონომაზიულ შემასმენლად შეიძლება ჩაითვალოს, რომელშიც მოქმედებითბრუნვიან სიტყვას აქვს, მართლაც, აქტუალიზატორის ფუნქცია, რომლითაც ზმნის მნიშვნელობის ხაზგასმა ხდება და მას დამოუკიდებელ წევრად ვერ მივიჩნევთ.

**§10. ნომინატიური კონსტრუქცია ქართველურში:** გრამატიკული კატეგორია და მისი გამოხატვის საშუალებანი: სიტყვას, თავისი ძირითადი, ლექსიკური, მნიშვნელობის გარდა, შეიძლება ჰქონდეს ერთი ან რამდენიმე გრამატიკული მნიშვნელობაც, რომლებიც სათანადო ფორმით გამოიხატება. მაგ. სახელს აქვს ბრუნვისა და რიცხვის გრამატიკული კატეგორიები. **გრამატიკულ კატეგორიას** ორი მხარე აქვს. **გარეგანი** და **შინაგანი**. **შინაგანი** მხარე **მნიშვნელობაა**, **გარეგანი** – **ფორმა**. გრამატიკული ფორმის გარეშე არ არსებობს გრამატიკული მნიშვნელობა. **გრამატიკული კატეგორია** არის აფიქსით გამოხატული

**მნიშვნელობა.** გრამატიკული კატეგორია არის მორფოლოგიური და სინტაქსური. მორფოლოგიური კატეგორია ყალიბდება თანაზომიან ფორმათა შეპირისპირების საფუძველზე. საპირისპირო ფორმათა არსებობა გრამატიკული კატეგორიის არსებობის აუცილებელი პირობაა. მაგ. **კაც-ი** მხოლოდობითი რიცხვის ფორმაა, რადგანაც მას აქვს მრავლობითი რიცხვის ფორმაც: **კაც-ებ-ი, კაც-ნ-ი.** რომ არ არსებობდეს **კაც-ებ-ი, კაც-ნ-ი, კაც-ი** რიცხვის არმქონე სახელად ჩაითვლებოდა. ასევე **კაც-ი** სახელობითი ბრუნვის ფორმაა, რადგან მის გვერდით გვაქვს: **კაც-მა, კაც-ს, კაც-ის, კაც-ით, კაც-ად, კაც-ო.** რომ არ არსებობდნენ ეს ფორმები და **კაც-ი** მხოლოდ ამ სახით იხმარებოდა, ის უბრუნველი სახელი იქნებოდა, ე.ი. მას ბრუნვის კატეგორია არ ექნებოდა. ქართულ ზმნას აქვს ქცევის კატეგორია, რადგან არსებობენ ამ გრამატიკული შინაარსის (ქცევის) გამომხატველი ურთიერთსაპირისპირო ზმნური ფორმები: **ა-კეთებს (საარვისო ქცევა), ი-კეთებს (სათავისო ქცევა), უ-კეთებს (სასხვისო ქცევა).** ასევე დგინდება ზმნაში პირის, რიცხვის, გვარის... მორფოლოგიური კატეგორიები.

სინტაქსური კატეგორია ყალიბდება წინადადებაში სიტყვის ფუნქციის მიხედვით. სინტაქსური კატეგორიებია: შემასმენელი, ქვემდებარე, დამატება, გარემოება... ე.ი. როცა სიტყვა სინტაქსურ ფუნქციას ასრულებს, ის სინტაქსური შინაარსის მქონეცაა, იგი სინტაქსური ოლენობაცაა (მიქიაშვილი 2006: 47-48).

ქართველურ ენებში პრედიკატულ სინტაგმებში რეალურ სუბიექტს შეიძლება აღნიშნავდეს სახელობითი (ნომინატივი), მოთხრობითი (ერგატივი), მიცემითი (დატივი), გაუფორმებელი ფუძე (ინდეფინიტივი). ამის შესაბამისადვე გვაქვს კონსტრუქციები: ნომინატიური, ერგატიული დატიური და ინდეფინიტიური. ამ კონსტრუქციებს ქმნის გარდამავალი და გარდაუვალი ზმნა-შემასმენელი. კონსტრუქცი-

ათაგან გავრცელების ყველაზე დიდი არეალი მოეპოვება ნომინატიურს. დატიური კონსტრუქცია გარკვეული შინაარსის გარდაუვალ ზმნებთან (*verba sentiendi*) წარმოიქმნება და იმავე რიგისაა, როგორც ანალოგიური კონსტრუქცია ინდო-ევროპულ ენებში. „ნომინატიური კონსტრუქცია საყოველთაოდ ცნობილია, ოღონდ ნომინატივის გამოყენების მხრივ სხვაობა შეინიშნება ინდო-ევროპულსა და ქართველურ, ზოგადად, იბერიულ-კავკასიურ ენებს შორის: ინდო-ევროპულ ენებში ნომინატივის გამოყენების სფერო უფრო დიდია (იგი რეალურ სუბიექტს აღნიშნავს როგორც გარდაუვალს, ისე გარდამავალ ზმნებთან), იბერიულ-კავკასიურ ენებში სუბიექტის აღნიშვნის მხრივ იგი უფრო შეზღუდულია, და ეს შეზღუდვა ერგატივისა და ერგატიული კონსტრუქციის მიზეზითა გვაქვს: რეალური ობიექტის აღნიშვნის მხრივ ნომინატივის იბერიულ-კავკასიურ ენებში გაცილებით მეტი სარბიელი უნდება და ესეც ერგატიული კონსტრუქციის წყალობით“ (ჩიქობავა, იკეს შესავალი, 1979: 97); სპეციალურ ლიტერატურაში ჩამოყალიბებულია მოსაზრებათა ორი ჯგუფი, რომლის მიხედვითაც „I. ქართველურ ენათა გარდამავალი ზმნის ნომინატიური კონსტრუქცია შეიქმნა ინდოევროპული ენების გავლენის შედეგად (გ. დეეტერსი, ჰ. ფოხტი, კ. შმიდტი...). II. ეს კონსტრუქცია ჩამოყალიბდა ქართველურ ენათა შინაგანი განვითარების გზით (არნ. ჩიქობავა, გ. პეჩი, გ. როგავა, ნომინატიური კონსტრუქციის მქონე გარდამავალი ზმნის გენეზისისათვის ქართველურ ენებში: „იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერული წელიწადი“, II, 1975: 276); აქედან ძალაში რჩება მოსაზრება, რომ ნომინატიური კონსტრუქცია ჩამოყალიბდა ქართველურ ენებში შინაგანი განვითარების გზით. გ. როგავამ ნომინატიური კონსტრუქციის გენეზისი ასე წარმოგვიდგინა: აწმყოს ჯგუფის ნომინატიური კონსტრუქციის გარდამავალი ზმნები წარმო-

ადგენენ ლაბილური კონსტრუქციის ზმნათა ნომინატიური კონსტრუქციის ვარიანტებს, ე.ი. ერთპირიან გარდაუვალ ზმნებს. ქართულ წინადადებაში უპირატესობა შემასმენელს ეკუთვნის. იგია მთელი წინადადების უფალი და განმგებელი, დანარჩენი ნაწილები (თვით ქვემდებარეც) მისი გრძნეული კვერთხის მოძრაობას ემორჩილებიანო (ს. გორგაძე, ქართული სადასიტიკვაობა: „ძველი საქართველო“, IV, თბ., 1914, გვ.79);

მეგრულში გარდამავალ ზმნა-შემასმენელთან ქვემდებარის ბრუნვა ქართულისებურია. გარდაუვალი ზმნის ქვემდებარის ბრუნვები კი სერიათა მიხედვით დანარჩენი ქართველური ენებისაგან განსხვავებულად იქცევა. მეგრული გარდაუვალი ზმნა ქმნის ნომინატიურ, ერგატიულ და დატიურ კონსტრუქციებს. ქართულის მსგავსად, მეგრულშიც მოქმედებითი გვარის ფორმებთან I და II სერიაში გვაქვს ნომინატიური და ერგატიული კონსტრუქცია. III სერიაში კი ინვერსიის საფუძველზე მიღებული დატიური კონსტრუქციაა.

მეგრულში ზმნა ზმნურ ფორმაში პირის გამომხატველ მარკერთა რაოდენობის თვალსაზრისით შეიძლება დახასიათდეს როგორც ერთპირიანი - „მონოპერსონალური“, ან ორპირიანი - „ბიპერსონალური“ სტრუქტურა. შესაბამისად, ზმნაში მაქსიმუმ ორი პირია ასახული, ანუ მხოლოდ ორ პირს აქვს შესაძლებლობა პირის მორფემით იყოს გამომხატული; აღნიშნული მორფემები პრეფიქსებია ან სუფიქსები. უფრო ზუსტად, მეგრულში პირის გამომხატვის პრინციპი ძირითადად პრეფიქსულია, ხოლო რიცხვისა - სუფიქსური. მეგრულში სამპირიან და ორპირიან ზმნებში პირთა კომბინაციებში ნათლად იკვეთება: ნულოვან აღმორფთა ფორმათგანმასხვავებელი და კატეგორიათა განმასხვავებელი ფუნქცია; პირის აღმნიშვნელი პრეფიქსების დაკარგვის ტენდენცია; პროცესი დასრულე



ბულია S2-ის, O3D და O3ind. „პირთა შემთხვევაში. მერყეობას იჩენს S1--ისა და, O2-ის ნიშნები, ისინი ინტერვოკალურ პოზიციაში ავლენენ დაკარგვის ტენდენციას. (გ. კარტოზია, რ. გერსამია, მ. ლომია, თ. ცხადაია, 2010: 186-187, 301); მეგრულში რთული შემასმენელის საერთად გამოყენებულია მეშველი ზმნები (ვორექ, ორექ//რექ, ორენ//რენ... მაფუ, გაფუ, აფუ...), ან ჩვეულებრივი ზმნებიც (ქ/მორთ/, გუურთუ...).

ქართველურ ენათა ნომინატიურ კონსტრუქციასთან მიმართებით საინტერესოდ მივიჩნით რეალური სუბიექტის აკაკი დავითიანისეული ინტეპრეტაცია: „ქართულ ენაში ლოგიკური სუბიექტისა და გრამატიკული სუბიექტის ურთიერთდაპირისპირების შედეგად შეიძლება მივიღოთ რეალური სუბიექტის ცნება. მორფოლოგიური და რეალური სუბიექტების ურთიერთობა სინტაქსურ-მორფოლოგიურ საკითხთა არეს არ სცილდება. იგი განაპირობებს კონსტრუქციის ელემენტთა პირდაპირსა და ინვერსიულ წყეობას. თუ მორფოლოგიური სუბიექტი უდრის რეალურ სუბიექტს, პირდაპირი წყეობაა, მაშასადამე, მორფოლოგიური ობიექტიც უდრის რეალურ ობიექტს: ხოლო თუ მორფოლოგიური ობიექტი რეალურ სუბიექტს უდრის და მორფოლოგიური სუბიექტი - რეალურ ობიექტს, წყეობა ინვერსიულია. როგორიც უნდა იყოს მიმართება, ორივე ვარიანტი ზმნის მორფოლოგიურ აგებულებაში თავსდება, მაგრამ ლოგიკური სუბიექტი ყოველთვის არ უდრის რეალურ სუბიექტს, და მით უმეტეს, მორფოლოგიურ სუბიექტს. პასიურ კონსტრუქციაში ამგვარ ლოგიკურ სუბიექტს ზმნის პირიანობასთან არავითარი კავშირი არ აქვს თუნდაც იმიტომ, რომ აბსოლუტურად უმრავლეს შემთხვევაში გამოხატულია თანდებუდიანი (უპირატესად გან და მიერ თანდებუდიანი) სახელით, ხოლო ამ ტიპის ურთიერთობა ზმნა-შემასმენელთან კონსტრუქციაში გამო-

რიცხულია. იგი სუბორდინაციაში თავსდება (დავითიანი, 1973: 326). სახლი შენდება კალატოზის მიერ. შდრ. სვან. ქორ იგი გპლტუეზ ხანქა).

**ნომინატიური კონსტრუქცია მეგრულში:**

1. ნანა, მა ხოლო სკან სკუა ვორექია. „დედა, მეც შენი შვილი ვარო“ (მეგრ. ტექსტ. 2012: გვ.52).
2. დიიდი ქუა გეგუ, ჟირი უდეშ მაშხვა ქორენ ფერ დო თე ქუა გეჭოფუ დო გარამს ქენასხაპ იშო. „დიიდი ქვა დევს, ორი სახლის სიდიდის რომ არის ისეთი და ეს ქვა აიღო მღვიმეში ჩახტა იქით“ (მეგრ. ტექსტ. 2012: გვ.56).
3. მითინ ვანოხორუე დო ართ გლეხის ნოკობუე თე ადგილეფიშ დამუშება. „არავინ ცხოვრობდა თურმე და ერთ გლეხს ნდომებია ამ ადგილების დამუშავება“ (მეგრ. ტექსტ. 2012: გვ.62).
4. თე სოფელს უღირ საუკუნეეფს ნოპატრონებუენა დადიანეფი, მარგალურო დადიეფი. „ამ სოფელს გასულ საუკუნეებში პატრონობდნენ თურმე დადიანები, მეგრულად დადიები“ (მეგრ. ტექსტ. 2012: გვ.52).
5. დიო რდუ თე სკოლა შკვიტწანიან დო უკულ გეგნაკეთეს თურმე, მუჭოთქუანა, რუოკლასო. „ეს სკოლა ჯერ იყო შვიდწლიანი და მერე გადაკეთდა, გადააკეთეს თურმე, როგორც იტყვიან, რვა კლასად (მეგრ. ტექსტ. 2012: გვ.66).
6. ფიხით ორზანდეს დაჩხირს დო ეთი დაჩხირიშ სინთეო გურაფლენდეს ბაღანეფი. „ფიხით ანთებდნენ ცეცხლს და იმ ცეცხლის შუქით სწავლობდნენ ბავშვები“ (მეგრ. ტექსტ. 2012: გვ. 68).
7. ჩქიმ ბიბია ხოლო თაქ ნოგურაფუე თურმე, ჭიჭე ბაღანა ცოფე... „ბიბიაჩემიც აქ სწავლობდა თურმე, პატარა ბავშვი ყოფილა...“ (მეგრ. ტექსტ. 2012: გვ.78).
8. მა მუშო მოკონია, სივა ჩხურ გაყინია დო მა იშენ ვღურუქია, უთქუალუ თე რაშის. „მე რად მინდაო, შენო

შეგცივდებო და მე მაინც ვკვდებიო, უთქვამს ამ რაშს“(მეგრ. ტექსტ. 2012: გვ.110).

9. თაქნეშე **ქუა რე ირფელი**: კონი ქუა რე, ცხენი ქუა რე, ჯოდორი ქუა რე. „აქ ქვა არის ყველაფერი: კაცი ქვა არის, ცხენი ქვა არის, ძაღლი ქვა არის“(მეგრ. ტექსტ. 2012: გვ.110).

10. კარია, უწუ, **ხენწიფე ურაგადუ**, ინჯამუნია წუთეფითო, აჲ, ათაშ, ინჯამუ დო იკილენია, უწუ. „კარიო, უთხრა, ხელმწიფე ეუბნება, იღებო წუთებით, აი, ასე, იღება და იკეტებო“(მეგრ. ტექსტ. 2012: გვ.108).

11. ქაჯიქ ჰამენი ქაჭიშუუა დო **მა გვერდო ქუათ გინიფრთია** დო ე მთლიანი სახელმწიფოქ ქუათ გინირთუა იშოვა. „ქაჯმა ამინთ დაუდასტურაო და მე ნახევრად ქვად გადავიქეცი და ეს მთლიანი სახელმწიფო ქვად გადაიქცაო“(მეგრ. ტექსტ. 2012: გვ.114).

12. ჯვეში **კათა იშაყარუუდ** დო არაკის თიშენ იჩიებუდეს, სერ გათანესკონ თი გურშენ. „ძველი ხალხი (=მოხუცები) გროვდებოდნენ და ზღაპარს იმიტომ ჰყვებოდნენ, ღამე რომ გაეთენებინათ იმიტომ“(მეგრ. ტექსტ. 2012: გვ.118).

13. **ბაღანა ბურთის ლაყაფენს** დო ქოძირ თე ბაღანა. „ბავშვი ბურთს თამაშობს და ნახა ეს ბავშვი“(მეგრ. ტექსტ. 2012: გვ.118).

14. ათექვ ვარენიაო გაკკანწყუუადა, ეთიწკმავა **სი ერგებუქია** თესია,უწუ დო ქიგიოხუნუ. „ამის შეწყობას თუ შეძლებ, მაშინ შენ მოერგები ამასო, უთხრა და შესვა“(მეგრ. ტექსტ. 2012: გვ.100).

15. არძას **ელგ** ასე თე **ძღაბი**, თაქ ქომორთასგნ თეს ელგ დო ოჭკომალსია მა ჩქიმ ხეთ დუურიგენქია არძას. „ყველას ელის ახლა ეს გოგო, აქ რომ მოვიდეს, იმას ელოდება და საჭმელს მე ჩემი ხელით დავურიგებო ყველას“(მეგრ. ტექსტ. 2012: გვ.124).

16. **ლაგვანი ოკო რდგუოკ** განსხვავებული შხვალა-გვანეფშე. „ქვეერი უნდა ყოფილიყო განსხვავებული სხვა ქვეერებისაგან“ (მეგრ. ტექსტ. 2012: გვ.132).
17. **თენა ქოხანდგ** გინცგნ, თე გინც ხოლო პატიცენდეს. „ეს რომ მოიგებდა ხბოს მაშინ, ამ ხბოსაც პატივს სცემდნენ“ (მეგრ. ტექსტ. 2012: გვ.132).
18. თეს **გითმასინჯენდუ** ართი **ფერშალი**, სარდიონი ქვარცხავა, თექ დინორდ მუში ოჯახიში სქუაცალო დო მუთუნს ვარკენდ. „ამას სინჯავდა ერთი ფერშალი, სარდიონ ქვარცხავა, იქ იდგა მათი ოჯახიშივილივით და არაფერს აკლებდა“ (ლოლა ნანა, 2007: გვ.102).
19. ხვალე **ჭუბური გითოცენდ** თის ეხოს, ჭუბური, ართი ჟირ-სუმ მეშოკი. „მხოლოდ წაბლი ცვიოდა მის ეხოში, წაბლი, ერთი ორი-სამი ტომარა“ (ლოლა ნანა, 2007: გვ.102).
20. **ამშიე ჯიმალეფი რდეს** დო ართი და, ამშიე ჯიმალეფი. „ექესი ძმა იყო და ერთი და, ექესი ძმა“ (ლოლა ნანა, 2007: გვ.106)

**ნომინატიური კონსტრუქცია ლაზურში:**

1. ქორბას **წიწი გეაქთუ** (ასათიანი, ლაზ.ტექსტ. 2012, 22) „მუცელში ნაწლავე გაესკენა“.
2. **მგერი** სქიბუმ თუდე **გეხთუ** დო **დოტკობუ** (ლაზური პარამითეფე, 1982, 5) „მგელი წისქვილის ქვეშ შეძვრა და დაიმაღა“.
3. მაჟურა დღას **მჭკეში** ხოლო **ქომოხთუ** მაფაშა (ლაზური პარამითეფე, 1982, 9) „მეორე დღეს მწყემსი ისევ მივიდა მეფესთან“.
4. ჰაშოთე **კოჩი** მაფაში **ვეზირი დიყუ** (ლაზური პარამითეფე, 1982, 25) „ასე კაცი მეფის ვეზირი გახდა“.
5. ტკას არ ჩხორლოთონი **დივი სქიდუნ** დო გზას ნა დგინ ოხვამეშა კონეფე ვარ ოშქუმერს (ლაზური პარამითეფე,

1982, 24) „ტყეში ერთი ცხრათავიანი დევი ცხოვრობს და გზაზე რომ დგას სალოცავთან კაცებს არ უშვებს“.

6. **ბუთკუჯაფე ფუთხეს** დო ჭუმანიშაქის დიდი დო მსქვა ჯიხა დოკოდეს (ლაზური პარამითეფე, 1982, 24) „ფუტკრები აფრინდენ და დიდი და ლამაზი ციხე ააშენეს“.

7. **დოხდუნ: მუა დოხდუნ** (ასათიანი, ლაზ.ტექსტ. 2012, 6) „ამჟავდა: რძე ამჟავდა“.

8. **ეთეფე ირდეს** გურჯიში კამანდა დო მენგრელიში კამანდა (ასათიანი, ლაზ.ტექსტ. 2012, 13) ისინი გაიზარდნენ ქართველის რაზმი და მეგრელის რაზმი“.

9. **ჩხალა** ემუს **ჯოხონს-ია** (ასათიანი, ლაზ.ტექსტ. 2012, 13) „ჩხალა იმას ჰქვიაო“.

10. **ჯუმალეფე** ჩქიმი მთელი **კითხერი რტეს** (ასათიანი, ლაზ.ტექსტ. 2012, 14) „ჩემი ძმები ყველა ნასწავლი იყვნენ“.

11. ბოზოფე ირ მიტკობუნან (დიუმეზილი 2009,86) „გოგოები ყველა გვემალებიან“.

12. **ვეზირეფე** ჰემ დლაშენ **იგზალეს**, ქიანა **გოძლეს** დო მაფაშ ნოთქვაძე ირის **დუწვეს** (ლაზური პარამითეფე, 1982, 8) „ვეზირებმა იმ დღემდე იარეს, ქვეყანა შემოიარეს და მეფის ნათქვამი ყველას უთხრეს“.

13. გამახთიმონი **დიცხირი გამახთასინონ**. „გამოსაშვები სისხლი უნდა გამოვიდეს“. (ხალხ. სიბრძნ.1994, 206).

14. აელის **ჯოღორი ვარ რტუში**, დეჯის ოლალაფეს. „ეზოში ძაღლი რომ არ იყო, ღორს აყეფეს“. (ხალხ. სიბრძნ.1994, 198).

15. არ გზას **კაითი გულინ** დო პატიოთი. „ერთ გზაზე კარგიც დადის და ცუდიც“. (ხალხ. სიბრძნ.1994, 198).

16. არ ოხორის **ჟურ ჯუმა** ნა **სქიდუტას**, ენთეფეში **დულია** წოხლე **ვარ ულუნ**. „ერთ სახლში ორი ძმა თუ ცხოვრობს, მათი საქმე წინ არ წავა“. (ხალხ. სიბრძნ.1994, 201).

17. **ბალუქჩი** ონჯირეს **ვარ დურუნ**. „მეთეფზე საწოლში არ კვდება“. (ხალხ. სიბრძნ.1994, 203).

18. ბაშქაში ბერგითენ ყონა ვარ იხაჩქენ. „სხვისი თოხით ყანა არ დაითოხნება.“ (ხალხ. სიბრძნ.1994, 203).
19. გინძე ნენას კაბდა მოყუფს. „გრძელ ენას ჩხუბი მოჰყეება.“ (ხალხ. სიბრძნ.1994, 206).
20. დოხუნუთენ დულდა ვარ იხოდენ, ვარ იყვენ. „ჯდომით საქმე არ გათავდება, არ გაკეთდება.“ (ხალხ. სიბრძნ.1994, 211).
21. დუნდას იდ იტუენ, იდ იხოდენ. „ქვეყანაზე ყველაფერი იცვლება, ყველაფერი იღევა (თავდება).“ (ხალხ. სიბრძნ.1994, 212).
22. ზოითენ მსქეაობა ვარ იყვენ. „ძალით სილამაზე არ იქნება.“ (ხალხ. სიბრძნ.1994, 214).
23. თოლი ვარ იძდენ. „თვალი არ ძდება.“ (ხალხ. სიბრძნ.1994, 217).
24. კათა კეინჩი დოვა მუშიშა მულუნ. „ყველა ჩიტი თავის ბუდეში ბრუნდება“. (ხალხ. სიბრძნ.1994, 219).
25. კაი დუშმანითი კაი რენ. „კარგი მტერიც კარგია.“ (ხალხ. სიბრძნ.1994, 220).
26. კალათი ჭერის გეძინ, გედგინ. „გოდორი ჭერში დევს.“ (ხალხ. სიბრძნ.1994,, 222).
27. კეზა არ დეკიკეს იყვენ-და. „მარცხი ერთ წუთში ხდებაო.“ (ხალხ. სიბრძნ.1994, 223).
28. კოჩი დიდიაკალა დიდი ტასინონ, ჭიტაკალა – ჭიტა. „კაცი დიდთან დიდი უნდა იყოს, პატარასთან – პატარა. (ხალხ. სიბრძნ.1994, 224).
29. კუჭი იძდენ, თოლი ვარ. „კუჭი ძდება, თვალი არა.“ (ხალხ. სიბრძნ.1994, 228).
30. ლოყა ნენა ჭამი რენ. „ტკბილი სიტყვა წამალია.“ (ხალხ. სიბრძნ.1994, 229).
31. მონჭეის ასთოლეს დო კობო ქამელუ-და. მწიფეს ესროლეს და მკვახე ჩამოვარ დაო.“ (ხალხ. სიბრძნ.1994, 235).

32. **ნდღა იჩოდენ დო გზა ვარ იჩოდენ.** „დღე თავდება და გზა არ თავდება.“(ხალხ. სიბრძნ.1994, 240).

**დატიური კონსტრუქციის მაგალითები მეგრულში:**

1. **ქორ გუთოტყყადილ მაშუფას გულახუდუა,** ცუჯ გაკლურხუდუა დო წგრს ქუკლურხვაფუდუა. „ორი ამოწყვეტილ (=დასაქცევ) მაშუფას უცემიანო, ყური გაეხვრიტაო და გრეხილი (წკნელი) გაეყარაო“ (მეგრ. ტექსტ.2012: გვ.58).
2. **ხოჯენს აწუჟკინუნა,** დუშუშებუნა თე ადგილფეფ ოდო თემ უკული სოფელს ქიგიოდვეს ხიბულა. „ხარებს გაუწვევიათ, დაუშუშაგებიათ ეს ადგილები და ჰოდა, ამის მერე ამ ადგილს დაარქვეს ხიბულა“ (მეგრ. ტექსტ.2012: გვ.62).
3. ...თე სოფელიში პატრონობა მათა **დადიანს გეუტოფუ** მუშ დუდიშა, ნოკობუე თაქ დიდი დოხორემ კეთება. „ამ სოფლის პატრონობა მათა დადიანს აუღია თავის თავზე, ნდომებია აქ დიდი სასახლის გაკეთება“ (მეგრ. ტექსტ.2012: გვ.62).
4. თინეფიშ მეტის **მითინს ვაუდუდუ გურაფა,** ვაუდუდუ ნება ქიგურუესკონ... „მათ გარდა არავის ჰქონდა განათლება, არ ჰქონდა ნება, რომ ესწვლათ“... (მეგრ. ტექსტ.2012: გვ.66).
5. ათაქი თე ჩქიმ **დიდას ქიმურთუმ** დო კაბა ოჭალო მიდულალ, სგდე თე ჩქიმ მუმა ინორე ბინათ. „აქ დედაჩემი მისულა და კაბა შესაკერად წაუღია, სადაც მამაჩემი იდგა ბინად (მეგრ. ტექსტ.2012: გვ.78).
6. ჩქიმ **მუმას მეუთხუმ ხე** დო აშ მოლუჟონაფ ჩქიმ დიდა თათაშა, ვარა მონატაცებ ვარე ენა. „ჩემს მამას მოუკიღია ხელი და აქეთ წამოუყვანია ჩემი დედა თათაში, თორემ მოტაცებული არ არის ეს (მეგრ. ტექსტ.2012: გვ.80).
7. ...აქ ჩქიმ **მუმას ვაუჩქუდღნ,** უწივა სივა დო ქემორთღნ, მა გომტუა; „მამაჩემს არ სცოდნიაო, უთხარიო შენ და, რომ მოვიდა, მე გამიშვაო“ (მეგრ. ტექსტ.2012: გვ.96).

8. თე დემიში **ძღაბისე მეჯუნსე** თე რაში დო მიდართესე. „ამ დევის გოგოს მიჰყავს ეს რაში და წავიდნენ“ (მეგრ. ტექსტ.2012: გვ.100).
9. ენა თე **რაშის** ირფელი **ურქე**. „ეს ამ რაშია ყველაფერი იცის“ (მეგრ. ტექსტ.2012: გვ.104).
10. ართი-ართი **სახელმწიფოსე უღე** იბირსე ფერი შკაფი. ერთ-ერთ სახელმწიფოს აქეს რომ მღერის ისეთი კარადა“ (მეგრ. ტექსტ.2012: გვ.104).
11. ართ ძღაბ **ეუნს თეს**, ეათე კოს, ართ ძღაბ ეუნსუ დო ბოში ვაეუნცუ. „ერთი გოგო ჰყავს, ამას, ამ კაცს, ერთი გოგო ჰყავს და ბიჭი არ ჰყავს“ (მეგრ. ტექსტ.2012: გვ.122).
12. **გილურაყენა** თე **ჭყიშენს** ხოლო, ათე ჭყიშემს, თექ ეუნსუნი თი ჭყიშეფს; „არბენინებენ ეს მწყემსებიც, ეს მწყემსებიც, იქ რომ ჰყავს ის მწყემსები“ (მეგრ. ტექსტ.2012: გვ.122).
13. ჯოდორეფს ქაწუურდ თე ხორცი დო ძვალ ხოლო **ვეგუტებნა ე ჯოდორეფს**. „ძაღლებს დაუყარა ეს ხორცი და ძვალიც არ დაუტოვებიათ ამ ძაღლებს“ (მეგრ. ტექსტ.2012: გვ.124).
14. ქიდგარინე თექ დო ვადგარნენი, **ოკო გინქდას კოს**. „გედგომება იქ თუ არ გედგომება, უნდა იცოდე კაცმა“ (ლოლა ნანა, 2007: გვ.114).
15. **იროდის**, ჩქიმ პატენ რექენ, **უღუღუ** მასალა იფრელი, დო ოსურს ვათხუულენს. „იროდის, ჩემი ბატონი რომ ხარ, ჰქონდა მასალა ყველაფერი და ცოლს არ თხოულობს“ (ლოლა ნანა, 2007: გვ.116).
16. **ოლიას აფ**, საწყალს, **ნარაგად**: ეჩ მანათი ფარაში გურშენი ათაში ხემოკიდირაფილო დუდს, რკიანდუა, მუშენ მენია-დო. „ოლიას აქეს, საწყალს ნათქვამი: ოცი მანეთი ფულის გამო ასე, ხელმოკიდებულად თავზე, კიოდაო - რატომ მიეციო“ (ლოლა ნანა, 2007: გვ.118).



17. ათე თათუშა **ნაძირეფი აფნა** დო ვანოშოთ ოკონა **არძას**, მარა ვანოშოთ მა ვამოკო ენა. „ეს თათუშა ნანახი ჰყავთ და ვანოსთვის უნდა ყველას, მაგრამ ვანოსთვის მე არ მინდა ეს“(ლოლა ნანა, 2007: გვ.122).
18. **ათეს** ბრელი ბოშეფი **მაარე**, ბრელი ხალხი მაარე. „ამას ბევრი ბიჭი ეძლევა, ბევრი ხალხი ეძლევა“(ლოლა ნანა, 2007: გვ.122).
19. თეშ **ამხანაგის ურაგადუუ**, თე იზდორეში ამხანაგის! „იმის ამხანაგს უთქვამს, ამ იზდორეს ამხანაგს!“ (ლოლა ნანა, 2007: გვ.124).
20. ათე **იზდორეს** ზონდიკი **უკებუდუნი**, თენა გეიწუუდი. „ამ იზდორეს ქოლგა რომ ეჭირა, ეს გამოვართვი“(ლოლა ნანა, 2007: გვ.124).

**დატიური კონსტრუქციის მაგალითები ლაზურში:**

1. **არის** ნა **ახვენას**, ია დუღა სუმიქ ყვას ნა, ბირდემ კოლაი იყვენ. „ერთი რომ აკეთებს (ერთს რომ გაეკეთება), ის საქმე, სამმა რომ გააკეთოს, ერთად ადვილი იქნება“. (ხალხ. სიბრძნ.,1994, 199).
2. **ბერეს** ართეიშენ **აშქურინასინონ**. „ბავშვს ერთის უნდა ეშინოდეს“. (ხალხ. სიბრძნ.,1994, 204).
3. **მითხანს** კაინობა **უნონ**, ია პატინობასთი ნუხონდასინონ. „ვისაც კარგი (კარგობა) უნდა, იმან ცუდიც (სიავე) უნდა მოითმინოს.“ (ხალხ. სიბრძნ.,1994, 234).
4. **მითხანის** ჭიტაში კიმეთი **ვარ უჩქინ**, იმას დიდისაც არ ეცოდინება.“ (ხალხ. სიბრძნ.,1994, 234).
5. მწკუფი **სეის** თუთა **უნონ**, სეჭილი ქომოლის დნოსაი ოხორჯა უნონ. „წყვილიად ღამეს მთვარე უნდა, სულელ ქმარს ჭკვიანი ცოლი.“ (ხალხ. სიბრძნ.,1994, 238).
6. **უსთას** უსთაში **ვარ მოწონს**. „ხელოსანს ხელოსნისა არ მოსწონს.“ (ხალხ. სიბრძნ.,1994, 253).

7. **უღნოსეს-თი** ბაზი წორი მუნთხანი რენ **დაათქვენ**. „უჭკუოც ზოგჯერ სწორ რამეს იტყვის (უჭკუოს ზოგჯერ სწორი რამე ეთქმევიანება).“ (ხალხ. სიბრძნ.,1994, 253).
8. **ყორთფას** ზენგინი დო ჭუკარა ვარ **უჩქინ**. „სიყვარულმა მდიდარი და ღარიბი არ იცის“. ( ხალხ. სიბრძნ.,1994, 258). თიკანეფეს გააკვირეს (ლაზური პარამითეფე, 1982, 5) „თიკნებს გაუკვირდათ“.
9. **აძიცინუ მაფას** (ლაზური პარამითეფე, 1982, 8) „გაეცინა მეფეს“.
10. **კოჩის** დივი მცხადე ვარ **უძირუტუ** დო დილო აშქურინეტუ (ლაზური პარამითეფე, 1982, 8) „კაცს დევი ცხადში არ ენახა და ძალიან შეეშინდა“.
11. **ნანას უთქვაფუნ** (ლაზური პარამითეფე, 1982, 20) „დედას უთქვამს“.
12. **ჰენტეფეს** ანჯაკ **გალენან** (დიუმეზილი 2009, 86) „ისინი მხოლოდ სეირნობენ (მათ მხოლოდ სეირნობა შეუძლიათ)“.
13. **ბადის** კად **დაწონუდორენ** (დიუმეზილი 2009, 154) „ბერიკაცს ძალიან მოსწონებია“.
14. **ონორჯას** პოტე დალი ვა **უძირუტუ-დორტუნ** (დიუმეზილი 2009, 224) „ქალს მანამდე სარკე არ ენახა“.
15. **ჰე ქჩინის** ვა **მუხთიმუნ** (კარტოზია 2005, 174) „ეს დედაბერი არ მოსულა (დედაბერს არ გამოუვლია)“.

**გარდამავალი ორპირიანი ზმნა-შემასმენელი სვანურში:**

- მნრე აგემ ქორს** – კაცი აშენებს სახლს;
- მნრე-დ ადგე ქორ** – კაცმა ააშენა სახლი;
- მნრე-ს ოთგა ქორ** – კაცს აუშენებია სახლი;

**გარდამავალი სამპირიანი ზმნა-შემასმენელი სვანურში:**

- ზურნალ ხოჭუდწნი გეზალს ლწირს** – ქალი უკითხავს შვილს წიგნს;
- ზურნალ-დ ოთგოდნე გეზალს ლწირ** – ქალმა წაუკითხა შვილს წიგნი;

**ზურნალ-ს** ოთხოვნა გეზალდ ლპირ-ქალს წაუკითხავს შვილისთვის წიგნი;

**გარდაუვალი ერთპირიანი ზმნა-შემასმენელი სვანურში:**

**ნპრლ შყედნი** — ჩიტი ვარდება;

**ნპრლ ანშყად** — ჩიტი ჩამოვარდა;

**ნპრლ შმშყედელი** — ჩიტი ჩამოვარდნილა;

**გარდაუვალი ორპირიანი ზმნა-შემასმენელი სვანურში:**

**გუი ხოსჰენი ეჩას** — გული უსკდება იმას;

**გუი ოთხპე ეჩას** — გული გაუსკდა იმას;

**გუი ათხეპა ეჩას** — გული გასკდომია იმას;

როგორც ცნობილია, ბრუნვათა რიგის მიხედვით დალაგების საფუძველი სამივე ქართველურ ენაში სხვადასხვაა და ეყრდნობა სწორედ მორფოსინტაქსს. დღეისათვის ქართულში მიღებული ბრუნვათა რიგი ემყარება სინტაქსურ-მორფოლოგიურ საფუძვლებს. „სინტაქსური საფუძველია ის, რომ პირველი სამი ადგილი ქვემდებარის ბრუნვებს უჭირავთ: სახელობითს, მოთხრობითსა და მიცემითს. აქედან სახელობითი და მიცემითი ამავე დროს სახელით გადმოცემულ სხვა მთავარ წევრთა ბრუნვებიცაა. სახელობითით, გარდა ქვემდებარისა, გადმოიცემა პირდაპირი დამატება, მიცემითით კი -პირდაპირი დამატებაც და ირიბიც. მოთხრობითი ქართულის სპეციფიკური ბრუნვაა. მისი ერთადერთი დანიშნულება ქვემდებარის გადმოცემაა. აღნიშნულს გვერდით უდგას მორფოლოგიური ნიშანიც: პირველ სამ ბრუნვაში ფუძე სრულია, არც კუმშვა ხდება და არც კვეცა. ამ სამეულში სახელობითის პირველ ადგილზე მოთავსება განპირობებულია იმით, რომ სახელის დასახელება სწორედ ამ ბრუნვაში ხდება, ლექსიკონში სახელი ამ ფორმით შედის. მეორე ადგილზე მოთხრობითი დგას. იმის გამო, რომ ისიც, სახელობითის მსგავსად, ქვემდებარის ბრუნვაა და ნაცვალსახელური (ნაწევრული) წარმოშობისაა (შდრ.. -ი ივი, -მა მან). მესამე ბრუნვად

მიცემითის დასმას მხარს ისიც უჭერს, რომ ამ ბრუნვით გარდა მთავარი წევრებისა, არამთავარი წევრებიც გადმოიცემიან (მაგ. უბრალო დამატება: ხმაღს ხელი იკრეს... გარემოება: ქალაქს იყო...). პირველი სამი ბრუნვის ამგვარ რიგს ამართლებს ქართული ენის სინტაქსური თავისებურებაც: გარდამავალი ზმნის ქვემდებარე პირველი სერიის ფორმებთან შეწყობისას სახელობით ბრუნვაში დგას, მეორე სერიის ფორმებთან შეწყობისას – მოთხრობითში, მესამე სერიის ფორმებთან კი – მიცემითში (ბავშვი წერს, ბავშვმა დაწერა, ბავშვს დაუწერია).

ნათესაობითი, მოქმედებითი და ვითარებითი არამთავარ წევრთა ბრუნვებია. მათ აერთიანებთ ფუძის კუმშვა (მელნ-ის, მელნ-ით, მელნ-ად), პირველ ორ ბრუნვას კი – კვეცა (ძმ-ის- ძმ-ით). მიცემითის შემდეგ ნათესაობითის მოთავსებას მხარს უჭერს თანიანი მრავლობითის ერთნაირი წარმოებაც ამ ბრუნვებში (კაც-თ-ა). ნათესაობითის შემდეგ მოდის მოქმედებითი. ამ ორ ბრუნვაში საზღვრულები ერთნაირად შეიწყობენ ბოლოთანხმოვნიან მსაზღვრელებს (მაღალი სახლის, მაღალი სახლით). ბოლო ადგილი ბუნებრივად უჭირავს წოდებითს, რომლის ბრუნვობა მეცნიერებაში საკამათოდაა მიჩნეული (მიქიაშვილი: 2006:58).

ნომინატიური კონსტრუქციის თვალსაზრისით ქართულ-სვანური საერთო ტიპოლოგიის კუთხით საინტერესოა ანაღიზი მაგალითებისა როგორც სხვადასხვა პერიოდის სვანური ტექსტური გამოცემებიდან, ასევე ცოცხალი მეტყველებიდან.

1. შომას **სკარხალ ჯედენდა**, შვანურ ეჯის წმინდა ელიწს ხაბრწლდახ ჯვინელდ. (სვან. პროზ. ტექსტ. ტ. III თბ. 1967წ. გვ. 78) „სეტყვა რომ მოვიდოდა, სვანები იმას წმინდა ელიას აბრალებდნენ ძველად“.

2. **სკარხალ ი ბერი**, წმინდა ელიწ იმწახო ლოქ ხეუველინ, ეჩოხ ლოქ ხაჭიმ ი ეჯ ადგილს ლოქ ასკარხწლი. (სვან.

- პროზ. ტექსტ. ტ. III თბ. 1967წ. გვ. 78); „სეტყვა და სიბნელე//ბნელი, წმიდა ელია საითკენაც წაუძღვება, იქითკენ დაედევნებოდა და იმ ადგილს დასეტყვავსო“.
3. უმნარ ერ ქათაყჩივნახ სკარხალ, ღვრის ი ნაჭას აკვანებს კალხო ი ფერთხას. (სვან. პროზ. ტექსტ. ტ. III თბ. 1967წ. გვ. 78); „სეტყვას რომ ამაზე თავი მიანებებინონ, წავლენ, ჯაჭვს გადააგდებენ ეზოში და ფერთხავენ“.
4. ჟი იკედს მკერას ი მკერაჟი ხატყცვის ბერეუს. (სვან. პროზ. ტექსტ. ტ. III თბ. 1967წ. გვ. 78); აიღებენ სახნისს და სახნისზე ურტყამენ რკინას“.
5. იმჟი ხოშა ეერს ახაკიდვნის, ეჯჟი ხოჩილ ლოქ ლი. (სვან. პროზ. ტექსტ. ტ. III თბ. 1967:78); „რამდენადაც მაღალ//დიდ ხმას გააღებინებენ, მით უკეთესიაო“.
6. ერტუძეს თოფურ ხუღვეს, ეჯმინ ლითოფს იბნეს ფოყხო, იმძხენისკა სკარხალ ანდრი. (სვან. პროზ. ტექსტ. ტ. III თბ. 1967წ. გვ. 78) „ვისაც თოფები აქვთ, ისინი სროლას იწყებენ იმ მხარეს, საიდანაც სეტყვა მოდის“.
7. ხოშა მარულ ი ზურელულ დერბათვ ხევერლეს ქორს. (სვან. პროზ. ტექსტ. ტ. III თბ. 1967წ. გვ. 78); „დიდი კაცები და ქალები დმერთს ევედრებიან სახელში“.
8. ლითოფს ი ლისკერხლესის ეჯნარ ხაშტაბას, ერ წმინდა ელია ლი თერულ ლგვენე ანგლოზ, ეჯის სკეების ხოჟველ ექმძე ი ხელორავულ ესრენიშ: (სვან. პროზ. ტექსტ. ტ. III თბ. 1967წ. გვ. 78). „თოფების სროლას და რკინების რაკარუკს იმიტომ იქმან, რომ წმინდა ელია არის ბრმა (თვალეზდამდგარი) ანგელოზი, იმას წინ მიუძღვის ეშმაკი და ატყუებს თურმე“.
9. სოფელ ფედიასო ერ ადვედენის, ამეჩუ უდაბნო ლოქ ლი ი ჩუვ ადასკარხალე. (სვან. პროზ. ტექსტ. ტ. III თბ. 1967წ. გვ. 78) „სოფლის სიახლოვეს რომ ჩაივლიან, ეუბნება თურმე: აქ უდაბნო არის და დასეტყვეო“.

10. ეჯის ხაჯრანე ეჩა ნაქე ი ჟი იბნე სკარხალს, მარე ლითოფ ი ლისკერხლავი ერ ხესმი, გუდ ჳედნი, ერე ამენჳ **ხანლს იხგეს** ი ქა ხაყინ ცხუმელილ. (სვან. პროზ. ტექსტ. ტ. III თბ. 1967წ. გვ. 78) „მას სჯერა იმისი ნათქვამი და იწყებს სეტყვას, მაგრამ თოფის სროლა და რკინის რაკუნი რომ ესმის, ხვდება, რომ აქ ხალხი ცხოვრობსო და თავს ანებებს დასეტყვას“.

11. ზანგა აშხუ ლადელ **მეზგე** ლანდშუმას **აწიჰდა**. – „წელიწადში ყოველი ოჯახი პატიჳებდა ასულებს (გვარის გათხოვილ მანდილოსნებს)“.

12. **მახელტაჳარ** ლითოფისგა **იმქარანლს**. – „ვაჳკაცები ერთმანეთს ეჯობრებოდნენ სროლაში“.

13. ლახე **ჳყინტ** ითნი ქორისგა, ექქა ნანუმსარ ხოშა ლანხიადლს იხო მეზგე – „ვაჳი (ბიჭი) როცა იბადება ოჯახში, მაშინ განსაკუთრებულად დიდ ლხინს გადაიხდის მოსახლე“.

14. აშხუჳინ ესნარ გვენეს უდუმბირ ცხიკისგა სგა ლახხუილდა დანდრე „ერთხელ თურმე გვენეს უდაბურ ტყეში შეხვდა დათვი“.

15. ტიტინა **ფანლი ლგმარდ** ლადამს მიჩა ლანდიარანლმგე. – „ტიტიანთ მოსამსახურე (მონა) ყოფილა (ნამყოფა) ლადამში თავის დედულელებთან“.

16. ალ **მურყტამ ლგმარ** ლანყურილ მურყტამ ი თხუმ ზანგლანგ ხარკენა. „ეს კოშკი ყოფილა საგუშაგო კოშკი და სათავეში ზარიც (ჳკიდებია) ყოფილა ჩამოკიდებული“.

17. ეჯ ტყუფთე **წუა სბენდიკ**. „იმ მხარეს მოიპოვება სპონდიო (ერთგვარი მჩატე და ფაშარი ქვა)“.

18. დისანლდ ტაბანთექა ანჯიდ მახე მეჯანბ ლელტ ი ქუთარ. „ღიასახლისმა სუფრაზე გამოიტანა ახლად მოხარშული ხორცი და ხაჭაპურები“.

19. ლახტართე მუს უკტე ჟი ლგდე ხარ. „მთებზე თოვლი უკვე დალო“.

20. ნესგა სტიფისგა ხოშამ ბზჩუნ მურყუმ **ნმრილუ ლგგ** – „შუაგულ სვიფში ვეებერთელა ქვაზე კოშკის ნანგრევები დგას“.
21. აღ ზანგლვს **ხზბ დორი ბერჟნ ნაჭა** – „ამ ზარს აბია რკინის ორი ჯაჭვი“.
22. ანლვბ ლადელ ქა ანდ ცხეკთე ი ჟანქაჩე ქვჭტრა „ამდლება დღეს წავიდა ტყეში და მოჭრა არყის ხე“.
23. ჰარწყ, ლელჟ ი დიზრ მასზრდ ხულუახ ი იქეიფხ – „არაყი, ხორცი და პური უხვად აქვთ და ქეიფობენ“.
24. ლტაჟნრ იყდის ღუნს ჟი ლემზრიდ – „მამაკაცები ხბოს ყიდულობენ შესაწირად, შესალოცად“.
25. აღ ნაზორ ჭემინს ჩტაპრწყის ი ჟი იშხუნის ჰგლშშდ (სვან. ენ ქრესტ. 1978:17) „ამ მოგროვილ ქერს არყად გამოხდიან და შეინახავენ რელიგიური დღესასწაულის თვის“.
26. აღ თშშ ამ ლდდლი ქუთუარე ნჩდუნინქ ხრხ (სვან. ენ ქრესტ. 1978: 17).. „ეს ყველი იმ დღის ხაჭაპურებისთვის უნდათ“.
27. ლელტი ალაბ ლთო მწნკტი ლელტს ხაგემხ მზგ ი ენლოტშ ჩუ იდდარწლხ (სვან. ენ ქრესტ. 1978:9) – „ხორცი ელის არაპის რამეს პირველად ხორცს ჩაადგამენ მოსახარსად და მერე დაპურდებიან“.
28. ნდდარობენ ფეტტრშშ ი ჭყწნი ცვრცმას იხოხ ი ეხას ხოგწლის ჩნ თუით ფაკწნს (სვან. ენ ქრესტ. 1978: 9) – „ნასადილევს ფეტვის და ქონის შეჭამანდს აკეთებენ და იმას უდგამენ ყველას თითო ჯამს“.
29. მწნკტი ჯგვრწვი კათხს გორახ, ეჩქანლო სწყწნს ი ამჟინ იბნოლდა ლითრეღ-ლილხნე (სვან. ენ ქრესტ. 1978:20) – „პირველად წმ. გიორგის კათხას შესვამდნენ, მერე საგანგებო სასმისს და ასე იწყებოდა დაღევა, მოლხენა“.

30. ათხენლო სერ ქა ლეთიშ **ხოხრწლ იბნახ** მურყუამთეჟონ ღნობის (სვან. ენ ქრესტ. 1978:20), „ამის მერე უკვე რჩეული ახალგაზრდები იწყებდნენ კოშკზე ასვლას“.
31. ლახტხან გუნ ლულგტარე **ტეხნის ქტინლგმგენწლ**. (სვან. ენ. ქრესტ. 1978:31) „ითიდან საქონელი ძალზედ ჩასუქებული ბრუნდება“.
32. ჩწუი ჯგლგეს სგტებინ **ხოჟოდდა** მიშგუ მეზტბელი მახე ნანჭყაჟ თუხარიკ **ჩწჟ** (ექსპედ. მასალ.) „ცხენების რემას წინ მოუძლოდა ჩემი მეზობლის ახლად გახედნილი თოხარიკი ცხენი“.
33. ნეცინ მანგვრს: დავღლს, ღტელღჲქს ი მწშგს ჩი ლადღლ **ხელღღლს მგლღღა** (სვან. ენ. ქრესტ. 1978: 31) „წვრილფეხა საქონელს თხას, ცხვარს და მეწველს ყოველდღე მწყემსავენ მწყემსებო“.
34. ეჯ ტყუფთე მეთხტიწრ იმ მწმ ათწსდა ლეწფერს, ლეგგობს, ლელტმერს იტეშგიმპილს სგწთწწღწწწა უღუმბირ ცხეკეთესგა (ექსპედ. მასალ.) „იმ მხარეს მონადირე რას არ გადასწყდომია წიფლნარს, ფიჭვნარს, ნაძვნარს და ბოლოს კი უდაბურ ტყეში მოხვედრილა“.
35. ჭალღღს ეჩხწწწუ ი ამხწწწუ **ღებღღყწჩ ესტიმ** (ექსპედ. მასალ.) „მდინარეს ორივე მხარის ნაპირებზე მურყნარი გასდევს“.
36. {**ეჯწრ**} მწრმა ლადღლ **ანგგწწწ** უი ი აჩწღს აფხზნთი ლახტწრთე, ამეწწწ მასწრდ ოთღეს ესწრ ქტილგმგენწმი ჯტეგ, ჩწუი ჯგლგე, ი დავღლწშ ი ღტელღჲქს ჯტეგწრ (სვან. ენ. ქრესტ. 1978: 77) – „მეორე დღეს ადგნენ და წავიდნენ აფხაზეთის მთებში, აქ თურმე ბლომად წაართვეს ცხენების რემა თხისა და ცხვრის ჯოგები“.
37. ჯტინალღ აშხტ დრეტჟონ **ოთარშა ამჩედს** აფხზნთი ლახტწრთე ქტინლგმგენწმიშ ი მწწცინი ლადღწგწღლთე (სვან. ენ. ქრესტ. 1978:76) – „ძველად ერთ დროს ოთარისანნი



(დადეშქელიანები) აფხაზეთის მთებში წასულან სულდგმულისა და წვრილფეხა საქონლის წასართმევად“.

**§11. ერგატიული კონსტრუქცია ქართველურში:** ერგატივი იბერიულ-კავკასიურ ენათა სტრუქტურის ერთ-ერთი ყველაზე უფრო დამახასიათებელი ნიშანთაგანია; ენათმეცნიერებაში ითვლება, რომ მოთხრობითი ბრუნვა და ზოგადად, ერგატიული კონსტრუქცია ამ ენებში ერთი და იმავე ფორმაციისა არ არის.

ლაზურში მოთხრობითი ბრუნვა იქცა გარდამავალი ზმნის სუბიექტის ბრუნვად განურჩევლად დრო-კილოსი, ხოლო სახელობითი - გარდაუვალი ზმნის სუბიექტის ბრუნვად ასევე განურჩევლად მწკრივისა და, რაც მეტად საყურადღებოა, სახელობითში დგას გარდამავალი ზმნის ობიექტიც ასევე განურჩევლად დრო-კილოსი (რა თქმა უნდა, ინვერსიულ ზმნებს თუ არ გავითვალისწინებთ). ანუ გარდამავალი ზმნის საკონვერსიო ობიექტი, იგივე სუბიექტი გარდაუვალი ზმნისა, ერთსა და იმავე ბრუნვაში დგება. მაშასადამე, ლაზურში I და II სერიაში, ასევე არაინვერსიულ თურმეობითებში ერგატიული და ნომინატიური კონსტრუქციები ჩამოყალიბდა როგორც სუბიექტ-ობიექტის ოპოზიცია, შესაბამისად, მოთხრობით ბრუნვაში დასმული სახელი, ყოველთვის სუბიექტია, ხოლო სახელობითში – ყოველთვის ობიექტია ან კონვერსიული პასივის სუბიექტი (ეზუგბაია, 2010, 146). მიუხედავად ამგვარი კანონზომიერებისა, ისიც ცხადია, რომ ლაზურში ერგატიული კონსტრუქციის განვითარების სხვადასხვა ტენდენციაა. ჯერ კიდევ უ. დიუმეზილი შენიშნავდა, რომ ლაზურში ზოგჯერ „არალეგიტიმური ერგატივი“ იჩენს თავსო (დიუმეზილი 2009, 12). პირველად არნ. ჩიქობავამ შეამჩნია, რომ ს. ჯიქიას მიერ ჩაწერილ ტექსტებში მოთხრობითი მოშლილი ჩანს და მიცემითიც იმავე გზაზეა დამდგარი. მაგრამ ისიც

აღნიშნა, რომ ათინურს მთლიანად ეს არ ეხებოდა. (ჩიქობავა 1936, 181). ეს ტექსტები XX საუკუნის 20-30-იანი წლების მდგომარეობას ასახავს.

ლ. ეზუგბაიას საილუსტრაციოდ მოჰყავს გარდამავალ-ზმნიანი და გარდაუვალზმნიანი წინადადებების მაგალითები, სადაც გარდამავალი ზმნა-შემასმენელი ქვემდებარეს უნდა შეიწყობდეს მოთხრობითში, ხოლო დამატებას - მიცემითში, გარდაუვალისა კი - გრამატიკულ ობიექტს (ანუ წინადადებაში RS) - მიცემითში, მაგრამ კონსტრუქცია მოშლილია (ერგატივისა და დატივის ნაცვლად ქვემდებარეც და დამატებაც ნომინატივშია). მკვლევარი ასკვნის: „მაგალითებიდან ჩანს, რომ ათინურში მოშლის გზაზე იყო ერგატიული და დატიური კონსტრუქციები. გარდამავალი და გარდაუვალი ზმნები წარმოდგენილია ნომინატიური კონსტრუქციით, რომელიც თავისი არსით სცილდება ქართველურ (კავკასიურ ენათა) ნომინატიურ კონსტრუქციას (S-სახ. O-მიც.) და უფრო უახლოვდება ინდო-ევროპულს, თუმცა აკუზატივის არქონის გამო, ვერც ბოლომდე უთანაბრდება. ცხადია, რომ მორფოლოგიური სტრუქტურის შენარჩუნება, ანუ ზმნაში პირისა და რიცხვის ნიშნების გამოხატვა, უკვე ვეღარ გამხდარა სინტაქსური სტრუქტურის შენარჩუნების წინაპირობა. კერძოდ, კოორდინაციის მექანიზმი, რაც გამოარჩევს ქართველურ წინადადებას, მოშლილია.“ (ეზუგბაია, 2010: 148). ტექსტების ანალიზიდან ჩანს, რომ ბევრ შემთხვევაში გარდამავალ და გარდაუვალზმნიანი კონსტრუქციები უმეტესად არ განსხვავდება ერთმანეთისაგან, ანუ ზმნასთან შეწყობილი ყველა აქტანტი სახელობითი ბრუნვის ფორმითაა წარმოდგენილი. აღსანიშნავია ის, რომ ლაზურში უკუპროცესიც არაიშვიათია: სადაც ნომინატიური კონსტრუქცია იყო მოსალოდნელი – ერგატიულია; მაგ., ქვემდებარე მოთხრობითშია ინვერსიულ ზმნა-შემასმენელთან. ეს

ვითარებაც არნ. ჩიქობავამ ს. ჯიქიას მიერ ჩაწერილ ათინურ ტექსტებში შენიშნა. თუმცა შემდგომ გ. კარტოზიამ მსგავსი კონსტრუქციები სხვა კილოკავებშიც დააფიქსირა, განსაკუთრებით პოტენციალისის ფორმებში. ის წერს: „ქართველურ ენათა გარდამავალ ზმნებს მესამე სერიაში ინვერსია ახასიათებს. ლაზურში (და მეგრულში) ინვერსიულია ზმნის პოტენციალისის ფორმებიც. ო. ურიდიამ მართებულად აღნიშნა, რომ მეგრულში პოტენციალისის გაგება ზმნებს ინვერსიის შედეგად უნდა ჰქონოდათ განვითარებული (ურიდია 1960, 170). იგულისხმება, რომ ის, რაც მეგრულზე ითქვა, ლაზურზეც ვრცელდება. ” (კარტოზია 2005, 172). ო. ურიდიას აზრით, პოტენციალისის ფორმები ანალოგიურია მესამე სერიის მქკრივთა ფორმებისა, მაგრამ მათ შორის განსხვავება ისაა, რომ მესამე სერიის ფორმები გარდამავალი ზმნებია, პოტენციალისისა კი – გარდაუვალი. რატომ უნდა ჩავთვალოთ პოტენციალისის ფორმები გარდაუვლად? ალბათ, იმიტომ, რომ პოტენციალისი ვნებითის ფორმას იყენებს. მაგრამ განა ასევე არ იყენებენ მესამე სერიის მწკრივები სტატიკური ვნებითის ფორმებს?! და თუკი ფორმით გარდაუვალ ზმნებს (უწერია, წერა, ეწეროს) ჩვენ მაინც გარდამავლად ვთვლით, ამას იმიტომ ჩავდივართ, რომ ეს ზმნები შინაარსობრივად სხვა გარდამავალ ზმნურ ფორმათა (წერს, წერდა, წერდეს, წეროს) რიგში დგას. ასევე ორგვარი შინაარსი აქვს ვნებითის ფორმებს ზანურ ენებში: პირდაპირი და ინვერსიული. ინვერსიული ფორმები შინაარსობრივად გვერდში უდგას პირდაპირი წყობის გარდამავალ ზმნებს. შდრ. ლაზ. ვა ჭარუფ/მს, ვა ჭარუ „არ წერს, არ (და) წერა“ – ვა აჭარენ, ვა აჭარუ „ვერ (და)წერს, ვერ (და)წერა“; მეგრ. ვა ჭარუნს, ვა ჭარუ – ვა აჭარენ(ნ), ვა აჭარუ. (კარტოზია 2005, 173). თუ ქართულში მესამე

სერიაში ინვერსიული მხოლოდ გარდამავალი ზმნებია, ლაზურსა და მეგრულში გარდამავალ ზმნათა ყალიბს იყენებენ გარდაუვალი ზმნებიც: ინვერსიული ფორმები მათაც ისევე ეწარმოება, როგორც გარდამავლებს.

**მეგრულში** ზმნური რთული შემასმენელი ქართული-სებურია. პირველ შემადგენელ ნაწილად გვხვდება ოკო, ოკორდუ (უნდა, უნდოდა), ფიქრენს, ფიქრენდუ (ფიქრობს, ფიქრობდა), გიგნოჭყვიდუ (გადაწყვიტა)...მეორე კომპონენტად ისევ ზმნაა, ოღონდ კავშირებითი მეორის ან პირობითი მეორის ფორმით. როცა პირველი ნაწილი აწმყოს ნაკეთითაა, მეორე - კავშირებით მეორეშია: ბაღანას ოკო ქომორთასი - ბავშვს უნდა (რომ) მოვიდეს...როცა პირველი შემადგენელი ნაწილი უწყვეტლის ნაკეთითაა გადმოცემული, მეორე - პირობითიმეორის ნაკეთით გადმოიცემა: ბაღანას ოკორდუ ქომორთუკო - ბავშვს უნდოდა მოსულიყო... პირველი კომპონენტი შეიძლება იყოს ნამყო ძირითადში, მაშინ მეორე დაისმის ან კავშირებით მეორეში, ან პირობით მეორეში: კოჩქ გიგნოჭყვიდუ ქაღარდი ქემეჭარასი//კოჩქ გიგნოჭყვიდუ ქაღარდი ქემეჭარუკო(ნ) - კაცმა გადაწყვიტა წერილი მისწეროს//კაცმა გადაწყვიტა წერილი მიეწერა...ზმნური რთული შემასმენლის მეორე კომპონენტი, რომელიც ქართულში კავშირებითი მეორით ან თურმეობითი მეორით გადმოიცემა, ჭანურში მასდართაა წარმოდგენილი: თიღქის უნონ ქოთუმეში მეხიუ - მეღიას უნდა ქათამი მოიპაროს; ზაზას უნონ მოხთიმუ - ზაზას უნდა მოვიდეს, ზაზას უნდა მოსვლა... ზაზას უნტუ მოხთიმუ - ზაზას უნდოდა მოსულიყო (მოსვლა)... (კიხირია,1982: 40-42);

ლაზურსა და მეგრულში, ისევე როგორც ქართულში, სამვალენტოანი ზმნები ვალენტობას იცვლიან – ორვალენტოანი ხდებიან. მათი სუბიექტი მიცემითშია, პირდაპირი ობიექტი – სახელობითში, ირიბი კი ქრება

(ქართულში წინადადებაში ის პირმიუმართავ თანდებულებიან წევრად – უბრალო დამატებად გადაიქცევა, ზანურში კი მიმართულებით ბრუნვაში დაისმის).

**მეგრული:**

1. რკიაფი **ქღღიჭყვ კონქ**, კიჟინუა, ღვარაფი. „კივილი დაიწყო კაცმა, ყვირილი, ღრიალი“(მეგრ. ტექსტ. 2012: გვ. 56).
2. თინეფიში **სტუმარუაქ** ოჯახის **ვეგიანჯირუკონ** თემენ, თი მუმაულარ ოჯახი მიღანდ თურმე ღვინს..., იმათი სტუმრობა ოჯახს რომ არ დასწოლოდა, ამიტომ ის მომსვლელი ოჯახი მოიტანდა თურმე ღვინოს“...(მეგრ. ტექსტ. 2012: გვ. 72).
3. ართ მოხუცებულ კოც **ქეშეხვად** თე **თუნთიქ - მაშუფაქ**. „ერთ მოხუც კაცს შეხვდა ეს დათვი - მაშუფა“ (მეგრ. ტექსტ. 2012: გვ. 52).
4. ართ-ართ მასწავლებელი უკვე ღრმათ მოხუცებული რღუ, **თიქ მიღართუ** პენსიაშა დო სკოლას უკვე გაკვეთილეფი ჩირთუღუ. „ერთ-ერთი მასწავლებელი უკვე ღრმად მოხუცი იყო, ის გავიდა პენსიაზე და სკოლაში უკვე გაკვეთილები ცდებოდა“ (მეგრ. ტექსტ. 2012: გვ. 82).
5. **მუმაქ** ომშე **ქომორთუ**, გულს ასკოლკა უღუღუ დო შრომა ვეშულებუდ ფიზიკური საწყალს დო დოღურ, ახალგაზრდა კონ. „მამა ომიდან რომ მოვიდა, გულში ნამსხერევი ჰქონდა და შრომა არ შეეძლო ფიზიკური საწყალს და გარდაიცვალა, ახალგაზრდა კაცი“ (მეგრ. ტექსტ. 2012: გვ. 84).
6. ართი გვერდი დიხავა **ძღაბიქ** ოკო **აცილასია** მუმ საქომონჯოვა. „ერთინახევარი ადგილი (=მანძილი) გოგომ უნდა გააცილოსო თავისი საქმრო“(მეგრ. ტექსტ. 2012: გვ. 98).

7. ვემეჩე თამადაქე საშვეელი დო ათენა **ქიმოჩამაფუ თამადაქ** თე მუდას, თე რაში ქანუქებაფუ თე სასინჯოშა. „არ მისცა თამადამ საშვეელი და ეს მიაცემინა თამადამ ამ იმას, ეს რაში აჩუქებინა ამ სასიძოსთვის“ (მეგრ. ტექსტ. 2012: გვ. 98).
8. ართი-ართი სახენწიფოს მოღართე ღეჯიქ, **განადგურე ღეჯიქ** ქანა, იახადო, მუთუნ ვედიტუ თეტყარღეჯიქ. „ერთ-ერთ სახელმწიფოში ღორი წამოვიდა, გაანადგურა ღორმა ქვეყანა, დიას, და, არაფერი არ დატოვა ამ ტყის ღორმა“ (მეგრ. ტექსტ. 2012: გვ. 102).
9. ოჭემარესე მერჩა პასუისია, **უწუ ბოშიქ**. „დილას მოგცემ პასუხსო, უთხრა ბიჭმა“ (მეგრ. ტექსტ. 2012: გვ. 106).
10. **ხენწიფექე დახანტაფუ** ენა დო გეუკინე დო მიდართე დო ქიმერთე თე სახენწიფოშა. „ხელმწიფემ დაახატვინა ეს და ასწია (=ადგა) (ეს ბიჭი) და წავიდა და მივიდა ამ სახელმწიფოში“ (მეგრ. ტექსტ. 2012: გვ. 106).
11. **მიკილე** დრო, **ხანტე** დო ღელახე კინი. „გავიდა დრო, ხანი და დაავადდა ისე (მეგრ. ტექსტ. 2012: გვ. 106).
12. ანწ **ხენწიფექე ქოძირენი**, ხენწიფექე ქიჭანუე იშო. „ხელმწიფემ რომ ნახა, ხელმწიფემ დაიბარა იქით“ (მეგრ. ტექსტ. 2012: გვ. 100).
13. **შიშიქ დოვილ**, შიშიქ, ესე იგი, ჩანერგებული რდუ თენა, მუს ჩისოტკა უღუდუნი, გინოჭყვადილი აფუდუთენა. „შიშმა მოკლა, შიშმა, ესე იგი, ჩაგონებული ჰქონდა ამას ეს, მას რომ ჭლექი ჰქონდა, გადაწყვეტილი ჰქონდა ეს“ (ლოლა ნანა, 2007: გვ. 100).
14. ოდო **ქიდელახ** ი **კონქ**, სალხინოში საავანტყოფოშა მიდეპონით, მიდეპონით, მარა მასკიედ ვარდ. „ჰო-და გახდა ავად ეს კაცი, სალხინოს საავადმყოფოში წავიყვანეთ, წავიყვანეთ, მაგრამ მოსარჩენი არ იყო“ (ლოლა ნანა, 2007: გვ. 102).

15. ოდო ახალ ცუდესა მინილ-აწი ვარა ქუმურსია ჩქიმი ნოსა დო სქუა ცუდესავა-დო, მარა **ინენქ** იშენ **ვამორთეს**. „და ახალ სახლში შევიდა - ახლა მაინც მოვლენ ჩემი რძალი და შვილი სახლშიო, მაგრამ ისინი მაინც არ მოვიდნენ“ (ლოლა ნანა, 2007: გვ. 102).

16. უკული თი **სქუალეფქ დუღურუნ** უკული თი ქომონჯქ დუღურუნი, ხვალე ქიმთოსქდენი, უკული თი ცუდე გუმოჩენი, უკული თი ფარა შაყარუნი, უკული თი ცუდე დოდგუნი. „მერე ის შვილები რომ გარდაეცვალნენ, მერე ის ქმარი რომ მოუკვდა, მარტო რომ დარჩა, მერე ის ფული რომ მოაგროვა, მერე ის სახლი რომ დადგა“ (ლოლა ნანა, 2007: გვ. 104).

17. დამორჩირს, თენა **ქიღამჯერეს ბოშეფქ-და**, ქინვორუენი მოკო. „შემოდგომაზე, ეს თუ დამიჯერეს ბიჭებმა, დავრგო მინდა“ (ლოლა ნანა, 2007: გვ. 108).

18. ქარნეხლოართის ხომ **ჩხუბიქ ქილიჭყე?** ქარნეხლოჟირს **კირლექ მიდართ** მარტიში თუთას. „ორმოცდაერთში ხომ ომი დაიწყო, ორმოცდაორში კირილე წავიდა მარტის თვეში“ (ლოლა ნანა, 2007: გვ. 110).

19. **აპაქ ქოდიჭყე** ცუდეში შენება, აპაქნი, ჩქინი ოჯახი დო აარძა ჩქი მუვშენდით ოჭკირუს... „აპამ რომ დაიწყო სახლის აშენება, აპამ, ჩვენი ოჯახი და ყველა ჩვენ ვმუშაობდით ჭრაზე...“ (ლოლა ნანა, 2007: გვ. 112).

20. **ათენეფქ** თევრე **ქიმიჭარეს**, ფარა მოკონანია პრავაშ ეიოჭოფაიო, შოფერობა დიბგურეთია. „ამათ იქიდან მოიწერეს, ფული გვინდაო მართვის მოწმობის ასაღებად, ვისწავლეთო“ (ლოლა ნანა, 2007: გვ. 112).

გ. კარტოზიას აზრით, ლაზურში მკვეთრად იჩენს თავს ტენდენცია, რომ ზმნის ინვერსიული (თურმეობითებისა და პოტენციალისის) ფორმები სინტაქსური ძალით გაუთანაბრდეს პირდაპირი წყობის ფორმებს. ამ გათანაბრების ტენდენციის გამოვლინებაა ის, რომ

სამგაღმადღობო გარდამავალი ზმნის ირიბი ობიექტი ინვერსიულ ზმნასთანაც მიცემითშია (მიმართულებითის ნაცვლად). მას ძვ, ქართულის ანალოგიური მოვლენის დამადასტურებელი მაგალითები მოჰყავს: „**კაცსა** ყოვლადვე სიტყუად **არა მიმიგებიეს; მიგიცემიეს** სასყიდლად **ხელოვანთა** მათ; **მიძლევიეს** მე **სოფელსა** ...“ მკვლევარს მართებულად მიაჩნია დ. გეწადის მოსაზრება ამ მოვლენის გვიანდლობის თაობაზე. ზმნების მიერ მესამე სერიაში სამპირიანობის შენარჩუნების პროცესი, დ. გეწადის აზრით, არის ძველ ქართულ ენაში ასახული მცდელობა იმისა, რომ მესამე სერიის ფორმები გაუთანაბრდეს პირველი და მეორე ჯგუფის ფორმებს, რათა დამყარდეს განსხვავება გარდამავალი ზმნების მესამე სერიის ფორმებშიც გარდამავალ და გარდაუვალ ზმნებს შორის. „პროცესი დაწყებულია, მაგრამ ვერ განვითარებულა“ (გეწადე 1957, 465). ზმნათა სამპირიანობა III სერიის ფორმებში სინტაქსურ ფარგლებს არ გასცილებია. მორფოლოგიურად სამპირიანი ზმნები ოდნავადაც არ განსხვავდებიან ორპირიანთაგან (კარტოზია 2005, 175). ენაში ჩასახული ტენდენცია, ინვერსიული ფორმები სინტაქსური ძალით გასთანაბრებოდა პირდაპირი წყობის ზმნებს, ქართულში თუ არ განვითარდა, ლაზურში უფრო შორსაა წასული. აქ არა მარტო ირიბი ობიექტი ინარჩუნებს თავის ბრუნვას, არამედ, შეიძლება სუბიექტიც იმავე ბრუნვაში დარჩეს, რა ბრუნვაშიც არის პირდაპირი წყობის დროს (კარტოზია 2005, 176).

არნ. ჩიქობავამ ეს მოვლენა მხოლოდ ათინურის დამახასიათებლად მიიჩნია (ჩიქობავა 1936, 153), მაგრამ გ. კარტოზიამ ლაზურის სხვა კილოკავებშიც მოიძია მაგალითები, სადაც ინვერსიულ, განსაკუთრებით პოტენციალისის, ფორმებთან, ქვემდებარე ერგატივშია (კარტოზია 2005, 176). მოვიყვანთ რამდენიმე მათგანს:



**ხოფ.**, 1. მა ნა ემუს გამოუყონოპტი ქოთუმე, ბიბი, კიზი, **ემუქ** ჩქიმდა მუთუ **ვა ახვენეტუ**“ (კარტ. II, 37) „მე რომ მისგან გამომყავდა ქათამი, იხვი, ბატი, ის მე ვერაფერს მიშვრებოდა [„იმას („იმან“) ჩემდა რამე არ ეკეთებოდა“];

2. აწი დევექ უწუმეს-ქი: „ჰელე, **ნამუქ** ზოი **მანკაპინან**“ (კარტ. I, 33) „ახლა დევი ეუბნება: „აბა, რომელი მაგრა გავიქცევით [„რომელს („რომელმა“) მაგრა გავიქცევა“])

**არქ.:** 1. არ დერის სუმ **კოჩიქ** არ ბოზო **ვარ აილთეტეს** (დიუმ. I, 75) „ერთგან სამი კაცი ერთ ქალს ვერ იყოფდა [„სამ კაცს („სამმა კაცმა“) ერთი ქალი არ ეყოფოდათ“];

2. ჰე ბიჭის **მითიქ ვარ აპარამითაფუ** ( ჟდ. 118) „ეს ვაჟი ვერავინ აალაპარაკა“ [ზმნის ინვერსიულ ფორმასთან შენარჩუნებულია ირიბი ობიექტი (მიცემითში დასმული სახელი) და სუბიექტიც მოთხრობით ბრუნვაში აქვს დასმული, ისევე როგორც ზმნის პირდაპირი წყობისას. შდრ. ჰე ბიჭის მითიქ ვა ოპარამითაფუ „ეს ვაჟი არავინ ალპარაკა („ამ ვაჟს ვინმემ არ ალპარაკებინა“).

**3. ვიწ.:** **ბიჭიქ** (=ბიჭის) ჰეიჯანდან ნენა **ვა ნაჩუღვენ** ჯოლაბი (კარტ. II, 149) „ვაჟს აღელვებისაგან სიტყვა ვერ გაუცია [„ვაჟს („ვაჟმა“) აღელვებისაგან პასუხად სიტყვა არ გასცემია“]“ (კარტოზია, 2005, 176-177).

### **ერგატიული კონსტრუქცია ლაზურში:**

1. არ ელახცაფერი **უშქირიქ** ვით უშქირი **ოხცინაფს**. „ერთი დამპალი ვაშლი ათ ვაშლს დააღპობს“ (ხალხ. სიბრძნ., 1994, 199).

2. არ **ნენაქ** – „ვარ მიჩქინ“ – თიშა შქვით ბელა **მუიწკიფს**. „ერთი სიტყვა – „არ ვიცი“ – თავიდან შვიდ ხიფათს აგარიდებს“ (ხალხ. სიბრძნ., 1994, 199).

3. **არიქ იბირს, მაჟვარაქ იმგარს**. „ერთი მღერის, მეორე ტირის“ (ხალხ. სიბრძნ., 1994, 200).

4. არ მთხირი ნჩხოვრო ჯუმაქ უკუიქთერენ. „ერთი თხილი ცხრა ძმას გაუყვია“ (ხალხ. სიბრძნ., 1994, 200).
5. აღან დერდიქ მჯვეში გოგოჭყონდინაფამს. „ახალი დარდი ძველს დაგავიწყებს“ (ხალხ. სიბრძნ., 1994, 201).
6. აღანი ოქოსალექ კაი ქოსუფს. „ახალი ცოცხი კარგად გვის“. (ხალხ. სიბრძნ., 1994, 202).
7. აჯარალიქ დალიკელე იწკენ, ლაზიქ მზოდაკელე. „აჭარელი ტყისკენ იყურება, ლაზი ზღვისკენ.“ (ხალხ. სიბრძნ., 1994, 202).
8. ბაბაში ნენა ნანაქ ვა გოგუაფს. „მამის დარიგებას (ენას) დედა არ გასწავლის.“ (ხალხ. სიბრძნ., 1994, 202).
9. ბერე დილო ელმცქვინუქ ოკოხუფს. „ბავშვს ბევრი მოფერება აფუჭებს“ (ხალხ. სიბრძნ., 1994, 204).
10. ბერექ დერდი ოკოგირთაფს. „ბავშვი დარდს გაგინახვერებსო“ (ხალხ. სიბრძნ., 1994, 204).
11. დამთირეფექ ნუსაშ დერდი ვა ზდიმან. „დედამთილები რძლის დარდს არ დარდობენ (არ განიცდიან)“ (ხალხ. სიბრძნ., 1994, 208).
12. დაჩხური-ჩქიმიქ გოტუბინამსში, გდარი-ჩქიმიქ მოთ ვარ გოდდამს? „ჩემი ცეცხლი თუ გათბობს, ჩემი საჭმელი რატომ არ გაძლობს?“ (ხალხ. სიბრძნ., 1994, 208).
13. დემირი ფასიქ იმხორს დო კოჩიში გური – დერდიქ. „რკინას ჟანგი ჭამს და კაცის გულს–დარდი“ (ხალხ. სიბრძნ., 1994, 209).
14. დერდიქ დერდი გოჭკონდინაფამს. „დარდი დარდს დაავიწყებს“ (ხალხ. სიბრძნ., 1994, 209).
15. დილო ნა ღაღაღა, ნენაქ ნენა მუმერს. „ბევრი რომ ილაპარაკო, სიტყვა სიტყვას მოიტანს“ (ხალხ. სიბრძნ., 1994, 211).

16. ღუნდას იმ კაობა დო იმპატობა **ნენაქ იქომს**. „ქვეყანაზე ყოველგვარ სიკეთეს და ყოველგვარ სიავეს ენა იქმს“ (ხალხ. სიბრძნ., 1994, 212).
17. **ემელიქ** ცხენიშენი **იხალიშეფს**-და. „ვირი ცხენისთვის მუშაობსო“ (ხალხ. სიბრძნ., 1994, 214).
18. **ვაქითიქ** მითი **ვარ ჩუმერს**. „დრო არავის არ უცდის“.(ხალხ. სიბრძნ., 1994, 215).
19. ზღვი წკართენ **ქარმატექ ვა მქუმს**. „მოზიდული წყლით წისქვილი არ ფქვავს“ (ხალხ. სიბრძნ., 1994, 1994, 215).
20. **თიქ გიჭკოშმს**-ნა, წანა სქანის ვა ბოწკე. „თუ თავი გიჭრის, შენს ასაკს არ ვუყურებ“ (ხალხ. სიბრძნ., 1994, 217).

ლაზური ერგატიული კონსტრუქცია შენარჩუნებულია:

1. **მტკაქ იხანუმს** უჩა კანდღუ (ასათიანი, ლაზ.ტექსტ. 2012, 8) „მტკა (მაყვადი) ისხამს შავ ნაყოფს (მარწყვს)“.
2. **ბოზოფექ დუჯოხეს**: „ჰეე, ჰასან-ტავლი,სო ულუ?“–ა (ასათიანი, ლაზ.ტექსტ. 2012,10) გოგოებმა დაუძახეს: „ჰეე, ჰასან-ტავლი, სად მიდიხარო?“.
3. აწი ნა **ურუსიქ** გზა **ოხვენაფუ** დერის, ესთერი ლაგვანეფე მოშალუ-ქი... (ასათიანი, ლაზ.ტექსტ. 2012, 17) „ახლა რომ რუსმა გზა გააკეთებინა იმ ადგილას, ისეთი ქვევრები ამოყარა...“
4. **მა ბოზონ, სი ზოპონ, ჰემუქ ზოპონს, ჰამუქ ზოპონს** (ასათიანი, ლაზ.ტექსტ. 2012, 26) „მე ვამბობ, შენ ამბობ, ის ამბობს, ეს ამბობს“.
5. **ბიჭეფექ** ჩოჩოკა **ნიტალუმან** (ასათიანი, ლაზ.ტექსტ. 2012,27) „ბიჭები ქოჩორს იტოვებენ“.
6. **ათინორეფექ** ნენას აზლა დოლონერი **ზოპონან** (ასათიანი, ლაზ.ტექსტ. 2012, 30) „ათინელები სიტყვას გაგრძელებულად ამბობენ“.

7. არ დღას **მაფაქ დუჯოხუ** ვეზირეფე მუშის დო უწუ... (ლაზური პარამითეფე, 1982, 5) „ ერთ დღეს მეფემ დაუძახა მის ვეზირებს და უთხრა...“
8. **მჭკეშიქ** ჩქვა ნენა ვარ იშიდუ (ლაზური პარამითეფე, 1982, 9) „მწყემსმა სხვა სიტყვა არ თქვა (ენა არ ამოიღო)“.
9. **კოჩიქ** ყურძენი დოჭინახუ დო გუდას ქოდლოლობუ (ლაზური პარამითეფე, 1982, 23) „კაცმა ყურძენი დაწურა და გუდაში ჩაასხა“.
10. ჰაიანა ქოძირუ ბოზომ ნანაქ კითხუ:– მუ რენ ოსური ჩქიმი, მუ გორუმს ჰემ მაკვანდექ? (ლაზური პარამითეფე, 1982, 17) „ ეს რომ ნახა გოგოს დედამ, ჰკითხა: –რა არის, ქალო ჩემო, რას ეძებს ეს მათხოვარი?“
11. მჭიმა დო მთვირის ბერეფექ ყინითენ თირთინან დო ახვალენან (ლაზური პარამითეფე, 1982, 19) „წვიმასა და თოვლში ბავშვები სიცვივისგან თრთიან და ახველებენ (ეხველებათ)“.
12. **მაფაქ** ჰადა ნა ძირუ დიდო გააკვირუ დო უწუ ვეზირეფეს.... (ლაზური პარამითეფე, 1982, 24) „მეფემ ეს რომ ნახა, ძალიან გაუკვირდა და უთხრა ვეზირებს...“
13. „ჰამ დუღდა მსუჯიქ იქომსა“ – უწუ ჭკონიქ (ლაზური პარამითეფე, 1982, 24)“ „ამ საქმეს სურო იზამსო“ – უთხრა მწყემსმა“.
14. **ორჭაიქ** ნეკნა გონწკუ დო დოლოხე ქამახთუ (დიუმეზილი 2009, 86) „ორჭელმა კარი გააღო და შიგნით შევიდა“.
15. ჰემ დღას ჰამ ბიჭიში ამბაი ოხაიქ ქოგნუდორენ (ლაზური პარამითეფე 1982, 24) „იმ დღეს ამ ქალის ამბავი ოხაიმ გაიგო“.

მოსალოდნელი ერგატიული კონსტრუქციის ნაცვლად ნომინატიურია:

1. **ფშირვი** დოლოქუნუ **ოჭკომუ** (ასათიანი, ლაზ.ტექსტ. 2012, 28) „მღრღნელმა ტანსაცმელი შეჭამა“.
2. **მემედ-აღა** ჰაჯილუღიშა ოლვაფუ **გორუ** (ჩიქობავა II, 118) „მემედ-აღამ სალოცავში წასვლა გადაწყვიტა“.
3. **ბოზუმოთა** ხოჯა **უბონამტუ**-ში, თი უმბორტუ-შა, საპონი თოლი-პიჯი დუსუ-სი (ჩიქობავა II, 118) „ქალიშვილი ხოჯას რომ ბანდა, თავის დაბანამდე საპონი თვალ-პირზე მოუსვა“.

დატიურის ნაცვლად ნომინატიურია:

1. **აჯარაღეფე** ჰაშო **ვეს** (ასათიანი, ლაზ.ტექსტ. 2012, 18) „აჭარლებს ასე უქნეს“.
2. **დუდერი იქომან**, დუდერი – გდარი, თხირი, ლუ დო ხაჯიში იქომან კარიკის დუდერი (ასათიანი, ლაზ.ტექსტ. 2012, 23) „დუდერს აკეთებენ, „დუდერი“ – საჭმელი, თხილი, ფხალი და ცერცვისას აკეთებენ „კარიკზე“ „დუდერს“. “
3. **გოშინტალამან ლაზური** დო **თურქული** ათინორეფექ (ასათიანი, ლაზ.ტექსტ. 2012, 30) „ურევენ ლაზურსა და თურქულს ათინელები“.
4. ოკულე **კვალი გელეფუნსონარე** (ასათიანი, ლაზ.ტექსტ. 2012, 30) „მერე ყველს ჩააფშენიან“.
5. დოლოხე **ფატლიჯანი დოლობლამან** (ასათიანი, ლაზ.ტექსტ. 2012, 11) „შიგნით ბადრიჯანს ჩაყრიან“.
6. **მქვეი ოშქვაფემან** (ასათიანი, ლაზ.ტექსტ. 2012, 11) „ფქვილს აფქვევინებენ“.
7. არ **კალი**, არ **მუჭლი** დო არ **კამეკამ** არ ოხორჯას **დაოროფე-დორტუნ** (დიუმეზილი 2009, 78) „ერთ ყადს, ერთ მუფოს და ერთ კამეკამს ერთი ქალი შეჰყვარებოდათ (ერთ ქალს ჰყვარობდნენ)“.
8. არ **ჭუტა დორღან** დო არ მეტაქსიშ **ორტყაფუ დოხენამან** (დიუმეზილი 2009, 90) „ერთ პატარა საბანს და ერთ აბრეაშუმის ნაჭერს გაუკეთებენ“.

9. ჯვემ თოზი ფათხუმტეს (ლაზური პარამითეფე, 1982, 20) „ძველ მტვერს ფერთხავდნენ“.
10. ჰადა ვა ეასელუ (კარტოზია 2005, 178) „ეს ვერ წამოდგა (ამას ვერ წამოედგომა“.

პირდაპირი წყობის გარდაუვალი ზმნების ინვერსიული ფორმების სუბიექტი სახელობითში გვხვდება. თანამედროვე ქართულში მორფოლოგიური სუბიექტი და ობიექტი ზოგჯერ არ არის სინტაქსური სუბიექტი და ობიექტი. ამ შემთხვევაში ადგილი აქვს ინვერსიას - პირთა შებრუნებულ წყობას. ინვერსიასთან დაკავშირებით განიხილება ორი თვალსაზრისი: არნ. ჩიქობავასი და ა. შანიძისა.

არნ. ჩიქობავას შეხედულებით, ინვერსია თავს იჩენს როგორც გარდამავალ ზმნათა III სერიის ფორმებში, ასევე „მაქვს“, „მიყვარს“ ტიპის გარდაუვალ ზმნებში (ჩიქობავა 1968, 131-136). შესაბამისად, ინვერსია გააზრებულია, როგორც ქართული ენის განვითარებაში მომხდარი უმნიშვნელოვანესი ისტორიული პროცესი, რაც დაკავშირებულია მარტივი წინადადების მექანიზმის ევოლუციასთან და მასში პირისა და ბრუნვის კატეგორიასთან ერთად რიცხვის კატეგორიაც იღებს მონაწილეობას (ეზუგბაია, 2010, 81). ა.შანიძის აზრით, „ქართულში ადგილი აქვს პირის ნიშანთა ინვერსიას, რაც იმაში გამოიხატება, რომ ვინის რიგის ნიშნები ერთ შემთხვევაში სუბიექტური პირის აღმნიშვნელად გვევლინებიან, სხვა შემთხვევაში კი ობიექტური პირისა; პირუკუ: მანის რიგის ნიშნები ერთ შემთხვევაში ობიექტური პირების ამსახველებია ზმნაში, სხვა შემთხვევაში კი – სუბიექტური პირებისა.“(შანიძე, 1953, 199-201) ის თვლის, რომ ინვერსიის აუცილებელი პირობაა გარდამავლობა და III სერია, ხოლო „მაქვს“, „მიყვარს“ ტიპის ზმნები არაა ინვერსიული, რადგან გარდაუვალი ზმნა არ შეიწყობს პირდაპირ ობიექტს, ხოლო ირიბი

ობიექტი არ შეიძლება იყოს სახელობით ბრუნვაში (შანიძე 1981, 504-517). რელსტიურ-სტატიკურ ზმნებში ინვერსია რომ გაცილებით მყარი მოვლენაა, კარგად ჩანს მეგრულ-ლაზურის მაგალითზე. რამდენადაც ინვერსია ირიბ ობიექტთან არის დაკავშირებული, დგება მიცემითი ბრუნვის მორფო-სინტაქსური დატვირთვის საკითხიც მეგრულსა და ლაზურში. მეგრულში მიცემითი ბრუნვის ფუნქციური დატვირთვა ქართულის მსგავსია: ის არის როგორც ირიბი, ასევე პირდაპირი ობიექტის ბრუნვა. III სერიაში ინვერსიული გარდამავალი ზმნების რეალური სუბიექტი და რელატიურ-სტატიკური ზმნების RS-იც მიცემით ბრუნვაშია (ეზუგბაია 2010, 84). მიცემითი ბრუნვის პოზიცია მეგრულში მყარია, რასაც ვერ ვიტყვით ლაზურზე. ლაზურში მხოლოდ ირიბი ობიექტური პირი და ინვერსიული რელატიურ-გარდაუვალი ზმნების რეალური სუბიექტი გადმოიცემა მიცემითი ბრუნვით. ითვლებოდა, რომ გარდამავალ ზმნებში ინვერსია ნაკლებპროდუქტიული აღმოჩნდა - აქ თურმეობითების წარმოების სხვა სისტემა დამკვიდრდა (მარი 1910,46; ჩიქობავა 1936, 145), თუმცა გ. კარტოზიამ თავისი გამოკვლევებით აჩვენა, რომ „სინამდვილეში, ინვერსიული თურმეობითები ლაზურში ნაშთის სახით კი არ არის შემორჩენილი, არამედ საყოველთაოდ არის გავრცელებული. უფრო მეტიც, მათ გამოყენების არე გაუფართოვებიათ და, მეგრულის მსგავსად, ზოგ გარდაუვალ ზმნასაც ეწარმოება“ (კარტოზია 2005, 98) თანაც ისახება ტენდენცია, გაუთანაბრდეს ზმნის ინვერსიული ფორმები პირდაპირი წყობის ზმნებს სინტაქსური წყობის მიხედვით... აქ არა მარტო ირიბი ობიექტი ინარჩუნებს თავის ბრუნვას, არამედ სუბიექტიც იმავე ბრუნვაში რჩება, რა ბრუნვაშიცაა პირდაპირი წყობის დროს (კარტოზია, 1968: 145).

**სვანური** ენის არქაულობისა და სირთულის შესახებ არაერთხელ მიუთითებიათ ქართველ თუ უცხოელ მკვლევართ. თავის დროზე ა. შანიძე აღნიშნავდა: „ძნელია, ნათლად გაერკვეს კაცი იმ არეულ-დარეულ ფორმებში, რომელთაც იძლევა სვანური ბრუნება დღეს“ (შანიძე, 1981: 62). ეს სირთულე უკავშირდება როგორც თავად სისტემას, ისე ბრუნვის ნიშანთა მრავალფეროვნებას. სახელთა ბრუნება, ორფუძიანობა, ბრუნების ტიპები, უშუალოდ ერგატივი და ერგატიული კონსტრუქცია სვანურში გამოწველილი არის შესწავლილი ცნობილ ქართველოლოგთა მიერ (ნ. მარი, ა. შანიძე, ს. ჯანაშია, კ. დონდუა, ვ. თოფურია, არნ. ჩიქობავა, გ. მაჭავარიანი, მ. ქალღანი, გ. კლიმოვი, თ. შარაძენიძე, ზ. ჭუმბურიძე, ი. ჩანტლაძე, ა. ონიანი, გ. თოფურია, ი. მელიქიშვილი, ნ. აბესაძე...) და არსებობს მრავალი მსგავსი თუ განსხვავებული მოსაზრება. ამჯერად ნაშრომში წარმოდგენილია დალის ხეობის მოსახლეობის მეტყველებაში ერგატივზე დაკვირვების შედეგები: ის საერთო და განსხვავებული, ზოგადი თუ ნიუანსური თავისებურებები, რაც ენგურის ხეობის ზემოსვანურ დიალექტებთან მიმართებაში შესაძლოა ახასიათებდეს კოდორულ მეტყველებას ერგატივის ფორმანტთა და ალომორფთა განაწილების, ერგატივზე დაფუძნებული ორფუძიანობის, ბრუნებათა ტიპების მრავალფეროვნების, ინტერფერენციის თუ ერგატიული კონსტრუქციის გამოყენების თვალსაზრისით. მოთხრობითი ბრუნვა სვანურში გამოირჩევა ალომორფთა სიმრავლით და მათი განაწილების წესების სირთულით (ჭუმბურიძე 2007:92). კოდორის მოსახლეობის მეტყველებაზე დაკვირვებამ ცხადყო, რომ ერგატივს აქ, ისევე, როგორც ენგურის ხეობის სვანურში, ახასიათებს როგორც ოდენ საკუთრივ მოთხრობითი ბრუნვის ფორმანტებით (-დ, -ემ)



წარმოება, ასევე ორ- (-**ტ-ემ**, -**ნ-ემ**, -**ა-დ**) და სამფუძიანობა (-**ემ-ნ-ემ**, -**ემ-ნ-ემ-დ**):

1. **ღერბეთ-დ** “ღმერთმა”: **ეჯას ეჯზუმ ძალა ლახტემ ღერბეთდ** – “იმას იმოდენა ძალა მისცა ღმერთმა” (ომარიშალი);

2. **თხერე-დ** “მგელმა”: **ათხე თხერედ ანამბუე** – “ახლა მგელი მოჰყვა (“მგელმა იამბო”)” (ომარიშალი);

3. **დჲრ-დ** “არავინ” (“არავინმა”): **დჲრდ მოშ, ამნ პასტისტ დჲრდ მოშ ლჲტე** – „ვერავინ, ამისი პასუხი ვერავინ (“ვერავინმა”) თქვა” (გენწვიში).

4. **მწრ-დ** “კაცმა”: **ლახტეთე ადიე ეშხუ მწრედ ღტე** – “მთაში წაიღო ერთმა კაცმა სკა” (გენწვიში).

5. **მწრ-დ** “ვინ” (“ვინმა”): **მწრდ ჯბტე ალი?** “ვინ (“ვინმა”) გითხრა ეს?” (გენწვიში);

6. **დი-დ** “დედამ”: **ამჟი ანსკინე მიჩა დიდ, ტერეზია ხეჟხენ** – “ამ დროს (“ასე”) გამოვარდა (“გამოხტა”, “ისკუპა”) დედამისი (“დედამისმა”), ტერეზია ერქვა”.

7. **ამ-ნ-ემ** “ამან”: **ამერჟ ამნემ ჩტადჟწრ გუთწი** – “აქ ამან დააგლო გუთანი”.

8. **მიჯ-ნ-ემ** “იმან”: **ჩტამთირ მიჯნემ** – “მიცნო იმან” (გვანდრა);

9. **მარ-ა-მ-დ** “კაცმა”: **ჩტადშგურწნე ეჯ მარამდ, ამი ჟახე ესერ ნწს ხჲტა** – “გააფროსილა იმ კაცმა, ამის სახელი არავის უთხრაო” (ჩხალთა);

10. **ხახ-ტ-ემ** “ცოლმა”: **ჩინჩულდ ღალ ომსედ ოწრდ ი ეჩნდტე ბუბწმ ხახტემ ენგრდე** – “მთლად ჩვილი დარჩენილა ობლად და მას მერე ბიცოლამ (“ბიძის ცოლმა”) გაზარდა” (ტიში).

მხოლოდ ერთეულების სახით შეგვხვდა **მუხტბემნემ** (“მამ”), **მარემნემ** (“კაცმა”) ტიპის მაგალითები. ამასთან დაკავშირებით უაღრესად საინტერესოდ გვეჩვენება ი. ჩანტლაძის თვალსაზრისი: “ამ ტიპის მასალა სვანური ენის

განვითარების ხანგრძლივი ისორიის მანძილზე სხვადასხვა ქრონოლოგიურ სიბრტყეთა ამსახველი უნდა იყოს, რადგანაც იგი წარმოგვიდგება ნაირ-ნაირ პარადიგმატულ სისტემაში შემაჯავლ კომპონენტთა ნაერთად” (ჩანტლაძე, 1998:124). კოდორულ ტექსტებში ვხვდებით თავად ერგატივისეულ ორმაგ აფიქსაციას (-ემ-დ), რაც ენგურის ხეობის ზემოსვანურში დღეს შედარებით იშვიათია ნაცვალსახელთან და თითქმის უჩვეულოა არსებით სახელთან; კოდორის ხეობის სვანურში ეს მოვლენა შეიძლება არქაულობის გამოვლენადაც ჩაითვალოს, თუმცა ინტერფერენციულობაც დასაშვებია: **ჩი-ემ-დ “ყველამ”** (შდრ. ჩი-ემ): **ლიმზუბწლ – ადუ, ჩიემდ ჟ’ოსსყედ** (შდრ. ჩი-ემ) – ”ძმობა (საძმო) – კი, ყველამ ჩამოვაყალიბეთ (“გავაკე თეთ”);

1. **ღერთ-ემ-დ “ღმერთმა”**: **ღერთემდ მაქდის, ლიმზირ-ლიგურწლ მრმ მალტენდღეს!** (შდრ. ღერთ-ემ) – „ღმერთმა მაშოროს, ლოცვა-ვედრება [რომ] არ მიყვარდეს!“

2. **ეჯ-ნ-ემ-დ “იმან”** (შდრ. ეჯ-ნ-ემ): **ეჯნემდ ესტუნე ალ სიტყუწლ – “იმან დაატირა ეს სიტყვები”** (ომარიშალი);

3. **მიჯ-ნ-ემ-დ “მან”** (შდრ. ჯი-ნ-ემ, მიჯ-ნ-ემ): **მჴი ჩტემინას ათხე მიჯნემდ!** – “რა ქნას ახლა იმან!” (ჩხალთა);

4. **იმ-ნ-ემ-დ “რამ”** (შდრ. იმ-ნ-ემ): **იმნემდ ჴჯფიშ?** – “რამ დაგლალა?”

5. **ეჯ-ნ-ემ-დ “იმან”**: **ეჯნემდ ჴჴი ჴდშიდ** – “იმან თავში შემოირტყა (შეიცხადა)”.

როგორც ტენდენცია, შეიძლება შევნიშნოთ, რომ საუკუნენახევრის წინ ზემო სვანეთიდან კოდორის ხეობაში საცხოვრებლად გადასულ სვანთა მემკვიდრეების (როგორც ბალსზემოური, ისე ბალსქვემოური კილოს წარმომადგენელთა) მეტყველებაში ბრუნების I ტიპი ცდილობს გაბატონებას. ფორმანტა და ალომორფთა მრავალფეროვნების მიუხედავად, მოთხრობითი ბრუნვის დონიან ფორმებს აქ თითქმის ცალსახად ირჩევენ ორივე

დიალექტის წარმომადგენლები. კოდორული ტექსტების მიხედვით -დ ფორმანტიანი ერგატივი გვხვდება თითქმის ყველა ტიპის არსებით სახელთან, ზედსართავებთან (**მეშხედ** “შავმა”, კვლთხი-დ “მაღალმა”), რიცხვითებთან (**სემი-დ** “სამმა”, **მეჭუსტე-დ** “მეექვსემ”), სახელზმნასთან (**ლგაე-დ** “ამენებულმა”, **მგემ-დ** “ამშენებელმა”, **ლიჭუღნი-დ** “კითხვამ”, **ლიმზირ-დ** “ლოცვამ”)

დალის ხეობის სვანურში -ემ ფორმანტიანი მოთხრობითი, თუმცა ძალიან იშვიათად, მაგრამ მაინც გვხვდება (ძირითადად ბალსქვემოური წარმოშობის რესპოდენტთა მეტყველებაში): **ჩი-ემ** “ყველამ”: **ლიმზირ-დიდჭბიშ** **ჭდიდ ქოსხუერდ ჩიემ** – “სალოცავ-სადიდებელ ადგილად ამოვირჩიეთ ყველამ” (ხუტია); **მარემ** “კაცმა”: **ეჯი მარემ ხეკუტეს ჩუადსყას თემ ი თემ** – “იმ კაცმა უნდა შეარიგოს თემი და თემი” (გენწვიში-ხუტია).

უთუოდ საყურადღებოა გარემოება, რომ, დონიანი ფორმების გაბატონების ტენდენციის მიუხედავად, -ემ ფორმანტი მყარად არის შემორჩენილი იდიომატურ გამოთქმებში: **დერთ-ემ მაქდის!** – “დმერთმა მაშოროს!” **დერთ-ემ ჯასწრუინას!** – “დმერთმა გაპატიოს!” (მდრ. **დერბეთ-დ ეჯას ძალა ლახტემ** – “დმერთმა იმას ძალა მისცა”), რაც მის არქაულობაზე მეტყველებს.

ინტერფერენციის თვალსაზრისით საინტერესოდ გვეჩვენება განუსაზღვრელობით ნაცვალსახელთა მხოლოდ კოდორულ მასალებში გამოვლენილი შემდეგი ფორმები: **ერდტამ** (მდრ. **ერდტუჷმ**) “ვინც” (“ვინცმა”), **ერდტალაშემ** (მდრ. **ერთალელ**) “ვიღაცამ”:

**ლუნჭურე ხად მახედტაჷრ... ი ალია, ერდტამ ადგჭრ ალი, ეჩიშ ჟიხი დემეგ ლემჭრდელი** – “შეკრიბა ყველა ვაჟკაცი (“ვაჟკაცები”)... და ეს, აი, ვინც (“ვინცმა”) მოკლა ეს, იმაზე მაღლა არაფრით მდგარა”;

მარე ეჩქად ალ დეტდარიან ადგჷრ ერდჷალაშემ, ძჷრ ირით მდღჷრით?.. – “მაგრამ მანამდე ეს დეკლარიანი მოკლა ვილაცამ, ვინ იქნებოდა მკვლეელი?”

პარალელებისათვის უთუოდ საინტერესოა მაგალითები და ილუსტრაციები დღემდე გამოცემული სვანური ტექსტებიდან, სვანური ენის ქრესტომათიიდან, სვანური პროზაული ტექტებიდან, ცოცხალი მეტყველებიდან:

1. ხოშამ **მუხტბემ** ხჷქტ: „მიხემდ ესერ ცჷლ ხაცხენა, მარე მუხტბათან ესერ დჷრ ლი მუხტბემი ბედჷრნ“. (სვან. ენ. ქრესტ. 1978:103). „უფროსმა ძმამ უთხრა: მეგობარი შენს თავს მერჩიენა[ო], მაგრამ დავრწმუნდი რომ ძმის შესადარი ვერავინ ვერ შეიძლება ძმისთვის იყოსო“.

2. ჳურუხენჷრ **შდუგტდ** ანქტიჷე თხტიმ „ხვრელიდან თავგმა ამოყო თავი“.

3. **მელტჷლდ** ლახტის: ამ ძანჷ ყერლო ალ ღტელჷქს მამგტემ მანკჷ ხამენკა ხონჷმენქა (სვან. ენ. ქრესტ. 1978:153). ლატალელმა უპასუხა: იანის ძალასამც ვფიცავ, ამ ცხვარს კარგის მეტი არვითარი მავნე რამ არა სჩვევია, გარდა კარგისა“.

3. ალა ჰნლ ჟჷნმეჷრეხ **ხოშამ ლახტბად**, ხოლა ლიცტჷლდ ჷდბინეხ, მარე მაჷტრენა მუხტბა მამ ხასდიკენდა (სვან. ენ. ქრესტ. 1978:157). „ეს როგორც კი შეიტყვეს უფროსმა ძმებმა, საშინელი ჩხუბი დაიწყეს, თუმცა უმცროს ძმას არ სწყინდა“.

4. **თანთხერღლდ** მაჯტამ ხჷქტ ი ქორთე ლიწსი ლოხტბინე, მარე **თხერემ** უარ ხჷქტ (სვან. ენ. ქრესტ. 1978:155). „თანთხერილმა მადლობა გადაუხადა და სახლში დაპატიჟება დაუწყო, მაგრამ მგელმა უარი უთხრა“.

5. **ანამბტეტ** ესერ მწლეგტემ, მალდ ხჷქტინ... „რამე მოყვიო, – უთხრა მელამ“.

6. დწმღტდ **ხჷქტინ** ამისა თხერეს ი მწლს: „დათვმა უთხრა ე ამათ მგელსა და მელას“.

შედარებისათვის ასევე საილუსტრაციოდ ნომინატიური კონსტრუქციის მაგალითები სხვადასხვა სახის ტექსტებიდან:

1. მუხტზე ღალ ესტანა უმბილდ ხადგარონა სგა, ეჯას ხაკუჩ ერე ღადლიან ჩუქენისგა ემდორუ კა ღოხტბენს ი ენოტუშ ღემზელანღელესტ მიხა ღეძარობუნ (სვან. ენ ქრესტ. 1978:46) „საუბედუროდ, ვისაც ძმა შემოაკვდებოდა, იმას იღლის ქვემოთ თორმეტი ფიქალი ქვა უნდა გამოება და იმით ევლო მთელი სიცოცხლის მანძილზე“.
2. შირა სიპ ი ატუჰჰ – „ღოლაბი (წისკვილის ქვა) ტრიალებს და ფქვავს“.
3. თეკრან ბაღე გოწხირი ბაღედ ხუნდუშუ ხომშარა ღი – „ნეკერჩხლის ფოთოლი კოწახურის ფოთოლზე ბევრად ფართე არის“.
4. ბექან გუნ ღეთიშ მორეგ მარე ღემარ – „ბექა უაღრესად ცნობილი მედიატორი კაცი ყოფილა“.
5. ეჯ ტყუეფთე მეტარ ხმთქტა ნადირ: დანდუტ, თხერე, ფორეცხ.. – „იმ მხარეში გავრცელებულია ნადირი: დათვი, მგელი, ფოცხვერი“.
6. ცინყა ინღანღო ეზარ ხანუნღო გარ იჰი – „მოცვი უოლოს მერე კარგა ხნის მერე მწიფდება“.
7. ანდ ხოხტრა მუხტზე მიხა ხეხტმი ღათხელთე – „წავიდა უმცროსი ძმა თავისი ცოლის საძებრად“.
8. ღანტუღა ეშხუ ღეკმან მეტხტარ მარე – „იყო ერთი ძლიერი მონადირე კაცი“.
9. სგანანჯანდ ამხატუესგა აჯალ ალიანრა — დანდუტ ი თხერე ი მანღ — „აქ ისევე შემოვიდნენ ესენი – დათვი მგელი და მელა“.

სალიტერატურო ქართულის მსგავსად და ზანურისგან განსხვავებით, სვანურში გარდამავალი და მედიოაქტიური ზმნები უღლების II სერიაში ერგატიულ კონსტრუქციას ქმნიან; არის გამონაკლისები: **ხოხა ამსტაღდს** – ”იცის (ძგ. II ხოლმ.) ადამიან-ს“; **ჟანდვცხ ბეფუშუ** – “გაიღვიძა ბავშვი-ი“;

ქანსკინე ეჯ-ნ-ემ-ე, მურადდ – “გადმოსტა იმან, ე, მურად-მა”, თუმცა ეს შემთხვევები კონკრეტულ ზმნათა სტრუქტურის სპეციფიკით აიხსნება და ასეთი მონაცემები ქართულისას ხშირად მხოლოდ სემანტიკურად შეესაბამებიან; მაგალითად, **ხოხა** ”იცის” სვანურში სტატიკური ზმნაა და II სერიის ფორმები არ გააჩნია, ამიტომაც პირველ სერიაში სტატიკურთა კვალობაზე დატიურ კონსტრუქციას ქმნის. **ქანაძცხ** “გაიღვიძა” სვანურში გარდაუვალია და **დეცხნი** სიტყვასიტყვით “იღვიძებს” კი არ არის, არამედ “ღვიძდება, ფხიზლდება”.... **გელნი** “იხევა”, **ხეპნი** “სკდება” ტიპის ზმნათა მსგავსად, ის ვნებითის სტრუქტურისაა; მართალია, აწმყოში გამოვლენილი -ნ სუფიქსი მთელ პარადიგმაზე არ ვრცელდება, მაგრამ სპეციალურ ლიტერატურაში იგი კვალიფიცირებულია ვნებითის გამომხატველ დამატებით მორფემად.

კონსტრუქციის ელემენტთა რაოდენობის თვალსაზრისით უაღრესად საინტერესოა ე.წ. „ოთხპირიანი“ ზმნების საკითხი. ცნობილია, რომ ქართულ ენაში გვაქვს ზმნები, რომლებიც ოთხ სახელს შეიწყობენ: მიმიკერა, მიმიბა, მიჭმია (მან მე იგი მას) სპეციალურ ლიტერატურაში გამოთქმულია მოსაზრება, რომ აღნიშნული ტიპის ზმნები ოთხპირიანი არიან (ლ. კიკნაძე, ა. შანიძე, ლ. კვაჭაძე); თუ ამ აზრს მივიღებთ, მაშინ უნდა დაეუშვათ, რომ კონსტრუქცია ზოგჯერ ხუთწევრაცაა. როგორც წესი, ეს დამატებითი პირი მიცემით ბრუნვაშია, და იმავე დროს ბრუნვაუცვლელადაა წარმოდგენილი, ე.ი. გვაძლევს ზმნის ირიბი ობიექტური პირის გაგებას. დამატებითი ირიბი ობიექტური პირი ორპირიან ზმნებშიც არის აღნიშნული (დაჰპირდა იგი მას დახმარებას, მოუყვა იგი მას ამბავს), ე.ი. ორპირიანი გარდაუვალი ზმნა სამპირიანად არის ქცეული, მაგრამ გარდაუვალთა ჯგუფიდან არა არის გამოსული. ზმნა კვლავ ვნებითი გვარისად რჩება. თუმცა

სასაუბრო მეტყველებაში არის ცდა ამგვარი ზმნების მოწესრიგებისა. (გარდამავალი ზმნის კონსტრუქციისადმი შეგუებისა): მოუყვა ბებია შვილიშვილს ზღაპარს > მოუყვა ბებია შვილიშვილს ზღაპარი. შეეკითხა მასწავლებელმა მოსწავლეს გაკვეთილი შდრ. ჰკითხა მასწავლებელმა მოსწავლეს გაკვეთილი; დაჰპირდა მან მას იგი; დედაჩემმა იმდენი ეჩინა მას შდრ. (დედაჩემი იმდენს ეჩინა მას); როგორც ჩანს, მეტყველება არღვევს ენის ნორმებს, მაგრამ ნორმათა დარღვევა ამ შემთხვევაში მხოლოდ წინადადებაში ხდება, რადგანაც ეს დამატებითი პირი ზმნისთვის მხოლოდ მოჩვენებითია. ზმნის ძირითადი მორფოლოგიური ნიშანი პირთა მიხედვით ცვალებადობაა. ზმნის პირად ჩაითვლება არ ყველა სახელი, რომელიც მასთან სინტაქსურად არის შეხამებული (რომელი ბრუნვის ფორმითაც უნდა შეესაბამოს მას) არამედ მხოლოდ ის, რომელსაც შეუძლია ზმნის უღვლილების სისტემაში პირის მიხედვით დამოკიდებულების შექმნა, ე. ი. პირს ერთ ფორმაში მაინც უნდა გააჩნდეს ნიშანი ზმნაში. სხვა შემთხვევაში იგი ზმნის პირი, ბუნებრივია, არ იქნება. სახელთა შეწყობა არ წყვეტს ზმნის პირის საკითხს, იგი მხოლოდ პრაქტიკული, (სასკოლო) ხერხია, რომელიც ჩვეულებრივ ემთხვევა ზმნის (მორფოლოგიურ) პირიანობას და, სანამ აღნიშნული სახელი ზმნაში სათანადო მორფებით (პირის ნიშნებით) არ აისახება, ისინი მოჩვენებითს პირად დარჩება. მაგრამ ფაქტი ფაქტად რჩება: ზმნა-შემასმენელთან სახელებია დაკავშირებული და წინადადებაში მათ სათანადო კვალიფიკაცია სჭირდებათ. ამ თვალსაზრისით ე. წ. „ოთხპირიან“ ზმნებში ენა მარტივად მოიქცა, გაუჩიანა პარალელური თანდებულებიანი ფორმები და კოორდინაციული რიგის ელემენტობის „პრეტენდენტს“ ადგილი სუბორდინაციულ რიგში მიუჩინა. (მიმიკერა დედამ მე ღილი ხალათს//ხალათზე; მიმიბა მასპინძელმა მე ცხენი ღობეს//

ლობეზე; მიჭმია მეზობელმა მე საჭმელი ბავშვს//ბავშვისათვის. ხოლო ორპირიან („სამპირიან“) ზმნებში, როგორც ზემოთაა აღნიშნული ცდილობს მის ნორმალიზებას. კოორდინატთა გაჩენა (ან გაჩენის პრეტენზია) ენის თვისებაა, მაგრამ იგი არ წარმოადგენს ენის განვითარების კანონზომიერ გზას. ჩვეულებრივ ეს ხდება წინადადების ლოგიკური დატვირთვის მიზნით ანდა შენაცვლების საფუძველზე. ორივე უნდა განსილულ იქნეს, როგორც კერძო შემთხვევა და არა კანონზომიერება (დავითიანი 1973: 232).

ოთხპირიანი ზმნების თვალსაზრისით ვითარება ანალოგიურია სხვა ქართველურ ენებშიც, კერძოდ, სვანურში:

1. **სგალდშწენდიე** დადად მი ფაყტს ჩინხუდლ „მიმიქსოვა ბებომ მე ქუდს ფოჩი“.
2. **სგალდშბწნდე** მიშგუ დიდ კტეპ მი ხალდთს//ხალთჟი; „მიმიკერა დედამ მე დილი ხალათს“.
3. **სგალდშბე** მახტშიდ//მწინძედლ მი მუშგტრის ჩწიჟ ჰალღვს//ჰალღჟი „მიმიბა უფროსმა//მასპინძელმა მე (სტუმარს) ცხენი ლობეს/ /ლობეზე.
4. **ჩუ მწმნე** მეზტბედლ მი ბეფშტს ლეზტებ „მიჭმია მეზობელმა მე ბავშვს საჭმელი“.

ზოგადად, ერგატიულ კონსტრუქციათან დაკავშირებით უადრესად საინტერესოა თამარ მახარობლიძის თვალსაზრისი, რომლის ზედმიწევნით გადმოსაცემად საჭიროდ მივიჩნiewთ ვრცლად ციტირება მონოგრაფიიდან „ბასკური და ქართველური დესტინაციური სისტემების ტიპოლოგია“: ერგატიულობა მწყობრ მორფო-სინტაქსურ სისტემებს ქმნის იმ ენებში, სადაც იგი გამოვლინდება. ასეთი ენები ორ ძირითად ტიპად იყოფა: წმინდა ერგატიული და ნაწილობრივ ერგატიული ენები. პირველი ტიპის ენებში ყოველი გარდამავალი ზმნის სუბიექტი არის მუდამ ერგატიულ ბრუნვაში. ასეთია ბასკური ენა. მეორე ტიპის ენები კი, რომელთაც მიეკუთვნება ქართული, გარკვეულ თავი-



სებურებებს გვიჩვენებს. ასეთ ენებში სხვადასხვა ზმნური ფაქტორები განსაზღვრავს გარდამავალი ზმნის სუბიექტის ბრუნვას. ის ხან ერგატივია, ხან ნომინატივი, ან იშვიათად - დატივი. საქმე ისაა, რომ ერგატიულობას უმეტესად ინდოევროპელი მეცნიერები იკვლევდნენ და ისინი ცდილობდნენ ინდოევროპულ მოდელებთან შესაბამისობის დაძებნას, რასაც, ბუნებრივია, ჩიხში შეჰყავდა ყველა მკვლევარი. ასეთი ტიპის პრობლემები მუდამ წარმოიქმნება პოლიპერსონალური სტრუქტურების მონოპერსონალური მოდელებით განხილვისას. თავის წიგნში „ერგატიული კონსტრუქციის პრობლემა იბერიულ-კავკასიურ ენებში. ერგატიული კონსტრუქციის რაობის თეორიები.“ არნ. ჩიქობავამ საკმაოდ ნათლად ახსნა, რომ გარდამავალი ზმნა პირდაპირ ობიექტზე მიუთითებს (დამუშავება მიწისა, მოკვლა ნადირისა, დახატვა სურათისა) და გარდაუვალი ზმნა კი სუბიექტზე მიუთითებს (წოლა ავადმყოფისა, ადგომა სტუმრისა, სირბილი ბავშვისა...) (არნ. ჩიქობავა, 1961, გვ. 125). ერგატიულობასთან დაკავშირებით საგულისხმოა ის, რომ რიგ ენებში ერგატიულობა ისევე, როგორც დესტინაცია (და აგრეთვე სხვა მრავალი ძირეული მორფო-სემანტიკური კატეგორია) სახელებსა და ზმნებში ერთნაირი მორფემებით გვაქვს წარმოდგენილი. ეს კი იმას ნიშნავს, რომ ერგატიულობისა და დესტინაციის მოვლენები არის უძველესი ენობრივი ფაქტები, რომლებიც ჯერ კიდევ ზმნასა და სახელს შორის მორფოლოგიური ზღვრის გაჩენამდე არსებობდა. ამ ტიპის მსჯელობა შეიძლება უფრო შორსაც წავიდეს - ვფიქრობთ, შესაძლებელია, რომ ერგატიულობა და დესტინაცია წინ უსწრებდეს ენათა ფლექსიურ და აგლუტინაციურ ტიპებად ჩამოყალიბების პროცესებს. ეს მოსაზრება, თავის მხრივ, ნათელს მოჰფენს ერგატიულობისა და დესტინაციის კატეგორიების გამოვლენათა ნაირსახეობებს. ერგატიულობის საყოველთაო

პრობლემის არსი მდგომარეობს იმაში, რომ გარდამავალი ზმნის სუბიექტი არ არის ინდოევროპულ სისტემათათვის მისაღებ, ანუ ნაცნობ ნომინატიურ ბრუნვაში და ერგატივი აღიქმება ირიბ ბრუნვად. დიდი ენათმეცნიერი არნოლდ ჩიქობავა უზუსტეს პასუხს პოულობს ამ კითხვაზე გასულ საუკუნეში. არანაირი პასიურობა ან აქტიურობა რეალურად არაა კავშირში ერგატიულობასთან. ეს არის გარდამავალი ზმნის სუბიექტის მორფოლოგიური კატეგორია, რომელიც სხვადასხვა ენებში მოსალოდნელ მრავალფეროვნებას ავლენს ისევე, როგორც სხვა მორფო-სინტაქსური და მორფო-სემანტიური კატეგორიები (მახარობლიძე, ბასკური და ქართველური დესტინაციური სისტემების ტიპოლოგია, თბ. 2010).

## § 12. დეპონენსები

ქართულ ენათმეცნიერებაში საინტერესოდ დგას და აზრთა სხვადასხვაობის ფონზე იხილება დიათეზის, გვარის მორფოლოგიური და დიათეზის მორფოსინტაქსური კატეგორიების ურთიერთმიმართების საკითხი. ქართველური ენები ამ ასპექტითაც შეუსწავლელია; წინამდებარე ნაშრომში დიათეზის საკითხი ქართველურ ენებში მხოლოდ საკითხის დასმის წესით არის წარმოდგენილი, თუმცა ვიდრე უშუალოდ დიათეზაზე გადავიდოდეთ, მოკლედ დეპონენსების შესახებ. ამ კუთხით საინტერესოა საკითხის შესწავლის ისტორიაც. ცნობილია, რომ გვარი ერთერთი ურთულესია ზმნის გრამატიკულ კატეგორიებს შორის. მისი განხილვისას ბევრ საინტერესო და სადავო საკითხს ვაწყდებით. მსჯელობა ზმნის გვარის შესახებ პირველად დიონისე თრაკიელის გრამატიკაში გვხვდება, მაგრამ ძვ. წ. აღ. I საუკუნიდან დღემდე არ არსებობს

ზუსტი და სრული კრიტერიუმები ამ მხრივ ზმნათა დასაჯგუფებლად.

ზოგადად გვარი გამოხატავს ზმნის აქტიურობა-პასიურობას, რაც სათანადო მორფოლოგიური მოდელით უნდა იყოს გაფორმებული, თუმცა ხშირია ფორმისა და სემანტიკური მხარის შეუსაბამობა. მიუხედავად იმისა, რომ პასივს ანუ ვნებითს აქტივისაგან ანუ მოქმედებითისგან მკვეთრად განსხვავებული ფორმა ახასიათებს, თითქმის ყველა ენაში, რომელთა ზმნას გვარის კატეგორია გააჩნია, გვხვდება ფორმით პასიური, შინაარსით კი აქტიური ზმნები ე.წ. დეპონენსები. ასეთი ზმნები უხვადაა ქართველურ ენებში, რომელთა ზმნა განსაკუთრებით რთულ მეტყველების ნაწილად ითვლება პოლიპერსონალიზმისა და კატეგორიათა სიმრავლის გამო.

მოქმედებითი და ვნებითი გვარის ფორმათა საფუძველი ფორმალურ-ფუნქციურია და ეს ფორმა და ფუნქცია ხშირად წინააღმდეგობრივ ურთიერთობებს ქმნის. სწორედ ეს ვითარება აბნევდა ძველ ქართველ გრამატიკოსებს და ამიტომაც გვარის კატეგორიის განხილვისას ისინი განსხვავებული რაოდენობის ტიპებს ასახელებდნენ, მთავარ ყურადღებას მაინც შინაარსს აქცევდნენ, თუმცა ცდილობდნენ წარმოეჩინათ ფორმათა განსხვავებები. აღსანიშნავია ამ მხრივ ზურაბ შანშოვანის “მოკლე დრამმატიკა ქართულისა ენისა”, ანტონ პირველის “ქართული დრამმატიკა”, გაიოზ რექტორის “ქართული დრამმატიკა” და სხვ.

დეპონენსური ხასიათის ზმნები ცალკე ტიპად პირველმა გამოყო ნ. ჩუბინაშვილმა “ქართული ლექსიკონის” შესავალში. ავტორი განიხილავს მოქმედებითი (მისეული ტერმინით “შემოქმედებითი”) გვარის ზმნებს (ვიწერ, იწერ, იწერს), რომლებიც გადაჰყავს ვნებითში და აღნიშნავს, რომ მოქმედებითი გვარის ზოგიერთი ზმნა ვნებითად გაფორმების შემთხვევაშიც ინარჩუნებს მოქ-

მედებითის შინაარსს (ვიწერინები წიგნს, მოვიწერე წიგნი). ნ. ჩუბინაშვილი იქვე იძლევა ვნებითის დიფერენციაციას და გამოყოფს “თვითვნებით” ზმნებს (ტერმინი “თვითვნებითი” რუსულის გავლენითაა შექმნილი). ავტორი წერს: “ზმნათვითვნებითი არს, რაჟამს მოქმედი თვითვე იენევედეს”. ვნებითად იგი ჩამოთვლის ზმნებს: მიშენდების, ვიბში, ვიმზადები, ვიწერები, თვითვნებითად კი – ვებში, ვეწერები, ვემზადები.

ზმნები “ვიწერები, ვემენები, ვემზადები, ველაპარაკები” თვითვნებითად აქვს დასახელებული დავით ჩუბინაშვილსაც რუსულ ენაზე დაწერილ მოკლე ქართულ გრამატიკაში.

ქალაქ მონთობანში 1877 წელს გამოქვეყნებულ გრამატიკაში ვირჯები, ვსწვები, ვსჯდები ზმნები შეტანილია როგორც “ხატვნებითები”.

თ. ჟორდანიას “ვეჭიდები, ვეხები, ვედავები, მეცემა, ვეხუმრები” ზმნები დასახელებული აქვს ურთიერთობის ანუ ორთა შუა მოქმედების აღმნიშვნელ ზმნებად, რომლებიც თვითმოქმედებითების მესამე ტიპს წარმოადგენენ მისეულ დაჯგუფებაში და, მისი აზრით, არ არიან ვნებითები (ჟორდანია, 1889, 50-51).

დეპონენსები ცალკე გვარად გამოყო მოსე ჯანაშვილმა. აღსანიშნავია, რომ ეს ტერმინი მან იხმარა პირველად ქართველ გრამატიკოსებს შორის. მისი აზრით, “ქართული ზმნები არის: ა) მოქმედება-გარდამავალი (ვერბა ტრანსიტირა), ბ) მოქმედებითი გარდაუვალი (ვ. ინტრანსიტევა) და გ) ვნებითი ზმნის მაგვარი (ვერბა დეპონენტი). პირველს (მოქმედება-გარდამავალ ზმნას) “აქვს ორი სახე: მოქმედებითი (აქტივუმ) და ვნებითი (პასივუმ). ავტორი აღნიშნავს, რომ მოქმედებითი დარგის (გვარის) ზმნით გამოხატული მოქმედება გადადის სხვა საგანზე (დამატებაზე), ხოლო “ვნებითი დარგის ზმნა გვიჩვენებს, რომ ქვემდებარეზე გადმოდის რომელიმე მოქმედება: მაგ.,

წერილი იწერება სუფთად; ბეჯითი მოწაფე ქებულია ყველასგან (ჯანაშვილი, 1906, 133-135). “ვნებითმაგვარ ზმნებს სახე აქვთ ვნებითი ზმნის, ხოლო მნიშვნელობა – მოქმედებითი ანუ მეშვეობითი”. მაგალითებად დასახელებულია: “მოწაფე იწერების (მასწავლებლისაგან)”, “კაცი იბანების (მეაბანოვეს მიერ)”, “ვიხიზნები (მათ-მიერ)” და სხვ. – ვნებითია, მაგრამ მეშვეობითი: “მოწაფე იწერების (თვითონ)”, “ვიხიზნები (მე თვითონ)”, “ვილოცები (მე თვითონ) და სხვ., რომლებიც დეპონენსურ ზმნებს წარმოადგენენ.

ამგვარ ზმნებზე ყურადღებას ამახვილებს სილოვან ხუნდაძეც. ის წერს: “ვნებითი გვარის ზმნებს ზოგჯერ მოქმედებითი გვარის მნიშვნელობა აქვს: ჩემი ძმა კარგ ამბავს იწერება (=გვწერს, სწერს); ეს კაცი საშინლად იკბინება (=გვკბენს, კბენს). (ხუნდაძე, 1904, გვ. 55-70).

გვარის კატეგორია ბოლომდე არ არის შესწავლილი მეგრულ-ლაზურშიც. მ. აჭარიანის „ლაზური ენის ეტიუდებში“ (აჭარიანი, 1899, 427) გრამატიკის საკითხების ძალიან მოკლე მიმოხილვაა მოცემული. ავტორი აღნიშნავს, რომ ლაზურ ზმნას აქვს მოქმედებითი და ვნებითი გვარი. ვნებითის მაწარმოებლად ასახელებს მხოლოდ ი-ს და მაგალითად მოჰყავს: იბადი, დობადი, დობადამინონ. არაფერია ნათქვამი სხვა თავისებურებებზე.

უფრო გვიან, XX საუკუნის დასაწყისში ნიკო მარის ჭანური (ლაზური) ენისა და იოსებ ყიფშიძის მეგრული ენის გრამატიკებში გვარის შესახებ თითქმის ერთნაირ მსჯელობას ვხვდებით.

ნიკო მარი ჭანური (ლაზური) ზმნის გვარის საკითხის განხილვისას იაფეტურ თეორიას მისდევს. ის წერს, რომ ჭანურში ორი გვარია – მოქმედებითი და ვნებითი, უფრო სრულად განვითარებულია მოქმედებითი და, როგორც ყველა იაფეტურ ენაში, მას ოთხი ტიპი აქვს, რომლებიც

განსხვავდებიან ხმოვანი მახასიათებლით. I ტიპი გამოიხევა ამ ხმოვნის უქონლობით, მაგ., ბჟვარამ „ვეცემ“ ან ბჭარუმ „ვეწერ“; II ტიპის ხმოვანი მაწარმოებელია ი (ათინურში – ინ), მაგ. ბიჟვარამ „ვიცემ“, ბიჭარუმ „ვიწერ“; III ტიპისაა – ო (ნ. მარის აზრით, იაფეტური ა-ს ტუბალ-ქაინური ეკვივალენტი, რომელიც სუფდაა შენახული ქართველურ ჯგუფში), მაგ. ვოფინამ „ვაფენ“... IV ტიპისაა იგივე ო, მაგრამ ამასთანავე მისი თემა გავრცობილია დამხმარე აფით... მაგ., ვონჭარაფამ „ვაწერინებ“ (მარი, 1910, 45-46).

როგორც ვხედავთ, ნ. მარს აქ არეული აქვს ერთმანეთში გვარის, ქცევისა და კაუზატივის ფორმები და მათი წარმოება.

ვნებით გვარში ის გამოყოფს მხოლოდ ორ ტიპს – I-ლსა და II-ეს. აღნიშნავს, რომ ჭანურში გვხვდება III-ც – დ მაწარმოებლით, მაგ. გომოჭკონ-დ-უ „დამავიწყდა“, გაბწყენ-დ-ურ „მოვწყინდი“, მაგრამ უფრო ხშირად ობიექტური წყობის ზმნებთან, თანაც ყოველთვის, სავარაუდოდ, ქართული წარმოშობის ძირებთან. (მარი, 1910, 57).

აქაც ნ. მარი არ არის ჩამოყალიბებული თავის მტკიცებულებებში, რაც განპირობებულია იმით, რომ ზმნა და განსაკუთრებით გვარის კატეგორია მას საფუძვლიანად შესწავლილი არა აქვს, რასაც თვითონაც აღნიშნავს (მარი, 1910, 46).

ი. ყიფშიძე ამ საკითხებში მარის მიმდევარია. მისი აზრით მეგრულში ზმნის უღლებისას განირჩევა ორი გვარის ფორმა: მოქმედებითი და ვნებითი. საშუალი და მნიშვნელობით სხვა ტიპის ზმნები უღლებისას მისდევენ ხან მოქმედებითის, ხან ვნებითის ფორმებს. მოქმედებითი გავითარებულია მეტად, ვიდრე ვნებითი. მას 4 ტიპი აქვს, ვნებითს მოქმედებითის მაგვარად ასევე 4 ტიპი (აქ ყიფშიძეს მარისგან განსხვავებული თვალსაზრისი აქვს). ვნებითის პირველი ორი ტიპი იწარმოება ისევე როგორც

მოქმედებითისა. I – უნიშნო: ბ-ჭყორუქ, ბ/ვ-ხექ; II – ი თავსართიანი: ვ-ი-ჭარუქ, იბ-ჭარუქ; მე-2 ტიპის ე – კლასის ფორმები შესაძლებლობის ვნებითის ფორმებად აქვს დასახელებული: იბჭარექ, მი-ირთე. ავტორი აღნიშნავს, რომ ეს ფორმები ჩვეულებრივ უპიროდ გამოიყენება. III ტიპი ხასიათდება დ ინფიქსის ჩართვით ზმნურ ძირსა და შეხორცებულ დამხმარე ზმნას შორის. მაგ. ბ-ჩენ-დ-უქ, ვ-თან-დ-უქ. ზოგი ზმნა დ ინფიქსის წინ დაირთავს ონ სუფიქსს ძირის შემდეგ: ბ-ჭით-ონ-დ-უქ, ბ-შქურ-ონ-დ-უქ. IV ტიპს რამდენიმე ფორმა აქვს:

- 1) ხმოვანი მახასიათებლით ე, რომელიც ქართულიდანაა ნასესხები: ვ-ე-სურებუქ, ვ-ე-ცხადებუქ;
- 2) ა-ხმოვნისანი: ვ-ა-ჭარუქ, ვანთხუქ;
- 3) ო-ხმოვნისანი: ვ-ო-დუქ, ვ-ო-ვერდუქ; (ყიფშიძე, 1914, 122).

ი. ყიფშიძეს ზემოთ მოცემული აქვს შენიშვნა, რომ ზმნის ფორმა ყოველთვის არ შეესაბამება მის მნიშვნელობას: ფორმით მოქმედებითი ზმნა შეიძლება იყოს მნიშვნელობით ვნებითი და პირიქით. ზოგჯერ ერთსა და იმავე ფორმას აქვს როგორც მოქმედებითის, ასევე ვნებითის მნიშვნელობა. მაგ. იბჭარაფუაფუქ „ვიწერები“.

როგორც ვხედავთ, ქართველური ენების ძველ გრამატიკებში მათი ავტორების მიერ მოცემულია მცდელობა, განსაზღვრონ ზმნის გვარის სახეები. მიუხედავად იმისა, რომ ვაწყდებით ბევრ შეცდომას ფორმათა კვალიფიკაციასთან დაკავშირებით, მათი შრომა უდავოდ დასაფასებელია.

**ლაპარაკის აღმნიშვნელი ზმნები (დეპონენსები)**  
**ქართველურში:** ჩვენი დაინტერესება ლაპარაკის აღმნიშვნელი ზმნებით გამოიწვია იმან, რომ მათი სუბიექტი უდავოდ აქტიურია, მაგრამ აქტივისა და მედიუმის ფორმებს შორის შეგვხვდა პასივის ფორმებიც. ქართულში ასეთის

გამჭვირვალე მაგალითებია ზმნები **ელაპარაკება** და **უბნება**.

მეგრულში ლაპარაკის აღმნიშვნელი ძირითადი ზმნებია: **რაგადანს** „ლაპარაკობს, ამბობს“, **თქუნს** „იტყვის“, **იჩიებუ** „ლაპარაკობს, საუბრობს“, **უწინს** „ეტყვის“. ესენი და ამ სემანტიკის ბევრი ზმნა ამოგკრიბეთ ზემოთ მითითებული ტექსტებიდან და ო. ქაჯაიას „მეგრულ-ქართული ლექსიკონიდან“ (გამოვიყენეთ მისი ელექტრონული ვერსია, ამიტომ გვერდები და ლექსემათა ნომრები მითითებული არ გვაქვს).

ყველაზე ხშირად მეტყველებაში გვხვდება ზმნები **რაგადანს** და **იჩიებუ**. ო. ქაჯაია აღნიშნავს, რომ **რაგადანს** ზმნას ენაცვლება **იტყუ** „იტყვის“, **თქუუ** „თქვა“, ხოლო სასხვისო ქცევის ფორმას **ურაგადუ(ნ)** - უწინს//უწოლენს „ეტყვის“, უწუუ//უწოუ//უწოლუ „უთხრა“ ზმნები. **რაგად** ძირისგან ვნებითის ფორმაც იწარმოება და პოტენცი-ალისიც; ვნებითი - **ირაგადუ(ნ)** „ითქმება“, რომელსაც გააჩნია წყვეტილისა და თურმეობითის ფორმები: **ირაგადუ** „ითქვა“, **რაგადებულ/რქ(ნ)** //**რაგადელე(ნ)** „თქმულა“; პოტენციალისი - **ირაგადე(ნ)** „ითქმება“ (ერთპირიანი) და **არაგადე(ნ)** (ორპირიანი). ავტორს მოჰყავს კაუზატიური ფორმებიც: **ორაგადუანს** „ალაპარაკებს“, **ურაგადუანს** „ელაპარაკება“, **ორაგადაფუანს** „ალაპარაკებს“... რაგად ძირზე პრევერბების დართვით ხშირად იცვლება სემან-ტიკური სახე (**აკარაგადანს** „ცუდ სიტყვებს მიაღვენებს, ზურგს უკან ამბობს“, **გიორაგადანს** „დაალაპარაკებს, ნათქვამს ზედ დაამატებს“, **აკირაგადანა** „მოილაპარაკებენ“, **გილარაგადანს** „დადის და დალაპარაკობს“, **მირაგადუანა** „მოილაპარაკებენ“ და ა.შ.).

**მეგრული:**



1. ქუურჩქილი, ბაბაკოჩი რაგადანს „უსმინე, უფროსი კაცი ლაპარაკობს“;
2. ირდღას თის ურაგადუქ „ყოველდღე მას ველაპარაკები“;
3. აკირაგადემს ჯიმაღენქ „მოილაპარაკეს ძმებმა“;
4. აკარაგადანს უბადოს „ცუდს მიაღვენებს უკან“;
5. უჩა ხენწიფე ვადგანებენსი გიორაგადესგ „შავი ხელმწიფე არ დაგანებებსო, ზედ დაალაპარაკეს“;
6. მუს რე გილარაგადანს? „რასაა, რომ დალაპარაკობს?“;
7. მუმაქ კინარაგადუუ ათე კუბეცის „მამამ უკან მიალაპარაკა ამ ვაჭარს“;
8. დეჯეფი ონჯუას მირაგადუნა „ღორები საღამოს მოილაპარაკებენ“;
9. ბოში, მუს რე მირაგადუქ? „ბიჭო, რასაა რომ მელაპარაკები?“;
10. ირფელი ვერაგადე „ყველაფერი არ ითქმის“;
11. გორაგადეს ართიანწკალა „გაისაუბრეს ერთმანეთში“.

რაგადანს ზმნას მომავლის ფორმა არ გააჩნია. ამ შემთხვევაში მას ენაცვლება თქუანს „იტყვის“, უწიინს „ეიტყვის“ და იტყუ(ნ). ეს უკანასკნელი მარტვილურ-ბანძურ მეტყველებაში შეიძლება შეგვხვდეს და სწორედ ამიტომ აქვს შეტანილი ლექსიკონში ო. ქაჯაიას ვიტყუუქ//იტყუუქ „ვიტყვი“ ფორმებიც, რომელთა გამოყენება მეგრულის სხვა კილოკავებში საეჭვოა. ავტორს მაგალითიც მოჰყავს: მა იტყუუქ//იტყუუქ დო იღინ დო ვარი, ჯარი ვამოჭენია „მე ვიტყვი და იქნება თუ არა, ჯავრი არ მაქვსო“.

ერთ სემანტიკურ ველში შეიძლება გავაერთიანოთ შემდეგი ზმნები:

**ბარდალანს** „უთავბოლოდ, დაბნეული ლაპარაკობს“, **ბობოხანს** „ბუხბუხებს, ტრაბახობს“, **ბარდგალანს**, **ბარდღალანს** „როშავს, ლაყობს“, **ბურდინუნს** „ბოღიალობს, ბოღავს“, **ბურდდინუნს** „ბურდღუნებს“, **პურტყინუნს**

„პურტყუნებს, პუტპუტებს“, **ბურტყინუნს** „დაბალი ხმით  
 ლაპარაკობს, ბურტყუნებს“, **ბურხინუნს** „რიხით ლაპა-  
 რაკობს“, **ბურდინუნს** „ბურდღუნებს, დუდღუნებს, ბოდავს“,  
**ბუცინუნს** „ბღუყუნებს“, **გილარაქვალანს** „ხმამაღლა უთაე-  
 ბოლოდ ლაპარაკობს“, **დადღალანს//დღადღალანს** „ჯაჯ-  
 ღანებს“, **ღვარღვალანს** „როშავს, ყველაფერს ამბობს, რაც  
 ენაზე მოადგება“, **ღირღინუნს** „ღუდღუნებს, დაბალ ხმაზე  
 გაურკვეველად ლაპარაკობს“, **ღირღღინუნს** „ღუდღუნებს“,  
**გედღინუნს** „გაურკვეველად ლაპარაკობს“, **დღურღინუნს**  
 „თავისთვის რაღაცას ბურტყუნებს“, **დუმინუნს** „ხმადაბლა  
 ლაპარაკობს“, **დღვადღვალანს** **დღირღღინუნს** „ცხვირში  
 გაუგებრად ლაპარაკობს, დუდღუნებს“, **თირთინუნს**  
 „დუდუნებს, ჩქარა გაურკვეველად ლაპარაკობს, ბუბუნებს“,  
**თირთხინუნს, თხირთხინუნს, თხვანთხვალანს, ტყვანტყ-**  
**ვალანს, თხუმინუნს** „ცხვირში ლაპარაკობს, თხიპინებს“,  
**კაფალანს** „ხმამაღლა ლაპარაკობს“, **კვაკვალანს,**  
**გეკვაკვალანს** „როშავს, მთელი დღე ლაპარაკობს,  
**მიშაპარენტანს** „სისუღელეს ამბობს“, **მიშარაგადანს**  
 „ჩაალაპარაკებს“, **პანტალანს** „პრუტუნებს, სისუღელეს  
 ბოდავს“, **პატყალანს** „პუტყუნებს“, **პაჭკვალანს** „ჩიფჩიპებს“,  
**პრენტუნს** „პრუტუნებს, სისუღელეს როშავს“, **პუტინუნს**  
 „პუტუნებს, ჩუმიდ ლაპარაკობს, ჩურჩულებს“, **ჟვარქალანს,**  
**ჯვატალანს** „ბჟუტურობს, უაზროდ ლაპარაკობს“,  
**რანტალანს, რანგვალანს, რანგალანს** „უჭკუოდ, უშნოდ  
 ლაპარაკობს, როტავს“, **რაქვალანს** „ლაყობს, ხმამაღლა  
 ლაპარაკობს“, **რჰპიტანს** „ჩქარა ლაპარაკობს“, **რსხაპალანს**  
 „სხაპასხუპით ლაპარაკობს“, **სვატალანს, ჟვატალანს,**  
**შვატალანს** „ბჟუტურებს“, **ტატყალანს** „ტატყანებს, ჭაჭ-  
 ყანებს“, **ტვაფალანს** „ხმამაღლა უშნოდ ლაპარაკობს“,  
**ტიტყინუნს, ტყირტყინუნს** „ტიტყინებს“, **ტურტინუნს** „ტუტუ-  
 ნებს, ბუტბუტებს“, **ტყანტყალანს** „ტატყანებს“, **ტყვაპალანს**  
 „ლაყლაყებს“, **ფაშქვალანს** „სასიამოვნოდ ლაპარაკობს“,

**ფურცინუნს**, **ფურსინუნს** „ენამოხლექით ლაპარაკობს, ჩიფჩიფებს“, **ფურცქინუნს//ფუცქინუნს** „ჩურჩულებს“, **ქადაგენს** „ქადაგებს, ბევრს ლაპარაკობს“, **დაბაჩანს** „მხიარულად ხმამაღლა უთავბოლოდ ლაპარაკობს“, **დანდალანს** „უღონოდ, უძლურად ლაპარაკობს“, **დარჩალანს**, **ღვარჩალანს** „სასიამოვნოდ ლაპარაკობს, უღურტულებს“, **ღაფალანს** „სასიამოვნოდ ხმამაღლა ლაპარაკობს“, **ღადაჩანს** „მხიარულად პათოსით ლაპარაკობს“, **ღერღუნს** „მიძიმედ ლაპარაკობს, ღერღავს“, **ღვაბალანს** „ბოხი ხმით ლაპარაკობს“, **ღვანბვალანს** „უმნოდ ლაპარაკობს“, **ღვასქალანს** „ავსიტყვაობს“, **ღვატალანს** „ღრუტუნევით სასიამოვნოდ ლაპარაკობს“, **ღვაფალანს** „ბოხი ხმით ლაპარაკობს“, **ღვაშქალანს** „რაც ენაზე მოადგება, ყველაფერს ამბობს“, **ღირზინუნს** „ხრიწიანი ხმით, გაჯავრებით ლაპარაკობს“, **ღირთინუნქ** „ღრიალებს“, **ყარტალანს** „ყრანტალებს“, **ყარყალანს** „ყაყანებს“, **ყავყვალანს** „წვრილი ხმით ლაპარაკობს, წკაეწკაეებს, ყიყინებს“, **ყირყინუნს** „ყროყინა ლაპარაკი“, **ყვაბალანს** „როშავს“, **ჩვაგალანს**, **ჩქვაფალანს**, **ჯვაბალანს**, **ჯვატალანს** „უაზროდ, სულელურად ლაპარაკობს“, **ჩურჩინუნს** „ჩურჩულებს“, **ბგვანბგვალანს** „საყვედურით უმნოდ ლაპარაკობს“, **წკვანტალანს** „წიკვინებს“, **წკვაპალანს//ჭკვაპალანს//ჭყვაპალანს** „უაზროდ ჩიფჩიფებს (უკბილოს ლაპარაკი)“, **წკუფინუნს** „წვრილ ხმაზე ლაპარაკობს, წვივის“, **წკაპალანს** „წრიპინებს“, **წყირწყინუნს** „წვიკვინებს“, **ჭკვარჭკვალანს** „ბავშვევით ლაპარაკობს“, **ჭყარჭყალანს**, **ჭყირჭყინუნს** „ჭიჭყინებს“, **ხანგალანს** „გოიურად ლაპარაკობს, როშავს“, **ხაფალანს** „სასიამოვნოდ ლაპარაკობს“, **ხვასქალანს** „უაზროდ ლაპარაკობს“, **ხვაპალანს** „ბოხ ხმაზე სასიამოვნოდ საუბრობს“, **ხუფინუნს** „მხიარულად ლაპარაკობს“, **ჯარღალანს** „ხმაურით ლაპარაკობს“, **ჯაჯღალანს** „ჯაჯღანებს“, **ჯვაჯვალანს**

„გაუგებრად ლაპარაკობს“, **ჯვართალანს** „წინდაუხედავად ლაპარაკობს“, **ჯო(ც)ინუნს** „ჯლიყინებს“, **ჯურჯინუნს**, **ჯურსინუნს**, **ჯუტინუნს** „მოსაბეზრებლად, გაუგებრადა ამბობს“.

უმეტესობა ამ ზმნებისა ხმაბაძვეთია. ისინი ხშირად გადატანითი მნიშვნელობით იხმარება და სარკაზმის, ირონიის, უკმაყოფილობის გამოსახატავად უფრო გამოიყენება მეტყველებაში. მაგალითად:

**ვაარაგადე**, გვალო **ბურდინუნს** „ვერ ლაპარაკობს, მთლად დუდღუნებს“; დონწყირო **ქომიწიი**, მუ გოკო, მუს **ბურდინუნქ?** „დალაგებულად მითხარი, რა გინდა, რას ბურდღუნებს?“, ნინას გითეუჭოფანს მუდგარენი დო **ბუეინუნს** „ენას უჭერს რაღაცა და ბლუკუნებს“; თელ დღას **გილარაქვალანს** „მთელი დღე ხმამაღლა უთავბოლოდ ლაპარაკობს“; თელ დღას **დადღალანს**, იში გაჩერებაქ ვესუ „მთელი დღე ჯაჯღანებს, იმისი გაჩერება არ იქნა“;

**თირთინუნს** დო იში ნარაგადუშე მუთა გიშედინე „დუდღუნებს და მისი ნათქვამიდან ვერაფერს გაიგებ (გამოიტან)“; ოჯახის ართი მითინი **კაფალანდას ოკონია** „ოჯახში ერთი ვინმე ხმამაღლა უნდა ლაპარაკობდესო“; გლახა **ვაშმორაგადასგ** მითინ დორონთიში ჭყელქ „ცუდი არ თქვას (ჩვენს საქმეში) ვინმე ღვთისგან წყეულმა“; **ქიგიორთპიტუუ** მუთ ქუუჩქუდუნი „დაამდერა (ჩქარა თქვა), რაც იცოდა“; სკაქ **ოკო ტუტინას**, ოსურქ **ოკო რაგადუას** „ფურტარმა უნდა იტუტუნოს, ქალმა უნდა ილაპარაკოს“; ბჯუნუნსუ დო **ფურცქინუნსუ** „მკოცნის და ჩურჩულებს“; გემუანი რაგადი უჩქუ, **დარჩალანს** „გემრიელი ლაპარაკი იცის, სასიამოვნოდ ლაპარაკობს“; სი ეშენი მუს **მიღირზინუნქ**, მუს გისორცქუ ჯარით გური? „შენ ამისთვის რატომ მიჯავრდები (ხრიწიანი ხმით), რას გისკდება ჯავრით გული?“ (მაგალითები ამოკრებილია ო. ქაჯაიას „მეგრულ-ქართული ლექსიკონის“ ელექტრონული

ვერსიიდან, ამიტომ გვერდები მითითებული არაა, საილუსტრაციო მასალა თავად ლექსიკონის ავტორს ეკუთვნის)

ლაპარაკის სხვადასხვა მანერის გადმოსაცემად მეგრულში ფრაზეოლოგიზმებიც ბევრი გვხვდება, ქართულის **„ენას ატლიკინებს“** ტიპისა: **ნინას უდარდალუნს** „ენას უდარდალებს, ყბედობს, მოსაბეზრებლად ლაპარაკობს“, **ნინას უდარდალუნს** „ბევრს ლაპარაკობს, ხმამაღლა მოსაბეზრებლად ლაპარაკობს“, **ნინას უდგარდგალუნს** „უადგილოდ, უთავბოლოდ ლაპარაკობს“, **ნინას უტარკალუნს** „ენას ატლიკინებს“, ნინას ულაბაშუანს „ყბედობს“, ნინას ურსხაპალუნს „ჩქარა ლაპარაკობს“ და სხვ.

მოყვანილი მასალიდან ნათლად ჩანს, რომ უმეტესობა ამ ზმნებისა ან აქტივის ფორმისაა, რადგან სემანტიკურად სუბიექტის რეალურ მოქმედებას გადმოსცემენ. ისინი მოქმედებითი გვარისაა (რელატიური, ორპირიანი), ან საშუალ-მოქმედებითებია (აბსოლუტური), თუმცა ეს დაყოფაც ზოგჯერ პირობითია, რადგან ერთსა და იმავე ფორმას კონტექსტის მიხედვით ეცვლება პირიანობის გაგება. მაგ.: მუდგასიე **ბურდღინუნს**, ვეგმაგინუ, მუ ოკონი „რადაცას **ბურდღუნებს**, ვერ გავიგე, რა უნდა“ (ბურდღინუნს თინა თის „ბურდღუნებს ის მას“); თუნთიშორო ბურდღინუნსე „დათვივით **ბურდღუნებს**“ (ბურდღინუნს თინა „ბურდღუნებს ის“); მნიშვნელობის სხვაობას განაპირობებს სუბიექტის (წინადადებაში - ქვემდებარის) კატეგორია : ადამიანთა და არაადამიანთა. როგორც ზემოთ მოყვანილი მაგალითიდან ჩანს, თუ სუბიექტი (ქვემდებარე) ადამიანთა კატეგორიისაა, ამ ზმნებს პირიანობის გაგება ემატება და პირიქით.

ჩვენს ინტერესს წარმოადგენს იჩიებუ(ნ) ზმნა, რამდენადაც ის დეპონენსია **ი-უ** ყალიბისა (**ი-ჩიებ-უ**). იწარმოება **ე-უ** ყალიბის ფორმაც: **ე-ჩიებ-უ** „ელაპარაკება, უყვება“. ო. ქაჯაია აღნიშნავს, რომ „ჩიება ფუძემონაცველე ზმნაა მწკრივებსა და სერიებში: იჩიებუ „ამბობს, ლაპარაკობს“ - იტყუ(ნ)//თქუანს „იტყვის“-თქუუ//ჩიუ „თქვა“-უთქუალუ//უჩიებუ „უთქვამს“-ნოთქუე(ნ) //ნოთქუალუე(ნ) //ნოჩიებუე(ნ) „იტყოდა, ამბობდა, ლაპარაკობდა თურმე“:

**ი-ჩიებ-უ** და **ე-ჩიებ-უ** ფორმები პასივისაა, ვნებითი გვარისა, მაგრამ ორივე გარდამავალია: **იჩიებუ** ორპირიანი ზმნაა (**ი-ჩიებ-უ** თინა თის „ლაპარაკობს ის მას“, **იჩიუ** თიქ თინა „ილაპარაკა მან ის“, **უჩიუ** თის თინა „ულაპარაკია მას ის“...), **ეჩიებუ** სამპირიანია (**ე-ჩიებ-უ** თინა თის თის „ელაპარაკება ის მას მას“, **ეჩიუ** თიქ თის თინა „ელაპარაკა მან მას ის“, **უჩიუ** თის თინა თიშა „ულაპარაკია//უთქვამს მას ის მისთვის“...)

- ი-უ** ყალიბისა დეპონენსებია შემდეგი ზმნებიც:
- ი-ბობოქ-უ-(ნ)** „ხმამაღლა ლაპარაკობს, ბობოქრობს“;
- ი-ბობოხ-უ-(ნ)** „ბუხბუხებს“;
- ი-ბორჯღიკ-უ-(ნ)** „არეულად ლაპარაკობს“;
- ი-ბუდინ-უ-(ნ)** „დუდუნებს, გაურკვეველად ლაპარაკობს“
- ი-ბურჭულ-უ-(ნ)** „ლაყბობს“;
- ი-ბურხინ-უ-(ნ)** „ბრუხუნებს“
- ი-დვარდვალ-უ-(ნ)** „როშავს“
- ი-დურდინ-უ-(ნ)** „დუდუნებს“ [ // **დურდინუნს** ]
- ი-დღუშინ-უ-(ნ)** „დუდუნებს“ [// **დღუშინუნს**]
- ი-თირთინ-უ-(ნ)** „დუდუნებს“[//**თირთინუნს**]
- ი-ფურხონ-უ-(ნ)** „ტრახახობს, ფახიფუხობს“
- ი-ღაბაჩ-უ-(ნ)** [//გარდაუვ. **ღაბაჩანს**]

**ი-ღარღალ-უ-(ნ)** [//**ღარღალანს**] „უაზროდ ლაპარაკობს, ყბელობს“ მხოლოდ აწმყ. წრესა და მე-4 სერიის მწკრ.

**ი-ჩურჩინ-უ-(ნ)** [// ჩურჩინუნს} „ჩურჩულებს“ მხოლოდ აწმყოს წრის მწკრივები

**ი-ხვანჯგვალ-უ-(ნ)** „როტავს უაზროდ“ [//ხვანჯგვალანს] **ი-ხირთინ-უ-(ნ)** „ხმაურით ღაპარაკობს“ [ხირთინუნს „ხვრინავს“]

**ი-ჭაფალ-უ, უ-ჭაფალღ** „წვრილი ხმით სასიამოვნოდ ეღაპარაკება ღაპარაკობს“ [//ჭაფალანს].

როგორც მაგალითებიდან ჩანს, ამ ზმნების ნაწილს პასივის ფორმების პარალელურად აქტივის ფორმებიც გააჩნია. ამ დეპონენსების უმეტესობას შეუძლია აწმყოს აწმყოს წრისა და დრო-კილოთა IV ჯგუფის მწკრივები.

ღაზურში ღაპარაკის, საუბრის სემანტიკის ზმნები ამოვიწერეთ ი. ასათიანის „ღაზური ლექსიკონიდან“ (თბილისი, 2012). ეს ზმნებია:

**ზოპონ-**ს „ამბობს, იტყვის“. სი ეშო მოთ **ზოპონ?** „შენ ასე რატომ ამბობ?“ (ჩიქობ. I. 17,11); ჯვეშეფე **ზოპონტეს** „ძველები ღაპარაკობდნენ“ (ასათ. 2012, 445); ჩქუ **ბზოპონთ** თამო-თამო „ჩვენ ვღაპარაკობთ მშვიდად (ნელ-ნელა)“ (ასათ. 2012, 445);

**თქვ-უ, ტკ-უ** „თქვა, იტყვის“. ექ ოდას ბღარღალაპტით-ში, მან **ფთქვი-ქი**...იქ ოთახში როცა ვღაპარაკობდით, მე ვთქვი“ (ჩიქობ. I. 100); ეღაქთერი **თქუმეღან** არქაბული „სხვანაირად ღაპარაკობენ არქაბულად“ (ასათ. 2012, 93); მემიუჯით, ჰაწი **ფთქვარე** ღაზური „მომისმინეთ, ახლა ვიტყვი ღაზურად“ (ყიფშ. 40).

**ი-ღააკირღ-უ** „იღაპარაკა, იღაყბა“. მა ვიღააკირღამ, ღაზური-თი ვიღააკირღამ, თურქული-თი „მე ვღაპარაკობ, ღაზურადაც ვღაპარაკობ, თურქულადაც“ (ჩიქობ. II. 109).

**ღაჭ-**უ (თურქ.) „იღაპარაკა, ისაუბრა“. ბითუნ ღაზური ბღაჭათ „სულ (მარტო) ღაზურად ვიღაპარაკოთ“ (მარ. 116)

**პარამით-უ** (ბერძნ.) „ლაპარაკობს, მეტყველებს“. ჰემუს ნენა უღუნ, ამა ვარ პარამითას „მას ენა აქვს, მაგრამ ვერ ლაპარაკობს“ (ასატ. 2012, 113); თამო-თამო იპარამითით ოსორის! „ნელ-ნელა ილაპარაკეთ სახლში“ (ჩიქობ. II. 58); ლაზეფექ ლაზური იპარამითამან „ლაზები ლაზურად ლაპარაკობენ“ (ჩიქობ. II. 53);

**ი-სინაფ-უ** „ილაპარაკა, იმეტყველა“. ნენათე **ბისინაფამ...** მა-და პოლის-ნა **ისინაფამან-და**, ჰაქ ბოგნამ-და „ენაზე კი ვლაპარაკობ (ენით კი ვამბობ)... მაგრამო ქალაქში რომ ამბობენო, აქ მესმისო“ (ჩიქობ. II. 36); მეგრელეფექ-ნა **ისინაფამტეს**, ქოხოხოწონამტით „მეგრელები რასაც ამბობდნენ, ვგებულოდით“ (ჩიქობ. II. 4). **ოკი**(<ოკო-ი)-**სინაფ-უ** „მოილაპარაკა (მოილაპარაკეს ერთმანეთში...)“. დივეფექ ჰაწი **ოკისინაფამან** „ჰადას-და მუ ბოდოდაი?“ „დევები ახლა მოილაპარაკებენ „ამას რა ვუქნათ?“ (ჩიქობ. II. 38).

**ლა{რ}-ღალ-ამ-ს** „ლაპარაკობს, დარდალებს, ყაყანებს“. არ დერის კოკიბდეს დო **ღარღალეს** „ერთ ადგილას შეიკრიბნენ და იყაყანეს“ (ყიფშ. 5); ჰელე, კოჩი, მო **ღაღალაფ!** „ეი, კაცო, რას დარდალებ“ (ასათ. 2012, 328). **ღო-ღარღალ-უ** „დაილაპარაკა, ილაპარაკა“. ენთეფექ **ღოღარღალეს** „იმათ დაილაპარაკეს“ (ასათ. 2012, 328). **ღუ**(<ღო-უ)-**ღარღალ-უ** ოსორჯას დ უღარღალუ (ჩიქობ. II. 6. 29).

1. **ბარბალ-აფ** „ბუბუნებ, ხმამაღლა ლაპარაკობ“. ეკო დიდო მოთ **ბარბალაფ**, ამოთ-ამოთ ღარღალე „ასე ბევრს რატომ ლაპარაკობ, ნელ-ნელა ილაპარაკე (ასათ. 2012, 328);
2. **ხაპარ-უ** „ილაპარაკა“ (ლაპარაკობს). მუ ხაპარამ! „ნუ ლაპარაკობ!“ (ასათ. 2012, 451).
3. მიწვი დო იშოთე ვიხაპარათ „მითხარი და ისე ვილაპარაკოთ“ (მარ. 81).
4. **ბეჯღ-უ** „იჯიჯღინა, იბუზღუნა“.



5. **საპარ-უ** „ლაპარაკა“ (ლაპარაკობს). მუ საპარამ! „ნუ ლაპარაკობ!“ (ასათ. 2012, 451).

6. მიწვი დო იშოთე ვიხაპარათ „მითხარი და ისე ვილაპარაკოთ“ (მარ. 81).

7. **ბეჯდამ**, ამმა ვარ მეძისიმინს „ვეჯიჯდინებ, მაგრამ არმისმენს“ (ჩიქობ. II. 22);

8. ბაბა სქანიქ **მიბეჯდანერენ** „მამაშენი გაგვიწერება (გვეჯავჯდანება)“ (ასათ. 2012, 17).

**ელუ(>)ილუ(<ელა-უ)-ფურჩ-ოლ-უ** „ჩაუწერულა“. ბოზო ტკობაშა ქონახოლუ დო ყუჯი-ჯინჯის ელუფურხოლუ „გოგო მალულად გამოიჭირა და ყურში უწერულა“ (პარამით. 14); ბიჭის ყუჯის **ილუფურხოლუფს** „ბიჭს ყურში ეწერულება“ (კარტოზ. 97). **ელი(<ელა-ი)-ფურჩ-ინ-უ** „აწერულა“. ჯუმალეფექ არ ქოკიწკედეხ დო **ელიფურჩინეს** „ძმებმა ერთი მიიხედ-მოიხედეს და აწერულდნენ“ (დიუმეზ. 89.21).

**დულუ(<დოლა-უ)-ყუ[რ]-უ** „ჩაჰყვირა“. ნაჩალიკიქ-თი ბერეს-ნა დულუყურუ „უფროსმა ბიჭს რომ ჩაჰყვირა“ (ჩიქობ. I. 89);

**დარდალ** ლაზურში კანკალს ნიშნავს, მეგრულში კი მოსაბეზრებელ ლაპარაკს (ჩიქობავა 2009, 264)

მეგრულსა და ლაზურში ლაპარაკის აღმიშენელი ზმნების საერთო ძირებია: **თქ//თქვ//ტქვ** „თქვა“ და **დარდალ**. **დარდალი** ზოგადად „ლაპარაკია“ ლაზურში, მეგრულში კი\_ „მოსაბეზრებელი ლაპარაკი“. რაც შეეხება **რავად** ძირს, მეგრულში ლაპარაკის აღმნიშვნელი ყველაზე პროდუქტიული ფორმების საფუძველია, ლაზურში კი „რყევას, ზანზარს, ბანცალს, ნგრევას“ აღნიშნავს. მაგ., **ირფელი ირავადენ** მეგრულად ნიშნავს „ყველაფერი ითქმება-ს“, ლაზურად კი – „ყველაფერი ზანზარებს“.

**ლაპარაკის აღმნიშვნელი ზმნები მეგრულში:**

1. მუსით **თქუნანს** მარგალია, ბრელი ვარე მართალია. „მეგრელი რასაც იტყვის, ბევრი მართალი არ არისო“ (ხალხ. სიბრძნ. 1994: გვ. 100).
2. ნინას **ქარაგადაფე-და**, ირფელს თქუნსია. „ენას თუ თქმევინე, ყველაფერს იტყვისო“ (ხალხ. სიბრძნ. 1994: გვ. 106).
3. ოხორს ფულუნდესია და სამუარხოს **იჩიებუდესია**. „სასახლეში მალაგენ და სამოახლოში კი ლაპარაკობდნენო“ (ხალხ. სიბრძნ. 1994: გვ.113).
4. სოდე დიდი **ირაგადენი**, თექი ჭიჭეთი ითქუნია. „სადაც დიდი ითქმება, იქ პატარას თქმაც შეიძლებაო“ (ხალხ. სიბრძნ. 1994: გვ.123).
5. სქანი ჯოდირქ სი განასიე, მის მუს **უწოლენქია**. „შენმა ძაღლმა რომ გიკბინოს, ვის რას ეტყვიო“ (ხალხ. სიბრძნ. 1994: გვ.127).
6. ტურა ტყაბარელქ მინორინაფილ კოს **უწუა**: იშენ ქოგიჯგუქია. „გატყავებულმა ტურამ ჩასიძებულ კაცს უთხრაო: მაინც გჯობივარო“ (ხალხ. სიბრძნ. 1994: გვ.129).
7. სი **რაგადანქ**, - ჯოდორ ლალუნს, სქიბ ირთუ დო ცხენ იდიარს. „შენ ლაპარაკობ,-ძაღლი ყეფს, დოლაბი ბრუნავს და ცხენი ბალახობს“ (ხალხ. სიბრძნ. 1994: გვ.123).
8. სკაქ ოკო ტუტინას, ოსურქ **ოკო რაგადუას**. „ფუტკარმა უნდა იტუტინოს, ქალმა უნდა ილაპარაკოს“ (ხალხ. სიბრძნ. 1994: გვ.123).
9. პაპა ჩილს ლახუნდუ დო დიკონქ **უწუ**, - მა ქომუჩია. „მღვდელი ცოლსა სცემდა და დიაკვანმა უთხრა, - მე მომეციო“ (ხალხ. სიბრძნ. 1994: გვ.115).
10. სხვათაშორის, ათეჯგურა ინა რდგ, თენა **ხოლო ქოფთქუე** ოკო (მეგრ. ტექსტ. 2012: გვ. 144).
11. ბოში ვაპუნდუ **იჩიებუდუნ?** (მეგრ. ტექსტ. 2012: გვ. 100)

12. იახადო, **ქოუწუ** ხენწიფესგ, ათაშ, ჯიმგ ათეჯგუა... „დიახ, და უთხრა ხელმწიფეს, ასე, მარული ამგვრად...“ (მეგრ. ტექსტ. 2012: გვ. 104).
13. ...მა მუშე ოკო **მიწიისკონი** თენა, ჩქიმოთ მუშე ოკო **თქვიისკონ-მაქ**, მარა **იჩიან-მაქ**, **იჩიან-მაქ**..., ჩემთვის რატომ უნდა ეთქვათ ეს, ჩემზე (ჩემთვის) რატომ უნდა ეთქვათ-მეთქი, მაგრამ **ილაპარაკონ-მეთქი**, **ილაპარაკონ-მეთქი**“ (ლოლა ნანა, 2007: გვ. 264).
14. მა ვამიჩქუ, მუ **ფთქუე** დო სო ფთქუე. „მე არ ვიცი, რა ეთქვა (რა ეთქვა და სად ეთქვა)“ (ლოლა ნანა, 2007: გვ. 232).
15. ასე **მეჩიებუდუ** თექ, ფედოსია ბასლაიხეს შურს უხვამანდუ. „ახლა მელაპარაკებოდა იქ, ფედოსია ბასილაიას სულს ლოცავდა“ (ლოლა ნანა, 2007: გვ. 232).
16. ნელი **მეჩიებუდუ** გოლა, ქარხანა ვარენია დო სოდგარენი მუშენსია. „ნელი მელაპარაკებოდა გუშინ, ქარხანა არ არისო და სადღაც მუშაობსო“ (ლოლა ნანა, 2007: გვ. 212).
17. ლექსიცალო **მიიჩიებუ** თე კონი დო მეურთ. „ლექსივით მიქადაგებს (მილაპარაკობს) ეს კაცი და მივდივართ“ (ლოლა ნანა, 2007: გვ. 288).
18. ნინას **ვუტერკუანქ**. „ენას ვატლიკინებ“ (ყიფშიძე, 1994: გვ. 532)
19. თი ოსურქ ნინა **უპარკალუუ**, **უპარკალუუ** დო ვადო-შურდუ დღას. (ყიფშიძე, 1994: 501).

**ლაპარაკის აღმნიშვნელი ზმნები ლაზურში:**

1. ამან ოხორის ურუმჩე **იპარამითამან** (ასათიანი 2012, 18) „მაგრამ შინ ბერძნულად ლაპარაკობენ“.
2. ჩქუ **ბიპარამითამთ** ლაზური (ასათიანი 2012, 26) „ჩვენ ვლაპარაკობთ ლაზურს“.
3. მედგითეს, დაჭკინდუშ-კულ **თქვეს**: „ოჭ“ (ასათიანი 2012, 18) „გაჩერდნენ, რომ დაიდალნენ, თქვეს „ოჭ“.

4. **იღარღალენ**. თხორის **ბუღარღალ** ბერევეს დუღღაშ ოხენუშენი (ასათიანი 2012, 24) „ითქმის. შინ ველაპარაკებო ბავშვებს საქმის გაკეთებისთვის“.
5. ჩქუ აწურღე **ბუწუმერთ**, ათინურევე ბზუჯი (ჩიქობავა 1936, 70) „ჩვენ „აწუღეს“ ვეძახით, ათინეღები „ბზუჯი“-ს“.
6. ემუს ბურბალი **უწუმელან** (ჩიქობავა, ჭან. ტექსტ., 149) „იმას ბურბალს ეუბნებიან“.
7. მა **ბზოპონ**, სი **ზოპონ**, ჰემუქ **ზოპონს**, ჰამუქ **ზოპონს** (ასათიანი 2012, 26) „მე ვამბობ, შენ ამბობ, ის ამბობს, ეს ამბობს“.
8. ხოფას **ზოპონა** ღორონთი...(ასათიანი 2012, 27) „ხოფაში ამბობენ „ღორონთი“-ს...“
9. ჰექ ქოღოხედეს ღო **ისინაფამან** (ასათიანი, 445) „იქ დასხდნენ და ლაპარაკობენ“.
10. ჰადა სი ქომექჩამ, ამმა მცუღი დიდო **ისინაფამს** (ჩიქობავა, ჭანური ტექსტები, 10) „ამას შენ მოგცემ, მაგრამ ბერ ტყუილს ლაპარაკობს“.
11. მა-და პოღის ნა **ისინაფამან-და**, ჰაქ ბოღნამ-და (ჩიქობავა, ჭანური ტექსტები, 27) „მეო, სტამბოღში რომ ლაპარაკობენ, აქ ვგებუღობო“.
12. მა **ბუსინაფამტი**, ემუქ **იჯოხოპტუ** – „არ ვიცია“ (ჩიქობავა, ჭანური ტექსტები, 14) „მე ველაპარაკებოღი, ის კი იძახოღა – „არ ვიცო““.
13. უკუღე მაკრიაღურევექ **ღუჯოხეს** ქი, – ჰამ თიღქი, დერეს ნა მიკახთუ, კუღელი დიშუგუ-ი დოქსე ვარ? სარფუღეღევექ **თქვეს** ქი, – კუღელი ვა აშუგუ, ხომბუღა ტუ-და (ჩიქობავა, ჭანური ტექსტები, 15) „მერე მაკრიაღეღებმა დაუძახეს, რომ, – ამ მეღას, მდინარეზე რომეღიღ გადავიღა, კუღი დაუსვეღღა თუ არა? სარფეღებმა უთხრეს, რომ, – კუღი არ დაუსვეღღა, მშრალი იყო“.

14. აღაქ-თი უწუ ქი, – ქომომილი-ა (ჩიქობავა, ჭანური ტექსტები, 16) „აღამაც უთხრა, რომ, – მომიტანეო“.
15. სი-ა, მა ნა გიწუმე, ვა ოგნამ-ი-ა (ჩიქობავა, ჭანური ტექსტები, 27) „შენო, მე რასაც გეუბნები, არ გესმისო (ვერ გეპულობო)“.
16. ჯოლორიქ თქუ ქი, – მა-თი მაჟუა გზაშე ბიდარე-ა (ჩიქობავა, ჭანური ტექსტები, 28) „ძალმა თქვა, რომ, – მეც მეორე გზით წავალო“.

**ირ. ასათიანს ლექსიკონში შეტანილი აქვს თქვ** ძირისგან ნაწარმოები პრევერბიანი ფორმა, **ოხო-თქცე-უ-ნ** „ერთმანეთში მოილაპარაკებს, საუბრობს“, უნიშნო ვნებითის **0-უ** ყალიბისა, რომელიც დაუფიქსირებია ს. ჟღენცს. (კავე ოშვეს. იპარამითამან მეხელი. ხაჯიქ-თი, ბელიშ ბერექ-თი... ოხოთქუნან (ჟღ. 72) „საყავეში ლაპარაკობენ გახარებულები. ხაჯიც, ბადის ბავშიც... საუბრობენ“ (ჟღ. 72).

როგორც ამოკრებილი მასალიდან ჩანს, ლაპარაკის აღმნიშვნელი ზმნები მეგრულში გაცილებით მეტია, ვიდრე ლაზურში. დეპონენსები ამ სემანტიკის ზმნებს შორის ლაზურში არ შეგვხვედრია, მეგრულში კი საკმაოდაა.

**ლაპარაკის აღმნიშვნელი ზმნები სვანურში:** სვანურში ლაპარაკის აღმნიშვნელი ძირითადი ზმნებია: **გვრგლი** „ლაპარაკობს, ამბობს“, **ტჷლი** „ამბობს, იძახის“ **რაგლი** „ლაპარაკობს, ამბობს“, **ლწქჷინნე/ლწქჷნი** „იტყვის“, **იმბჷწლ** „ლაპარაკობს, საუბრობს“... ყველაზე ხშირად მეტყველებაში გვხვდება ზმნები **გვრგლი** და **იმბჷწლ**.

განსხვავებით მეგრულისაგან სვანურში **გვრგლი** ფორმას ეწარმოება სრული პარადიგმატული მოდელი, ოთხივე სერიის ყველა მწკრივის ფორმა, მათ შორის, მყოფადსრული, სვანურისათვის სპეციფიკური მყოფა-

დუსრული და III თურმეობითი: იგგრგაღლი „ილაპარაკებს“ (მოფად. უსრული) ლმაგგრგლინე „ილაპარაკებს“ (მოფად. სრული) ლმაგგრგლე „ილაპარაკა“, ლოხგრგლა „ულაპარაკია“, ლეგგრგაღლინ „ნალაპარაკება“ (III თურმეობ.).

ერთ სემანტიკურ ველში შეიძლება გავაერთიანოთ შემდეგი ზმნები: იბრყაღლ „უთავბოლოდ, დაბნეული ლაპარაკობს“, იფშედიელ ტრაბახობს“, ფოჟჟე „ბოდი-ალობს, ბოდავს“, ბურდღუნე „ბურდღუნებს“, პურტყნი /პერტყნი „პურტყუნებს, პუტპუტებს“, ბურტყუნე „დაბალი ხმით ლაპარაკობს, ბურტყუნებს“, დურდღუნე, დუდღუნებს, ბურდღუნებს“, ბანყორე „ბლყუნებს“, ჯურჯღუნე/ჯანჯღორე „ჯაჯღანებს“, ტგრტნი „როშავს, ყველაფერს ამბობს, რაც ენაზე მოადგება“, დანდღორე „დუდღუნებს, დაბალ ხმაზე გაურკვეველად ლაპარაკობს“, ლგრდღუნე „დუდღუნებს“, სხნრჟე „სხაპასხუპით ლაპარაკობს“, ტგრტყნი „ტატყანებს, ჭაჭყანებს“, პგრტყნი „პრუტუნებს, სისულელეს ბოდავს“, ტანტყორე „ტიტყინებს“, იფუნჩულაღლ „ჩურჩულებს“, ბნჟე „ქადაგებს, ბევრს ლაპარაკობს“, აკანრჟე „სასიამოვნოდ ხმამაღლა ლაპარაკობს“, რანტე „ხმამაღლა, ჩქარა ლაპარაკობს“, ყანყორე „ყრანტალებს“, ფანჩორე „ჩურჩულებს“, ჭგრტყნი „ჭიტყინებს“, ჭგრტჟნი „წერილი ხმით არასასიამოვნოდ ხმამაღლა ლაპარაკობს“, ბანდღორე „ცხვირში ლაპარაკობს, თხიპინებს“, დანდღორე „დუდღუნებს“, ცხვირში ლაპარაკობს“, ბანდღორე „ჩუმიად ლაპარაკობს, ჩურჩულებს“, ტანტორე „პრუტუნებს, ტიტინებს“ პანტორე „პრუტუნებს, სისულელეს ბოდავს“, ფანჩორე „ჩურჩულებს“, წურწყუნე „წიკვინებს“, ბანყორე „უჭკუოდ, უშნოდ ლაპარაკობს, როტავს“, ბანცორე „ხმადაბლა, გაურკვეველად ლაპარაკობს“, წგრწნი „წრიპინებს“...

უმეტესობა ამ ზმნებისა ხმაბადვითია. აქ აშკარად გვაქვს საქმე ბგერწერით შინაარსთან, ფონოსემანტიკურ ლექსემებთან. საუბრის, ლაპარაკის სხვადასხვა მანერის აღმნიშვნელი ეს ზმნები ხშირად გადატანითი მნიშვნელობით იხმარება და სარკაზმის, ირონიის, უკმაყოფილობის გამოსახატავად უფრო გამოიყენება მეტყველებაში. მაგალითად:

1. **გზრგლი მამა, ბანცრე მერამ** „კი არ ლაპარაკობს, დუდღუნებს რაღაცას“;
2. **ჰამუნდჲ ნზოზდ ჩუ ლგ ი ტანტყრე** „მთელი დღე (დილიდან საღამომდე) ხმამაღლა უთავბოლოდ ლაპარაკობს“;
3. **თერთნი ი ეჩი ნჭჟისგს ჩუ დემგტაშ მოშ ხცხრე** „თრითინებს, დუდღუნებს და მისი ნათქვამიდან ვერაფერს გაიგებ“;

ილუსტრაციები სვანური ენის ქრესტომათიიდან და ცოცხალი მეტყველების ნიმუშებიდან:

1. მერმა ლადღ ჭიტი დოსგ ანგგზნ, მზინძელს მავტნამ ხჭტ ი ვგითე აჩღ (სვან. ენ. ქრესტ. 1978: გვ. 105).. „მეორე დღეს ჭიტი ადრე ადგა, მასპინძელს მადლობა უთხრა და შინ წავიდა“.
2. **თანთხერღღ** მავტნამ ხჭტ ი ქორთე ლიწსი ლოხტბინე, მარე **თხერემ** უარ ხჭტ (სვან. ენ. ქრესტ. 1978: 155). „თანთხერიღმა მადლობა გადაუხადა და სახლში დაპატიჟება დაუწყო, მაგრამ მგელმა უარი უთხრა“.
3. **ამეჩუ ესნზრ აღ მელჯრჯრა ჩუ ლგმგენ ი ეჯჟი სწრიკოდ ლგმტენტურწლ** „აქ თურმე ეს დევგმირი მდგარა და სასწაული სახით ნატარტალება“.
4. **ანამბტეტუ ესერ მწლევტუმ, მალდ ხჭტინ...** „რამე მოყვიო, – უთხრა მეღამ“.

5. დამდურდ ზაქტინ ამისა თხერეს ი მალს: „დათვმა უთხრა ე ამათ მეგელსა და მეელას“.

საგანგებოდ გვინდა შევჩერდეთ ქართველურ ენათა რამდენიმე ეთნოლიგვისტური ტერმინისა და მეგრულის, ლაზურისა და სვანურის პოლისემიურ ლექსემათა შესახებ. რა თქმა უნდა, ეს არ არის სფერო მორფოსინტაქსისა, მაგრამ ამჯერად ჩვენთვის საინტერესო აღმოჩნდა სწორედ სემანტიკა-სემასიოლოგიისა და ლექსიკოლოგიის ასპექტებიც, სწორედ ქართველურ ენათა საერთო ტიპოლოგიისა და ერთიანი წარმომავლობის ხაზგასასმელად: ენაში აირეკლება ისტორია და თავგადასავალი ერისა, მის ლექსიკურ ერთეულებში შესაძლებელია დავინახოთ ისტორიული მოვლენების კვალი, ასევე ამა თუ იმ კუთხისათვის დამახასიათებელი წეს-ჩვეულებების, ადათის, სეპეციფიკის, ეთნოლოგიური თავისებურებების ანარეკლი. საენათმეცნიერო ლიტერატურა ში მიღებულია თვალსაზრისი, რომ ქართველური ენები საკმაოდ მდიდარია ყოფა-ცხოვრების, რელიგიური დღე სასწაულების და საქართველოს ამ კუთხეებისათვის დამახასიათებელი თვითმყოფადობის ამსახველი ლექსიკით. თუმცა აქვე უნდა აღინიშნოს ის გარემოებაც, რომ თავისებური და გარკვეული სირთულე ახლავს მათ თარგმნას, ვინაიდან სხვა ენაზე თუნდაც მშობლიურ ქართულზე მათი ზუსტი მნიშვნელობის გადატანა ყოველთვის ვერ ხერხდება. ამჯერად ყურადღება გამახვილებულია რამდენიმე ლექსიკურ ერთეულზე, რომლებიც საქართველოს ამ ძირძველი კუთხეების ყოფითი სპეციფიკის ამსახველია, რელიგიურ - ეთნოლოგიური ფუნქციისა და სემანტიკის მქონეა და გარკვეულ შემთხვევებში ტერმინების როლშიც გვევლინებიან. აქვე მოცემულია ცდა ლინგვოკულტუროლოგიურ ჭრილში მათი შესწავლისა და ქართველურ



ენათა ლექსიკონებში ამ ლექსემა-ტერმინთა დაფიქსირება-გაშუქებისა. შესაბამისად, საანალოზო მასალა ამოკრებილია შემდეგი ლექსიკონებიდან: ნ. მარი, ჭანური (ლაზური) ენის გრამატიკა, 1910წ. (რუსულ ენაზე); ი. ყიფშიძე, რჩეული თხზულებანი, თბ. 1994; ნ. ჩართოლანი, სვანური ტექსტები და ლექსიკა, თბ. 2003წ. ვ. ბარდაველიძე, სვანურ ხალხურ დღეობათა კალენდარი, I ახალწლის ციკლი, თბ. 1939 წ.

ბინა – ათინურში, თითოეული სასიმინდეს ოთხი ბოძიდან; შუქრი ეფუენდის მიხედვით, ოთხი ხარისა კვადრატულად, რომელთა კუთხეებში ჩასმულია სასიმინდეს ოთხი ბოძი. (მარი, 130).

ბოდა -- ათინურში ბადე ან ბადურა ვაშლის შესაგროვებლად: ის მაგრდება ჯოხის ბოლოზე; ამ ჯოხს ეწოდება “კალი”; ერთად კი – “ბოდა-კალი”; ბოდა ხოფურში ბადისებრი ტომარა კაკლისთვის და ასე შ. ოწილაშე და უშკური ოწილონი.. ო-ბოდალე ხოფ-ში ბადისებრი ტომარა ჩიტის საჭერი ბადის შესანახად: მასში დებენ ბადეს ჩიტებისთვის და „ხარშვა“) განხილვისას მოჰყავს ლექსემა გიბერიჩაირი, ასევე გიბიჩაირი, ხოფუსში მოხარშული ბალახი (როგორც რბილი, მას აძლევენ ძროხებს, როცა ისინი ავად არიან). (მარი, 136).

ღუვალი – ხოფ. (ძველად) ბაღდახიანი ჯოხებისგან და აბრეშუმის ნაჭრისგან საქორწინო პროცესიაზე; ის ეჭირათ ფეხით მიმავლებს, დედამთილს (მთირე) და ბიძას ან სხვა ახლობელ პირს, პატარძლის თავს ზემოთ. (მარი, 140).

ვირვილი – ვიწურში საბავშვო სათამაშო: ჯოხის ზედა ბოლოზე თარაზულად მაგრდება ღერო გვერდებზე ქაღალდებით; ჯოხის მოძრაობისას ღერო ტრიალებს, (ქარტალიშ ოვრიალონი ხოფ-ში, ოფირფილონი არქაულ ერთ-ერთ თქმაში; ოვირვილონი (ასევე ოვილელონი) ვიწურში საბავშვო სათამაშო მთელი, ფრთხილად გამოწმენდილი

ორი ნიგეზის კაკლის ნაჭუჭებისგან, რომელთაგან ერთი უფრო დიდია, მეორე კი- მომცრო. მომცრო ღერძზე ჩამოცმული; ღერძი გაყრილია მეორე, უფრო დიდ, კაკალში გამჭოლად, ამასთანავე ღერძზე დახვეულია ძაფი, რომლის ბოლო გამოტანილია გარეთ და მისი ხშირი მოქაჩვა იწვევს ზედა პატარა კაკლის ტრიალს (კაკალიშ ოვრიოლინი ხოფურში, ოხარხალონი არქაბულის თქმაში). (მარი, 145).

თერმონი – ბერძნ. თერმოს- “ცხელი”; ნ. მარი აღნიშნავს რომ, თერმონი ხოფურსა და არქაბულ-ვიწურში არის კისელი, მომზადებული ყურძნის წვენიდან, აქვე დასძენს, რომ “თერმონზე“ ფეიზ-ბეიმ ერთი თურქული ანდაზა ჩააწერინა, რომლის შინაარსი შემდეგია: ლაზური თერმონი მუსულმანს არ ეჭმევიაო. თერმონი იგივე ფელამშია (აღმ. თათარა), რომლის შესატყვისს ნ. მარი, რატქმაუნდა რუსულში ვერ იპოვიდა და მიმსგავსებული ტექნოლოგიის საკვებ- კისელი მიუსადაგა ასახსნელად. (მარი. 146).

წანგი – ქალის ფესხაცმელი (ხოფურში) ყვითელი ტყავისგან სამუხლით (ყალონი), შდრ. აპუნი. . მარი აღნიშნავს, რომ ეს ფესხაცმელი (წანგი) მის დროს უკვე არაა: ხოფაში მისი მასწავლებლის – ალი ეფფენდის დედა, 80 წლის მოხუცი ჯერ კიდევ ატარებდა. (მარი, 218).

ჭუკალი – ვიწურ-არქაულში ერთგვარი თამაშია ჯოხებით, კერძოდ წუკალი არის ხის ჯოხი წაწვეტებული ბოლოებით: მის ერთ-ერთ ბოლოზე არტყამენ უფრო დიდ ჯოხს (მეტ) და, როდესაც ის ავარდება, უკვე ჰაერში ახალი დარტყმით მოისვრიან შორს; ხოფურის ერთ-ერთ თქმაში წუკალს ჰქვია რიკი, მეტს (დიდ ჯოხს) კი- რიკიშ ბიგა; ხოფაში ეს თამაში ცნობილია სახელით მილონი: წუკალს ჰქვია მილი, მეტს მილიშ ბიგა ან დაფა. ნ. მარს ლაზისტანში უთხრეს რომ ქართულად ამ, თამაშს ეწოდება “ბილა”, მისთვის კი ცნობილი ყოფილა გურული სახელწოდება “რიკ-ტაფელა”, რიკი-წუკალი, ტაფელა-მეტ; აქვე ავტორი მოიხსენიებს

სტუდენტ აკ. შანიძის მიწოდებულ ქართულ ტერმინს “ფილა”, რაც აცდენას, წარუმატებლობას ნიშნავს, ზემო იმერეთში, გურიასა და ქვემო იმერეთში იმავე მნიშვნელობით გამოიყენება ტერმინი “ფუწი”. ნ. მარი წერს, რომ აქედანაა ქართულში გამოთქმა “ფუწიმე” დამნაშავეს (მე დავაშავეს) მნიშვნელობით. ქართლში, დასძენს ავტორი, დიმავე თამაშს ეწოდება ჩილიკა-ჯოხი; ჩილიკა თურქულში სათამაშო ჯოხია, იგივე თამაში სომხურშიც არის. (მარი. 222).

ჭანდ – ოჭანდუ ვიწურ არქაბულსა და ათინურში მიწვევას, მოსაწვევს ნიშნავს; ხოფურში ერთგვარი საქორწინო პროცესია: როცა საქორწინო პროცესია პატარძლითურთ მიუახლოვდება სასიძოს სახლს (სტელო-ს), დედამთილი, მაზლი, მუღი, პატარძალს შეაყრიან ფულს (ფარა ნობრაფან); “-ინ” სუფიქსით ოჭანდ-ონ უ ათინურში ინსტრუმენტზე დაკვრას ნიშნავს, ხოფურში ვოჭანდინარე კი მოწვევას. (მარი, 223). ხარო – ქართულიდან ვიწურში ოთხკუთხა განყოფილება კუთხეში ან სასიმინდეს რომელიმე კედლის გასწვრივ, ხილის, პურის და სხვა საკვების შესანახად. (მარი, 229). ო- ხარულე – ყუთი სიმინდისთვის, რომლიდანაც ის იყურება დოლაბში; ვიწურში – ოხარე, შდრ. ო-მ-ქირალე (ქუერი) (მარი, 229).

იოსებ ყიფშიძის მეგრულ-ქართული ლექსიკონი, „მართალია, თარგმნითი ხასიათისაა, მაგრამ რამდენადმე ეტიმოლოგიური და ენციკლოპედიური ლექსიკონების ნიშნებსაც ატარებს, რაც ზრდის მის საცნობარო და მეცნიერულ ღირებულებას. არსებითად, ენციკლოპედიურ სიტყვა-სტატიებს წარმოადგენენ წარმართულ ღვთაებებთან, უძველეს წეს-ჩვეულებებთან თუ გადმოცემებთან დაკავშირებული ისეთი ლექსიკური ერთეულები, როგორიცაა: ანთარი, აღანურობა, გოხარჭალაფა, არამ-ხუტუ, კაპუნა/ მირსობა, მესეფი, ჭეჭეთობა და სხვა – აღნიშნავს კორნელი

დანელია წინასიტყვაობაში (იოსებ ყიფშიძე, რჩეული თხზულებანი, თბ., 1994, გვ. 9)

1. აღანურობა-მაღანურობა (გვ. 397) – ადათი, რომელიც სრულდება 20-21 აგვისტოს ეკლესიის ეზოში ზუგდიდის ოლქის სოფელ ბიაში;

2. ანთარი ქინი (გვ. 398) – ქინი ანთარი, მიჩნეულია ღვთაებად, რომელსაც იხსენიებდნენ დიდმარხვისას; ღვთაების პატივსაცემად სწირავდნენ მსხვერპლს.

3. ბარბალობა (გვ. 404) – დღესასწაული წმინდა ბარბაქუს პატივსაცემად, რომელიც იმართება 4 დეკემბერს. ამ დღეს აკრძალულია ყოველგვარი შრომა; მეგრელების რწმენით, ამ დღეს მზე ერთი ნაბიჯით იწევს უკან და დღის ხანგრძლივობა მატულობს; ამ დღესვე ირჩევენ მეკვლეს.

4. თუთაშხა (გვ. 438) – თუთაშხა ბედნიერი, ასე უწოდებენ მეგრელები დიდმარხვის პირველ დღეს. მათი რწმენით, ამ დღეს დაწყებული ყოველი საქმე წარმატებით სრულდება, განსაკუთრებით მოზარდთა განსწავლულობა. ამ მიზნით, ორ წელიწად ტაფას უდგამდნენ იატაკზე ფეხშველა მჯდომ მოზარდს და ჯვარედინად აყოფინებენ შიგ ფეხებს, თან აიძულებდნენ ჩაეხედა გაშლილ ანბანში და აცნობდნენ ანბანის პირველ ასოებს. ამ რიტუალს ოთუთაშხური ერქვა. სადილად ამ დღეს ამზადებდნენ ხოზო-კვარს; ამ დამესვე ქალწულები მკითხაობდნენ, ჭამდნენ რა მლაშე კვერებს.

5. ერტი (გვ. 436) – წინასწარმეტყველებათა წიგნი, გადმოცემით, ის დაწერილია დიაკვან მირცხულავას მიერ, რომელსაც წინასწარმეტყველად თვლიდნენ. ამ წიგნში ნათქვამია სამეგრელოში დადიანების დინასტიის აღზევებისა და შემდგომში წითელი ადამიანის გამეფებისა.

6. კაპუნია-კაპუნობა (გვ. 456) – გადმოცემით, კერპის სახელი, რომელიც იღვა იმ ადგილას, სადაც ახლა მარტვილის მონასტერია; ის დამზადებული იყო რკინისაგან, პირდაღებული კაცის სახით, რომელსაც ქურუმები ცოცხალ

ბავშებს სწირავდნენ. კაპუნობა იმართებოდა დიდმარხვამდე 10 დღით ადრე. ადამიანის ნაცვლად კერპს სწირავდნენ ამ დღისთვის გამოზრდილ ღორს (ოკაპუნე), მირსობისას თქმულ ლოცვებთან ერთად.

7. კუნხა (გვ. 467) – ადათი, რომელიც სრულდება 2 იანვარს, სტუმარი წინასწარ შერჩეულია ოჯახის მიერ 4 დეკემბერს, ბარბალობისას.

8. ნაფრა-ნაფურნახა (გვ.490) – რომელიდაცა ღვთაების სახელწოდება, რომელსაც მსხვერპლად სწირავდნენ ჭკავის პურს ყველითურთ ივლისის თვის შაბათს. რიტუალის შესრულებისას დგებოდნენ სახით სამხრეთისაკენ, წინასწარ ამწყვევდნენ ღორებს.

9. ნერჩი- ნერჩიში ხვამა-ოჯუმაშხური (გვ.492) – სალოცავი რიტუალი, რომელიც იმართება ოთხშაბათს დიდმარხვამდე 25 დღით ადრე რომელიდაცა ღვთაების პატივსაცემად.

10. ორთა (გვ.498) – ორი ღვთაების დასახელება: ა) ცხოველთა მბრძანებელი „გალენიში ორთა“(გარეულთა ღვთაება) და ბ) ცის მბრძანებელი „ჟინიში ორთა“(ზედა მბრძანებელი). პირველ ღვთაებას ოჯახის უფროსი გომურში ევედრება საქონლის დაცვას გარეული ცხოველებისაგან; მეორე ღვთაებას კი ზაფხულობით ტყეში მამალს სწირავენ და ღმერთს შესთხოვენ საქონლის დაცვას მეხისაგან.

11. ოხუჯური (გვ. 528) – ამ სახელით სამეგრელოში ცნობილია დღესასწაული, რომელშიც მთელი სოფელი მონაწილეობს. ყველანი დგებიან წრეში და სიმღერის ტაქტზე ირხვეიან. თავიდან ქალები გამოეყოფიან კაცებს, შემდეგ- კაცები ქალებს; სიმღერის პირველ ნაწილს ქალები ასრულებენ, მეორეს – კაცები, თან ცდილობენ ერთმანეთს დაასწრონ. ამას ეწოდალას (წართმევა) ეზახიან.

12. გაძიგება (გვ. 578) – სრულდება ყოველთვის ოთხშაბათს დიდმარხვის 24-ე დღეს. ამ დღეს ვახშმად პირველად

ამზადებენ ფხალს ჭინჭრისაგან. ახალი წლის დადგომისას სასტიკად აკრძალულია ჭინჭრის სახელი ხსენება, მას უწოდებენ „ოზეში ხოჯს“ (ეზოს ხარი). გაძიგებისას კი ჭინჭარს შეიძლება საკუთარი სახელით მოხსენიება.

13. ჭეჭეთობა (გვ. 591) – ამ სახელით სამეგრელოში ცნობილია ელიობისა და ღვთისმშობლის მიძინების დღესასწაულებისას შესრულებული რიტუალი. ხალხური გადმოცემით, ქალები და კაცები, რომლებიც ბოროტ სულთან არიან შეკრული, იმ საღამოს მიემართებიან სოფლის შემადღებელი ადგილისაკენ და ყურს უგდებენ იმას, თუ რა ხდება თანასოფელთა სახლებში. თუ გაიგონებენ ნაჯახის მსგავსი დარტყმის ხმას, ეს ნიშნავს, რომ იმ სახლში წლის განმავლობაში მამაკაცი გარდაიცვლებოდა; თუ სიმინდის დაფქვის ხმას - ე.ი. ქალი გარდაიცვლებოდა.

14. გოხარჭაღაფა (გვ. 602) – რიტუალი, რომელიც დიდ ხუშბათს სრულდება. საღამოს, ვახშობის შემდეგ ოჯახში აირჩევენ ქალიშვილს, რომელიც მდუმარედ იღებს თითისტარს და იწყებს შალის ძაფის რთვას. ამ წუთიდან იგი ვერ ილაპარაკებს, ვერც იჩურჩულებს, მიუხედავად იმისა, რომ გარეშემყოფნი ცდილობენ მის ამეცყველებას. შუადამისას მდუმარე ჩუმად დგება, ჩუმად გადაუხვევს ოჯახის ყველა წევრს ფეხს თავისივე ძაფით, აიღებს, სპილენძის ქვაბს და ხმაურის ატეხით აღვიძებს მთელ ოჯახს. ოჯახის წევრები სასტვენით უერთდებიან მდუმარეს და ხმაურით მთელ ეზოს მოედებიან.

15. ხეხუნჯობა (გვ.613) –ეს დღესასწაული სამეგრელოში 31 დეკემბერს ტარდება. მასში მონაწილეობენ მხოლოდ მჭედლები და ხარატები, რომლებიც ვაღდებულნი არიან სამჭედლოში ჰქონდეთ ქვევრი ღვინით სავსე, რომელსაც სწირავენ წმინდა სოლომონს.

16. მირსობა (გვ. 485) – დღესასწაული, რომელიც იმართება დიდმარხვამდე 24 დღით ადრე რომელიღაცა კერპის

პატივსაცემად. ღორს, რომელსაც ღვთაებას სწირავენ ომირსეს უწოდებენ.

მირსა (→ მირსობა), მ(ე)ისარონი, ჯეგე-მისარონი: მითრას კულტი ჩაისახა ძველ ინდოეთში („რიგ-ვედა“) და სრულყოფილი სახე მიიღო პართულ (ირანულ ენათა ოჯახის ჩრდ.-დას. ჯგუფი) ჰიმნოგრაფიაში („ავესტა“, „იეშთ-სადე“), სადაც იგი წარმოდგენილია აჭურამაზდას (შემოქმედი ყოველივე არსებულისა) უპირველეს თანამებრძოლად, მზისა და სინათლის ღვთაებად, ბოროტების დამთრგუნველად და სიკეთის მფარველად. „მითრას კულტმა განიცადა განსაკუთრებულად ფართო გავრცელება. მითრას სახე დამკვიდრდა (პირდაპირ ან ირიბად) სხვადასხვა კულტურულ-ისტორიულ ტრადიციებსა და რელიგიურ-მითოლოგიურ სისტემებში“ (მით. ლექსიკონი, 1990 : 361). მითრაიზმი სწრაფად გავრცელდა კაპადოკიაში, ხოლო იქიდან მთელ მცირე აზიაში, პონტოს სამეფოში, ბერძნულ-რომაულ სამყაროში (რომის იმპერია) და მხოლოდ ახ. წ. IV ს-ში დათმო პოზიციები ქრისტიანობის წინაშე. „მითრაიზმის ოფიციალურად დამარცხებისა და ქრისტიანობის გაბატონების შემდეგ მითრაიზმი ქრისტიანობასთან შეგუების გზას დაადგა და წმინდა გიორგის სახით მოგვევლინა“ (ანდრონიკაშვილი, 1966:33). სომხეთში მითრას კულტი დიდი პოპულარობით რომ სარგებლობდა, ამას ადასტურებს მითრას ტაძარი ბაგარაჯში (თანამედროვე თურქეთის ტერიტორიაზე), სამსხვერპლო მთებში, ვანის მახლობლად (ძვ.წ. I ს.) და სხვ. გარდა ამისა, „Следы почитания М. обнаруживаются: в древнеармянском календаре..., в армянской ономастике (включая топонимику) – более 150 наименований, производных от имени М. Влияние культа М. после распространения христианства проявилось в армянских духовных песнях, сложившихся в 5-8“ (მით. ლექსიკონი, 1990: 336). თეონიმი მითრა ქართულ წერილობით წყაროებსა და აღმ.

საქართველოს დიალექტების ფოლკლორში, კულტმსახურებასა და ეთნოგრაფიაში არ ჩანს, მაგრამ მაინც არის ცდა, დასაბუთდეს, რომ მითრას კულტი ცნობილი იყო ქართველებისათვისაც. ქართულ სინამდვილეში პირველი ნ. მარი იყო, რომელმაც ქართული პანთეონის ერთ-ერთი ღვთაება – ზადენი – მითრასთან გააიგივა (მარი, 1901). გამოთქმულია ვარაუდი, რომ ქართული ეპოსის გმირის სახელი ამირანი „იქნებ „ამიჰრან“-ად გამოითქმოდა, რაც, თავის მხრივ, „მიჰრანს“-ს, „ამითრა“-ს, „მითრას“-ს უდრის. „ა“ ამ შემთხვევაში ის ძველი თავსართია, რომელიც ეხლაც ასეა მიღებული აფხაზურში“ (ჯავახიშვილი, 1951 : 159). ს. მაკალათიაც გამოთქვამს ვარაუდს, რომ „მითრა-იზმის უნივერსალური რწმენა ქართველებშიაც უნდა ყოფილიყო გავრცელებული“ (მაკალათია, 1927 : 183) და მკითხველს წარმოუდგენს რამდენიმე ფაქტორს: მაზდეანური მოძღვრების გავრცელება ქართველთა შორის მითრას გარეშე შეუძლებელი იქნებოდა; მცხეთაში აღმოჩენილი რიტუალური ჭურჭლის ცალ ყურზე ამოკვეთილია ღვთაება მითრას სახე;

მითრა ჩანს მცხეთაშივე აღმოჩენილ ბარელიეფებზე; ქართველი მეფეები ატარებდნენ მიჰრ ფუძის შემცველ სახელებს: მიჰრდატი, მირიანი (← მიჰრან) და სხვ. ყველა დასახელებული არგუმენტი არაარსებითია. ღვთაება მითრას სახელი ქართულ საისტორიო წყაროებსა და აღმოსავლურ-ქართული დიალექტების ფოლკლორში, ეთნოგრაფიაში, საკულტო სალოცავების ტექსტებში, როგორც უკვე აღინიშნა, არ ჩანს. დასავლეთ საქართველოში კი, კერძოდ სამეგრელოში, ფართოდაა გავრცელებული ლოცვა-ვედრებანი, რომლებიც იწყება მიმართვით მირსასა და მირსობისადმი: ა. „წიმაღა მირსა! ამუღდა ბხვამუღენქ ჩქიმი თოლიში სასინთელოთ...“ („წმინდაო მირსა! დღეს ვლოცულობ ჩემი თვალის



სიმრთელისათვის...“). (იხ. მაკალათია, 1938:12); ბ. „ღღარი მირსობაში მოზოჯუა...“ („დღეს მირსობის მობრძანება...“). (ყიფშიძე, 1994:350). მირსობას კი დღესასწაულობდნენ დიდმარხვის დაწყებამდე 24 დღით ადრე. სამეგრელოს „სხვადასხვა სოფელში დღესაც დაცულია მირსას ან ჯეგე-მისარონის სალოცავები“ (ბადათურია, 1991 :6). ამას ადასტურებს მითრაიზმის კულტის გადმონაშთის ამსახველი ტოპონიმური მასალა, რაც სამეგრელოში ჩაწერილია ოთხი ათეული წლის წინათ: მირსობა// ნირსობა//ცხვა(ცხვისუკი – ბორცვი სქურჩა-წკვიბლალის წყალგამყოფზე (სოფ. ლედვინჯილე, წალენჯიხის რ.). 85 წლის ინფორმატორი ესტატე ღვინჯილია გადმოსცემს (5. 10. 69): "უწინ აქ ცაცხვი მდგარა და ყოფილა სალოცავი. ესვენა წმინდა გიორგის ხატი. ღვინჯილიები აქ ამოდიოდნენ და აღნიშნავდნენ ნირსობას, რაც ხდებოდა ზამთარში, თოვლში“ (პ. ცხადაია, მირსა (→ მირსობა), მ(ე)ისარონი, ჯეგე-მისარონი სამეგრელოს ტოპონიმიაში, სსუ, ლინგვისტური ქართველოლოგიისა და აფხაზოლოგიის პრობლემები, III, თბ. 2012წ. გვ. 312-324). მირსობა// ნირსობა//მოგონაში – ბორცვი ტეხურის ნაპირზე, სოფ. ეწერში (ტალერის საკრ., მარტვილის რ.). გადმოსცემა: "აქ მდგარა ძველთაძველი თუთის ხე. მასთან მოდიოდნენ მირსობა დღეს, შემოუსხდებოდნენ და ღმერთს შესთხოვდნენ ძროხის დაცვა-გამრავლებას. ამ ხეს ერქვა სამირსო".

**სვანური:**

შეშხჷნჷმ/შუშხჷნჷმ – (<ლი-შხჷნჷმე); ახალწლის წინა დღე, რომლის განმავლობაში საახალწლო სამზადისი მიმდინარეობდა, ოჯახის მამაკაცი ტყეში ჭრიდა ნაძვისა და მრავალკვირტიანი თხილის ტოტებს, აგრეთვე არყის ხეს. თხილისა და ნაძვის ტოტების კონას გვიზი (გუზიზ)

ეწოდებოდა, ხოლო არყის ხეს – ხული (ჯუღ) ერქვა. იმ დღეს ირჩევდნენ მეკველებსაც.

კტიმტობ – ამ დღეს სრულდებოდა ახალწლის წეს-ჩვეულება: „ხელის შენაცვლება“, (შში ლიფშედე//ლიცნდი) ქალები ერთმანეთს უცვლიდნენ პურის ფქვილს, კაცები – ფულს.

ლიფანწლი –(ლი-ფან-წლი-ი ); მიცვალებულთა სულების მოსახსენებელი დღეობა. სვანების რწმენით ამ დროს მიცვალებულთა სულები სასულეთიდან (ლაქუნ) მოდიოდნენ სტუმრად ამქვეყნიურ საცხოვრებელში, ამიტომ ოჯახში ამ დროს იმართებოდა ლიფანალი, რომელიც საოჯახო დრესასწაულთა შორის ერთ-ერთ უმდიდრეს დრესასწაულს წარმოადგენდა. ზემო სვანეთში ლიფანალი იწყებოდა წყალკურთხევის (განცხდბ) წინა დღეს– 5 იანვარს, (ძვ. სტილი) და უახლოეს ორშაბათს მთავრდებოდა. (ჩართოლ. სვან. ტექსტ. 2003:175). ლიფანე – ტაბლების დადგმა დალოცვით მიცვალებულთა სულების სახელზე. ლიფანეს წეს-ჩვეულება დამყარებული იყო შეხედულებაზე რომ სული გარდაცვალებიდან ერთი წლის განმავლობაში თავის ოჯახს არ სცილდებოდა, ამიტომ მას სასმელ-საჭმელს შინ მიართმევდნენ, უწყობდნენ ლიფანეს – რიტუალურ პურობას, რომელიც შინ იმართებოდა, (ისევე როგორც კონჩხწრ, კათხ-ტაბზგ, ბწცხ, ლუხორ...)

ლაღხორთე ლიზი – სვანების რწმენით, სულები ლიფანალის გარკვეულ დღეს ცოცხლების ოჯახებს ტოვებდნენ და მიდიოდნენ სასულეთში კრებაზე ქრისტე ღმერთთან. ამ სახელწოდების სოფლებია კალისა და ლენხერის თემებში. ლაღხორთე ლიზი ხდებოდა ლიფანალის შაბათ საღამოს. სგალიტხწლ –(სგა-ლი-ტხ-წლ); სულების დაბრუნება ბჭობიდან ლიფანალის კვირა საღამოს ხდებოდა. (ჩართოლ. სვან. თექსტ. 2003:176)

ჯრდი ჰამ – ლიფანალის უკანასკნელი დღე. ეს დილა მზის ამოსვლამდე ძალიან ადრე იწყებოდა, ამიტომ გრძელი იყო. ამ დროს სულები ცოცხლების ოჯახებს ტოვებდნენ და თავის საიქიო სამყოფელს უბრუნდებოდნენ. ზემო სვანეთში ჯრდი ჰამ ორშაბათს ემთხვეოდა, ქვემო სვანეთში – ხუთშაბათს. საყურადღებოა, რომ დაღის ხეობაში ჯრდი ჰამს მოისხენიებენ ტერმინებით ლიჰლომწლი და ქუნრტუნ ქა ლისგუჯინე.

ლიგუნაშწლ – (ლი-გუნაშ-წლ); იწყებოდა გრძელი დილის დამთავრების შემდეგ, როდესაც სულებს გაისტუმრებდნენ და მზე ამოვიდოდა. ამ დღეს ერთმანეთის გამურვამ კარგი ჭირნახული იცოდა.

ნალტწხურა – (ნა-ლ-ტწხ-ურ-ა); მკვიდრი სულების დაბრუნება. ლიფანალის მომდევნო ხუთშაბათს ან უკანასკნელი დღის სწორზე.

ლიქტრეშიელ – მიძღვნილი იყო წმინდა ბარბარეს სადილებლად. იწყებოდა ხორციელი კვირის პარასკევს, თებერვალში (ჩართოლ. სვან. ტექსტ. 2003:177).

ლამწრინ ლიფდგაწლ/ლიფდგინწლ – ღვთისმშობლობა, რელიგიური დრესასწაული, ამასთან კავშირსი საინტერესოა ტოპონიმი ლამწრინ ნამსგოჯვარ – ნაეკლესიარი (მურყმელი); სვანურად სიტყვასიტყვით ნიშნავს: “ღვთისმშობლის დანაბრძანები“ ე. ი. ადგილი, სადაც ღვთისმშობელი დაბრძანებულა“... ამ თეონიმთან დაკავშირებით სამეცნიერო ლიტერატურაში გამოთქმულია მოსაზრებანი: ლამწრია ღვთისმშობელ წმინდა მარიამის სახელისგან უნდა მომდინარეობდეს. ე. ი. სვანური ლა- პრეფიქსი დაიმატა საკუთარმა სახელმა მარიამ და მივიღეთ ლამწრია. (ივ. ჯავახიშვილი, თხზ. ტ. I. თბ. 1979. გვ. 121) სვანური პრეფიქსი ლა- ქართული სა-ს ბადალია. „მაგრამ სვანურში არ გვაქვს სხვა შემთხვევა, რომ ლა- პრეფიქსი საკუთარ სახელს აწარმოებდეს. ამიტომ არა გვგონია, სვანური

ლამწრია თავიდანვე წმ. მარიამის აღმნიშვნელი ყოფილიყო. ჩვენი აზრით, ლამწრია წარმართული რელიგიური კულტის ისეთივე სახენაცვალი ფორმაა, როგორცაა ბარ-ბალ, თვით ქართული მარიამობა, მეგრული მარაშინა წარმართულ რელიგიურ სინამდვილეში იღებს სათავეს. (ქართული ფოლკლორის ლექსიკონი, II, თბ. 1975. გვ. 8). რადგან ლამწრიას (მარიამობის) რიტუალს ბევრი წარმართული ელემენტი ახლავს, არ არის გამორიცხული შესაძლებლობა, რომ ისიც შუმერულ წიადში იღებდეს სათავეს, მით უმეტეს, რომ შუმერებში ცნობილია ადამიანის თანამდევნი, მფარველი ანგელოზი, რომელსაც ლამარი ერქვა. (ზ. კიკნაძე, შუამდინარული მითოლოგიის ლექსიკონი, თბ. გვ. 35). „სვანური ლამწრია და შუმერული ლამარი ფონეტიკური თვალსაზრისითაც ძალიან ახლოს დგანან. როგორც ჩანს, ქრისტიანულმა რელიგიამ წარმართული კულტი თავის ნიადაგზე მოაქცია და ღვთისმშობლის ფუნქციები დააკისრა. ასე მოხდა ძველ საბერძნეთსა და რომში, სადაც არტემიდასა და დიანას სახალხო დღესასწაულები, რომელიც ზუსტად ქრისტიანული მარიამობის დღეს იმართებოდა, შეიცვალა წმ. მარიამის დღესასწაულით. (მიბჩუანი, 1989, გვ. 342-343). მესარზბ – საქონლის გამრავლებისათვის განკუთვნილი დღეობა. ხორციელი კვირის შაბათი.

ხუნჯლობ – ყელის ტკივილის საწინააღმდეგოდ განკუთვნილი დღეობა. ლამპრობის მომდევნო ხუთშაბათს. ამ დღეს დილაუთენია ღორის ხორცის სამ მწვადს და სამ კუბდარს შეალოცავენ შემდეგი სიტყვებით: ჯგრგ ხუნჯლობიშ ნიშგე ვუნშ-მალტუნდ ლეჟა ბიქტს ლახო ი ლექტა ლიცს, ნიშტუნე ქორთესგა ვუნშ-მალტუნდს ი თხტინი მწიგს ნოსა ახჰუნა, „დიდება შენდა, ხვალმის წმიდაო გიორგი, ჩვენი ხველება აღმოსავლეთით ქარს გაატანე და დასავლეთით წყალს, ჩვენს ოჯახში ხველას და თავის ტკივილს არ

შემოადწვეინო“, წესისამებრ, საგანგებოდ ხვალმისთვის შეწირული ქათამი ან ღორის მწვადები ეზოშივე, შეწირვის ადგილასვე უნდა მიერთმიათ, სახელში მისი შეტანა არ შეიძლებოდა.

ტახრე ტუბოში –ღორების გამრავლებისათვის განკუთვნილი დღეობა. ლილჟუმესწრის წინა დღეს, პარასკევს.

ახანახა – (თიბვის დრო): მიწის ნაყოფიერებისათვის, თიბვისთვის განკუთვნილი დროება, ივლისი, თიბათვე. (ჩართლ. სვან. ტექსტ. 2003:180)

ჰგლიში – ადამიანის მშვიდობისათვის, წველის ბარაქისა და მსხვილფეხა საქონლის გამრავლებისათვის განკუთვნილი დღეობა. ამ დღეს ცხენების ჯირითიც იმართებოდა.

ლიჩნნიშობ – (ლი-ჩნ-ნი-შ-ობ) ვაჟიანობისათვის განკუთვნილი დღეობა, რომელიც მთელი რიგი წესების დაცვითა და პომპეზურობით იმართება აგვისტოს დასაწყისში. საყურადღებოა ამ რელიგიური ტერმინის საფუძველზე ნაწარმოები არაერთი ტოპონიმი: ჯგერზგ ჩნნიში – ბაზილიკის ტიპის ეკლესია ჰადიში; ჩნნიში ტვიბრა „ლიჩანიშის ნაკადული“ – დეღე (ჰადიში); ჩნნიში ღვრ „ლიჩანიშის ხევი“–ტყე, საძოვარი (ჰადიში); მესტიის რაიონის სოფელ ჰადიშიდან 4–5 კმ-ის მოშორებით მინდორში დგას წმ. გიორგის სახელობის ქვის ძველი ეკლესია, რომელსაც ჯგერზგ ჩნნიშს ეძახიან ჰადიშელები, ლიჩნნიშს კი – დანარჩენი სვანები თუ მორწმუნენი; სალოცავს და თვით რელიგიურ დღესასწაულს, რომელიც აქ წელიწადში მხოლოდ ერთხელ – აგვისტოს დასაწყისში ტარდება და საკლავებით და შესაწირავებით უდიდესი მოწიწებით შესთხოვენ წმ. გიორგის ჩანიშისას ძეობას, სრულიად სვანეთისთვის ყოველთვის ჰქონდა განსაკუთრებული მნიშვნელობა; ლიჩნნიშში შესაწირი მიჰქონდათ იმდენჯერ, რამდენჯერაც ვაჟი შეეძინებოდა ოჯახს. სვანები თვით ტერმინს ვერ განმარტავენ, უბრალოდ იტყვიან, რომ

იგი ვაჟიანობისადმი მიძღვნილი დღესასწაულია. ლინწნიშ-ში ლი- იშ აშკარად სვანურში უადრესად პროდუქტიული ლი- პრეფიქსი და -იშ სუფიქსი გამოიყოფა; ძირი ჩან- კი, თანახმად სამეცნიერო ლიტერატურაში გამოთქმული მოსაზრებისა, ეთნონიმ ჭან-იდან//ან ტოპონიმ ჭან-ეთ -იდან უნდა მომდინარეობდეს. ე. გაბლიანის აზრით, „ჯგერწგ ჭწნიშ“ ეს იყო წმ. გიორგი ჭანიეთისა (გაბლიანი, ძველი და ახალი სვანეთი, თბ. 1925, გვ. 46)

დარტნესგა – (დარტ-ნესგა); ორი ხანგრძლივი დღესასწაული: ზამთრის იწყებოდა შობიდან, თავდებოდა ახალწელს (25–31დეკემბერი). გაზაფხულისა იწყებოდა აღდგომიდან თავდებოდა ახალკვირას (პირველი კვირა აღდგომი დან). ორთაშუას (დარტნესგა-ს) განმავლობაში ქალები ლიდბაშს (საკურთხის მომზადება–შეწირვა) აწყობდნენ. შესთხოვდნენ სალოცავს ადამინის ჯანმრთელობას, ბარაქას. ვ. ბარდაველიძის ცნობით, სწორედ დარტნესგას კვირის განმავლობაში სვანი მლოცველები იწყებდნენ სრულიად სვანეთის, და სრულიად საქართველოს სალოცავების მოლოცვას, მოხსენიებას; ეს იყო ღოცვა-ვედრების კვირეული, როდესაც სალოცავების, ეკლესია-მონასტრების თანმიმდევრობის დაცვასაც კი უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა.

დარტნესგა მიშლადედ – ამ დღეს დიდი ღმერთისათვის შეწირულ მოზვერს ან ხარს (ჭრისხ) სწირავდნენ მაჩვიბის აღმოსავლეთით კედლის მარჯვენა სარკმელთან და დიდ ღმერთს უსხების გამრავლებას შესთხოვდნენ.

ამრიგად, ლექსემები – აღანურობა-მაღანურობა, ანთარი ჟინი, თუთაშხა, ერტი, კაპუნია-კაპუნობა, კუცხა, მირსობა, ნაფრა-ნაფურნახა, ნერჩი-, ნერჩიში ხვამა-ოჯუმაშხური... შეშხტაშ/შუშხტაშ, კტიმტობ, ლიფანწლი, ლალხორთე ლიზი, სგალიტხწლ, ლიქტრეშიწლ, ლამწრიწ ლიფდგაწლ/ლიფდგინწლ, ლამწრიწ ნამსგოჯტაწრ, მეისარაწბ,

ხუჭლმობ, ტახრე ჟებიშ, ახანახა, დარუნესგა, დარუნესგჷ მიშლადედ... უადრესად საინტერესოა წმინდა ლინგვისტური (სტრუქტურულ-სემანტიკური, მორფოსინტაქსური, ეტიმოლოგიური ასპექტები...), რელიგიური თუ ეთნოლოგიური თვალსაზრისით, რამდენადაც სრულყოფილად ასახავენ ამ ენებზე მეტყველთა რწმენაში ასახულ და მესხიერებაში დალექილ წეს-ჩვეულებებსა და თავისებურებებს. სათავეს ზოგი მათგანი შესაძლოა წარმართობის ეპოქაშიც კი იღებდეს, მაგრამ დროთა განმავლობაში მომხდარია მათი ქრისტიანიზაცია, ახალი წმიდა რელიგიური ფუნქციით დატვირთვა და ახლებური სემანტიკით „აღჭურვა“. ლინგვოკულტუროლოგია ენათმეცნიერებაში შედარებით ახლად დამკვიდრებული ტერმინია. მიუხედავად ამისა, გაანალიზებული მცირეოდენი მასალის საფუძველზეც ჩანს, რომ სწორედ ლინგვოკულტუროლოგიური ასპექტები იმთავითვე იკვეთება ქართველოლოგიური კვლევა-ძიების სათავეებთან –ამ კონკრეტულ შემთხვევაში ნ. მარის, ი. ყიფშიძის, ი. ჯავახიშვილის, ვ. ბარდაველიძის... შრომებში. ქართველური ენები ამ თვალსაზრისით უხვ მასალას შეიცავენ, რომლის შეკრება-სისტემატიზაცია, კლასიფიკაცია და თანამედროვე ენათმეცნიერების კრიტერიუმებით კვლევა-ძიება დიდად საშური და აუცილებელი საქმეა.

**პოლისემიური ლექსიკა ქართველურში:** ლექსიკის გამდიდრების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი საშუალებაა სხვა ენებიდან სიტყვის შესახება. ამ გზით ბევრი უცხოური სიტყვა დამკვიდრდა სალიტერატურო ქართულსა და ქართველურ ენებში; ნასესხები სიტყვები, თუ ისინი საჭიროების მიხედვითაა შემოტანილი და, თუ ისინი ენამ შეითვისა, ამდიდრებენ მსესხებელი ენის ლექსიკურ შედგენილობას.

ენის ლექსიკური მარაგი მრავალფეროვანი და ნაირსახოვანია. ერთ-ერთი მხატვრული შედარების თანახმად, ენის ლექსიკური საგანძური მიაგავს წყალუხვ მდინარეს, რომელსაც ათეულობით შენაკადი აქვს და იქიდან ივსებს თავის მარაგს. სამყაროში არსებულ რთულ და მრავალფეროვან მიმართებებს აზროვნებაში ცნებებს შორის ასოციაციური სახე აქვს. მსგავს მიმართებებს ამყარებენ ერთმანეთთან ენობრივ ერთეულთა ლექსიკური მნიშვნელობებიც. ენასა და მეტყველებაში ლექსემათა მუდმივი ურთიერთქმედების შედეგად ხდება ლექსიკური მნიშვნელობების სახეცვლა, რასაც განაპირობებს ამ უკანასკნელთა არამკაფიო საზღვრები და აღსანიშნა და აღმნიშვნელს შორის მოძრავი კავშირი... პოლისემიურია (ბერძ. <პოლისემოს „მრავალმნიშვნელობიანი“ ნებისმიერი ენობრივი ერთეული, რომელსაც ერთზე მეტი ენობრივი დენოტატი შეესაბამება. მრავალმნიშვნელობიანობას განაპირობებს ენის შინაარსისა და გამოხატულების პლანს შორის არაცალსახა დამოკიდებულება. ეოკაბულათა უდიდესი ნაწილი ერთზე მეტი ლექსემით არის წარმოდგენილი (გამყრელიძე... 2003: 356). ამჯერად ჩვენი ინტერესის საგანს, სწორედ, ქარველურ ენათა – მეგრულ-ლაზურისა და სვანურის ლექსიკოლოგია-სემასიოლოგიის ერთი კონკრეტული ასპექტი პოლისემიური ლექსიკა წარმოადგენს.

თეორიულ ენათმეცნიერებაში არსებულ განმარტებათა თანახმად, ლექსიკური პოლისემია გულისხმობს ერთი ეოკაბულის ფარგლებში სხვადასხვა ლექსემის არსებობას. შეიძლება ითქვას, რომ პოლისემიურ ლექსიკურ ერთეულს უნარი აქვს აღნიშნოს მონათესავე ცნებები. პოლისემიური ეოკაბულა სემანტიკურად მონათესავე ლექსემების მიკროსისტემაა. ამ ლექსემებს აქვთ საერთო სემანტიკური კომპონენტი, რომელიც მათ საგრძნობ სემანტიკურ



ნათესაობას აფიქსირებს – მას არატრივიალური საერთო სემა ეწოდება. ეს კომპონენტი მონათესავე ლექსემებს შეიძლება ჰქონდეთ აღსანიშნში ან კონოტაციაში (განყრელიძე, კიკნაძე, შადური... 2003: 356).

მონოსემიური, ერთმნიშვნელობიანი ვოკაბულისაგან განსხვავებით პოლისემიურ ლექსიკურ ერთეულს აქვს პირდაპირი (მთავარი, ძირითადი, პირველადი) და გადატანითი (წარმოქმნილი, მეორეული, მოტივირებული, ფიგურალური) მნიშვნელობები. პირდაპირი მნიშვნელობა პარადიგმატული თვალსაზრისით უფრო მყარია და სინტაგმატურად ნაკლებშეზღუდული.

ზოგადად პოლისემიური ლექსიკის გაჩენას განაპირობებდა ენის განვითარების შინაგანი ბუნება, დიალექტური განშტოებანი, სიტყვათა სესხება და ფონეტიკური მოდიფიკაცია. ამ დებულებას საფუძვლიანად ამყარებს და ადასტურებს ჩვენ მიერ ქართველურ ენათა ლექსიკონებიდან (ვ.თოფურია, მ. ქაღანი „სვანური ლექსიკონი, ი. ყიფშიძე „რჩეული თხზულებანი,” ნ. მარი) ამოკრებილი საანალიზო მასალაც. მე-19 საუკუნის ბოლოდან მოყოლებული დღემდე მკვლევართა მიერ შეკრებილი და გამოცემული ზეპირსიტყვიერების ნიმუშები და სალექსიკონო მასალები საშუალებას გვაძლევს დავაკვირდეთ ქართველურ ენათა ლექსიკის სიმდიდრესა და სემანტიკურ-ეტიმოლოგიურ ასპექტებს.

**მეგრული:** (მასალა ამოკრებილია ი. ყიფშიძის მეგრულ-რუსული ლექსიკონიდან, ი. ყიფშიძე, „რჩეული თხზულებანი” თბ. 1987წ.)

**ბარგ** – 1. ბარგუა, მითობარგუა – „რადაცის შიგნით დამკვიდრება;” გვალას დოგორეს ართი ფოქვი დო თექი ქითობარგეს – ტყეში იპოვეს ერთი გამოქვაბული და იქ განერდნენ (დამკვიდრდნენ); 2. ბარგუა – ყანის გაწმენდა; გამარგვლა. (გვ. 405)

**ბატი** – 1. ქართულად ბატი; შეად. ღორღონჯი 2 .ბატი – ბატი, ბატიკ - „კამეჩის შვილი,” შეად. ღოღო. (გვ. 405)

**ბაღი** – 1. qarT. „baRi;” 2. qarT. „beReli”. (გვ.405)

**ბირაფა** – 1. „სიმღერა, მღერა;” 2. გინო-ბირაფა – „გადაბირება” (გვ.405)

**ბუკი** – 1. კუნძი, ხის დიდი გადანაჭერი, გამოიყენება შეშისთვის საყრდენად (კერიაზე); 2. – ქართ. სკაბურდი – 1. ჭარბფოთლიანი ტყის მცენარე; 2. – ქართ. ბურღვა(გვ. 414)

**გონუა** – 1. გა-გონება – სმენა, მოსმენა; გეთმ-ვეგონენქ – ვუსმენ; 2. გახსენება, მოფიქრება; (გვ. 422)

**გორაფა** – 1. გორაფა, მეგორუა – ძებნა, პოვნა; ბგორუნქ - „გეძებ,” სი მუს გორჲ? – „რა შენი საქმეა?”(შენ რას დაეძებ?) 2. გორაფა, დოგორაფა – ლანძღვა, გინება; ვოგორანქ – „ვაგინებ;” 3. მოგორაფა – მონდომება, სურვილი; მაგორუაფუ – „მე მინდა;” (გვ. 423)

**გურაფა** – 1. სწავლა, სწავლება; იბგურუნქ –გსწავლობ;” 2. დამსგავსება; ვგურაფუქ - „მე ვგავარ;” (გვ. 424)

**გურგინი** – 1. ჭექა-ქუხილი; გურგინუნს – „ქუხს;” 2. გვირგვინი; (გვ. 424)

**ღემი** – 1. ზღაპრული გოლიათი; 2. დიდი; ღემი ღოხორე - „დიდი სასახლე;” (გვ. 428)

**ვირი** – 1. ქართ. ვირი; 2. ქართ. ვირთხა; (გვ. 439)

**თელი** – 1. მრთელი, ჯანმრთელი, ცოცხალი; სი-ნ-თელე – ჯანმრთელობა; 2. თელი – მატლი; (გვ. 445)

**თვალუა** – 1. თვლა; 2. მოთქმა, დატირება; (გვ.446)

**თირ//ნთირუა** – 1. თრევა, ტარება; 2. gacvla; noTHri - Secvlili, შემცველელი; დია-ნ-თირი „დედის შემცველელი;” 3. ela-Tirua - „Tanamzraxveloba“;(447)

**თხუაფა** – 1. თხოვება, გათხოვება; 2. ნ-თხუაფა (შურიში) – ყნოსვა; (გვ. 450)

**კათუა** 1. – შეგროვება; იბკათუთ – ვგროვდებით; კათა – კრება, თავშეყრა, ხალხი; 2. გინო-კათუა – განცდა, გადატანა; თი კოჩქჲ ბრელი წუხარება გინიიკათუუ - „იმ კაცმა ბევრი მწუხარება გადაიტანა (განიცადა); 3. გარევა (რამეში); ვოკათჲქ - „ვურევივარ;“ ჩექ ქომაკათუ – „თეთრი გამერიო“ (გაგჭალარავდი). (გვ. 453)

**კაკუა** – 1. კაკუნი, ვუკაკუანქ - „ვაკაკუნებ;“ კჲდჲ ჯას მიიიკაკჲ – „კოდალა ხეს უკაკუნებს;“ 2. ნაყვა; ვკაკჲნქ – „ენაყავ;“ კაკილი – დანაყული. (გვ.454)

**კაკალუა** – 1. დარჩევა (დაწმენდა), თხილის ნაჭუჭისაგან გაწმენდა; ვკაკალანქ - „ვარჩევ;“ დოვკაკალე - „დავარჩევ;“ 2. წახემსება; (გვ. 455)

**კაკუტი** – 1. ლარძაყინი, გარდიგარდმო გადაებული თავხე, რომელსაც ეყრდნობა სახლის სახურავი; 2. ხელკავი, მოხრილი ხისგან გამოთლილი საცეხველი; (გვ. 455)

**კალამი** – 1. საწერკალამი; 2. ღერწამი, კალამია – სიმინდის ღეროს ქვედა ნაწილი, რომელიც რჩება მოსავლის აღების შემდეგ. (გვ. 455)

**კარკალი** – 1. კაკანი; ქოთომი კარკალანს - „ქათამი კაკნებს;“ 2. რაკრაკი; (გვ. 456)

**კვარი** – 1. კვერი; 2. კვარი // კვარი-ბირგული – მუხლის კვერი, კვირისთავი; 3. ნაძვის კვარი (ჭრაქი); (გვ. 459)

**ნათუა** – 1. ნათება, ვანათენქ - „ვანათებ;“ 2. ნათლობა; ვნათჲნქ - „ვნათლავ;“ ნანათა – ნათლული; (გვ. 489)

**სერი** – 1. ღამე; სერ-სერს - „ღამდამობით;“ შქა-სერი - „შუაღამე;“ 2. სეირი, სანახაობა; თოლი-სერი – თვალსასეირო. (გვ. 521)

**ტარი** – 1. ტარო; ტარი-ლატი – სიმინდის ტარო; 2. ტარი, სახელური. (გვ. 541)

**ქარქაში** – 1. ქარქაში; 2. ხეტიალი; მი-იფქარქაშჲქ - „დავხეტიალობ;“ (გვ. 546)

**ქიონი** – 1. მოქნარება; მოქიონაფუანს – „მამოქნარებს;“ 2. ქანაობა, რხევა; ივქიონუნქ – „გქანაობ;“ (გვ. 548)

**ჩამა** – 1. მიცემა საჭმლის, კვება; 2. მიხვედრა, თიქჲ ქუუჩუ გური – ის მიხვდა; 3. გაყიდვა; გიმივჩანქ – ვყიდი; გიმონამილი – გაყიდული; 4. გადაცემა, დაწყველა; გინონამილი – დაწყველილი; (გვ. 565)

**წირუა** – 1. წირვა; ვოწირაფუანქ – ვაწირვინებ; 2. გაწურვა; გოვწირი – გავწურე; წირილი – გაწურული; (გვ. 583)

**წონება-წონუა** – 1. დაწუნება; დეებწონი – „დავიწუნე;“ 2. მოწონება; თის მეწონჲ – მას მოეწონა; 3. აწონვა, შედარება; ვწონჲქ – ვწონი; ალა-წონუა – შედარება; 4. შემჩნევა; მიკიიბწონი (გვ. 585)

**ჭარა, ჭარუა** – 1. წერა; გინო-ჭარუა – გადაწერა; 2. ბედი, იღბალი; 3. ვოჭარუანქ (გვ. 590).

### **ლაზური:**

**ბაბა** – 1. „მამა“, –უბაბელი „უმამო“ 2. ვიწურში „სკამის ფეხი“; 6. მარის კომენტარით, ხოფაში ამტკიცებდნენ, რომ ეს სიტყვა არაა ლაზური (ჭანური), არამედ თურქულია. [პერონი – ხის ხარისხა სკამის ფეხებს შორის] (გვ. 128)

**ბადი** – 1. აორ. დომბადი „მე დავბადე,“ მომავე. დომბადამინონ; II სახ. აორ. დოვიბადი V, მომ. დოვიბადამინონ. 2. მოხუცი, დოვიბადი – „მოვხუცდი,“ დიბადი V „შენ მოხუცდი“, მომ. ვიბადამინონ... ბადობა – მოხუცებულობა; 3. ცუდი, ავი, უვარგისი; ბადობა „სიავე, ცუდი;“ აჭარიანთან ბადი ბიათი-ს, პატი-ს ფონექ. ვარიანტია ბათუმურში; (გვ. 129)

**ბაში** – 1. თავი, მთავარი (თურქულიდან) ; 2. მშვიდობა, ზავი, დაზავება (<ბარ I ში, თურქ.); (გვ. 129)

**ბაშლული** – 1. საჩუქარი, საბოძვარი (ვიწურში), რომელსაც პატარძალს ან ნეფეს მიართმევენ. ბაშლული თუ დაგიდგეს? „რა დაგიდგეს საჩუქრად?“ 2. ყაბალახი; (გვ. 129)

**ბურღი** - 1. ხოფურში მრავალწლიანი ტყის მცენარე, მას ასევე ეწოდება თუთიშ ლუყუ „დათვის კომბოსტო;“ 2. ქართ. ბურღი (გვ. 132)

**ესირი** - 1. ქვედა, ხაზქვეშა ნიშნები ხმოვნებისათვის არაბულ დამწერლობაში; 2. პატიმარი (~ესირი); (გვ. 142)

**თოლი** - 1. თვალი, როგორც მხედველობის ორგანო; 2. როგორც ნაქსოვის ნაწილი; ნ. მარს მაგალითად მოჰყავს: არ-თოლი - ათონურ-ვიწურში, არ-თოლონი - ხოფურში - ცალთვალა, ელაში. მჭიფე თოლონი - წვრილი თვლებით (მაგ., ბადე). (გვ. 147)

**ოკალუ // ონკალუ** - 1. მიყოლებით კეთება, დაწყობა, მორთვა, დალაგება; მაგ., შინა დომკალი - „მიყოლებით მივაბი ძუა,“ „მოფრთე ძუა“ ( როცა ბავშვები ამზადებენ კაკანათს ჩიტებისათვის); ოხორი დომკალი „ოთახი (სახლი) დაგაღაგე;“ 2. მოკალვა; (გვ. 151)

**კალი** - 1. ჯოხი, რომელზეც მაგრდება ბადე (ბოდა) ხილის შესაგროვებლად; კალი (იხ. კვერი) - 2. კანაფი(გვ. 151)

**კერი** - 1. ტახი; 2. ქერი (ათინურში). (გვ. 154)

**კიკილი** - 1. ნისკარტი, კინჩიშ კიკილი - ჩიტის ნისკარტი; 2. ტანსაცმელზე შესაკრავი კაუჭი, ყულფი; (გვ. 155)

**კორეცხ** - 1. კოროცხ (ვიწ. ოკორეცხუ) - „ თვლა, დათვლა,“ ჩამოთვლა; 2. „ტირილი, მოთქმა, დატირება;“ (გვ. 157)

**კორზა** - 1. ტარო(ვიწ.); 2. ხის ნიჩაბი ან კოფი ბრტყელი თავით (ჩოგანისებრი), კორზა- (ხოფ.) (გვ. 157)

**კორკოლა** - 1. ცხერის ცურცლი(ხოფ.); 2. დაღალი, კულუღი; კორკოლა თომონი „ხუჭუჭთმიანი;“ (გვ. 157)

**კარი // ყუარი** - 1. ყვაფი; 2 .კვერი (ვიწურში, ხოფურში) (გვ.158)

**კუზი** - 1. კოფი (ათინურში, ვიწურში); (კიზი - ხოფურში); 2. ბატკანი, თიკანი (ციკანი) (ხოფურში, ვიწურში) (გვ. 159)

**კუკარი** - 1. კაუჭი (ვიწურში); 2. სახნისის ნაწილი; (გვ. 159)  
**მარტინი** - 1. მარტინი - თოლია (ვიწ.); 2. თოფი მარტინი; (გვ. 165)

- მუ** - 1. „რა?“ მუ მკითხუფ? „რას მკითხები?“ 2. „თავად, თვითონ, ის“ მუ-ქ – „მან“ (გვ. 170)
- ომური // ყომური** - 1. ტყემალი; 2. ცხოვრება (ხოფ.) (გვ. 176)
- მტეცი** - 1. რძის ფაფა (ვიწ.); 2. ხის ქერქი; (გვ. 189)
- მ-ტვერი** - 1. გველი (წითელი, არაშხამიანი; ათინ.); 2. ნაცარი; (გვ. 189)
- ფერი** - 1. „ფერი“ (ვიწ.); 2. ანგელოზი; (გვ. 193)
- ფატი** - 1. ფეტვი (ვიწ.); 2. ნაფოტი (ათინ.) (გვ. 193)
- ფინჭო** - 1. ფიჭვის სახეობა (ვიწ.); 2. ლერწმის სახეობა; მისგან ცოცხს აკეთებენ.(ხოფ.) (გვ. 194)
- ოჩითუ** - 1. გათავისუფლება; 2. ჩეხვა შემის; (გვ. 210)
- წამი** - 1. სარტყელი უღლის შესაკრავად; 2. წირპლი, ჩირქი თვალებში; (გვ. 214)
- ცელა** - 1. „ქერცლი“, „ნაჭრილობეგზე გაკეთებული ქერქი.“ (ხოფ.); 2. „ცილა“(ვიწ.); 3. ჩელტი, ლაზურ სახელში ჭერის ხარისებზე გადებული დაწნული; (გვ. 214)
- წიწი** - 1. ჩრჩილი, (ვიწურ-არქ. „წითელი ჭია“); 2. ნაწლავები; (გვ. 219)
- წუ** - 1. „თივა“ (ბზე); 2. „წოვა;“ 3. „წყავი;“ (გვ. 222)
- ქანდარა** - 1. ქართ. „ლაჯო“ – ჩიტის დასაჭერი კაკანათი; 2. „უჭკუო, სულელი“, ქანდარა კოჩი - „სულელი კაცი;“ (გვ. 196)
- ფრინჯი** - 1. ყვითელი, სპილენძი, ბრინჯაო (თურქ-სპარს.); 2. ბრინჯი; (გვ. 194)
- ქორი** - 1. „ქორი;“ 2. „ქუსლი“ (გვ. 198)
- ოღარუ** - 1. ხაზვა, ზოლის გავლება; 2 . გამარგვლა, სარეველასაგან გაწმენდა, ტყის გაკაფვა; (გვ. 200)
- ღუა** - 1. „ლოყა“ (ღ ა); 2. შუბლი; (გვ. 201)
- ფშირაფ** - 1. ვადუღებ (ყურძნის წვენს); 2. ვცვეთ, გაცვეთა. (გვ. 206)
- შირა** - 1. ქერივი; ქმრისაგან მიტოვებული; ღაჭო – ჩიტია ერთგვარი; (ღაჟო –მამრი). (გვ. 206)

**წუკალი** - 1. ერთგვარი თამაში ჯოხებით (რიკ-ტაფელა); 2. დიდი ქვაბი (მეგრ. კარდალა) (გვ. 222)

**წუნა** - 1. შხამი (წუნა შკომარე – შხამნაჭამი); 2. მდედრი, (წუნა მხსური – ცხვარი მდედრ.) (გვ. 222)

**ჭინჭყვალა** - 1. ნაწლავები, შიგნეულობა; 2. ბავშვების აურზაური, რიარია; (გვ. 225)

**ხარკი** - 1. ხარჭა, ხასა; ხარკიშ ბერე - „ხასას შვილი“  
2. დარი წყლისთვის წისკვილში, სადინარი ( იხმარება თურქულშიც). (გვ. 229).

საენათმეცნიერო ლიტერატურაში საზგასმით არის მითითებული სვანური ენის ლექსიკის სიმდიდრისა და არქაულობის შესახებ; განსაკუთრებით მრავალფეროვანია ლექსიკური მარაგი საყოფაცხოვრებო სიყცვებითა და ტერმინებით (სოფლის მეურნეობის მოქმედებისა და იარაღების სახელწოდებებით, სარწმუნოებრივი ტერმინოლოგიით და სხვა). სიმდიდრეს ქმნის ერთი, ერთსა და იმავე საგნის თუ მოქმედების ორი და მეტი სახელი ყველა დიალექტში (მაგ.: და ძმისთვის არის დაჩჷირ, დისთვის კი – უდილ, ძმა ძმისთვის მუხტბეა, ხოლო დისთვის კი – ჯგმილ. ლექსიკის სიმდიდრეს ასევე განაპირობებს დიალექტებში სხვადასხვა სახელწოდებით ან ერთი სიტყვის სხვადასხვა მნიშვნელობით ხმარება (*ლიდრჷლ = ლშხ. ლიბრიჷლ „მღერა“*)... ერთი და იმავე ფუნქციის სხვადასხვა აფიქსით სიტყვაწარმოება (*ქა ლგნყე = ქა მგნყე „გამომცხვარი“*)... ასევე, სიტყვაწარმოება აფიქსაციისა და კომპოზიციის მეშვეობით (თოფურია, 2002: 214).

სვანური: (მასალა ამოკრებილია ვ. თოფურია, მ. ქაღდანი „სვანური ლექსიკონი“ -დან, თბ. 2000წ. )

ამტყჷსგ//ანტყჷსგ//ანტყჷსგ//ანტყჷსგ // ამტყჷსგ – 1. ვარსკვლავი 2. ნაპერწკალი.

ანკრ – 1. ეჭვი, გუმანი; 2. მობეზრება; 3. ანკრდ –  
ყურმოკრულად.

არა – 1.რვა; 2. ენა, მითქმა-მოთქმა.

ქტეყნი არა ბეხს ლოქ ბუჭკტე (ლშხ.) „ხალხის //ქვეყნის  
ენა ქვას გახეთქავსო“.

აშქანდ//აშქენდ//აშქანდ–1.ზანგი; 2. შარვლის ან პაიჭის  
პაჭანიკი.

აღ – 1. მოსავალი; 2. სახურავის ღარტყა; 3. (ლხმ.)  
პურეული ნათესის ღერო.

ხ-აყა – 1. ჰყავს; 2. აქვს, აბია; 3. ვარგა.

აშგარ–1.ყოველთვის, მუდამ; 2.ძლივსდა; 3.ისე, უბრალოდ.

აშდნმბუნე– 1. თვალებს კარკლავს; 2. ლაყბობს, მიედ-  
მოედება.

ხ-აშღბა – 1. საქმეს აკეთებს; 2. ეპყრობა, ექცევა.

ხ-აშიდ – 1. შველის; 2. ყრია //აყრია.

აშტინე//აშტინე//აშტინე – 1.ასუფთავებს; 2. ასუქებს,  
აღადებს. ხ-აჩა – 1. უხარია; 2. იცინის.

ხ-აცხნე – 1. ეჩვევა; 2. იჩემებს, აზვიადებს, აჭარბებს.

აჭშხე–1. ასწორებს, ყალიბში ათავსებს; 2. მკვდრის  
გაპატეოსნება.

ახანახა – 1. თიბვის დაწყების დღე; 2. ახალმოწეული  
ჭირნახულის გემოს გასინჯვა.

აჯგრი – 1.აკურთხებს; 2. არიგებს (ჭკუას), რჩევა-დარიგებას  
აძღვეს. ხ-აჯეშ – 1. ჰგავს; 2. ღირს.

ხ-აკტშუნე – 1.ატეხინებს; 2. ამხელინებს; 3. აჩეკინებს.

პრსგტე – 1. სცემს, გალახავს; 2. გამოპირავს,  
გამოკვერავს; 3. კერას წმენდს.

პსკეთე – 1. აკეთებს, აგვარებს; 2. აუმჯობესებს.

ხ-აშგბე//ხ-აშგბე// ხ-აშგბე – 1. აძრობს; 2. საიდანღაც უცებ  
გააჩენს; სწრაფად მოაქვს.

ბაბა – 1.პაპა, ბაბუა, მოხუცი მამაკაცი; 2. მამა.



ბადღუ//ბადღუს – 1.ფუტურო, დამპალი ხე; 2. ფულურო; 3. უნაყოფო დიდი ტარო.

ბადღუმ – 1.საძუე; 2. მოკლე პალტო, ჯუბის მაგვარი ტანსაცმელი; 3. დაბეჭილი (დაკერებული) ტანსაცმელი.

ბაჟ – 1. ჭკუა, გონება, გონიერება, გონი, გრძნობა, ცნობა, ცნობიერება 2. ბაჟი, გადასახადი, ბეგარა.

ბარძიმ //ბზრძიმ – 1. ბარძიმი; 2. შხამი, საწამლავი.

ბაც//ბაცა – 1.შექლება; 2. მოსალოდნელობა, რაღაცის მოლოდინი;

ბაჟინ//ბაჟინ–1. მაცნე, შიკრიკი, ამბის შემტყობინებელი; 2. ცნობა, შეტყობინება.

ბარგ – 1. ბარგი, მოძრავი ქონება (ქვეშაგები, ავეჯი...), წასაღებად მომზადებული ტვირთი; 2. ადირის (ჯიხვი, არხვი) ჯგუფი; 3. ბარგ (ლშხ.) მოკეთე, ახლო ნათესავი გვარში.

ბაჯ/ბეჯ – 1. დიდი ღხინი, რომელსაც იხდიდნენ მტერზე მნიშვნელოვანი გამარჯვების შემთხვევაში ან ვაჟიშვილის (გადაშენების საშიშრიების წინაშე მღვარი გვარის გამგრძელებლის) დაბადებისას; 2. ქელეხი, რიგი.

ბედ – 1. ბედი, იღბალი; 2. პირობები, ყოფა, საკვები, კვება, მოვლა; 3. მიზეზი, ბრალი.

ბეტკ – 1. საღტე; 2. რძის ან მაწვნის ნაღები.

გაბრან/გებრან/გაბრან – 1. ჯაგლაგი, ბებერი ცხენი; 2. ხის დიდი ციგა, მარხილი.

გამ–1. გემო;2.სოჭის ან ფიჭვის ქერქისაგან გაკეთებული საგმანავი.

გოგტერ –1. გრზნეული, კუდიანი; 2. ურმის თვალი.

გოლანდ//გოლანდ– 1.ციცაბო (ადგილი); 2. ალპური საძოვარი.

გუმ – 1. ხის საცობი; 2. ფიჭვის ქერქი კასრის ძირის ამოსაგმანად; 3. სუთი.

გურჰუნ//გერჰუნ//გერმუნ//გურჰუნ//გერჰუნ//გერხუნ// გერმუნ –  
1. გრიალი, ზათქი, გრგვინვა; 2. ხარხარი, ხორხორცი; 3.  
ერთად მოთქმით ტირილი.

გუიღამ –1. ეკლესიაში ხალხის დასადგომი ადგილი; 2.  
მიდამო; 3. მთავარი, ძირითადი;

4. ახლო ნათესავი; 5. ძირითადი, მკვიდრი (განსხვავებით  
ახლად ჩამოსახლებულისა) იგივეა, რაც აბორიგენი:

დამ – 1. იძულება, გაჭირვება, გასაჭირი; 2. არეცხილი  
ხორბლის საწური;

ეზერმძრე – 1. მოყვარე, მოკეთე; 2. კარგი კაცი.

ზნე – 1. ზნე, ჩვეულება; 2. წვენი.

თაჟკაც – თავკაცი, წინამძღოლი; 2. უშიგლო.

თჟღ – 1. ძვირფასი თვალი; 2. ფქვილის კილობანი.

იტხე – 1. იბრუნებს; 2. ამუშავებს, ამწნილებს.

იშნგუნაღ // იშნგუნაღ // იშნგუნაღ – 1. დააბოტებს,  
დაბლაყუნობს; 2. როხროხებს.

კუკუმ – 1. წვეთი; 2. კრინტი.

კტილ – 1. ჯირკი, კუნძი; 2. ხის დაბალი სკამი, ჯორკო.

ლგქად – 1. პრანჭია, ჩაცმა-დახურვის მოყვარული,  
თავმომწონე, მედიდური, ამპარტავანი, მაცდური; 2.

ლგქად(ღშხ.) – გზას აცდენილი, შემცდარი, შეცდენილი,  
მსუბუქი ყოფაქცევისა.

ღგხ – 1. წყლის მავნე მატლი, ღამბლია; 2. შური, ვისიმე  
ჯავრი, ბოღმა.

მგჟნა // მაგჟნა – 1. უპრიანია, ახია; 2. მადლობა  
ღმერთს. (გვ. 555)

ნწთი – 1. ნათესავი; 2. წილი, ხვედრი.

პიღ –1. ტუჩი, პირი; 2. კიდე, ნაპირი.

საყნ – 1. დღეობაზე შესრულებული სიმღერა; 2.

(ღშხ.) ქეღების დროს დიდი რაოდენობით სასმელ-  
საჭმელის ეზოში დადგმა და არყის სმის წესი  
მიცვალებულის სახელზე (სიტყვასიტყვით „გასატანებელი“).

საჯჯე – 1. უცნაური, საოცარი, საკვირველი; 2. ცუდი, უშნო, უხეირო.

სანტ/სანტ–1.ოსეთი, (ძველი გაგებით), ახლა: მთის გადაღმა მხარე, ჩრდილოკავკასიელი თურქულენოვანი ხალხების საცხოვრისი; 2. მარხილი.

სანყდირ–1.საყვედური;2. გლახაკი, უშნო, სამარცხვინო.

სანკაფ– 1. ყოფაქცევა, ხასიათი; 2. კანონ-სამართალი.

ტყარაბურა // ტყარაბულა – 1. წვრილმანი, ფუჭი, თავის გასართობი საქმე; 2. ყბედობა.

ტიჰმ – 1. მარხვა, ქრისტეშობის მარხვა; 2. ქრისტეშობისთვე. ფან-ფან – 1. დღე-დღე; 2. ნაწილ-ნაწილ, ლუკმა-ლუკმა. ქუფ – 1. დაწნული კიღობანი; 2. ბუდე; 3. გაწურული ყველის შესანახი მოგრძო ჭურჭელი, რომელიც სახლის ჭერზეა ჩამოკიდებული.

ტიინ – 1. სული; 2. სუნი.

დედ – 1. სამართალი; 2. დარდი, ეჭვი, შიში.

დედჷ – 1. მუხლი; 2. კალთა.

ყყა – 1. ავი თვალი; 2. არაფერი.

ყერ –1. მადლი, ძალა; 2. ნეხვი; 3. ეშურება, გასწევს, მიემართება.

ყტედი – 1. წყნარი, თვინიერი; 2. ნელთბილი წყალი.

ცგგ – 1. ცომის გუნდა; 2. წისქვილის ბორბლის რკინის წვეტიანი ფეხი, რომლითაც ბორბალი კიბორჩხალაზე ტრიალებს.

წამ – 1. სისხლით ნათესავი, თვისტომი, მკვიდრი (და, ძმა, ნათესავი). 2. წამი.

ხანტ – 1. ხატი; 2. ფიცი, (დაფიცება ხანტზე).

ჯალ//ჯელ //ჯელ–1. მიქვალი (მაგ. ქათმის საბუდარში ჩატოვებული კვერცხი). 2.სატყუარა, ნადირის მოსატყუებელი.ჰაჯ – 1. ნატვრა, სურვილი, ნატვრისთვალი;

2. ძალა, ღონე.

სვანურისა და მეგრულ-ლაზურის პოლისემიური ლექსიკის შედარებამ ცხადყო, რომ სიტყვათა მრავალნიშვნელობიანობა (ომონიმია/პოლისემია) ერთნაირადაა დამახასიათებელი ყველა ქართველური ენისათვის და ფუნქციონირების თვალსაზრისით ზოგად ლინგვისტურ კანონზომიერებებს მისდევს. აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ მსგავსი ფუძეების მქონე ომონიმები ამ ენებში ნაკლებადაა წარმოდგენილი (როგორიცაა თვალი, ბაბა, ბურღი...), რაც გამოწვეულია იმით, რომ ფონეტიკური ვარიაციები, ლექსებითა სესხების სხვადასხვა გზები და საშუალებანი ქართულს, სვანურსა და მეგრულ-ლაზურს მაინც განსხვავებული აქვს, რამაც თავის დროზე გამოიწვია მათი ერთგვარი დაშორება ენობრივი თვალსაზრისით. ქართველურში პოლისემიური ლექსიკის სიუხვე და მრავალფეროვნება ამ ენათა დიალექტური ვარიანტების სიმრავლითაც უნდა იყოს გაპირობებული.

ქართველურ ენებზე დაკვირვება უადრესად საინტერესო აღმოჩნდა ნასესხები ლექსიკის, კერძოდ რუსიზმების აღნუსხვის თვალსაზრისითაც. საენათმეცნიერო ლიტერატურაში დამკვიდრებული თვალსაზრისის თანახმად, ცივილიზებულ ხალხთა ენების ლექსიკური მარაგის დიდი ნაწილი ნასესხებია. ეს ბუნებრივი პროცესია. ჯერ ერთი, ბუნებრივია სიტყვათა სესხება და მეორეც, სავსებით ჩვეულებრივია ის ვითარებაც, რომ დიდი ისტორიის მქონე ერებს ლექსიკის უდიდესი ნაწილი ნასესხები აქვთ ძველი ცივილიზაციის ენათაგან (შუმერული, ლათინური, ბერძნული...). ამიტომაც ლინგვისტიკაში სიტყვათა სესხება სრულიად ზომიერ, საჭიროებით ნაკარნახევ, ბუნებრივ, უფრო მეტიც, აუცილებელ მოვლენადაც კი ითვლება. „წმინდა ენა, რომელსაც ნასესხები სიტყვები არა აქვს, არ არსებობს. ქართულს სხვადასხვა დროს შეუთვისებია:

სპარსულიდან – ბუღბული, ფანჯარა, ხაზინადარი...  
არაბულიდან – ყასაბი, დაღალი, დაღაქი, ხაბაზი,  
ჯალათი... თურქულიდან – ელჩი, ბაირადი, ოთახი...

ევროპული ენებიდანაა ნასესხები: კოლექტივი, კომი-  
სია, პროგრამა, გრამატიკა, მორფოლოგია, უნივერსიტეტი,  
კონტაქტი... სესხება არის უშუალო და შუალობითი.  
უშუალოა სესხება, თუ სიტყვა იმ ენიდან შემოდის,  
რომელსაც ის ეკუთვნის. უშუალოდ რუსულიდანაა  
შეთვისებული: სამოვარი, ბოლშევიკი, მენშევიკი... უშუალოდ  
ბერძნულიდან – კლიტე, ბოქლომი, ორგანო, ეკლესია...

შუალობითია სესხება, თუ სიტყვა შემოსულია არა იმ  
ენიდან, რომელსაც ის ეკუთვნის, არამედ სხვა ენის  
მეშვეობით. მაგ. ქართულში რუსულის გზითაა შემოსული  
ლათინური წარმოშობის სიტყვები: რევილუცია, ევოლუცია,  
რეაქცია, ასიმილაცია, დისიმილაცია, უნივერსიტეტი,  
დოცენტი... სესხების თავისებურ სახედ ითვლება კაღკი,  
რაც გულისხმობს საკუთარი მასალისაგან ახალი  
სიტყვების წარმოებას (ან მთელი გამოთქმის შექმნას)  
იმგვარად, როგორც ეს სხვა ენაშია“ (მიქიაშვილი, 2006:34).

უხსოვარი დროიდან მოყოლებული ქართველებს  
ურთიერთობა ჰქონდა დამყარებული მსოფლიოს მრავალ  
ხალხთან თუ ეთნიკურ ჯგუფთან. ეს კონტაქტები  
შეპირობებული იყო გეოგრაფიული მეზობლობით, ან  
კულტურულ-ეკონომიკური თანამშრომლობით. ეთნოკულტურ-  
ული კონტაქტები მკვეთრად არის აღბეჭდილი ქართული  
ენის სტრუქტურაში და განსაკუთრებით ლექსიკაში. უცხოური  
ენობრივი ფენების გამოვლენა აშუქებს ქართველების  
ისტორიული განვითარების გზას და მათ სოციალურ  
ურთიერთობებს სხვადასხვა წარმოშობის ეთნოსებთან.  
ამასთანავე, ქართულ ენასაც თავისი წვლილი შეუტანია სხვა  
ენათა ისტორიულ განვითარებაში. ნიკო მარს დავესესხებით

და ვიტყვით, რომ ქართული ენა სხვა კულტურულ ენებთან უთანასწორო ბრძოლაში ხშირად გამოდიოდა გამარჯვებული და ამით მტკიცე საფუძველს უქმნიდა ქართველი ხალხის დამოუკიდებელი სახის შენარჩუნებას. ქართულ ენაში შემოსული უცხოური ლექსიკური ელემენტების ბგერობრივი მოდიფიკაცია საინტერესოა და ანგარიშგასაწვეი არა მარტოდენ ქართული ენის ფონოლოგიური სისტემის შესასწავლად. იშვიათად ქართულ ენას დაუცავს მსესხებელი ენისათვის საგულისხმო უძველესი ფორმები, რაც თავისთავად უადრესად მნიშვნელოვანია მეცნიერებისათვის. ქართულ ენაში დალექილია უწინარესად მცირე აზიის გადაშენებული ცივილიზებული ენების ლექსიკური ელემენტები. ჯერ კიდევ ლინგვისტური მეცნიერების ფუძემდებელი ფრანც ბოპი მიუთითებდა ქართულ-ინდოევროპულ პარალელებზე. საგანგებოდ არის შესწავლილი სემიტურ-ქართული, ქართულ-სპარსული, ქართულ-სომხური ენობრივი კონტაქტები. ქართულ-რუსული ენობრივი შეხვედრები კი. რაც სალიტერატურო ქართულის სახელმწიფოებრივ-პოლიტიკური და კულტურული ფუნქციების უკიდურესი შეზღუდვით გამოიხატა, თითქმის ორ საუკუნეს გაგრძელდა და სერიოზული კვალი დატოვა ენის არა მარტო ლექსიკაში, არამედ სინტაგმების სფეროში, ენის სტილისტიკურ მხარეში (ლომთათიძე, 1988.). თანამედროვე ქართულში უცხოენოვანი (უპირველეს ყოვლისა, რუსული) მოვლენების, კერძოდ, კალკების მოძალების ფაქტი არაერთხელ აღუნიშნავთ და ამ მოვლენის წინააღმდეგ ბრძოლის აუცილებლობის საკითხიც დაუსვამთ ქართველ მეცნიერებს (ქ. ლომთათიძეს, ავთ. არაბულს, მ. ტაბიძეს...). თნმიმდევრულად, ეპოქათა მიხედვით სალიტერატურო ქართულზე, პრესის ენასა და ზოგადად ქართულ ოფიციალურ სტილზე რუსულის გავლენის შედეგები მონოგრაფიულად არის შესწავლილი პროფესორ ო. მიქიაშვილის მიერ. მონოგრაფიაში საზგასმითაა ნათქვამი, რომ ევროპული ყოფის,

ევროპული კულტურის ამსახველი ინფორმაციები XVIII - XIX საუკუნეებიდან ჩვენში რუსულის მეშვეობით შემოდოდა. საკმაოდ მოიკიდა ფეხი ლექსიკურმა სესხებამ რუსულიდან, მაგრამ, საბედნიეროდ, ლექსიკური ნასესხობანი რუსული ყოფის ამსახველი საგნებისა თუ მოვლენების სფეროს ვერ გასცდა. აქ თავისი სიტყვა თქვა ქართული ენის ლექსიკურმა სიმდიდრემ. რუსულ ლექსიკას არ მიეცა გასაქანი ქართული ლექსიკის შესავიწროვებლად. ამიტომაცაა, რომ თვით დიალექტური მეტყველების დონეზეც კი ნასესხებ რუსულ სიტყვათა რაოდენობა ვერ გასცდა ერთ ასეულს. (მიქიაშვილი, 2005.) სამაგიეროდ ფართოდ მოიკიდა ფეხი რუსულიდან მომდინარე სიტყვათშეხამებებმა, რუსულიდან კალკირებულმა ფრაზებმა. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ მათი უმრავლესობა ევროპული კულტურის ელემენტების გაჩენის კვლადაკვალ განჩნდა თვით რუსულშიც. ამის მიზეზად კი სხვადასხვა ფაქტორი სახელდება. უწინარესად კი ის, რომ მრავალსაუკუნოვანმა ქართულმა სალიტერატურო ენამ უარი თქვა რუსულ ფრაზათა სესხებაზე, თუმცა იძულებული გახდა გადმოექართულებინა ისინი, რამეთუ სხვა ენიდან უაშუალოდ ნასესხები სიტყვა „ყვირის“ მის უცხოურობაზე, მაშინ, როდესაც კალკირებული ფრაზის არამშობლიურობა ყოველდღიურობაში არასპეციალისტისათვის ნაკლებ საჩინოა. ყიფშიძის „მეგრული ტექსტების“, ჟ. დიუმეზილის „ლაზური ტექსტების“, „კოდორული ქრონიკების“, „სვანური პროზაული ტექსტების“ ოთხტომეულის საგანგებოდ ნასესხები ლექსიკისა და რუსიზმების ასპექტით შესწავლისა და მეგრულ-ლაზურ-სვანურ ცოცხალ მეტყველებაზე დაკვირვებით გაირკვა, რომ სალიტერატურო ქართულში გამოვლენილი კალკირების სამი ძირითადი ნაირსახეობიდან (1. ლექსიკურ-სემანტიკური: Мне не устраивает – „არ მაწყობს“, 2. სიტყვათწარმოებითი: самолёт – „თვითმფრინავი“, 3. ფრაზეოლოგიური და სინტაქსური: дело в том что – „საქმე იმაშია, რომ.“) ქართველურ ენებში, შეიძლება

ითქვას, არცერთი არ გამოვლენილა, გარდა ერთი-ორი გამონაკლისისა. (პარალელისათვის უაღრესად საყურადღებოდ მიგვაჩნია ფაქტი ქართველურ ენებში ორმაგი უარყოფის არარსებობისა, მსგავსად ძველი ქართულისა და განსხვავებით თანამედროვე სალიტერატურო ქართულისაგან, რომელშიც ის შედარებით გვიან რუსული ენის გავლენისაგან დამოუკიდებლად ჩამოყალიბდა.) სამაგიეროდ აქ ფართოდ მოიკიდა ფეხი ლექსიკურმა რუსიზმებმა, რომელთაც ხშირ შემთხვევაში განდევნეს კიდევაც საკუთრივ ქართველური მასალა. მაგალითად სვანურში ვიხიტელ// ვიხიტლღრ (მრ.რ.) „მასწავლებელი, მასწავლებლები“ ლექსებამ თანდათან განდევნა სვანური ღი-თღრი „სწავლა“-დან ნაწარმოები „მუ-თღრი, ლე-თღრი“ - ფორმები, რომელთაც, ბუნებრივია, უპირატესობა აქვთ მინიჭებული 2008 წელს გამოცემულ „სვანური ენის სახელმძღვანელოში.“ განსაკუთრებით თვალშისაცემი აღმოჩნდა რუსიზმების სიჭარბე კოდორულ სვანურში სვანურის სხვა დიალექტებთან – ბალსხემოურთან, ბალსქვემოურთან, ღენტეხურთან და ლაშხურთან - მიმართებით. ასეთი შედეგის განმაპირობებელი ფაქტორი კი უდავოდ იყო საბჭოთა კავშირის ენობრივი პოლიტიკა, რომლის გამოისობითაც (წყალობითაც) მთელს აფხაზეთში და, ბუნებრივია, კოდორის – ისტორიული დაღის - ხეობაშიც საქმის წარმოება მთელი „კომუნისტური ეპოქის“ მანძილზე რუსულ ენაზე მიმდინარეობდა. ლექსიკური რუსიზმები დასტურდება XX საუკუნის დასაწყისში ი. ყიფშიძის მიერ გამოცემულ „მეგრულ ტექსტებშიც.“ ენობრივი ექსპანსიის დასტურად შეიძლება რამდენიმე მაგალითის მოყვანა:

გრანიცეფიშა პარახოლდეფი გილაღელესჲ(260) `sazRvar  
gareT gemebi daudiodaT."

..muSenida ijgura razmoniki ქანას მითინ ვარე..  
(222) „იმიტომ, რომ იმისთანა ყაჩაღი ქვეყანაზე არავინ არის.“



ათე მინუტის გაგჰმიინწყვი დო მოლმაცნი.(260) „ამ წუთას გამოეწყვე და წამომყევი.“

თინა აკოშკაშე ხესჲ მუკუუვაალუანციე.(261) „ის ფანჯრიდან ხელით ანიშნებდაო.“

ჯიბეშე გალეედჲ ხე, გელეედ ბუმაშნიკი.(279) „ჯიბიდან ამოიღო ხელი, ამოიღო საქალაღდე.“

პლატოკი ქიგიოცოთჲ Cxvindi do picH.(290) „ცხვისასოცი ააფარა ცხვირსა და პირში.“

განსხვავებით მეგრულისაგან ლაზურში გასული საუკუნის დასაწყისში რუსიზმები თითქმის არ გვხვდება. ისინი ჩნდება 30-იანი წლებიდან ძირითადად ოჩამჩირელ და ანაკლიელ ლაზთა მეტყველებაში:

ეკულე ხაზინი ქეზდიფს ლაფერათენ (123), „მერე პატრონი აიღებს ლაფერათი.“

ამა ნენა არ რენ, რაზინცა ვა ულუნ (201), „მაგრამ ენა ერთი არის, განსხვალება არა აქვს.“

ადანი მუთუნი ტეხნიკა, ვარა მატერიალი, ვარა მუთუნი-ნა ყვან, თურქიქ მუში ჯოხო ქოგედუმერს (208), „ახალი რამე ტექნიკა, ან მასალა, ან რამე რომ გააკეთონ, თურქი თავის სახელს დაარქმევს.“

გორსავეტი ლაზიში რტუ კარა – ხასანიში (210), „ქალაქის საბჭო ლაზის იყო, კარა -ხასანის.“

ილიარდნი – ლაზიში, ჯვეში სუდია – ლაზეფეში(211), „საბილიარდო –ლაზის, ძველი სასამართლო –ლაზების.“

ალი-რიზა-ბეი პალკონიკი რტუ... (212) „ალი-რიზა-ბეი პოლკოვნიკი იყო.“

არ სტაქანი მჟა ქოგეუბი (214), „ერთი ჭიქა რქე დაფუსხი.“

სამსავე ქართველურ ენაში რუსიზმები ძირითადად საყოფაცხოვრებო ხასიათის თითქმის ყოველდღიური გამოყენების ლექსიკური ერთეულებია. მაგალითად: პოლი-пол, სტოლი-стол, სიფიქა-спичка, სტაქანი-стакан, ვედრა-ведро, ფეჩი-печь, ზაპასი-запас, პეტრუშკა-петрушка, მაღადეცი-молодец, პადვალი-

подвал, რამკა-рамკა, კუხნა-кухня, მაშინა-машина, უჩასტკა-участок... ამრიგად, XVIII-XIX საუკუნეთა მიჯნიდან ქართული სალიტერატურო ენა და შესაბამისად ქართველური ენები განიცდის რუსიზმების მოძალებას. ქართველ მეცნიერთა (ა. შანიძე, ქ. ლომთათიძე, ა. არაბული, შ. აფრიდონიძე, ო. მიქიაშვილი...) მიერ თანმიმდევრულადაა შესწავლილი რუსიზმები ქართულ სალიტერატურო ენასა და დიალექტებში. საკითხი ქართველურ ენებში (მეგრულ-ლაზური, სვანური) სრულიად შეუსწავლელია. კვლევის საგანია ლექსიკური, სინტაქსურ-სტრუქტურული, თუ სხვა სახის რუსიზმები. მათი გამოვლენა, შესწავლა, კლასიფიკაცია. მოძიებული მასალის საფუძველზე გამოიკვეთა, რომ უკვე XX საუკუნის დასაწყისისათვის ქართველურ ენებშიც რუსული ენობრივი ექსპანსია საკმაოდ ძლიერია. ქართველურ ენებში რუსიზმების დამკვიდრების ქრონოლოგიის დადგენა შესაძლებელია გამოცემული ტექსტებისა (ალ. ცაგარელი, ნ. მარი, ბ. ნიჟარაძე, ი. ყიფშიძე, ჟ. დიუმეზილი, არნ. ჩიქობავა, ა. შანიძე, ა. ონიანი, ი. ასათიანი ) და ცოცხალი მეტყველების მონაცემების შედარება-შეპირისპირების საფუძველზე. ირკვევა, რომ მეგრულ-ლაზურსა და სვანურში სინტაქსურ-სტრუქტურულ, სემანტიკურ რუსიზმებს უდავოდ სჭარბობს უშუალოდ რუსულიდან შემოსული ლექსემები, თუმცა რუსიზმების ასათვისებლად ქართველურმა ენებმა სესხების ორივე გზა (შუალობითი და უშუალო) გამოიყენა. გამოყენების სიხშირის თვალსაზრისით სხვაობა შეინიშნება აგრეთვე თანამედროვე ცოცხალი მეტყველებისა და თითქმის საუკუნის წინ ჩაწერილი სვანური, მეგრული და ლაზური ტექსტების მონაცემთა შედარების თვალსაზრისითაც.

**§13. პირდაპირი სემანტიკური მარკირება ქართველურში:**  
ქართველურ ენათა ზმნის სირთულის შესახებ საენათმეცნიერო ლიტერატურაში არაერთგზის აღნიშნულა. ამ სირთულეს უამრავი ფაქტორი განაპირობებს. აგლუტინაციურობა, პოლიპერსონალიზმი, საკმაოდ რთულ გრამატიკულ კატეგორიათა მრავალფეროვნება და შესაბამისად მათი მარკირების საკითხი, გვარისა და დიათეზის ურთიერთმიმართება, ინვერსია...

ამჯერად ჩვენი ინტერესის საგანს მარკირების თემა წარმოადგენს – კერძოდ, სემანტიკური მარკირებისა. ამასთან დაკავშირებით უაღრესად საინტერესოდ და დამაჯერებლად გვეჩვენება ი. მელიქიშვილის თვალსაზრისი არა სინტაქსური, არამედ სემანტიკური მარკირების შესახებ, რომელიც დღემდე არსებულ არაერთ წინააღმდეგობრივ ვითარებას ხსნის, კერძოდ, **ფ-ისა და მ-ის** როგორც სუბიექტური და რიგის პირის ნიშანთა გარკვეული ჯგუფის ზმნებში ფუნქციური აღრევისა, აქედან გამომდინარე, ინვერსიისა...

„ქართველური მორფოლოგიის რთული სინამდვილის აღწერა უნდა დავამყაროთ მისი ტიპის სწორ განსაზღვრას. მას არ უნდა წავუყენოთ მოთხოვნები, რომლებიც სხვა მორფოლოგიურ ტიპს შეესაბამება. მორფოლოგიური მარკირების ტიპოლოგიამ უნდა გავგვცეს პასუხი კითხვაზე: რაზე არის ორიენტირებული მორფოლოგიური მარკირება – ა) სუბიექტ-ობიექტის სინტაქსურ ლოგიკურ მიმართებებზე თუ ბ) ზმნასთან დაკავშირებული აქტანტების სემანტიკურ ბუნებაზე? ანუ: მორფოლოგია ლოგიკურ-სინტაქსურად არის ორიენტირებული თუ სემანტიკურად.

თანამედროვე ლინგვისტიკაში უკვე დამკვიდრებულად შეიძლება ჩაითვალოს ენათა ტიპოლოგიური კლასიფიკაცია სინტაქსური მარკირებისა და სმენატიკური მარკირების ენებად. ქართული და სხვა ქართველური ენები

მორფოლოგიური მარკირებისას ძლიერ სემანტიკურ მოტივაციას ავლენენ“ (ი. მელიქიშვილი, 2005: 139-153).

ნაშრომის მიზანს სვანურში და ზოგადად ქართველურში კონკრეტული ენობრივი მასალის საფუძველზე საკითხის დასმა წარმოადგენს. კერძოდ, აქტიურობა-ინაქტიურობის კატეგორიის, როგორც სახელთა და ზმნათა მორფოლოგიური გაფორმების განმსაზღვრელი მოვლენის შესწავლა და ანალიზი. რამდენად მისდევს ამ თვალსაზრისით მეგრული, ლაზური და სვანური ქართულს, როგორ ნაწილდება შესაბამისად აქტიური და არააქტიური პირის ნიშნები, ეთხვევა თუ არა ამის საფუძველზე გამოყოფილ ზმნათა მორფო-სემანტიკური ჯგუფები ქართულისას, რა სპეციფიკური ნიუანსები შეინიშნება.

„ქართველურ ენათა პირის ნიშანთა ორი რიგის დაპირისპირება ასახავს არა სუბიექტურ/ობიექტურ მიმართებებს, არამედ აქტივისა და ინაქტივის დაპირისპირებას“ (მელიქიშვილი, 2005: 140).

საანალიზო მასალის საფუძველზე გამოიკვეთა, რომ პირის ნიშნები სვანურში, მეგრულსა და ლაზურში შეიძლება კლასიფიცირდეს და დაჯგუფდეს აქტიურობა-ინაქტიურობის პრინციპით.

ქართულის მსგავსად ქართველურშიც ინაქტიური ქვემდებარე აქვთ შემდეგი სემანტიკური ჯგუფის ზმნებს – გრძნობისა და შეგრძნებების, სხეულის მდგომარეობის, აზროვნებითი პროცესების გამომხატველ და ქონა-ყოლის აღმნიშვნელ ფორმებს. განვიხილოთ თითოეული ჯგუფი ცალ-ცალკე:

ა) გრძნობისა და შეგრძნებების გამომხატველი ზმნები  
სვანურში:

მ-ალჷტ	ჟ-ალჷტ	ხ-ალჷტ	„მიყვარს“
მ-სსისგ	ჟ-სსისგ	ხ-სსისგ	„მძულს“
მ-წიწყტ	ჟ-წიწყტ	ხ-წიწყტ	„მძაგს“
მ-ალა	ჟ-ალა	ხ-ალა	„მწყინს“
გუ-მ-ნრ	გუ-ჟ-ნრ	გუ-ხ-ნრ	„მწადია“, „ბუღად მინდა“
ლა-მ-სიწმი	ლა-ჟ-სიწმი	ლა-ხ-სიწმი	„მქსიამოვნება“
მ-წყტიყუ	ჟ-წყტიყუ	ხ-წყტიყუ	„მეზიზღება“
მ-ახგრა	ჟ-ახგრა	ხ-ახგრა	„გაბრაზებული ვარ“
მ-წხიად	ჟ-წხიად	ხ-წხიად	„მიხარია“
მ-აყლწნი	ჟ-აყლწნი	ხ-აყლწნი	„მეშინია“
მ-წრდტეგ	ჟ-წრდტეგ	ხ-წრდტეგ	„მერიდება“
მ-ესმი	ჟ-ესმი	ხ-ესმი	„მესმის“
მ-წლხინ	ჟ-წლხინ	ხ-წლხინ	„მილხინს“
მ-იჭირ	ჟ-იჭირ	ხ-იჭირ	„მიჭირს“
მ-აკუ	ჟ-აკუ	ხ-აკუ	„მინდა“
მ-ათხწმ	ჟ-ათხწმ	ხ-ათხწმ	„მწურს“
მ-აშა	ჟ-აშა	ხ-აშა	„მწურს“, „მებეკვრება“

**ბ) სხეულის მდგომარეობის გამომხატველი ზმნები სგანურში:**

Iა.	IIა.	IIIპ.	
მ-ეუჟე	ჯ-ეუჟე	ხ-ეუჟე	„მძინავს“
მ-ეუჟუნი	ჯ-ეუჟუნი	ხ-ეუჟუნი	„მეძინება“
მ-ედცხენი	ჯ-ედცხენი	ხ-ედცხენი	„მეღვიძება“
მ-ეზგი	ჯ-ეზგი	ხ-ეზგი	„მტკივა“
მ-აფთჟე	ჯ-აფთჟე	ხ-აფთჟე	„მცხელა“, „სიცხე მაქვს“
მ-აფდ	ჯ-აფდ	ხ-აფდ	„მშია“
მ-აფგნ	ჯ-აფგნ	ხ-აფგნ	„მწყურია“
მ-აწჟუნე	ჯ-აწჟუნე	ხ-აწჟუნე	„მახველებს“
მ-აბგრზუნე	ჯ-აბგრზუნე	ხ-აბგრზუნე	„მაცხცხცხებს“
მ-არკუნაწუნე	ჯ-არკუნაწუნე	ხ-არკუნაწუნე	„მაკანკალებს“
მ-აფჟოწუნე	ჯ-აფჟოწუნე	ხ-აფჟოწუნე	„მაბოდებს“
მ-აგლი	ჯ-აგლი	ხ-აგლი	„მეძინება“
მ-ასკორა	ჯ-ასკორა	ხ-ასკორა	„მედარდება“
მ-ატკლებ	ჯ-ატკლებ	ხ-ატკლებ	„მენანება“
მ-ელანდ	ჯ-ელანდ	ხ-ელანდ	„მეჩვენება“
მ-ეწუნე	ჯ-ეწუნე	ხ-ეწუნე	„მეჩვენება“
მ-ანჰაწჟ	ჯ-ანჰაწჟ	ხ-ანჰაწჟ	„მეჩატება“
მ-აჰალა	ჯ-აჰალა	ხ-აჰალა	„მეჩქარება“
მ-ანჰქრანლა	ჯ-ანჰქრანლა	ხ-ანჰქრანლა	„მეჩქარება“
მ-აკგლანლა	ჯ-აკგლანლა	ხ-აკგლანლა	„მეჩქარება“
მ-ამიღდა	ჯ-ამიღდა	ხ-ამიღდა	„შემიძლია“
მ-აწგხ	ჯ-აწგხ	ხ-აწგხ	„მჭირდება“
მ-ეზგი	ჯ-ეზგი	ხ-ეზგი	„მტკივა“
მ-ათგმ	ჯ-ათგმ	ხ-ათგმ	„მჭირს“
მ-აჭკრა	ჯ-აჭკრა	ხ-აჭკრა	„მედარდება“

გ) აზროვნებითი პროცესების გამომხატველი ზმნები სვანურში:

მ-იხა	ჯ-იხა	ხ-იხა	„ვიცი“
მ-აბჟა	ჯ-აბჟა	ხ-აბჟა	„მგონია“
მ-აჯრატაჟე	ჯ-აჯრატა	ხ-აჯრატა	„მჯერა“
მ-ეწტენი	ჯ-ეწტენი	ხ-ეწტენი	„მეჩვენება“
მ-აშყიდ	ჯ-აშყიდ	ხ-აშყიდ	„მახსოვს“
მ-ეშყდენი	ჯ-ეშყდენი	ხ-ეშყდენი	„მაგონდება“
მ-ეშდნი	ჯ-ეშდნი	ხ-ეშდნი	„მაგიწყდება“
მ-ამგნა	ჯ-ამგნა	ხ-ამგნა	„ვგონებ“ „მგონი“
მ-აბტნებ	ჯ-აბტნებ	ხ-აბტნებ	„მედარდება“
მ-ანწამ	ჯ-ანწამ	ხ-ანწამ	„მწამს“

დ) ქონა-ყოლის აღმნიშვნელი ზმნები სვანურში:

მ-ულტა	ჯ-ულტა	ხ-ულტა	„მაქვს“
მ-ნრ	ჯ-ნრ	ხ-ნრ	„მაქვს“ (ითქმის სხეულისნაწილებზე)
მ-ირი	ჯ-ირი	ხ-ორი	„მყავს“ ძვ. ქართ. მივის
მ-აყა	ჯ-აყა	ხ-აყა	„მყავს“
მ-აბდავა	ჯ-აბდავა	ხ-აბდავა	„მაბადია“

ასეთივე მარკირება გვაქვს ზმნებში:

მ-წქტ	ჯ-წქტ	ხ-წქტ	„მაცვია ტანზე“
მ-წზღ	ჯ-წზღ	ხ-წზღ	„მაცვია ფეხზე“
მ-ნგ	ჯ-ნგ	ხ-ნგ	„მახურავს“
მ-აფრა	ჯ-აფრა	ხ-აფრა	„მახურავს“ (მანდილი)
მ-წბ	ჯ-წბ	ხ-წბ	„მაბია“

„ზმნები, რომლებიც ხშირად ინვერსიულად არის კვალიფიცირებული (ჩიქობავა, მელიქიშვილი) არ იმსახურებენ ასეთ განსაზღვრას, რადგან მათ სტრუქტურაში არ მომხდარა ინვერსია, შებრუნება, ისინი სემანტიკური ვითარების პირდაპირ მარკირებას ახდენენ“ (მელიქიშვილი, 2005: 145).

სვანური ენის მონაცემები სავსებით უჭერს მხარს ამ თვალსაზრისს. უფრო მეტიც, სვანურში შეიძლება გამოიყოს უნებლიობის სემანტიკისა და სხვა სპეციფიკური ნიუანსებით ზმნათა მრავალრიცხოვანი ჯგუფები, რომლებიც ასევე პირდაპირ სემანტიკურ მარკირებას ახდენენ. მაგ. ქართულში ერთგვარი ხელოვნურობის ელფერი დაჰკრავს, მაგრამ სვანურში სავსებით ბუნებრივია ისეთი ფორმები, როგორიცაა:

<b>ჩუ მ-ეჩჷმინი</b>	„გამეკეთებინება“
<b>ქა მ-ეყნრი</b>	„მეცემინება“
<b>სგა მ-ეტყჷმფი</b>	„შემომელაწუნება“
<b>სგა მ-ელგნძღჷტი</b>	„შემომელანძღება“
<b>სგა მ-ელგჷრი</b>	„შემომეკვლევივინება“
<b>სგა მ-ეტყცჷნი</b>	„შემომელახება“

სვანურში, განსაკუთრებით ბალსზემოურ კილოში არის ზმნათა ჯგუფი, რომელშიც გამოხატულია სუბიექტის განწყობა, ძლიერი სურვილი, ჩაიდინოს ზმნით გამოხატული მოქმედება.

<b>მ-წზნუნი</b>	„წასვლა მინდა“
<b>მ-ათხუთარჷნე</b>	„ნადირობა მსურს, მწადია“
<b>მ-ანყაჷმღნე</b>	„გავლა-გამოვლა, მასლაათი მსურს“
<b>ა-აჷნუნი</b>	„ხვნა მინდა“
<b>მ-აბჷრგუნი</b>	„თოხნა მინდა“
<b>მ-ჷხერაღჷნე</b>	„ბეჯითობა მინდა“



მ-აზელალტუნე	„სიარული მინდა“
მ-ალგიმალტუნე	„მშენებლობა, შენება მინდა“
მ-აგვრგალტუნე	„ლაპარაკი მსურს“

სპეციალურ ლიტერატურაში მათ პირობითად მოდალურ ზმნებსაც უწოდებენ. (რ. ჭკადუა, სტატიკურ მზნათა სტრუქტურულ-სემანტიკური ანალიზი ზემოს ვანურში, ავტორეფერატი, თბ., 1999, გვ. 14.)

1. ალ სნმაქ ლახ იქნხანწლ, ეჩჟი ათუ ლი, ერე მეგამხანჩუ ნაპრლ ჩუ შეყდნი. „ეს ქალიშვილი როცა იცინის, ისეთი ცხელია, რომ ხიდან ჩიტიც კი ჩამოვარდება“.

2. ჯტინაღლ ამჩუ ლგმზიგ ლგფკელ იმახათ. „ძველად აქ ცხოვრობდა (=ნაცხოვრება) ქალბატონი იმახათი“ (სვან. ენ ქრესტ. 1978:98).

3. აშხტ ლადღლ ლწთხტდართე' აჩწდ ესნწრ ხოშა მუხტბე, ოხტიმდ ღტაშ ჩუ ხეთხწნ ი აგით' ანწდღ. „ერთ დღეს თურმე სანადიროდ წასულა“; უფროსი ძმა, ხუთი ჯიხვი მოინადირა (=ეშოვა) და შინ დაბრუნდა“ (სვან. ენ ქრესტ. 1978: გვ. 101).

4. ზურაღლ ქჩწდ ი გაბწღლ მწნკტი მარწნს ხოძგაწრ. „ქალი გავიდა და გაბი სწრაფად შევარდა მარანში“ (სვან. ენ ქრესტ. 1978:157).

5. სწმი ლახტბა ლიხ ი ესღრიხ ლაქჩათე ჰამს. მინე-მინე ლეზიზ ხულტუხ. „სამი ძმანი არიან და მიდიან ტყეში მორების მოსატრელად თავთავიანთი საგზალი აქვთ ყველას“.

6. საყღწარ ჟიქწნ დეცს ხორიკ ქორ, ეჩხწჩუ ჩი ჰამს ისკნე გიცღწდ საყღრი ჰწწტუწსგა. „საყღარს ზემოთ ცაზე არის გამოკიდებული სახლი, იქიდან ყოველ დილით გადმობტება ხოლმე პატარა ვერძი საყღრის ეზოში“.

7. აჩწდხ, სგ'აჩწდხ ალ ლექტწწრთესგა ი ჩტ'აწრიხ ამწსგა ქტირწფისგა ალ ლახტბა. „წავიდნენ, შევიდნენ ამ წისქვილში და არიან ე ამაში წისქვილის ხვიმირში ეს ძმები“.

8. ლახუაშვილ, მაშვილ, ხოგდახ ხოშა მეგამხანჯა ლესყე ლასგლეგნწრ „იალაღებზე სახმარად [მთისთვის] მახსოვს ედგათ ხისგან გაკეთებული დიდი სასულგუნეები“.
9. ლასგლეგინჟი ლაკვლბეტარწლს ლესგჟი ფხულენმი ნანგრი ცხირს ხონხენდახ. „სულგუნის გაკეთებისას ყალიბებს გვერდზე თითის სიმსხო ცხირს ჩაუტნევენ“.
10. ესწგხენდა, ანურშტენეჟ ი ეჯ წმჟინ ესფედგწნ მიჩაცანწნ...დასჭირდა, ახსენა და იმ წამსვე მასთან გაჩნდა“.

„ქართველური ინაქტიური კონსტრუქციის ზმნების ინვერსიულად მიჩნევა სინტაქსური მარკირების პრინციპის თავს მოხვევაა ამ ენებისთვის, ეს არის მათი განხილვა ქართველური მორფოლოგისათვის უცხო, ევროპულ ენათათვის ნიშანდობლივი პრინციპის თვალსაზრისით. ქართველური მორფოლოგიის იმანენტური პრინციპია პირდაპირი სემანტიკური მარკირება. ასეთი უნდა ყოფილიყო ის საერთო ქართველურ დონეზე და ასეთია ის დღესაც, რადგან გარკვეულ სემანტიკურ ჯგუფებში ახალი წარმოებების გაჩენისასაც ეს პრინციპი ძალაში რჩება“ (მელიქიშვილი, 2005: 152);

ცოცხალ მეტყველებაში არსებულ ფორმებზე დაკვირვების შედეგად შეიძლება დავასკვნათ, რომ პირდაპირი სემანტიკური მარკირება სვანურში გვაქვს გრძნობისა და შეგრძნებების, სხეულის მდგომარეობის, აზროვნებითი პროცესების გამომხატველ, ქონა-ყოლის აღმნიშვნელ ზმნებში, მეგრულსა და ლაზურშიც ზემოთ აღნიშნული შინაარსობრივი ჯგუფების ზმნებში პირდაპირი სემანტიკური მარკირებაა. მათ ემატება, როგორც უკვე აღინიშნა, პოტენციალისის კატეგორიის ზმნები **მ-აკეთინე(ნ)//მ-აქიმინე(ნ)** „შემიძლია გავაკეთო“, **მ-აშეე(ნ)** „შემიძლია დავლიო, მესმევა“, **მ-აჭკომე(ნ)** „შემიძლია ვჭამო, მეჭმევა“ ტიპისა.

სვანურის მონაცემების შედარებისას, ორიოდე ზმნა აღმოჩნდა მეგრულსა და ლაზურში ვინის რიგისა, უმეტეს შემთხვევაში კი მარკირება ერთნაირია, რაც კარგად ჩანს მოცემულ საანალიზო მასალაში:

**ა) გრძნობისა და შეგრძნებების გამომხატველი ზმნები მეგრულში:**

მ- იორს	გ-იორს	უორს	„მიყვარს“ -
ბჯოგჲ	რჯოგჲ	ჯოგჲ	„მეუღლს“
მ-ოწყინჲ	გ- ოწყინჲ	ოწყინჲ	„მწყინს“
მ-ოკო	გ-ოკო	ოკო	„მწაღია“, „გულადმინდა“
მ-ესიამოვნჲ	გ- ესიამოვნჲ	ესიამოვნჲ	„მესიამოვნება“
მ-ოწიწკჲ	გ-ოწიწკჲ	ოწიწკჲ	„მეზიზღება“
მოხიოლჲ	გ-ოხიოლჲ	ოხიოლჲ	„მიხარია“
მ-ოშკურჲ	გ-ოშკურჲ	ოშკურჲ	„მეშინია“
მ-ორიდჲ	გ- ორიდჲ	ორიდჲ	„მერიდება“
მ-არჩქილე	გ-არჩქილე	არჩქილე	„მესმის“
მ-ირხინსჲ	გ-ირხინსჲ	ურხინსჲ	„მიღხინს“
მ- იჭირს	გ- იჭირს	უჭირს	„მიჭირს“
მ-ოკო	გ-ოკო	ოკო	„მინდა“
მ-ონჯარჲ	გ-ონჯარჲ	ონჯარჲ	„მშურს“

**ბ) სხეულის მდგომარეობის გამომხატველი ზმნები მეგრულში:**

ბ - ლურს	რლურს	ლურს	„მძინავს“
მ-არულუაფჲ	გ-არულუაფჲ	არულუაფჲ	„მეძინება“
მ- აკურცხინუაფჲ	გ-აკურცხინუაფჲ	აკურცხინუაფჲ	„მეღვიძება“
მ-აჭა	გ-აჭა	აჭა	„მტკივა“

ფშკირენსH	რშკირენსH	შკირენსH	„მშია“
პუმენსH	რუმენსH	უმენსH	„მწყურია“
მ- ოხვალაფუანსH	გ- ოხვალაფუანსH	ოხვალაფუანს H	„მახველებს“
მოკანკალაფუას	გოკანკალაფუას	ოკანკალაფუას	„მაკანკალებს“
მაბორდიშა- ფუანსH	გ-აბორდიშა- ფუანსH	აბორდიშა- ფუანსH	„მაბოდებს“
მ- ოჯაბH	გ - ოჯაბH	ოჯაბH	„მედარდება“
მ - ონანH	გ - ონანH	ონანH	„მენანება“
მ - ოლანდH	მ - ოლანდH	მოლანდH	„მელანდება“
მემეძირH	მემეძირH	მემეძირH	„მეხვევება“
მ-ანჰ@შ	ჯ-ანჰ@შ	ხ-ანჰ@შ	„მემჩატება“
მ- ოჩქარH	გ- ოჩქარH	ოჩქარH	„მეჩქარება“ -
შე-მ-იღებH	შე-გ-იღებH	შეუღებH	„შემიძლია“
მ-ოსაჭირH	გ-ოსაჭირH	ოსაჭირH	„მჭირდება“
მ-აჭუ	გ-აჭუ	აჭუ	„მტკივა“
მ-ოჭე	გოჭე	ოჭე	„მჭირს“

**გ) აზროვნებითი პროცესების გამომხატველი ზმნები  
მეგრულში:**

მ - იჩქH	გიჩქH	უჩქH	„ვიცი“
მიმ -ოჩქH	მი-გ-ოჩქH	მიოჩქH	„გეონია“
ბჯერს	გ - ჯერს	ჯერს	„მჯერა“
ბშH	რშH	უშH	„მასხოვს“
მაშინუაფH	გ-აშინუაფH	აშინუაფH	„მაგონდება“
მ-ოჭყორდH	გ-ოჭყორდH	ოჭყორდH	„მავიწყდება“
ბწანსH	რწანსH	წანსH	„მწამს“

**დ) ქონა-ყოლის აღმნიშვნელი ზმნები:**

მ-იღუ	გ-იღუ	უღუ	„მაქვს“
მ-იუნს	გიუნს	უუნს	„მყავს“

მ-ობადუ	გობადუ	ობადუ	„მაზადია“
---------	--------	-------	-----------

ასეთივე მარკირება გვაქვს ზმნებში:

მიკმოქუნსH	მირკოქუნსH	მიკაქუნსH	„მაცვია ტანზე“
მუ-მ-ოდH	მუ-გ-ოდH	მადH	„მაცვია ფეხზე“
გი-მ-ორთH	გი-გ-ორთH	გიორთH	„მანსურავს“
მუ-მ-ობH	მუ-გ-ობH	მაბH	„მაზია“

1. ...ასე თეზმა მწუხარება **მიკვენ**, ჩქიმთ მუშენი რე. „ახლა ამდენი მწუხარება მიკვირს ჩემთვის რატომ არის“ (ყიფშიძე, 1994: 332).
2. ნინათ ვა მათქუე, ვარა ბრელი **მიღუ** სარაგადო. „ენით ვერ ვამბობ, თორემ ბევრი მაქვს სათქმელი“ (ყიფშიძე, 1994: 334). შენი გულისთვის
3. ხვალე სქანი გურიშენ რე, ქიჯანა **მიცორს!** „მხოლოდ შენი გულისთვისაა, ქვეყანა (რომ) მიყვარს“ (ყიფშიძე, 1994: 341).
4. ირო გურიშა ალამირენი-შო, **გგმაშინე ნი**, მანგარგნენი-შო. „ყოველთვის გულში მიღევსო, გამახსენდება, მეტირებო“ (ყიფშიძე, 1994: 349).
5. მარა ენა მუთ **მიმორჩქე**, უკულ ვა დმოკორდღდე? „მაგრამ ამას რად მივიჩნევ, შემდეგ (რომ) არ დამაკლდებოდე“ (ყიფშიძე, 1994: 348).
6. მუში ნაგორა მისეთი **ცუნცე**, ბედინერი ორე თინა“ (ყიფშიძე, 1994: 350).
7. ვარა ჭუმე მა სი მუ რჩა? ვა **გოკო** ნი ჭა დო ფურჩა? „ან ხვალ მე შენ რა გაჭამო? არ გინდა ჩალა და ფუჩი?“ (ყიფშიძე, 1994: 352).
8. ჩქიმი დუდი მა **ბჯოგე** ნი, თეში მუშე გამანწირი? „ჩემი თავი მე (რომ) მძულს, ისე რატომ გამწირე?“ (ყიფშიძე, 1994: 356).

9. ჰვეში კაკალი მისხუნუდუ ათე მარწკინაიაშა; „ძველი კაკალი მერჩინა ამ ბრჭყვიალასა“ (ციფშიძე, 1994:378).

10. ცურუს ძღვენი ოხიოლუდუ, ჰკვერს ოწყინუდუ. „უგნურს ძღვენი უხაროდა, ჰკვიანს წყინდაო“ (ციფშიძე, 1994:383).

11. დოხოურს ჩქიმდა სო მართედგ, თერქ თეშ დოფხვილესგ ნი... „ექიმს ცემთან სად მოესვლებოდა (როგორ შეძლებდა მოსვლას), თოვლმა ისე ჩაგკეცა (ჩაგვიჭირა)“ (ციფშიძე, 1994:365).

12. ვა დგმახუნუ, ვა დგმანჯირგ, იშო-აშო გილოურქუ... „ვერ დაფჯექი (შევეძელი დაჯდომა), ვერ დაწვექი (შევეძელი დაწოლა), იქით-აქეთ დადიხარ“ (ციფშიძე, 1994:367).

**ა) გრძნობისა და შეგრძნებების გამომხატველი ზმნები ლაზურში:**

პ-ყორუფ მალიმბენ	ყორუფ გ-ალიმბენ	ყორუფ-ს ალიმბენ	„მიყვარს“
მ-ინონ	გ-ინონ	უნონ	„მწაღია“
მახელენ	გ-ახელენ	ახელენ	„მიხარია“
მაშქურიენ	გ-აშქურიენ	აშქურიენ	„მეშინია“
ბ-ოგნამ	ოგნამ	ოგნამს	„მესმის“
მიკორემ-ს	გ-იკორემ-ს	უ-კორემ-ს	„მჭირდება“

**ბ) სხეულის მდგომარეობის გამომხატველი ზმნები ლაზურში:**

ბ-ჯან	ჯან	ჯან-ს	„ძინავს“
მ-ანჯირენ	გ-ანჯირენ	ანჯირენ	„მეძინება“
მაჭვენ	გ-აჭვენ	აჭვენ-ს	„მტკივა“
მ-შქირონ-ს	გ-შქირონ-ს	შქირონ-ს	„მშია“
მაღომინენ	გ-აღომინენ	აღომინენ	„მწყურია“
მახვალენ	გ-ახვალენ	ახვალენ	„მახველებს“

მ-ადარდალენ	გ-ადარდალენ	ადარდალენ	„მაცანცახებს“
მ-ალოდენ	გ-ალოდენ	ალოდენ	„მჭირს“

**გ) აზროვნებითი პროცესების გამომხატველი ზმნები ლაზურში:**

მ-იჩქუნ	გ-იჩქუნ	უ-ჩქუნ	„ვიცი“
ქო-მ-შუნ-ს	გ-შუნ-ს	შუნ-ს	„მახსოვს“
გო-ვ-იშინამ	გო-იშინამ	გოიშინამ-ს	„მაგონდება“
მ-აჭკონდუნ	გ-აჭკონდუნ	აჭკონდუნ	„მავიწყდება“

**დ) ქონა-ყოლის აღმნიშვნელი ზმნები ლაზურში:**

მ-იღუ(ნ)	გ-იღუ(ნ)	უღუ(ნ)	„მაქვს“ მიღუ
მ-იყონ-ს	გ-იყონ-ს	უ-ყონ-ს	„მყავს“

1. ნგაფი ნა პათენ, მუთუ უარ მიღუნან-და... „საჭმელი რომ გავაკეთოთ, არაფერი არ გვაქვსო“ (დიუმეზილი, 2009:154).
2. სი არ ჯუმა მიფონუთ, ბოზო უარ გაძიფუ დო ნთხა ეჭოფარე-ფი? „ერთი ძმა გვყავხარ, ქალიშვილი ვერ მოძებნე და თხას ირთავო?“ (დიუმეზილი, 2009:166).
3. ოხორჯას კაფ დაწონუ. „ქალს ძალიან მოეწონა“ (დიუმეზილი, 2009:174).
4. ბოზოქ: „დომაჭკინდუ, დომაჭუ“-და, ზოპონდუ. „ქალისვილი: „დავიღალე, მტკივაო“, - ამბობდა.“ (დიუმეზილი, 2009:178).
5. დიდი ბოზოს აშქურნუ რო იმტუ. „უფროს ქალიშვილს შეეშინდა და გაიქცა“ (დიუმეზილი, 2009:178).
6. ჭუტაშე ატამახეტუ: „ვემუს ქომოლი დო ბერეფე ქუფონუნ, მა ჩქარ მუთუ უარ მიფონუნ“-და, ზოპონტუ“. „უმცროსის

შურდა: „ამას ქმარი და შვილები ჰყავს, მე სულ არავინ არ მყავს“-ამბობდა“(დიუმეზილი, 2009:178).

7. ბაბა, ჰადა ნა **გიჩქინ**-სთედ ქარმატე უარენ. „მაბა, ეს რომ იცი, ისეთი წისკიელი არ არის“(დიუმეზილი, 2009:184).

8. მუთუ **გახენენ**-ნა ჰემ შედეფე -ჩქუნი ხანჯის ქოფუტოფი-და. „თუ რამეს შეძლებ (გაკეთება შეგიძლია), ის ჩვენი ნივთები მექარვასლეს წაართვიო“(დიუმეზილი, 2009:184).

9. ხანჯიქ: „ხეს მუ **გოქაჩუნ**?“-და, კითხუ. ბერექ: „დიდო კად შედ **მოქაჩუნ**. დუნდას მუნთხა **მინონ** შედეფე ჰემუთენ ბიქომ“-და.... „მექარვასლემ: „ხელში რა გიჭირავსო?“, ჰკითხა. ბიჭმა: „ძალიან კარგი ნივთი მიჭირავს, ქვეყანაზე რაც მინდა, ყველაფერს ამით ვაკეთებო“(დიუმეზილი, 2009:184).

10. უჩა კონის არ ზანახატი **ურქიტუ**. „შავმა კაცმა ერთი ხელობა იცოდა“(დიუმეზილი, 2009:188).

11. ფადიშაჰიქ ხოლო კითხუ: „ისა თქუდი, მოთ **გაშქურნეტას**, ენნი რახატლული მო ეენ?“-და. „ფადიშაჰმა ისევ ჰკითხა: „მართალი თქვი, ნუ გეშინია, ყველაზე დიდი შვება რა არისო?“ (დიუმეზილი, 2009:204).

12. ჩობანის კად **დაწონუ**-დორენ. „მწყემსს ძალიან მოსწონებია (ეს აზრი)“(დიუმეზილი, 2009:214).

13. ოხორჯა-მუში დიდო **მოწონდუ-დორენ**. „თავისი ცოლი ძალიან მოსწონდა თურმე“(დიუმეზილი, 2009:198).

14. ქომოლი დუღდას ეენ, ნგადაი **ამშქორნუ**, მოხთა-ში, მუ ჭკომას?-და. „ქმარი საქმეზე არის, საჭმელი მოშივდება, რომ მოვა, რა ჭამოსო?“ (დიუმეზილი, 2009:154).

15. „ბაბა-ჩქიმი, მუ კად მოგალუ, **გომანჭკელი-დორტუნ**“-და. „მამაცემო, რა კარგი ქენი, მომნატრებიხარო“(დიუმეზილი, 2009:160).

სვანურის, მეგრულისა და ლაზურის მონაცემების შეჯერებით აშკარაა, რომ სემანტიკური მარკირებით ზმნათა დაჯგუფება ქართულის შესატყვისია და ერთიან ქართველურ სისტემას წარმოადგენს.





#### §14. დიათეზის მორფოსინტაქსური კატეგორია სვანურში:

ქართული ზმნის უღლების ტიპებად დაყოფისას, როგორც ცნობილია, ქართულ გრამატიკულ ლიტერატურაში საფუძვლად გვარის გრამატიკული კატეგორიაა მიღებული. ინოვაციური კვლევებით კი – კლასიფიკაციის პრინციპად აღებულია ზმნის მორფოლოგიური სტრუქტურისა და სინტაქსური კონსტრუქციის ერთიანობა, რაც ლინგვისტიკაში დიათეზის მორფოსინტაქსურ კატეგორიად არის სახელდებული და ფორმულირებული; სწორედ დიათეზა, მკვლევართა ნაწილის აზრით, ხსნის იმ შეუსაბამობებსა და აუხსნელ საკითხებს, რომლებიც გვარის მიხედვით კლასიფიკაციის დროს იჩენს თავს (დეპონენსები, მედიაქტივი, მედიაპასივი...)

როგორც ცნობილია, სალიტერატურო ქართულსა და ქართველურ ენებშიც მწკრივთა სერიებად დაყოფას საფუძვლად უდევს მორფოლოგიური და სინტაქსური ნიშნები. მორფოლოგიურ ნიშანთაგან აღსანიშნავია შემდეგი: 1. ორთემიანი ზმნები პირველ სერიაში რთული თემით არიან წარმოდგენილნი, ე.ი. თემის ნიშნებს დაირთავენ. თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ მეორე სერიაში ზმნები არასდროს არ დაირთავენ თემის ნიშნებს, აღმოჩნდება, რომ თემის ნიშანთა დართვა-დაურთველობით კარგად უპირისპირდება ერთმანეთს I და II სერიები. ე.ი. რთულთემიანები (თემისნიშნისანი) ერთიანდებიან პირველ სერიაში, მარტივთემიანები (უთემისნიშნოები) – მეორე სერიაში. თემათა სხვაობის პრინციპს ემორჩილებიან ე.წ. ფუძედრეკადი ზმნებიც ისინი I სერიის ფარგლებში ე ხმოვანს გვიჩვენებენ, მეორეში -ი-ს; ვგრეხ – ვგრიხე, ვგლეჯ – ვგლიჯე, ვხვრეტ – ვხვრიტე, ვჭყლეტ – ვჭყლიტე... მაშასადამე, ორთემიანი ზმნები I სერიაში რთულთემიანებია, II სერიაში – მარტივთემიანები, III

სერიაში კი – ისევ რთულთემიანები. 2. III სერიის ფორმებს აერთიანებს მოქმედებითი გვარის ზმნათა ინვერსიული წარმოება: ვწერ - მი-წერ-ი-ა, გ-ი-წერ-ი-ა, უ-წერ-ი-ა, გვი-წერ-ი-ა, გ-ი-წერ-ი-ა-თ, უ-წერ-ი-ა-თ... 3. I სერიის ორ ქვესერიად, ორ წრედ დაყოფასაც მორფოლოგიური საფუძველი აქვს: აწმყოს წრეში გაერთიანებულია უსრულასპექტიანი ფორმები, მყოფადის წრეში – სრულასპექტიანი ფორმები.

სერიებად დაყოფის სინტაქსური საფუძველები კი შემდეგია: 1. პირველ სერიაში გაერთიანებულია მოქმედებითი გვარის ზმნათა ის ფორმები, რომლებიც სუბიექტს სახელობითში შეიწყობენ: მშენებელი აშენებს სახლს...

2. მეორე სერიაში გაერთიანებულია მოქმედებითი გვარის ზმნათა ის ფორმები, რომლებიც სუბიექტს მოთხრობითში შეიწყობენ: მშენებელმა ააშენა სახლი. 3. მესამე სერია კი აერთიანებს მოქმედებითი გვარის ზმნათა იმ ფორმებს, რომლებსაც სუბიექტი მიცემითში შეეწყობა: მშენებელს აუშენებია სახლი. ამას ემატება პირდაპირი ობიექტის თავისებურებაც – პირველი სერიის ზმნებს შეეწყონ მიცემითში, მეორე-მესამე სერიის ზმნებს კი სახელობითში. მაშასადამე, I და II-III სერიის ფორმები პირდაპირი ობიექტის ბრუნვების მიხედვითაც გამოკვეთილად უპირისპირდებიან ერთმანეთს (მიქიაშვილი, 2006: 122).

ღიათეზის ცნება ქართულ ენაში მოიცავს ზმნის ვალენტობისა და პირიანობის, კონსტრუქციის, ზმნასა და სახელს შორის სინტაქსური ურთიერთობის საკითხებს; შესაბამისად ღიათეზა ლინგვისტურად კვალიფიცირდება როგორც მორფოსინტაქსური კატეგორია. „უღლების ტიპების ღიათეზებად კლასიფიცირება და ზმნის მორფოლოგიური სტრუქტურისა და სინტაქსური კონსტრუქციის

ერტიანობის პრინციპად აღება ხსნის იმ შეუსაბამობებს, რომლებიც გვარის მიხედვით კლასიფიკაციის დროს იჩენს თავს“ (დ. მელიქიშვილი). ქართულ-მეგრულ ზმნასთან შედარებით სვანური ზმნის სირთულის შესახებ არაერთგზის აღნიშნულა საენათმეცნიერო ლიტერატურაში. აქ ჯერჯერობით შეუსწავლელია დიათეზის გრამატიკული კატეგორია, მაგრამ სერიების მწკრივებად დაყოფისა და ინვერსიის ტიპების თვალსაზრისით ქართულთან პარალელების, გვარისა და რეფლექსივის საკითხებში კი სვანურის სპეციფიკურობისა თუ თვით სვანური ზმნის მორფოლოგიურ-სინტაქსური თავისებურებების გათვალისწინების საფუძველზე სვანურ ენაშიც შეიძლება გამოიყოს სამი დიათეზა: პირველ ანუ ერგატიული კონსტრუქციის მქონე დიათეზაში სვანურში გაერთიანდება გარდამავალი ზმნები, ანუ აქტივები, და მედიოაქტივები; ამ უკანასკნელთა რაოდენობა, სხვა ქართველურ ენათა მსგავსად სვანურშიც შეზღუდულია (ვ. თოფურია, აღ. ონიანი).

ა) **ასყენე** (ეჯა ეჩას) „აკეთებს (ის მას), **ანსყე** (ეჯნემ ეჯა) „გააკეთა“(მან ის).

ბ) **არკუნე** ეჯა „კანკალებს ის –**ლაძრუკუნე** ეჯნემ („იკანკალა მან).

გ) აქვე შეიძლება განვიხილოთ აქტიური ფუძედრეკადი ზმნებიც: **ხნტხე** (ეჯა ეჩას ეჩას) „უბრუნებს“ (ის მას მას) – **ლახტის** (ეჯნემ ეჩას ეჯა) „დაუბრუნა“(მან მას ის).

მეორე დიათეზა ნომინატიური კონსტრუქციისაა: მეორე დიათეზაში ერთიანდება ყველა სახის დინამიკური ვნებითები; ბ) ნაწილობრივ სტატიკური ვნებითის ფორმები და ფუძედარეკადი ზმნები:

**იხტჷი** ეჯა („იხატება ის), **ხეხტ** აჷი ეჯა ეჩას („ეხატება ის მას“); **ათხატჷნ** ეჯა ეჩას („დაეხატა ის მას“).

გ) ფუძედრეკადი ზმნები: **დენი** ეჯა („ქრება ის“) –**აღბ** ეჯა („ჩაქრა“ის). მესამე დიათეზას – დატიური კონსტრუქციის დიათეზას ქართულსა და სვანურ ენებში ქმნიან ინვერსიული ზმნები, რომელთაც შეეწყობა „სულიერი მდგომარეობის განმცდელი, სუსტი ნებელობის მქონე სუბიექტი“ (დ. მელიქიშვილი). **მაღბ** (მი ეჯა) „მიყვარს მე ის“ **ლამლატგნ** (მი ეჯა) „შემიყვარდა მე ის“. საბოლოო დასკვნების გაკეთება შესაძლებელი გახდება დიათეზების შიგნით პარადიგმატული მოდელების აღწერის, კლასიფიცირების, შესწავლა–ანალიზის შემდგომ. ნაშრომში ასევე მოცემულია ცდა სვანურში დიათეზის გრამატიკული (მორფო-სინტაქსური) კატეგორიის ფარგლებში ფუნქციური თვალსაზრისით პირის ნიშნთა კვალიფიკაციის საკითხის გადაწყვეტისა ინვერსიისა და კონსტრუქციის თვალსაზრისით ქართულთან პარალელებისა, გვარისა და რეფლექსივის საკითხებში კი სვანურის თავისებურებებისა და მთელი რიგი სპეციფიკის გათვალისწინების საფუძველზე.

„ქართულ-მეგრულ ზმნასთან შედარებით სვანური ზმნა უფრო რთულია“ ნათქვამია ქართველოლოგთა ერთ-ერთი სამაგიდო წიგნის ვ.თოფურიას „სვანური ენა I ზმნა“ წინასიტყვაობაში (თოფურია, 1967:XXIX). სირთულე კი არქაულ ფორმებთან ერთად განპირობებებულია იმით, რომ ამ უკანასკნელს მეტი გააჩნია ინკლუზივისა და ექსკლუზივის ფორმები, მეოფადუსრული, თურმეობითის სპეციფიკური მწკრივები, ხანმეტი ფორმები, პირობით-სრული და პირობითუსრული, სიტყვათწარმოების ზოგი მომენტი... ქართველურ ენებში პირის ნიშნები - როგორც სუბიექტური, ასევე ობიექტური, სამეცნიერო ლიტერატურაში საფუძვლიანად არის შესწავლილი. თუმცა ტერმინოლოგიასთან დაკავშირებით გამოთქმულია სრულიად განსხვავებული მოსაზრებანი; წარმოვადგენთ

რამდენიმე მათგანს: როგორც ცნობილია, იმის გამო რომ ქართული ზმნის ლოგიკური სუბიექტ-ობიექტი ყოველთვის არ უდრის რეალურს, არნ. ჩიქობავამ შემოიტანა სინტაქსური ცნება-ტერმინები: „კორდინაცია“ და „კორდინატები“, რაც საშუალებას იძლევა ზუსტად აღიწეროს ქართული შესიტყვების სტრუქტურა-მექანიზმი; ფორმალური ანალიზისას დღეს უფრო მოსახერხებლად თვლიან „ნეიტრალური“ ტერმინის „აქტანტის“ გამოყენებას (დათუკიშვილი, 1997: 63) „თუ ტრადიციულ თვალსაზრისზე დავდგებით და /ვ-/-ს რიგის ნიშნებს სუბიექტური პირის ნიშნებად მივიჩნევთ, ხოლო /მ-/-ს რიგისას –ობიექტური პირის ნიშნებად, მაშინ სავალდებულოა, /ვ-/-ს რიგის ნიშნებით ყოველთვის მოქმედი პირი გამოიხატებოდეს, (ისევე როგორც /მ-/-ს რიგის ნიშნებით – სამოქმედო პირი). სინამდვილეში ისინი, როგორც ბევრჯერ აღინიშნა, ხან მოქმედ პირს გამოხატავენ (ვ-ხატავ, ვ-კლავ...) ხან – სამოქმედოს (მო-ვ-უმზადებივარ, მი-ვ-ყავარ... ) ...ამიტომ მათ აღმნიშვნელად ისეთი ტერმინების გამოყენება, როგორიცაა „სუბიექტური პირი“, „ობიექტური პირი“, არ არის ბუნებრივი და მართებული... /ვ-/-ს რიგის ნიშანს შეიძლება ვუწოდოთ სავალდებულო ანუ ობლიგატორული პირის ნიშანი, ხოლო /მ-/-ს რიგის ნიშანს არასავალდებულო ანუ არაობლიგატორული პირის ნიშანი (ონიანი, 1978: 38-40). ეს ციტატები მოვიხმეთ, როგორც საკითხის ისტორიის თვალსაზრისით საინტერესო. ჩვენ კი ყურადღებას ამაჯერად გავამახვილებთ დიათეზებისა და სერიების მიხედვით პირის ნიშანთა განაწილებაზე. ქართული ვ-ინისა და მ-ანის შესაბამისად ხჷ-სა და მ-ანის რიგის ფორმანტებზე სვანურში (შდრ. ძვ. ქართ. ხანმეტობა). როგორც ცნობილია, დიათეზის მორფოსინტაქსური კატეგორიის ცნება მოიცავს ზმნის მორფოლოგიური სტრუქტურის, პირიანობისა და ვალენტობის, კონსტრუქციის, სახელსა და ზმნას შორის

სინტაქსური ურთიერთობის საკითხებს. ქართულ საენათმეცნიერო ლიტერატურაში საკმაოდ მკაფიოდ არგუმენტირებული დებულების თანახმად გვარის მორფოლოგიური კატეგორიის პარალელურად დიათეზის მორფოსინტაქსური კატეგორიის მიხედვით ქართული და შესაბამისად ქართველურ ენათა ზმნის კლასიფიცირების აუცილებლობა განაპირობა სწორედ სემანტიკასა და მორფოლოგიურ ელემენტებს შორის შესაბამისობის დარღვევამ და ამით განპირობებულმა ცვლილებამ პირის ნიშანთა ფუნქციური მიმართების თვალსაზრისით. „პირის ნიშნისა და ბრუნვის ნიშნის ურთიერთდამოკიდებულება ქართული ენის ისტორიის მანძილზე არ შეცვლილა, ანუ ფორმალური სისტემა უცვლელია (ვინის რიგის ნიშნები კვლავ ნომინატივთან და ერგატივთანაა დაკავშირებული, ხოლო მ-ს რიგისა – დატივთან და ნომინატივთან... მაგრამ ქართული მარტივი წინადადების ევოლუციის პროცესში დაირღვა პირდაპირი შესაბამისობა სემანტიკასა და მორფოლოგიურ ელემენტებს შორის, შეიცვალა ფუნქციური მიმართება (ანუ I დიათეზის ორივე ქვეჯგუფის III სერიისა და III დიათეზის II ქვეჯგუფის ფორმებში მოხდა პირის ნიშანთა ფუნქციების ინვერსია), რაც უეჭველად უნდა იქნას ასახული თანამედროვე ქართული ენის პირის ნიშანთა ფუნქციურ ცხრილში“ (მელიქიშვილი, ქართული ზმნის უღლებადი ფორმების კლასიფიკაციისა და კვალიფიკაციის პრინციპებისათვის, ხელნაწერი გვ. 5). დიათეზებად სვანური ზმნის კლასიფიცირების რთული სამუშაო ჯერ შესრულებული არ არის. მაგრამ გვარის, სერიების მწკრივებად დაყოფის, ინვერსიის საკითხებში ქართულთან პარალელებისა, და თვით სვანური ზმნის მორფოლოგიური სტრუქტურისა და სინტაქსური კონსტრუქციის ერთიანობის გათვალისწინების საფუძველზე, მსგავსად ქართულისა, სვანურშიც უნდა გამოიყოს სამი დიათეზა: პირველი

დიათეზა ერგატიული კონსტრუქციისაა, მეორე – ნომინატიურისა, მესამე დიათეზას კი აქაც ქმნიან დატიური კონსტრუქციის მქონე ზმნები. რაც შეეხება სვანურში გამოყოფილ IV სერიას (ლემგუმინხტი „ნაშენებვარ“, ლემგუმინხტი „ნატირებვარ“ ლემგუმინხტი „ნასიარულებვარ“, ლემგუმინხტი „ნამღერებვარ“ ლემგუმინხტი „ნაცეკვებვარ“, ხტახტჷნა „გუხატავდი თურმე“, ხტაბრწლნა „ვაბრალედი თურმე...“) ტიპის ფორმებისთვის, სამეცნიერო ლიტერატურაში არსებობს ორგვარი თვალსაზრისი: თურმეობითთა სპეციფიკურ ფორმებს, დამახასიათებელს დასავლური ქართული დიალექტებისა და ზანურისათვის ცალკე IV სერიად გამოყოფენ გ. როგავა, ა. ონიანი ...აღნიშნული ფორმებს I სერიაში განიხილავს ვ. თოფურია იმ არგუმენტით, რომ „ორივე იყენებს აწმყოს ფუძეს“, მიუხედავად იმისა, რომ ენათმეცნიერებაში შემდგომ III და IV თურმეობითებად კვალიფიცირებულ ფორმათა შორის შედგენილობის თვალსაზრისით დიდი განსხვავებაა რელატიურობა-აბსოლუტურობისა და აფიქსების თვალსაზრისით, მათ შორის საერთო მაინც ის არის, რომ ორივეთი გადმოიცემა უნახავი, სხვისგან გაგონილი ამბავი (თოფურია, 1967:135) იქვე ხაზს უსვამს იმ გარემოებასაც, რომ თურმეობითთა მხრივ დიდი განსხვავებაა. თურმეობითი I რელატიურია, თურმეობითი II აბსოლუტური, აფიქსებიც სხვადასხვა გააჩნიათ. რამდენადაც დიათეზების გამოყოფისას სინტაქსური კონტრუქცია ერთ-ერთი ძირითადი საფუძველია, კონსტრუქცია კი ზემოაღნიშნულ თურმეობითებს ყოველთვის აქვთ ნომინატიური (S-სახ. 0-შიც.) ჩვენ ვტოვებთ ვ. თოფურიასეულ კლასიფიკაციას და სვანურისთვისაც ქართულის მსგავსად, განვიხილავთ სამ სერიას. მსგავსად ქართულისა სვანურშიც პირველ დიათეზაში გაერთიანდება გარდამავალი ზმნები ანუ აქტივები (სუბიექტის სპეციფიკური ბრუნვის მიხედვით ზმნათა ამ



